ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისრაელის ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Center for Israel Studies

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXIII

ISSUES OF HISTORY AND THEORY OF CULTURE

XXXIII

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXIII

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ISSUES OF HISTORY AND THEORY OF CULTURE

XXXIII

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXIII

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორი – მარიკა მშვილდაძე,
თსუ ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor – Marika Mshvildadze, Doctor of
Historical Sciences, Associate Professor

სარედაქციო კოლეგია: გ. ბათიაშვილი, მ. ბოთერაშვილი (ისრაელი), მ. ბუცხრიკიძე, ე. გეგეშიძე, ნ. გელაშვილი, მ. დათუკიშვილი, რ. დოლიძე, ი. ზაბახიძე, ზ. კვიციანი, ქ. ლორთქიფანიძე, მ. მშვილდაძე (რედაქტორი), ი. ოფირი (ისრაელი), გ. პაატაშვილი, მ. რუსიეშვილი-კარტლეჯი, მ. ჩაჩიბაია, დ. ყოლბაია (პოლონეთი), გ. ყუფარაძე.

Editorial Board: G. Batiashvili, M. Boterashvili (Israel), M. Butskhrikidze, M. Chachibaia, E. Gegeshidze, E N. Gelashvili, M. Datukishvili, R. Dolidze, D. Kolbaia (Poland), Z. Kvitsiani, G. Kuparadze, K. Lortkipanidze, M. Mshvildadze (Editor), I. Offir (Israel), G. Paatashvili, M. Rusieshvili-Cartlege, I. Zabakhidze.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2019

ISSN 1512-0694

გურამ ლორთქიფანიძე

GURAM LORTKIPANIDZE

1938-2019

კრებული ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის ნათელ ხსოვნას

The collection is dedicated to the memory of Guram Lortkipanidze, Correspondent Member of the Georgian National Academy of Sciences, Professor

შინაარსი

CONTENTS

დ-რი გერშონ ბენ-ორენი (აშშ)
საქართველოს ებრაელობა ისრაელში
(ზოგადი შტრიხები) – გაგრძელება 11

Gershon Ben-Oren
Georgian Jews in Israel (principal foundations) 29

რევაზ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე
ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფელ საკეციაში
(ამბროლაურის რაიონი) 31

Revaz Papuashvili, Leri Jibladze
New Archaeological Discoveries from Ambrolauri Municipality ... 37

ნინო ოთხვანი
ბალიჭი-ძეძვების ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის
კერამიკის ტიპოლოგია და ორნამენტის თავისებურება 42

Nino Otkhvani
Typology and Ornament Characteristic of the Ceramics from
Balichi-Dzedzvebi Early Bronze Age Settlement 52

ზურაბ ბრაგვაძე
ჭიათურის სამაროვანი 56

Zurab Bragvadze
Chiatura Cemetery 60

მარიკა მშვილდაძე
ქურციკისგამოსახულებიანი საბეჭდავები
ფიქრისგორის სამაროვნიდან 66

Marika Mshvildadze
Seals with the Image of a Gazelle from Piqrisgora Tombs 71

ნანა გელაშვილი
კონფუციონიზმი ჩინეთის ისტორიულ რეალობაში 73

Nana Gelashvili
Confucianism in the Historical Reality of China 83

იაკობ ოფირი
ისრაელი 70 85

Jacob Ofir
Israel 70 97

ლალი გულედანი, ნინო ენუქიძე
კონფორმულობასა და წინასწარგანწყობასთან
დაკავშირებული ტერმინები ქართულ, ებრაულ და
ინგლისურ ენებში 98

Lali Guledani, Nino Enukidze
Terms Related to Conformation and Prejudice in
Georgian, Hebrew and English Languages 118

ინგა ზაბახიძე
სამხედრო ძალთა თანფარდობა
ისრაელ-არაბეთის I ომის დროს 120

Inga Zabakhidze
Military Line-ups during the First Arab-Israeli War 125

უჩა ოქროპირიძე
აფხაზური პრობლემის თანამედროვე გააზრებისათვის 126

Ucha Okropiridze
For the Modern Understanding of Abkhazian Problem 138

თამარ ანთაძე
ღირსეულად დაფასებული მეცნიერი 139

Tamar Antadze
Duly Appreciated 151

ხათუნა თუმანიშვილი
ენასთან დაკავშირებული ანდაზების ტიპოლოგიისათვის
განსხვავებულ კულტურათა კონტექსტში
(ქართულ და არაბულ კორპუსთა ბაზაზე) 153

Khatuna Tumanishvili
On the Typological Research of Proverbs Connected with
Tongue in the Context of Different Cultures
(Based on Georgian and Arabic Materials) 164

გახსენება

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე
გერცელ ბააზოვი – 115
ქართველი და ებრაელი ხალხის
ისტორიის ნათელი ფურცელი 166

Натела Натлиашвили-Квиникадзе
Герцель Баазов – 115
Яркая страница истории
грузинского и еврейского народов 175

მერაბ კალანდაძე
პროფესორ უშანგი სიდამონიძის გახსენება 178

Merab Kalandadze
In Memory of Prof. Ushangi Sidamonidze 185

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე
ქართული თეატრისა და კინოს მშვენება და სიამაყე 186

Натела Натлиашвили-Квиникадзе
Краса и гордость грузинского театра и кино 198

ახალი წიგნი

გურამ პაატაშვილი
აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“ 203

Guram Paatashvili
The World of Maestro’s Ideas 250

დ-რი გერშონ გენ-ორენი (აშშ)

საქართველოს ებრაელობა ისრაელში (ზოგადი შტრიხები) – გაგრძელება

5. ექვსდღიანი ომი და მისი გავლენა

1967 წელს საომარი ღრუბლები გაჩნდა ახლო აღმოსავლეთის ცაზე. ეგვიპტის მაშინდელმა პრეზიდენტმა გამალ აბდ ელ-ნასერმა ისრაელის მეზობელი მუსლიმური ქვეყნების, მთელი მუსლიმური სამყაროს, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მხარდაჭერით, ისრაელის საზღვრებთან დიდძალ სამხედრო ძალას მოუყარა თავი. ტირანის სრუტის ჩაკეტვა ეგვიპტის სამხედრო საზღვაო ძალების მიერ, ფაქტობრივად, ომის გამოცხადებას ნიშნავდა. 6 ივნისს, გარიჟრაჟზე დაიწყო ომი, ერთი მხრივ, ისრაელსა და, მეორე მხრივ, ეგვიპტესა და სირიას შორის. ერთი დღის შემდეგ სირია-ეგვიპტეს შეუერთდა იორდანიის სამეფო. ისრაელი დიდ სამხედრო ბლოკადაში მოექცა, არაბული არმიები უტევდნენ ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. დასავლეთით ხმელთაშუა ზღვა იყო. სულ რაღაც 19 წელი იყო გასული იმის შემდეგ, რაც ებრაელი ხალხი საკუთარი სახელმწიფოს ღირსი გახდა. ახლა კი ამ სახელმწიფოს გლობალური განადგურების საფრთხე ელოდა.

ეს საფრთხე იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ისრაელის ხალხის სანუკვარი ნატვრა სახელმწიფოებრიობის შესახებ შეიძლება, წაშლილიყო უეცრად და მსოფლიოს ებრაელობა აღმოჩენილიყო ახალი სამწუხარო ფაქტის წინაშე. ამ საშიშროებამ დამუხტა ებრაული სოლიდარობის გრძნობა მთელ მსოფლიოში. ამ გრძნობას საზღვრები არ გააჩნია. მთელი მსოფლიოს ებრაელობა ერთ მუშტად შეიკრა ერთადერთი ებრაული სახელმწიფოს გადასარჩენად. ფაქტობრივად, ლაპარაკი იყო ერის გადარჩენაზე, რადგან ისრაელის სახელმწიფოს არსებო-

ბის წაშლის შემთხვევაში საეჭვო ხდებოდა ერის მომავალი. ეს შეგრძნება ქვეცნობიერი იყო. ამ შეგრძნებამ გააერთიანა მთელი ებრაელობა, ცხადია, თითო-ოროლა გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლით თუ რაიმე სხვა მოსაზრებით ანტიისრაელურ და ანტისიონისტურ კამპანიებში მონაწილეობდნენ.

ასე დაირაზმა მსოფლიოს ებრაელობა ორი მიმართულებით: ერთნი ისრაელში რეპატრიაციას ცდილობდნენ, რათა საკუთარი სხეულით დამდგარიყვნენ მათ გვერდით, ვინც ქვეყანას იცავდა. ვისაც ფიზიკურად არ შეეძლო, მატერიალურად ეხმარებოდა ისრაელის ქვეყანას. სოლიდარობის ამ საერთო ატმოსფეროში საბჭოთა ებრაელობა არ ჩამორჩენილა. პირიქით, მიუხედავად იმ დიდი საფრთხისა, რაც საბჭოთა მოქალაქეს ელოდა ხელისუფლების მხრიდან, უშიშრად მოითხოვდნენ ისრაელში რეპატრიაციის უფლებას. საბაბი იყო ოჯახების გაერთიანება, თუმცა ყველამ იცოდა, მათ შორის, ხელისუფლებამაც, რომ ბევრ მათგანს არასოდეს არ ჰყოლია ნათესავი ისრაელში და ერთადერთი მოტივი რეპატრიაციისა იყო ეროვნული მოტივი – შეუერთდეს თავის ერს და იცხოვროს თავისი ეროვნული სახელმწიფოს ცის ქვეშ.

ებრაული ეროვნული აღტყინება ექვსდღიანი ომის შემდეგ აფეთქების ხასიათს ატარებდა მთელ საბჭოთა იმპერიაში და მოიცავდა ებრაელთა თითქმის ყველა ფენას და ყველა რესპუბლიკას. ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფალნი ზღუდავდნენ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით რეპატრიაციას ისრაელში, მაგრამ ებრაელები, თავიანთი მხრივ, ყოველგვარად ცდილობდნენ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, ზოგი გასამართლებულ იქნა ე.წ. „სიონისტური“ და „ანტისაბჭოთა“ პროპაგანდის გამო და ციხეში იქნა ჩამწყვდეული, ზოგი კი ციმბირში იქნა გადასახლებული. რეპატრიაციისათვის ბრძოლის ეფექტური საშუალება იყო ღია წერილის გაგზავნა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის მისამართით ისრაელში რეპატრიაციის მოთხოვნით. ასლი, როგორც წესი, იგზავნებოდა გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების კომიტეტში. მას გარკვეული ეფექტი ჰქონდა, მაგრამ საქართველოს ებრაელთა გარკვეულმა ჯგუფმა მოიფიქრა საკმაოდ სარისკო, მაგრამ გაცილებით ეფექტური ნაბიჯი – კოლექტიური წერილით მიმართვა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურთა მიმართ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ასლის გაგზავნით.

6. 18 ოჯახის ისტორიული წერილი

1969 წლის 9 ნოემბერს ისრაელის სახელმწიფოს მაშინდელმა მეთაურმა გოლდა მეირმა ისრაელის პარლამენტის – ქნესეთის ტრიბუნიდან წაიკითხა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურისადმი, ისრაელის მთავრობისადმი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართული საქართველოს ებრაელთა 18 ოჯახის წერილი. მსგავსი წერილები საბჭოთა ებრაელების მხრიდან არაერთხელ გაგზავნილა აღნიშნული მისამართით, მაგრამ ამ წერილის სპეციფიკა მდგომარეობდა შემდეგში: იგი იყო კოლექტიური წერილი და ხაზს უსვამდა რეპატრიაციის მოტივს არა ოჯახების გაერთიანების თვალსაზრისიდან, არამედ – ეროვნული იდეებიდან გამომდინარე.

პირველი, რაც თვალში საცემია, ესაა თავდადებული და უკომპრომისო მოთხოვნა ისრაელში წასვლის ნებართვის თაობაზე. ეს იყო უდიდესი რისკი, რომელიც ხელმომწერებს და მათი ოჯახის წევრებს სერიოზულ საფრთხეში აგდებდა. უმრავლესობა, ვინც ეს წერილი მოისმინა, დარწმუნებული იყო, რომ ხელმომწერებს ციმბირი არ აცდებოდა, თუ უფრო უარესი არა. წერილის ფორმამ და შინაარსმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ საქართველოს ებრაელთა ბრძოლამ ისრაელში რეპატრიაციისათვის გადამწყვეტ ფაზას მიაღწია.

აი, ამ წერილის შინაარსი, შემოკლებით:

ადამიანის უფლებათა კომიტეტს,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციას,
ნიუი-ორკი, ამერიკის შეერთებული შტატები
შიშის დღეები დამთავრდა! დადგა ჟამი ქმედებისა!

ჩვენ, 18 რელიგიური ოჯახის წარმომადგენელნი საქართველოდან, გთხოვთ, დაგვეხმაროთ ისრაელში გამგზავრების საკითხში. ყოველი ჩვენგანი მიწვეულ იქნა ისრაელში მცხოვრები ნათესავისაგან. ყოველმა ჩვენგანმა მიიღო საბჭოთა კომპეტენტური დაწესებულებებისაგან შესაბამისი ანკეტები და შეავსო. ყოველმა ჩვენგანმა მიიღო ზეპირი დაპირება იმის შესახებ, რომ ქვეყნიდან გასვლის საკითხში არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობებოდა. ყოველი ჩვენგანი ყოველდღიურად ელოდა ნებართვას გასამგზავრებლად, გაყიდა მთელი თავისი ქონება და გათავისუფლდა სამსახურიდან, მაგრამ უკვე მრავალმა თვემ განვლო, ზოგისთვის კი – წლებმა, მაგრამ გამგზავრების ნებართვა ჯერ კიდევ არ გვაქვს მიღებული. ასობით ასეთი წერილი და დეპეშა გავაგზავნეთ, მაგრამ მათ უდაბნოს ქვიშაში ჩაღვრილი ცრემლების ბედი ეწია. ჩვენამდე აღწევს მოკლე ზეპირი უარი, მაგრამ წერილობითი პასუხი ჯერ არ მიგვიღია; არავინ არაფერს გვიხსნის, არავის აწუხებს ჩვენი ბედი.

მაგრამ ჩვენ ველით, რადგან ჩვენ გვწამს.

ჩვენ, 18 რელიგიური ოჯახის წარმომადგენელნი საქართველოდან, ვფიქრობთ, რომ საჭიროა იმის ახსნა, თუ რატომ გვსურს ისრაელში გამგზავრება.

ყველამ იცის, თუ როგორ ხორციელდება საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკა – სამართლიანად და პატიოსნად, იმ თეორიული საფუძვლების შესაბამისად, საფუძველი რომ ჩაეყარა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის მიერ. უკვე დიდი ხანია, არაა ჩვენ ქვეყანაში პოგრომები, არაა „დასახლების ზონები“, არაა „პროცენტული შეზღუდვები“. ებრაელებს შეუძლიათ, იარონ ქუჩაში შიშის გარეშე. მათ შეუძლიათ, იცხოვრონ ნებისმიერ ადგილას, სადაც ისურვებენ, მიიღონ ნებისმიერი თანამდებობა, მინისტრისაც კი და ამის მაგალითია ვ. დიმშიცი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლეს საბჭოშიც კი ზის ებრაელი წარმომადგენელი – ა. ჩაკოვსკი „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქტორი. აქედან გამომდინარეობს, რომ რასობრივი დისკრიმინაცია არ გვაიძულებს ქვეყნის დატოვებას. ან იქნება – რელიგიუ-

რი დისკრიმინაცია? მაგრამ ამ ქვეყანაში ნებადართულია სალოცავების არსებობა, არც ჩვენს სახლში ლოცვას გვიშლის ვინმე, ოღონდ ჩვენი ლოცვები დაკავშირებულია ისრაელთან, როგორც ნათქვამია: „თუ დაგივიწყო იერუსალიმ, დავიწყებულ იქნეს მარჯვენა ჩემი“.

* * *

ებრაელებმა მისცეს მსოფლიოს რწმენა და რევოლუციონერები, მოაზროვნეები და მეცნიერები, მდიდრები და გონიერები, ჩვილი გულის მქონე მეცნიერები და მოხუცივით შორსმჭვრეტელი ბავშვები. არ არსებობს ცოდნის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფერო, ებრაელებს რომ არ შეეტანათ წვლილი. არ არსებობს ქვეყანა, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ და იმ ქვეყანას არ ესარგებლოს მათი შრომის ნაყოფით. და რა მიიღეს ებრაელებმა სამაგიეროდ?

როცა ყველა კარგად ცხოვრობდა, ებრაელები იხდიდნენ და კანკალებდნენ, დროება არ შეცვლილიყო. როცა საერთო ვითარება გაუარესდებოდა, ებრაელებმა იცოდნენ, რომ მათი სიკვდილის დრო დადგა. მაშინ იმალებოდნენ, ან ქვეყნიდან გარბოდნენ. იმის შემდეგ, რაც თავს დააღწევდნენ, ყველაფერი თავიდან იწყებოდა. და, ვინც დამალვას ვერ ახერხებდა, იღუპებოდა. ვინც დაიმალებოდა, ელოდა სხვა დღეები.

* * *

სიმართლე, რომ ითქვას, ებრაელებს შეეძლოთ სხვებივით მშვიდად ეცხოვრათ, თუ სარწმუნეობას შეიცვლიდნენ, ერთეულები სწორედ ასე მოიქცნენ. ურწმუნოები ყველგან არიან, მაგრამ მილიონობით ადამიანმა გაჭირვებული ცხოვრება არჩია, ხშირად სიკვდილიც, ვიდრე გადაგვარებულიყო.

* * *

წინასწარმეტყველება აღსრულდა – ებრაელი ერი ფერფლიდან აღდგა. იერუსალიმი არ დავივიწყეთ, ახლა კი მას სჭირდება ჩვენი ხელები.

ჩვენ ვართ 18 ოჯახი, ამ წერილს რომ ვაწერთ ხელს, მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ მხოლოდ 18 ვართ, შეცდომას დაუშვებს. ხელმომწერთა რიცხვი გაცილებით დიდი შეიძლება ყოფილიყო.

ამბობენ, რომ მსოფლიოში 12 მილიონი ებრაელია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ მხოლოდ 12 მილიონი ვართ, შეცდება. ისრაელისთვის მლოცველთა მხარდამხარ დგანან ასობით მილიონები – ისინი, ვინც აქამდე ვერ მოაღწიეს, წამებულნი, ვინც დღეს აღარ არიან ცოცხალთა შორის. ისინი ჩვენ მხარდამხარ მოაბიჯებენ, დაუმარცხებელნი, მარადიულნი, რომელთაგანაც ვიღებთ ბრძოლისა და რწმენის ტრადიციას.

აი, ამიტომ გვსურს გამგზავრება ისრაელში.

* * *

ჩვენ დაველოდებით თვეებსა და წლებს, თუ საჭირო იქნება, მთელ სიცოცხლესაც, მაგრამ ჩვენ რწმენას და იმედს არ დავთმობთ.

ჩვენ გვჯერა: ჩვენმა ლოცვამ ღმერთამდე მიაღწია.

ჩვენ ვიცით: ჩვენი მოწოდება მიაღწევს ადამიანებამდე;

ჩვენ ხომ ბევრს არ ვითხოვთ. მხოლოდ იმას, რომ გაგვიშვან ჩვენი წინაპრების ქვეყანაში“.

წერილს ხელს აწერს 18 მამაკაცი. იქვეა მითითებული თითოეულის საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

არ მივიჩნიე მიზანშეწონილად, წერილი მთლიანად მომეტანა, მაგრამ არცთუ პატარა ნაწყვეტებია აქ, რათა მეჩვენებინა: არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, რაც შეიძლება ჩაითვალოს სამდურავად საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. მთელი წერილი ისეა გაგებული, რომ ქვეყნის დატოვების თითქმის ერთადერთ მიზეზად მინიშნებულია ეროვნული ინტე-

რესი და ერის არსებობის ისტორიის გაგრძელებაში საკუთარი მონაწილეობის მიღების სურვილი. და თუ შეიმჩნევა რაიმე სამდურავი, იგი საბჭოთა ხელისუფლების მისამართითაა მიმართული და არა საქართველოს მიმართ.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტს: რატომ 18 ოჯახი? ხომ შეიძლებოდა მეტი ან ნაკლები? აქ ებრაული სიმბოლიკაა, რიცხვი 18 გადმოიცემა ასოებით, რომლის თარგმანია „სიცოცხლე“ (ხაი). ამით წერილის ავტორებს სურდათ, მიენიჭებინათ წერილისთვის რაღაც მაგიური ძალა, რომელიც იმედებს განუმტკიცებდა და მხნეობას შემატებდა.

წერილის დაწერის ისტორიისა და ხელმომწერთა შესახებ საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაატარა იურისტმა, დოქტორმა მიხაელ ბინ-ნუნმა (ნანიკაშვილმა).[1] წიგნზე მუშაობის პროცესში ავტორი უკურნებელი სენით დაავადდა და წიგნის გამოცემას ვერ მოესწრო.

18 ოჯახის წერილის ხელმომწერები, ბუნებრივია, საბჭოთა ორგანოების განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ. დაკითხვები და გამოძიებები არ აკლდათ, მაგრამ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში ებრაელებს ყველაზე მეტად ერთი საკითხი აინტერესებდათ: რა ელით? ის, რომ ჩალაგებულ ყუთებზე ისხდნენ და ადრე თუ გვიან სასურველ გზას ელოდნენ, ეს ყველამ იცოდა; ისიც ყველამ იცოდა, რომ სამსახურში აღარავინ დადიოდა და თუ ჰქონდათ რაიმე სარჩო ან დანაზოგი, განა რამდენ ხანს ეყოფოდათ? და მაინც, მთავარი იყო – რა ელით? გაასამართლებენ, თუ გააციმბირებენ, თუ ისრაელში გაუშვებენ? საბჭოთა ხელისუფლებამაც იცოდა, რომ ეს საკითხი უნდა გადაეჭრათ, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო: მათი დასჯის შემთხვევაში მთელი პროგრესული მსოფლიო აღდგებოდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ისევე, როგორც მოხდა ებრაელი ექიმების ყალბი ბრალდების გამო 1952-1953 წლებში. ამიტომ, მიუხედავად დიდი ყოყმანისა

[1] მიხაელ ბინ-ნუნი (ნანიკაშვილი), „ყვირილის ძალა – საქართველოს ებრაელთა „ეგვიპტის გამოსვლა“, ბეთ-ელ 1996 (ებრაულად).

და ლოდინისა, 18 ოჯახის ყველა წევრმა მიიღო ისრაელში გამგზავრების ვიზა.

ამ დრამის ასეთი დასასრული სასიხარულო მოვლენა იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა ებრაელობისათვის, რომელიც დაძაბულად ადევნებდა თვალს 18 ოჯახის გასაჭირს. ამის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნიაღვარივით დაიძრა ათასობით ებრაელის მოთხოვნა მთელი საბჭოთა იმპერიის ყველა კუთხიდან ისრაელში გამგზავრების მოთხოვნით. ამიტომ 18 ოჯახის წერილს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: მან შეძლო რკინის ფარდის გარღვევა და გზა გაუხსნა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მილიონობით საბჭოთა ებრაელს ისრაელისაკენ და საერთოდ თავისუფალი სამყაროსაკენ.

განზრახ შევჩერდით 18 ოჯახის წერილის პერიპეტიებზე. ერთი იმის გამო, რომ ეს წერილი, ფაქტობრივად, წარმოადგენს საქართველოს ებრაელთა ერთგვარ ჯგუფურ „პროტესტს“. ალბათ, თემის დიდი უმრავლესობა მოაწერდა ხელს იმავე წერილზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავისი ტონით და სიმძაფრით არანაკლებ ძლიერ წერილებზე მოუწერიათ ხელი საქართველოს ებრაელებს (ერთ-ერთ ასეთ წერილს, რომლის დევიზი იყო „ისრაელი ან სიკვდილი“, 531 კაცი აწერდა ხელს!). მეორე მიზეზი ზემოხსენებულ წერილზე შეჩერებისა ისაა, რომ უკეთესად გავიგოთ და ღრმად ჩავწვდეთ მათი ამ ქვეყანაში წარმატების პერიპეტიებს და წარუმატებლობის სიმძიმეს. მესამე მიზეზი: საჭირო იყო, გვეჩვენებინა, რომ მიუხედავად შედარებით რაოდენობითი სიმცირისა, საქართველოს ებრაულმა თემმა ერთგვარი ლიდერის როლი შეასრულა მთელ საბჭოთა იმპერიაში, როცა ისრაელში რეპატრიაციის საკითხი იდგა დღის წესრიგში.

7. ისრაელში დამკვიდრების პირველი ნაბიჯები

1970-იან წლები, როცა მასობრივი ალია დაიწყო, სრულებით არ ჰგავდა 1925 წელს, როცა დ. ბააზოვისა და ნ. ელიაშვილის მეთაურობით ამოვიდა ისრაელში რეპატრიანტთა დიდი

ჯგუფი. განსხვავება სავსებით თვალსაჩინო იყო: უკვე არსებობდა ისრაელის სახელმწიფო, ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში გაცილებით უკეთესი იყო, სახელმწიფოს ჰყავდა თავისი არმია და პოლიცია, ჰქონდა სამართლებრივი და დამსჯელი ორგანოები და, რაც მთავარია, სახელმწიფოში იყო დემოკრატიული წყობა. რამდენად შეუწყო (ან შეუშალა) ამ უკანასკნელმა მომენტმა საქართველოდან გამოსულ რეპატრიანტებს ისრაელში უკეთ დამკვიდრების საქმეში? ამაზე ქვემოთ შევჩერდებით. ეროვნულ სახელმწიფოში მოსვლისა და დასახლების პირველი ნიშანდობლივი მომენტი ისაა, რომ ეროვნული საკითხი უკან რჩება და ადამიანის ცხოვრებაში იწყება ახალი ერა: სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევა, მატერიალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა, ბინის პრობლემა, ბავშვების სასკოლო პრობლემების მოგვარება, ახალი ენის შესწავლა, სამსახურის შოვნა, კვალიფიკაციის ამაღლება ან მთლიანად შეცვლა ქვეყნის მოთხოვნილებების შესაბამისად და კიდევ ბევრი სხვა საკითხი. ისრაელი, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ბავშვები მშობლებს ასწავლიან ენას – რას იზამ, ბავშვები ხომ გაცილებით სწრაფად ითვისებენ ახალ ენას. ახალი ცხოვრება ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ადამიანს, ხშირ შემთხვევაში სავსებით მოულოდნელს. ამ მოთხოვნებს შორის ერთ-ერთია მოთმინების უნარის გამომუშავება. ისრაელში მოთმინებას („სავლანუთ“) ყველაზე აუცილებელ „პროდუქტს“ უწოდებენ: თუ ეს გაგაჩნია, გაძლებ, თუ არა – ძალიან გაგიჭირდება.

ახალმოსულთა შორის უმაღლესდამთავრებულნი ერთგვარ პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენდნენ: დასაწყისში მერქაზ კლიტაში (აბსორბციის ცენტრში) ან ულფანში (ენის შემსწავლელ სტუდიაში) თვეების, იშვიათად წლების განმავლობაშიც, ცხოვრობდნენ და ენას სწავლობდნენ, ვიდრე ამ საბინაო და სამსახურებრივ პრობლემას გადაწყვეტდნენ. ვისაც უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, დროებით დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა, ეძებდა სამსახურს და ბინის პრობლემის გადაწყვეტის გზებს. დროთა განმავლობაში ამ ორივე კატეგორიის

ახალმოსულნი მუდმივ ბინაში საცხოვრებლად გადადიოდნენ და სამსახურის პრობლემასაც ასე თუ ისე აგვარებდნენ. მუდმივ ბინაში გადასვლა ნიშნავდა, რომ ამ ბინას ახალმოსულები ყიდულობდნენ სახელმწიფო ან კერძო ბანკის მიერ გაცემული სესხის დახმარებით, რომელსაც „მაშქანთას“ უწოდებდნენ. მართალია, ქვეყნის ამ ახალ მოქალაქეებს ერთგვარი შეღავათები ჰქონდათ ბინის შეძენის საკითხში, მაგრამ საბოლოოდ ბანკის გრძელვადიანი სესხის ყოველთვიური გადასახადი, რომელსაც სხვა გადასახადები ემატებოდა, ოჯახისთვის სერიოზულ მატერიალურ ტვირთს წარმოადგენდა. სხვა გადასახადებში შედიოდა: წყლის, ელექტროენერგიის, გაზის, სამუნიციპალიტეტო (არნონა) და ა.შ. მართალია, სახელმწიფო გარკვეულ შეღავათებს იძლეოდა როგორც გადასახადების, ასევე საოჯახო ნივთის (მაცივრის, გაზის, სარეცხი მანქანის და სხვა) შეძენისას, მაგრამ დაახლოებით სამი წლის შემდეგ ასეთი შეღავათები არ მოქმედებდა და ადამიანი დამოუკიდებლად უნდა გამკლავებოდა ყველა ეკონომიკურ პრობლემას. აქ საუბარია სოციალური პრობლემების ძირითად შტრიხებზე. ყველა საკითხს რომ დაწვრილებით შევეხოთ, ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. საუბარი ეხება სოციალური პრობლემების ძირითად შტრიხებს. ყველა საკითხის დაწვრილებით მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა.

ერთ-ერთი ძირითადია ქალის პრობლემა. საქართველოში ებრაული ოჯახების უმეტესობაში მამაკაცი დომინანტი ფიგურა იყო – როგორც ოჯახის უფროსი, იგი ზრუნავდა ოჯახის უზრუნველყოფის პრობლემებზე. პრობლემების უზრუნველყოფაზე ქალების უმრავლესობა ოჯახურ საკითხებს განაგებდა. მართალია, საქართველოში იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებიც შრომის ფერხულში ჩაბმულნი მამაკაცის მხარდამხარ შრომობდნენ, მაგრამ პროცენტულად ზემოხსენებული ფორმა ქალთა ყოფისა გაცილებით სჭარბობდა. ისრაელში მდგომარეობა დიამეტრულად შეიცვალა: ქალთა უმრავლესობა შრომით ფერხულშია ჩაბმული მწარმოებლურ თუ არამწარმოებლურ თითქმის ყველა სფეროში. რამ გამოიწვია ასეთი ვითარება?

პირველი – ხელფასით ცხოვრება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის დონე საშუალოზე მაღალია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალის სამუშაოდ გასვლა აუცილებელი ხდება.

მეორე – მაშინაც კი, როცა ერთი ხელფასი სავსებით საკმარისია საცხოვრებლად, ოჯახის გაზრდილი მოთხოვნილება შემოსავლის გაზრდის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში: ავტომანქანის გასავალი თავის ხარკს მოითხოვს; გადასახადები, როგორც წესი, იზრდება და არ მცირდება; ბავშვის სასკოლო გასავალი, განსაკუთრებით სასწავლო წლის დასაწყისში, სერიოზული თანხაა; ოჯახის წევრთა რაოდენობის გაზრდის გამო ზოგჯერ ბინის გაფართოვებაა საჭირო ახალი მოთხოვნილების შესაბამისად; შვილების გაზრდის შემდეგ, საჭიროა მათი სწავლის დაფინანსებაზე და დაოჯახებაზე ზრუნვა; შვილის დაოჯახება ხომ ახალშეუღლებულთათვის საბინაო პრობლემაზე ზრუნვას ითხოვს; საოჯახო ზეიმობაზე ჩვენც ვიწვევთ სხვებს და სხვებიც გვიწვევენ ჩვენ; ნიშნობა, ქორწილი, ნათლობა, ძეობა... ზოგჯერ ადამიანს თვეში ხუთ ასეთ წვეულებაზე უწევს წასვლა და ნახევარი თვის ხელფასი არ ყოფნის. აქ მატერიალური პრობლემების მხოლოდ ნაწილობრივი ნუსხა იყო წარმოდგენილი. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების შემთხვევაში რომელი ქალი დარჩება შინ და არ გავა სამუშაოდ?

ქალის სამუშაოდ გასვლამ კი ერთი ახალი პრობლემა წარმოშვა, რომელიც ისრაელში მოსვლამდე თითქმის არ არსებობდა. მამაკაცი, როგორც წესი, დომინანტური ფიგურა იყო ოჯახში. რაკი ერთადერთი მარჩენალი ის იყო, მისი პოზიცია გადამწყვეტად ითვლებოდა. ეს დაუწერელი კანონი იყო. ქალის პატივისცემა მამაკაცებმა უფრო სადღეგრძელოების წარმოთქმისას ვიცოდით, შეზარხოშებულნი ერთმანეთსაც ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო უკეთესად დაახასიათებდა მანდილოსნის ღვაწლს, კდემას, ღირსებას. ისრაელში კი... ქალის ფუნქციის ძირეულმა შეცვლამ თვისობრივი შეცვლაც დააყენა დღის წესრიგში. აი, ქალის პოზიცია: თუ მეც მარჩენალი ვარ შენსავით, ჩემს აზრსაც უნდა გაეწიოს ანგარიში ზუსტად ისევე, როგორც შენსას; რაკი სამსახურიდან მეც შენსავით დაღლილი მოვდი-

ვარ, მომეხმარე საოჯახო საქმეებში: კერძის მომზადება, ბინის დასუფთავება, ბავშვების მოვლა და დაბანვა, ჩვილი ბავშვის თეთრეულის გარეცხვა და გაუთოება... კარგი, გეყოფა! ყვირის ქმარი. აი, აქ იწყება ოჯახური დავა, რომელიც შეიძლება კონფლიქტში გადაიზარდოს.

გონიერი წყვილი ადვილად პოულობს გამოსავალს, როგორ გასწიოს ოჯახის უღელი ორმა შეხმატკბილებულმა მეუღლემ. და თუ წყვილი არცთუ ისე გონიერია, რა ხდება მაშინ? სულაც არაა აუცილებელი, რომ ამაზე ვილაპარაკოთ და გონება ავიმღვრიოთ.

საიდუმლო არაა, რომ საქართველოში ებრაული მოსახლეობის დიდი ნაწილის საქმიანობა დაკავშირებული იყო ვაჭრობასთან. რამ გამოიწვია საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში გადამყიდველთა სიმრავლე? პასუხი ასეთია: პირველი მოხმარების საგნების – ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, წამლების და სხვა მსგავსი საქონლის დეფიციტმა. სწორედ დეფიციტის პრობლემამ წარმოშვა შუამავალი, რომელიც აღნიშნულ საქონელს შოულობს ოფიციალურ სავაჭრო ინსტანციებთან საიდუმლო მორიგებით და, მაღაზიაში მიტანის ნაცვლად, მისი ხელით საღდება ეს საქონელი. ისრაელში ცხოვრების პირველი დღეებიდანვე ცხადი გახდა, რომ აქ დეფიციტი საერთოდ არ არსებობს. პირიქით, თუ საქართველოში ყველაზე „გასავლიან“ საქონელს დახლის ქვეშ მალავდნენ, რათა უფრო სარფიანად გაეყიდათ, ისრაელში ვიტრინაში იყო გამოფენილი ყველაზე თვალსაჩინო ადგილას: მთავარია, პოტენციური მყიდველი რამენაირად მაღაზიაში მიეზიდათ და ის თვალისმომჭრელი საქონელი თუ არა, იქნებ, სხვა რამე მაინც მიეყიდათ. ასე რომ, ვაჭრობის სფეროში დასაქმების მოტივაცია მაინცდამაინც არ იყო მაღალი. თავში იმ აზრის გავლება, რომ „ყველაფერი იშოვება“, გუშინდელი ვაჭრის მთელ გეგმებს თავდაყირა აყენებდა. ნებით თუ უნებლიედ, დასაქმების სფეროში უნდა აერჩიათ მწარმოებლური სფერო, ფიზიკური შრომა და თუ რაიმე პროფესია არ გააჩნდა, დგებოდა საკითხი პროფესიის შეძენისა. არჩევანი დიდი იყო და მიმართულება – მრავალფეროვანი. თითქმის ყვე-

ლა სფეროს მიმართეს ახალმოსულებმა, ისეთი პროფესიის ათვისებასაც კი, როგორიცაა პოლიციელი. ძნელი არაა იმის გახსენება, რომ საქართველოში ეს სფერო მათ შორის სულაც არ იყო პოპულარული.

იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ესა თუ ის პროფესია ჩამოიტანეს საქართველოდან, მაგრამ ისრაელში მაინცდამაინც არ აღმოჩნდა პოპულარული და იძულებული შეიქმნა, შეეცვალა კვალიფიკაცია ისრაელის პირობების შესაბამისად. მაგალითად, ავიღოთ რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, გეოლოგის ან მაღაროელის პროფესიის მქონენი. პროფესიის გამოცვლა მათთვის საკმაოდ აქტუალური საკითხი იყო, მაგრამ ეს მომენტი ყველასათვის არ აღმოჩნდა ადვილი. მიზეზი საკმარისი იყო: ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და მრავალი სხვა. ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიაც კი, როგორიცაა ექიმი, სერიოზულ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. საჭირო იყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა ისრაელის სამედიცინო ტექნიკის და მედიკამენტების, აგრეთვე, სამედიცინო მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ახალმოსულთა ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არა მარტო ის დაწესებულებები, ორგანიზაციები და ინსტიტუტები, რომლებიც უშუალოდ რეპატრიანტთა მომსახურებისთვის შეიქმნა, არამედ ისეთებიც, რომლებიც დიდი ალიის დაწყებამდე არსებობდა და ემსახურებოდა ისრაელის ძირძველ მოსახლეობას. ასეთ დაწესებულებებს ეკუთვნის ბიტუახ ლეუმი – ეროვნული დაზღვევა, რომელიც ისრაელის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე მზრუნველობას უწევს ყველა რეპატრიანტს ქვეყნის კანონების შესაბამისად. ეროვნული დაზღვევა არცთუ ისე დიდ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მოხუცებს, ინვალიდებს, ქვრივებს, ერთმშობლიან ოჯახებს, ობლებს და ა.შ. მოსახლეობის სუსტი ფენის არსებობის მინიმალური დონისათვის ეს დაწესებულება საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ზემოთ ისრაელის სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობაზე საუბრისას დავსვით კითხვა: რამდენად შეუწყო (ან შეუშალა)

ხელი ისრაელის დემოკრატიულმა წყობამ საქართველოდან გამოსულ რეპატრიანტებს ისრაელში დამკვიდრების საქმეში? შევეცდებით გავაანალიზოთ ეს საკითხი.

8. ისრაელის კავშირგაბმულობა და საქართველოდან გამოსული ებრაელობა

დემოკრატიული წყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა აზრის გამოთქმის სრული თავისუფლება. ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმიდან გამოსული რეპატრიანტებისთვისაც დიდ მონაპოვარს წარმოადგენდა დემოკრატიულ რეჟიმში მოსვლა, მაგრამ დასაწყისში ამან შოკი უფრო გამოიწვია, ვიდრე აღფრთოვანება. სულაც არ იყო ადვილი შეგუება იმ აზრთან, რომ რადიო, გაზეთი და ტელევიზია მთავრობის გასაკიცხს უფრო აშუქებდა, ვიდრე მხარდასაჭერს. მასობრივი რეპატრიაციის დასაწყისში ისრაელის კავშირგაბმულობის ყველა საშუალება აღტაცებით შეხვდა საქართველოდან გამოსულებს, მათ „ალიის გმირებს“ უწოდებდნენ, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და საქართველოს ებრაელობამ ისრაელში საკუთარ ზურგზე იწვნია დასავლეთის სამყაროს დემოკრატიული პრესის ყველა უარყოფითი მხარე.

ქვეყნის ახალ მოქალაქეს, პირველ რიგში, აინტერესებს ახალ ქვეყანაში დამკვიდრების პრობლემები: ბინა – ადგილმდებარეობა, ფართობის სიდიდე, საცხოვრებელი ფართის მოცულობა, სართული; სამსახური – რამდენად შეეფერება მის პროფესიულ მოთხოვნილებას ხელფასის სიდიდე ოდენობა, სიშორე მანძილი საცხოვრებელი ადგილიდან; როგორ სკოლაში ისწავლიან ბავშვები – მორწმუნეებთან თუ ათეისტებთან...; არის თუ არა მისთვის შესაფერისი სალოცავი მის საცხოვრებელ რაიონში... – ეს თითებზე ჩამოთვლილი საკითხებია, რომლებიც ახალმოსულს აღელვებს, პრობლემები კი გაცილებით ბევრია, იქნებ, უამრავიც კი. და ამ პრობლემების გადაწყვეტის ძიებაში რეპატრიანტმა შეიძლება უკმაყოფილება გამოთქვას – დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრობს, რას ერჩი. ტემპერამენ-

ტიანი ადამიანების უკმაყოფილების გრძნობის გამოხატვა შეიძლება, გადაიზარდოს დემონსტრაციასა და გაფიცვაში. სწორედ აქ გამოჩნდა ადგილობრივი პრესა. ჟურნალისტი უკმაყოფილო რეპატრიანტის საქციელში ხედავს უმადურ ადამიანს, რომელიც არ აფასებს ისრაელის საზოგადოების ყოველგვარ ცდას, ხელი შეუწყოს ახალმოსულთა დამკვიდრებას და მათთვის კეთილი მომავლის შექმნას. საქმის ვითარებას არავინ არ იძიებს, პრესაში საქმე ისეა წარმოდგენილი, როგორც ჟურნალისტებმა აღიქვეს. თუ ვინმე განზრახ ამახინჯებს საქმის ვითარებას, ეს არავის აინტერესებს. გუშინდელი „გმირები“, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ ალიისათვის საბრძოლველად, ახლა უკვე ისრაელის საზოგადოების ზედმეტ ბარგადაა შერაცხული, რომელიც ხელს უშლის ისრაელის ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას. ესეც შენი დემოკრატია! – გესმის რეპატრიანტთა მხრიდან. პრესასთან ხელჩართული ბრძოლის საშუალება თითქმის არაა, ვისაც ამ ბრძოლის წარმოება სურს, ენა ჯერ არ იცის, ვინც ენა იცის, მას პირადი პრობლემები აქვს მოსაგვარებელი და საქართველოდან გამოსულთა მიმართ ცილისმწამებლურ კამპანიას რომ დაუპირისპირდეს, მის პირად პრობლემებს ვინღა მოაგვარებს!

ერთხელ, ეს იყო 1972 წელს, ერთ ჟურნალისტს ვკითხე: რატომ ლაპარაკობთ და წერთ ყველაფერს, რაც ენაზე მოგადგებათ. ამ ადამიანთა სატკივარი სერიოზული სოციალური პრობლემებია და ამიტომ ჯერ უნდა გამოიძიოთ და შემდეგ გამოაქვეყნოთ პრესაში-მეთქი. აი, რა მიპასუხა: სოციალური პრობლემების კვლევა სოციალური ინსტიტუტების საქმეა: ჩვენ იმას ვწერთ, რასაც ვხედავთო.

ასე გადაიქცნენ გუშინდელი თავისუფლებისათვის მებრძოლნი დღევანდელ წესრიგის დამრღვევებად, ხულიგნებად, უსაფუძვლო მოთხოვნების მქონე ადამიანებად და კიდევ ვინ მოთვლის! ასეთი პრესის ჟურნალისტებზე ვერ ვიტყვი, რომ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ამოძრავებდათ. სწორედ იმ პერიოდში იყო, რომ აქა-იქ ზოგი რეპატრიანტი საქართველოში უკან დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა.

აქა-იქ მაინც გამოჩნდებოდა ხოლმე თითო-ოროლა ჟურნალისტი, რომელიც დადებითს უფრო ამზეურებდა ხოლმე ჩვენ ცხოვრებაში. ისინი მემარჯვენე მიმართულების ჟურნალისტები იყვნენ.

როცა პრესა ტენდენციურად წარმოადგენდა საქმის ამა თუ იმ ვითარებას, ვიცით, რომ პრესას დანაშაული მიუძღვოდა ახალმოსულთა მიმართ, მაგრამ მდგომარეობა დროთა განმავლობაში სულ სხვაგვარად წარიმართა. აღსანიშნავია, რომ ხშირად პრესა ტენდენციურად წარმოადგენდა საქმის ამა თუ იმ ვითარებას და ამით ახალმოსულთა მიმართ მიდგომა აშკარად დანაშაულებრივ ხასიათს იღებდა, მაგრამ მდგომარეობა დროთა განმავლობაში სულ სხვაგვარად წარიმართა. თუ კანონი საქართველოს ებრაელთა შორის დიასპორის ქვეყნებში, ძირითადად, ვაჭრობის სფეროში ამა თუ იმ სახით ირღვეოდა, ისრაელში საქართველოდან გამოსულთა შორის „აღმოჩნდნენ“ ქურდები, გამტაცებლები, თაღლითები და სხვა სახის დამნაშავენი. ქ. ნაცერეთში, 1974 წელს, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ერთმა არაბმა მუშამ რომანტიკული ქსელის გაბმა დაიწყო საქართველოდან გამოსულ ერთ ქალთან. ქალმა თავი შორს დაიჭირა, მაგრამ მოარშიყე არ ეშვებოდა. განა ჩვეულებრივი მამაკაცი, მისი მეუღლე ამას მოითმენდა? კამათის ნიადაგზე გაიმართა მუშტი-კრივი და ამ ქალის ქმარს შემოაკვდა არაბი მუშა. ქართველები მკვლელებიც ყოფილანო! – გაჩნდა ასეთი ანშლაგები ისრაელის მაშინდელ პრესაში. ნაკლებად აინტერესებდათ ამ ტრაგიკული შემთხვევის ნამდვილი მიზეზი. პრესამ, ფაქტობრივად, განაჩენიც გამოუტანა კაცს, რომელიც ჯერ არ წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე.

ყველას გადააჭარბა გაზეთმა „ჰაყოლამ ჰაზე“ (რედაქტორი ური ავნერი, ერთ-ერთი რადიკალური მემარცხენე). ამ ყოველკვირეულმა გაზეთმა რამდენიმე გვერდი მიუძღვნა ამ ტრაგიკულ შემთხვევას. რეპატრიანტთა სახე შემაძრწუნებელი ფერებით იქნა წარმოდგენილი გაზეთის ფურცლებზე. რედაქტორი ამას არ დაკმაყოფილდა: კვირების განმავლობაში ბეჭდავდა ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ მასალებს: სტატიებს, რე-

პორტაჟებს, ინტერვიუებს, ანეკდოტებს... არცთუ გულუბრყვილო და უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლი იმის საბაბი გახდა, რომ საქართველოდან გამოსულთა მთელ თემს სისხლის სამართლის დამნაშავეთა ჩირქი მოსცხეს. ასეთი საშინელი იარლიყი რომ მოეცილებინა თემს, ბევრი წელი უნდა გასულიყო.

არც ტელევიზია ჩამორჩა საქართველოდან გამოსულებისადმი ტენდენციური დამოკიდებულების აშკარა გამოხდომას. დოლარის ყალბი ბანკნოტების ბეჭდვა რომ დანაშაულია, ყველამ ვიცით, მაგრამ ისრაელის ტელევიზიის პირველმა არხმა საღამოს უკანასკნელ ცნობათა გადაცემაში (როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი უყურებს გადაცემას) რეპორტაჟის პირდაპირი ტრანსლაცია მოაწყო ბინიდან, სადაც პოლიციამ ყალბი ფულის დასამზადებელ დაზგას და სხვა საჭირო დანადგარს მიაგნო. ეს რომ საქართველოდან გამოსულთა მიმართ დიდი პატივისცემის გრძნობას არ დანერგავდა ისრაელის მოსახლეობაში, ამის მიხვედრა ძნელი არაა.

იყვნენ ისეთი ჟურნალისტებიც, მაგალითად, გეულა ქოჰენი და ზოგი სხვა, რომლებიც მხოლოდ დადებითს წერდნენ საქართველოდან გამოსულთა შესახებ და ცდილობდნენ, პრესტიჟის სფეროში შექმნილი უარყოფითი ბალანსი რამდენადმე მაინც გაეწონასწორებინათ. შემდგომში გეულა ქოჰენი მემარჯვენე პარტიებში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო და მინისტრიც გახდა. იგი მუდამ ყურადღებით და პატივისცემით ეკიდებოდა საქართველოდან გამოსულებს, აგრეთვე, საქართველოდან ჩამოსულ დელეგაციებს და სტუმრებს. ამ სტრიქონების წერისას მან 80 წელს გადააბიჯა, მაგრამ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი ჯერ არ მიუტოვებია.

საქართველოდან გამოსულთა მნიშვნელოვან მიღწევებზე სპორტში, მედიცინაში, მწერლობაში, ჭადრაკში და ა. შ. არაერთხელ აღნიშნავდა ისრაელის პრესა, მაგრამ რეპატრიაციის დასაწყისში პრესის არამეგობრულმა დამოკიდებულებამ წარუშლელი დაღი დაასვა ახალმოსულთა გულებს.

70-იანი წლების რეპატრიანტთა მიმართ სოლიდარობის გამომჟღავნების მომენტები ძველმოსახლეთა მხრიდან გაცილებით საგრძნობი იყო, ვიდრე ეს იყო 1925 წელს. ამჯერად ახალმოსულთა მიმართ დახმარებისა და თანადგომის მეტი დაინტერესება და სურვილი იყო. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს ავღნიშნავთ.

რაფი ბარ-ლავი (ნალუაშვილი) და მისი მამა ისრაელში იყვნენ დაბადებული. საქართველოდან მისი ბაბუა მე-19 საუკუნეში იყო რეპატრირებული. რაფი, მიუხედავად იმისა, რომ „დამტვრეული ქართულით" ლაპარაკობდა, დაუზარებლად მიემგზავრებოდა კვირაში რამდენჯერმე ლოდის აეროპორტში, რომ თანამოძმეებს დახვედროდა და აეროპორტშივე, ისრაელში ჩამოსვლისთანავე დახმარებოდა მათ პირველივე სიძნელეების გადალახვაში. მიხაელ დავარაშვილი, 20-იან წლებში რეპატრირებული, დილით რომ გამოვიდოდა შინიდან, დილიდან საღამომდე ახალმოსულებს ახლდა გვერდით, რომ მხარში ამოსდგომოდა მათ სხვადასხვა დაწესებულებაში, ორგანიზაციებში, სასამართლოშიც კი. რახამიმ ხანანია (ხანანაშვილი), პროფესიით ბიოლოგი, თვითონვე ეძებდა ადამიანებს, რომელთაც დახმარება სჭირდებოდათ. ასევე იყო პროფ. მალომ სარელი (იზრაელაშვილი), ქიმიური ფარმაკოლოგიის საერთაშორისო დონის მეცნიერი და პროფ. დანმიხაელი (მიხელაშვილი), სრულიად ისრაელის „საერთო" პოლიკლინიკების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. ყველას ჩამოთვლა, ცხადია, შეუძლებელია. ახალმოსულთა ამბიციას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბევრ დაწესებულებაში გაჩნდა ახალმოსულთა წარმომადგენელი, რამაც რეპარტიანტებისათვის ენობრივი ბარიერის პრობლემა გადაწყვიტა, ნაწილობრივ მაინც.

* * *

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ისრაელში მცხოვრები საქართველოდან გამოსული ებრაელობის ძირითადი შტრიხები. მათი ცხოვრების ყველა სფეროს რომ შევეხოთ,

თუნდაც ზოგადად, სტატია, ალბათ, დამოუკიდებელი წიგნის ფორმას მიიღებს. ავტორი იმედოვნებს, რომ ამ საკითხებს კიდევ მოუბრუნდება, რათა აქ წამოყენებული პრობლემატიკის თუნდაც ნაწილობრივი სურათი მისცეს მკითხველს. გამოსაკვლევი, გამოსამზეურებელი და გასახსენებელი ბევრია. მანამ კი, შეიძლება თამამად ითქვას: საქართველოს ებრაელთა მასობრივი რეპატრიაცია ისრაელში – მე-20 საუკუნის საქართველოს და ისრაელის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი – აღნუსხვისა და შესწავლის ღირსია.

Gershon Ben-Oren

Georgian Jews in Israel (principal foundations)

Summary

In many parts of the world, and even in Georgia, there have been large or small group resettlements from one place to another. Such fate has repeatedly come to Jews. This causes not just geographical, but cultural, psychological and linguistic changes in a variety of historical epochs. Integration in a new land and in a new population is not easy.

For many centuries, the Jewish population in Georgia was regarded Jewish diaspora, but in the late 60s of the 20th century, the wave of Jews from Georgia could be considered as Georgian diaspora because Georgian Jews obtained Georgian language, Georgian culture and Georgian psychology. 50 years have passed since the beginning of Jewish emigration to Israel. It is true that their integration with the main population of Israel still continues, but this process will be complete soon.

From the 60s of the 19-th century, Georgian Jews began to revive the emigration to Israel, but this was not a mass movement. At the beginning of the 20th century, opening of Georgian schools, affected by

occurrences in Russia and Europe, had great influenced on the Zionist movement. The wave of emigration to Israel did not stop even during the Soviet regime. But at thet time, this wave was significantly weak.

Mass repatriation started in 1967, during the Arab-Israeli 6-day war. This war became a catalyst for the uncompromising struggle of the Soviet Jews for repatriation to Israel. This struggle has succeeded, and a few decades later, the majority of Georgian Jews became Israeli citizens. This process puts the Georgian Jews on a different socio-economic, cultural and political platform.

The social relationship in the family nucleus has changed and the problem of using new language has become quite sharp. As children learn new language more rapidly than adults, Israel became one of the few countries in the world where children teach their parents.

Problems of distance between residence and employment were added to this. At the same time, the biased attitude of the printed and electronic press in Israel made an indelible imprint on the condition of the repatriated migrants.

რევაზ პაპუაშვილი
ლერი ჯიბლაძე

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფელ საკეციაში (ამბროლაურის რაიონი)

შეიძლება ითქვას, რომ ამბროლაური ერთ-ერთ რაიონია საქართველოში, სადაც სტაციონალური არქეოლოგიური გათხრები არასოდეს ჩატარებულა. მიუხედავად ამისა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია საკმაოდ მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით, რომლებიც ძირითადად სხვადასხვა პერიოდში ცალკეული შემთხვევითი აღმოჩენებითა და აქ გამოვლენილი განძისეული მასალებითაა ცნობილი. ქვემო რაჭის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კოლხური გვიანბრინჯაოს ხანის ქვიშარის (ორი განძი) ტოლას, ბუგეულის, თხმორისა და სინათლის (ნიკორწმინდის) განძები სპეციალისტებისთვის და ამ საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის ცნობილია გ. ნიორაძის, დ. ქორიძის, ოთ. ღამბაშიძისა და სხვა მკვლევართა ნაშრომებით [6.1-22; 10; 9.11, 31-32, 34, 36, 41; 5.193, სურ. 1]. სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის ცალკეული ნივთები, რომლებიც თავის დროზე მოძიებული, შეძენილი, აღწერილი და გამოქვეყნებული აქვთ ე. თაყაიშვილს, პ. უვაროვას, გ. ბოჭორიძეს და გ. გობეჯიშვილს, ამ რაიონიდან მომდინარე განძებთან ერთად, საქართველოს ეროვნულ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ფონდებშია ექსპონირებული ან საგანგებო ფონდებშია დაცული, ნაწილი კი – დაკარგულია [8. 2; 7].

წინამდებარე მოკლე ფორმატის სტატიაში გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. საკეციაში უკანასკნელი პერიოდის საინტერესო აღმოჩენებზე. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში გიორგი ბოჭორიძემ აქ დააფიქსირა

და ქუთაისის მუზეუმს ჩააბარა ბრინჯაოს სამაჯურები, რგოლები და თიხის მცირე ზომის ჭურჭელი – სამარხეული ინვენტარი. დღეისათვის ამ ნივთების მოპოვების ზუსტი ადგილი უცნობია [2. 321, 329-330].

2015 წელს საკეციის სამხრეთ ნაწილში, მიქიაშვილების უბნის თავზე და სოფ. ჯვარისას სასაფლაოს ქვეშ, ახალი ვენახის გაშენებისას (სურ. 1), ტრაქტორის გუთანმა ამოყარა ბრინჯაოს კოლხური ცული, თოხი და ზოდის ფრაგმენტები. იმავე წელს, აღმოჩენის ადგილის დათვალიერებისას, არქეოლოგმა რევაზ პაპუაშვილმა ტრაქტორის მიერ მოგროვებული ქვების ყრილში დამატებით აღმოაჩინა კოლხური ცულის ზედა ნაწილი (ყუა) და ბრინჯაოს რამდენიმე ზოდის ფრაგმენტი (ნივთები ინახება ვენახის მომვლელის ჯამბული მიქიაშვილის ოჯახში სურ. 3, ბ; 4, ა).

მომდევნო წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომუშავე სადაზვერვო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სხვა ობიექტებთან ერთად ზედაპირულად დაზვერა ბრინჯაოს არტეფაქტების აღმოჩენის ადგილი და, აღნიშნული ნივთების გარდა, რაიმე სხვა სახის მასალას ვერ მიაკვლია. ძეგლის კატეგორიისა და გავრცელების არეალის დასადგენად გაგრძელდა დაზვერვები აღმოჩენის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა არქეოლოგიური არტეფაქტებით.

ვენახის სამხრეთ ფერდობზე, წვიმისაგან ჩამოშლილ ნიადაგში ნაპოვნი იქნა დიდი რაოდენობით თიხის მასალა, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების ნამსხვრევები. უშუალოდ გორაზე მდებარე სასაფლაოზე, ახლად ამოჭრილი ორმოდან ამოღებულ მიწაში აღმოჩნდა კერამიკის რამდენიმე ნიმუში. ფერდობზე ნაპოვნ ერთ-ერთ ნატეხზე, რომელიც სავარაუდოდ სასმისის ფრაგმენტია, თეთრი საღებავით გამოსახულია რაღაც ორნამენტი, რომლის იდენტიფიცირებაც ნატეხის სიმცირის გამო ვერ ხერხდება. ამასთანავე, ცულების აღმოჩენის ადგილიდან დასავლეთით 300 მეტრის დაცილებით ვენახებს შორის, სამანქანე გზის გვერდით წვიმისგან გაჭრილ

თხრილში, რომელიც დაახლოებით 90 სმ სიღრმისაა, გამოვლინდა ზოომორფული თიხის ჭურჭლის ნაწილი (სურ. 5). მის გვერდით გრუნტში მოჩანს ადამიანის ძვლის ფრაგმენტები და სხვა თიხის ჭურჭლის ნატეხები. ჭურჭლის ფრაგმენტებში განსაკუთრებულია ტოლჩის ზოომორფული ყურის დადასტურება, რომლის ზუსტი ანალოგები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე და სამაროვნებზე, კოლხურ ცულებთან და თოხებთან ერთად [დაწვრილებით იხ. 8. 9-10].

საკეციის შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს კოლექციაში შედის ბრინჯაოს ორი კოლხური ცული (ერთი მათგანი ფრაგმენტირებულია), თოხი და სპილენძის ზოდი. ზეპირი გადმოცემით, სხვა ნივთებიც აღმოჩენილა, რომელიც გაიბნა ან დაკარგული უნდა იყოს სავენახე მიწის გადაბრუნებისას მომუშავე თანამშრომლებს შორის.

დავახასიათებთ აღმოჩენილ ნივთებს: 1. ბრინჯაოს ექვსწახნაგა, ოვალურხვრელიანი (დმ. 3 სმ.), შვეტილტანიანი კოლხური ცული, რომელიც სრულადაა შემორჩენილი (სურ. 3, ბ). ზედაპირი მწვანე პატინითაა დაფარული. სიგრძეა 15 სმ. ცულის ყუა წინა მხრიდან უკანა ნაწილისკენ მსუბუქადაა დაქანებული. ყუის თავს ზემოდან ეტყობა დარტყმის კვალი, ნამუშევრობის კვალი ფხაზეც შეინიშნება, რომელიც მის გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს. არტეფაქტს ტანზე დაუყვება წიბურები. ერთი იწყება ყუის თავიდან და გრძელდება წინა ნიღრამდე. მეორე წიბური კი უერთდება უკანა ნიღრს. წინა ნიღრი უკანაზე დაბალია. სატარეს ძირზე გააჩნია მსუბუქად გამოყვანილი ქიმისებური შვერილები. პირი მომრგვალებულია. ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით, ბრინჯაოს ცული განეკუთვნება II ტიპს, ხოლო დ. ქორიძე მიაკუთვნებს III სახეობას [12. 41, სურ. 1; 8.61].

2. როგორც აღინიშნა, მეორე ცულის მხოლოდ სატარე და ტანის ზედა ნაწილია შემორჩენილი (სურ. 4, ბ). ისიც ოვალურხვრელიანია. ყუის თავის წინა და უკანა მხარე წამოწეულია, ხოლო მათ შორის ჩაღრმავება შეინიშნება. ყუას ორივე მხარეს ვერტიკალურად გასდევს წიბურები, რომელიც მათ შორის საკ-

მაოდ ფართო ზოლებს წარმოქმნის. როგორც ჩანს, ეს დეტალი ტანზეც გადადიოდა. აშკარაა, რომ ეს ცულიც იგივე ტიპს უნდა ეკუთვნოდეს.

3. კოლხურ ცულთან ერთად გამოვლინდა ტრაპეციისებური ფორმის წელში მოხრილი მრგვალხვრელიანი ბრინჯაოს თოხი. სიგრძეა 10 სმ, მრგვალი ხვრელის დიამეტრი – 2,5 სმ. თოხის ყუა ტანისაგან იყოფა. სამუშაო პირის სიფართეა 8 სმ. დ. ქორიძის თოხების კლასიფიკაციის მიხედვით, ჩვენი ნიმუში განეკუთვნება II ტიპს – ფართოპირიანი თოხების III სახეობას [9.80-834] (სურ. 3, ა).

ბრინჯაოს ზოდი უფორმოა. აქვს ნაოჭიანი ზედაპირი, სადაც ღრმულებიც შეინიშნება. სავარაუდოდ, ზოდი სპეციალურ საყალიბე ჩამოსასხმელ ჭურჭელში არ უნდა იყოს დამზადებული და იგი ორმოში უნდა იყოს ჩამოსხმული (სურ. 4, ა). სხვა მონაცემები არ გაგვაჩნია ამ კოლექციაში შემავალ დანარჩენ არტეფაქტებზე, რომელიც, თვითმხილველთა გადმოცემით, კიდევ ყოფილა. ასახელებენ ბარისებურ ნივთს, რომელიც, სავარაუდოდ, სეგმენტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მის კვალს ვერ მივაკვლიეთ.

საყურადღებოა, რა კატეგორიის ძეგლიდან უნდა მომდინარეობდეს საკეციის აღნიშნული კოლექცია. ვფიქრობთ, რომ უფრო მეტი საფუძველი არსებობს მათი განძის შემადგენელ ნაწილად მიჩნევისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღმოჩენის ვითარებაზე სრულ მონაცემებს არ ვფლობთ. კერძოდ, უცნობია, იყო თუ არა რაიმე სახის ჭურჭელში ჩაწყობილი განძში შემავალი ნივთების რაოდენობა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ როგორც საკეციაში, ასევე კოლხეთის სხვა ადგილებში ბრინჯაოს განძებს მიწის სამუშაოების წარმოებისას ყველაზე ხშირად პოულობდნენ (ასევე, პოულობენ) არაპროფესიონალი ადამიანები. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა განძების აღმოჩენის ვითარების გარკვევას და ბევრი რამ შეუმჩნეველი რჩებოდა, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია ზოგიერთი საკითხის უფრო ნათლად წარმოსაჩენად, კერძოდ, ხომ არ შეინიშნებოდა განძის აღმოჩენის ადგილზე ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ნაშთები. ეს ფაქტი

კი უტყუარად უნდა მიანიშნებდეს მათი ჩაფვლის ადგილზე ჩამოსხმა-დამზადებას, რაც თავისთავად გამორიცხავს ჩამარხვის ადგილებზე სხვა საწარმოო კერიდან, განძებში შემავალი არტეფაქტების გამზადებული ნაწარმის სახით შემოტანას.

საკეციას განძში ბრინჯაოს კოლხური ცულების ჩამოსხმისას გამოყენებული უნდა იყოს ადგილობრივი სპილენძის ნედლეული, რომელიც დიდი ალბათობით აქ მოხვედრილია კოლხეთის მთასა და ბარს შორის დამაკავშირებელი, მდინარე რიონის ხეობაში გამავალი საკომუნიკაციო გზის მეშვეობით. ასეთი ახსნა უფრო ლოგიკური უნდა იყოს, რადგან სწორედ ეს საბადოები მდებარეობენ ყველაზე ახლოს აღმოჩენის ადგილთან.

როგორც ცნობილია, რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლებზე მიკვლეულია 100-მდე ძველი მაღარო გამონამუშევარი, სადაც მიმდინარეობდა სპილენძის, დარიშხნისა და ანთიმონის მადნის მოპოვება [3. 52-59; 4. 54-89]. საერთოდ კი, შუაბრინჯაოს ხანაში, რაჭაში ბრინჯაოს ნივთების დასამზადებლად, ძირითადად, გამოყენებულია დარიშხნიანი სპილენძი, მაგრამ, ამავე დროს, ხმარებაშია დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაო. რაც შეეხება კალიან ბრინჯაოს, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნავენ, ამ რეგიონში ის იშვიათად გვხვდება. როგორც ჩანს, კალას, როგორც მალეგირებელ ლითონს, რაჭაში უკვე შუაბრინჯაოს ხანიდან იყენებენ, მაგრამ საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ [1. 232].

ვფიქრობთ, საკაციას ბრინჯაოს არტეფაქტების ასაკი უნდა განისაზღვროს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით. შესაძლოა, ბრინჯაოს კოლხური ცულები რამდენადმე ადრეულად გამოიყურება, მაგრამ მისი თანმხლები მოგვიანო ბრინჯაოს თოხი მის ასაკს ზემოთ ეწევა. საკეციას ბრინჯაოს განძში[1] შემავალი არტეფაქტების ანალო-

[1] კოლხური კულტურის არეალში 150-მდე ბრინჯაოს განძია აღმოჩენილი (კოლხეთის ფარგლებს გარეთ კი 16 ასეთი შემთხვევაა აღნუსხული) [ლორთქიფანიძე 2001: 192-194, სურ1]. განძების ამ ჩამონათვალს უნდა მიემატოს სოფ. ომარიშარში (მდ. კოდორის ზემო წელი) 8 კოლხური ცულისგან შემდგარი გვიანბრინჯაოს ხანის განძი [ჩართოლანი, ცინდელიანი, 2010: 8-9], ასევე, გალის რ-ნის სოფ. ფი-

გიური ნიმუშები ფართოდაა წარმოდგენილი კოლხეთის ტერიტორიაზე და ამიტომ მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით.

იმის მნიშვნელობასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლომდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა ზოომორფული ყური სხვა თანმხლებ კერამიკასთან და ძვლის ფრაგმენტთან ერთად, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ შესაბამისი ეპოქის მნიშვნელოვან დასახლებასთან ან სამაროვანთანაც გვქონდეს საქმე. თუმცა ამ საკითხებზე საფუძვლიანი მსჯელობა არქეოლოგიური გათხრების ჩატარების გარეშე შეუძლებელია.

ლიტერატურა – REFERENCES

1. აბესაძე ც., ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ძველ საქართველოში, თბ., 2011.
2. ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები, თბ., 1994.
3. ინანიშვილი გ., ჩართოლანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები, ძიებანი N2, თბ., 1998, გვ. 52-59.
4. ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. წ. III-I ათასწლეულებში), თბ., 2010.
5. ლორთქიფანიძე ოთ., განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა), კავკასია ნე-

---

ჩორის N4 სამოსახლო ბორცვზე ძვ. წ. VIII-VII სს-ების ფენაში გამოვლენილი განძი, რომელიც შეიცავდა I ტიპის ბრინჯაოს ორ კოლხურ ცულს, 2 სატეხს, 2 თოხსა და 3 ხვიას [ჯიბლაძე, 2007:18] და საკეციას განძი. აქვე შევნიშნავთ, რომ ოთ. ლორთქიფანიძე კოლხური კულტურის არეალში აღმოჩენილ „განძებს“ პირობითად სამ კატეგორიად ყოფს: ა – ერთგვაროვანი ბრინჯაოს ნივთებისგან შემდგარი; ბ – შერეული (სხვადასხვა დანიშნულების ნივთებისგან შემდგარი ნატეხებთან, ზოდებთან, ყალიბებთან ერთად); გ – „სპილენძის ზოდების“ განძები (შეიცავს მხოლოდ ზოდებს) [ოთ. ლორთქიფანიძე 2001:181]. საკეციას ბრინჯაოს განძი განეკუთვნება შერეულ ტიპს.

ოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატება N6, თბ., 2001, გვ. 178-194.
6. ნიორაძე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, სსმმ-B, თბ., 1948, გვ. 1-22.
7. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კატალოგი, 2014.
8. პაპუაშვილი რ., ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2016 წელს ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელთნაბეჭდი, ანგარიში დაცულია მეცნიერის პირად არქივში და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.
9. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.
10. ჩართოლანი შ., ცინდელიანი მ., კოდორის ხეობის „დალის“ მხარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2010.
11. ღამბაშიძე ო., თხმორის განძი, თბ., 1963.
12. ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, სსმმ XVI- B, თბ., 1950, გვ. 35-89.
13. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007.

Revaz Papuashvili
Leri Jibladze

New Archaeological Discoveries from Ambrolauri Municipality

Summary

Recently interesting discoveries have been observed in the village Saketsia, Ambrolauri municipality. There, during the tractor works, two bronze axes, hoe and a bar (pl. I, II) were found and probably these artifacts were part of the “hoard”. 1. The bronze Colchian axes which

have six sides, oval holes for a handle and straight body belong to the Type I (classification of Ot. Japaridze). 2. The second axe is preserved fragmentarily and should belong to the same Type. 3. The bronze hoe belongs to the 3rd subtype of the 2nd type according to the classification of D. Qoridze and has a bent shape, circular hole for a handle and a wide working edge. 4. The bronze bar no straights shapes. It is not manufactured in the special vessel and should be smelted in the pit.

This is not the first find of such tools in the Qvemo Racha (Ambrolauri municipality). Here the Colchian Hoards were unearthed in Qvishari, Tola, Bugeuli, Tkhmori and Sinatle (Nikortsminda). In the area of spreading of Colchian Culture 150 bronze hoards were found, and outside of this territory 16 such hoards have been encountered. The discovery of Saketsia belongs to the number of such hoards. During the smelting of Saketsia artifacts the local copper should have been used.

სურათების აღწერილობა:

სურ. 1. საკეციას განძის აღმოჩენის ადგილი.

სურ. 2. ქვების ყრილში დადასტურებული ბრინჯაოს ნივთები.

სურ. 3, ა. ბრინჯაოს კოლხური თოხი.

სურ. 3, ბ. ბრინჯაოს კოლხური ცული.

სურ. 4, ა. ბრინჯაოს ზოდი.

სურ. 4, ბ. ბრინჯაოს კოლხური ცული.

სურ. 1.

სურ. 2

სურ. 3, ა, ბ

სურ. 4, ა, ბ

სურ. 5

ნინო ოთხვანი

ბალიჭი-ძეძვების ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის კერამიკის ტიპოლოგია და ორნამენტის თავისებურება

ბოლნისის რაიონში, სოფელ ბალიჭთან, ადგილ ძეძვებში, ქართულ-გერმანული არქეოლოგიური პროექტის ფარგლებში მიმდინარე გათხრების დროს გამოვლინდა მტკვარარაქსული ნამოსახლარი, რომელსაც „ბალიჭი-ძეძვების“ ნამოსახლარი ეწოდა. ნამოსახლარი ოთხ არქეოლოგიურ უბანს მოიცავს. ყველა მათგანზე სხვადასხვა სიმძლავრით დადასტურდა მტკვარარაქსის კულტურას მიკუთვნებული მოსახლეობის ცხოვრების კვალი. ესაა სპეციფიკური დასახლება, სადაც სხვა მიწათმოქმედ-მესაქონლე მტკვარარაქსული ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, არტეფაქტთა შორის მეტალურგიისათვის აუცილებელი ქვისა და თიხის იარაღები ჭარბობს. მათ შორისაა: სასრესები, საფხვნელები, სანაყები, ქურები, ტიგელები. მრავლადაა კერამიკული მასალაც. ნამოსახლარზე წლების განმავლობაში აღმოჩენილი კერამიკული არტეფაქტები ერთმანეთთან შეჯერდა, რის შემდეგაც გამოიკვეთა ფორმები, დამზადების ტექნოლოგია და შემკობის ვარიაციები. განისაზღვრა, რა ტიპის ჭურჭელი და ორნამენტი მეტობს ნამოსახლარზე და როგორ ათარიღებს ესა თუ ის დეკორი აღნიშნულ ძეგლს. არსებული მასალის საფუძველზე შეგვიძლია, გავავლოთ პარალელები, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე სხვა მტკვარარაქსულ ძეგლებთან ამ კულტურის გავრცელების საკმაოდ დიდ მონაკვეთზე.

ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკა ძლიერ ფრაგმენტირებულია. კვლევის საწყის ეტაპზე მათი ფორმების დაკონკრეტებაში დიდი როლი შეასრულა ნამოსახლარის ტერიტორიაზე მიკვლეულმა ყორღანულ, ქვაყრილიან და ქვაყუთის ტიპის სამარხებში გამოვლენილმა კერამიკამ. აქ აღმოჩენილი სრული ფორმები გახდა წამყვანი ნამოსახლარის

ფრაგმენტული მასალების ტიპებად და სახეობებად დაჯგუფებისას. გაირკვა, რომ სახეზეა სპეციფიკური, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ტიპური კერამიკა სახასიათო ფერით, ფორმებით, კეცით, ზედაპირის დამუშავების წესით, ანგობირებით, რომლის ამოცნობა კულტურის გავრცელების მთელ სივრცეზე არაა ძნელი[1]. მოგვიანო პერიოდის გათხრებმა და მოძიებულმა ნიმუშებმა კლასიფიკაციის პირველი მოდელის სისწორე დაადასტურა და შეავსო.

გამოიკვეთა ჭურჭლის ყველაზე გავრცელებული ფორმები, რომლებიც დაიყო შემდეგ სახეობებად და ტიპებად:

სახეობა I. ესაა კათხა-სასმისების ჯგუფი, სადაც ოთხი ქვეტიპი გამოიყო (ტიპი I. A., I.B., I.C. და I.D); სახეობა II – ქოთანი ხუთი ქვეტიპით (II.A., II.B., II.C., II.D., II.E); სახეობა III – ბადია სამი ქვეტიპით (III.A., III.B., I II., C.); სახეობა IV – ჯამი ორი ქვეტიპით (IV A., IV.B.); სახეობა V – ხუფი სამი ქვეტიპით (V. A., V.B., V.C) და სახეობა VI – ტაფისებური ჭურჭელი [3. 14-26; ტაბ. I, II, III].

გამოყენების თვალსაზრისით, თიხის ჭურჭელი სამი სახისაა: სამზარეულოს, საპარადო და რიტუალური. სამზარეულოს ყოველდღიური კერამიკა სადაა. იშვიათია დეკორი. საპარადო და სარიტუალო კერამიკა სრულად იმეორებს ყოფითი ჭურჭლის ფორმებს. უკეთაა გაპრიალებული და უფრო ინტენსიურადაა შემკული. გვაქვს მათი შეღებვის ფაქტებიც. ხშირია მათი სხვადასხვა სახის სადგრებთან და თიხის კერებთან ერთობლიობაში პოვნისა.

ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარზე გამოვლენილი კერამიკული მასალის შემკობაში აქტიურად რამდენიმე დეკორი გამოიყენება. ესენია: კონცენტრული წრეები, სათვალისებური ორნამენტი, ტეხილი, ხაზოვანი ორნამენტი, ფოსოსებური ორნა-

---

[1] კულტურას, როგორც ცნობილია, განფენის საკმაოდ დიდი გეოგრაფიული არეალი უკავია – ამიერკავკასია, იმიერკავკასია, ირანი, წინა აზია, ისრაელ-პალესტინა, ერაყი, პარალელები ეძებნება ევროპის ტერიტორიაზეც.

მენტი ხაზოვან ორნამენტთან ერთობლიობაში, მცენარეული მოტივი, ფრინველთა სტილიზებული გამოსახულება და გრძივი, კონუსური ან ნახევარმთვარისებრი დანაძერწები.

ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი დეკორის სახეობა გახლავთ **სპირალი.** სპირალები რამდენიმე წყებად შესრულებული წრეა, შემორჩენილია სპირალის კუთხოვანი გადაბმის დეტალებიც. კონცენტრული წრეები და სპირალები, ე.წ. „სათვალისებური“ ორნამენტი, დამახასიათებელია მოზრდილი ჭურჭლებისათვის (სურ. 1; 2) და, ძირითადად, მუცლის ყველაზე გამობერილ ადგილზე ან ყელის არეში, ჭურჭლის ფასადურ მხარეზე დაიტანება [16. 150]. ძეძვების ნამოსახლარის II, 8 უბანზე მოპოვებული სპირალებით და კონცენტრული წრეებით შემკული კერამიკა [3. 8,28; ტაბ. V.], ასევე მოზრდილი, ფართოყელიანი პითოსებია – ღრმახევისთავის, კიკეთისა და ოზნის [11. 60] ნამოსახლარების მსგავსი. ორნამენტირება ხდებოდა სველ მასალაზე დაწნეხვის ან ამოღარვის გზით. აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებიდან აღსანიშნავია დმანისის ნაქალაქარი [15. 71], ოზნი, ქვაცხელა B1 [11. 60;142], ბდაძორი, სადახლო, ქერიფლური [6. 93], რომლებიც ქიულ-თეფეს და ეჩმიაძინის მასალის იერის მატარებელია [1. 67-70]. თბილისში, საბურთალოზე, 1960 წელს გამოვლენილი წითელპრიალა სასმისების მსგავსად, ასევე შრეშ-ბლურისა და შენგავითის მასალაა მიჩნეული [11. 142]. ჩრდილოეთ კავკასიაში მისი გადასვლა თითქმის არ გვხვდება [19. 117, Abb.10]. დღეისათვის დასავლეთ საქართველოში მსგავსი კერამიკა უცხოა და საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთის მიმართულებით გავრცელების უკიდურესი საზღვარი ქარელი-ახალქალაქის შემაერთებელ ზოლზე გადის [5. 16]. მოტივის ოდნავ განსხვავებული ვარიაციაა მცირე აზიაში, მალათეაში, აგრეთვე, აზერბაიჯანში ბაბადევრიშის ნამოსახლარზე. ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარის შემთხვევაში სახეზეა სპირალის დატანის ჩაღარულ-ამოღარული წესის მანერა, რაც დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული ეტაპისათვის, ისიც ლოკალურად და მსგავსი მანერის დამკვიდრებას მკვლევრები კერამიკის შემოსვლასთან

ერთად არარატის ველებიდან მოსახლეობის მიგრაციასაც უკავშირებენ [2. 65]. ჯავახეთში არარატული კერამიკა შიდა ქართლის გავლით უნდა მოხვედრილიყო [4. 20]. ის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეტაპობრივად უნდა შემოსულიყო – ჯერ ქვაცხელა B1-ში, შემდეგ ციხისგორა B2-ში. ძეძვების ნამოსახლარის II,7 და II,8 მონაკვეთის გამოვლენილი მასალაც მკვეთრი ჩაღარულ-ამოღარული ორნამენტითაა წარმოდგენილი. არ იქნება აზრს მოკლებული, რომ ძეძვების მტკვარარაქსული ნამოსახლარი სწორედ ამ გავრცელების არეალში ვივარაუდოთ, როგორც ტერიტორიულად, ასევე კულტურულ-ქრონოლოგიურად.

სპირალების მრავალფეროვანი ვარიაციები ახასიათებს ქარაზულ კერამიკას, მაგრამ იქ უკვე შეიმჩნევა მოტივის გეომეტრიული სტილიზება. სპირალი და კონცენტრული წრეებითაა შემკული აღმოსავლეთ ანატოლიის, ვანის ტბის მიდამოების ძეგლების ხარაზ-თეფესა და იაიცის, ცენტრალურ ანატოლიაში – ალაჯა ჰუიუკს, ბეიკესულთანის ადრეულ ნამოსახლარზე ნაპოვნი წითლად ნაპრიალები კერამიკა. ირანში ესაა გეოი-თეფე და ხასანლი, გვხვდება აგრეთვე სირიასა და პალესტინაში. მართალია, ამ ცნობილ ძეგლებზე ორნამენტის ეს სახეობა გვაქვს, მაგრამ ამიერკავკასიისაგან განსხვავებით, ეს მაინც ერთეული შემთხვევებია. ერთი სიტყვით, სპირალური ორნამენტი ერთ-ერთი წამყვანი მოტივია მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკისათვის. თავის დროზე კუფტინი მის ცენტრალურ ხმელთაშუაზღვისპირულ წარმომავლობაზე საუბრობდა [15. 116]. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება მკვლევართა ნაწილი და მიიჩნევს, რომ შემდგომმა აღმოჩენებმა ვერ შეასრულა იმ დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია, რომელიც თანმიმდევრულად გადმოგვცემდა მოტივის განვითარების დინამიკას ხმელთაშუაზღვისპირეთიდან კავკასიისაკენ [13. 55]. რაც შეეხება ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთ ანატოლიის ძეგლებს, აქ მისი მოდიდან გადასვლის მოწმეებიც ვხდებით, მაშინ, როდესაც შედარებით ადრეულ ეტაპზე მოტივი მკვეთრად აქტუალური იყო. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ის აქვე, ამი-

ერკავკასიაში უნდა ჩამოყალიბებულიყო ენეოლითის ეპოქაში. რაც შეეხება ორნამენტის შინაარსს, სავარაუდოდ, მას წმინდა იდეოლოგიური დატვირთვა, „კონკრეტული საკრალიზებული გამოსახულების სტილიზაცია“ [8. 68] უნდა ჰქონოდა მიზნად. ერთნი მას უზენაესი მამა ღმერთის განსახიერებად [7. 10], ვერძის სტილიზებულ გამოსახულებად [7. 3-4], მეორენი სიცოცხლის ხედ [17. 201] მიიჩნევენ. ბაბადევრიშის სპირალი ქვეწარმავლის სტილიზებული თავის გამოსახულებით მთავრდება. ქვეწარმავლის მოტივი ის დეკორია, რომელიც მოგვიანო პერიოდშიც აქტიურად გამოიყენება, როგორც ყოფითი კერამიკის, ასევე ლითონის საბრძოლო იარაღის შესამკობად. მისი, როგორც მისნური, ღვთაებრივი სახე აქტუალურია ამიერკავკასიის ეთნოლოგიაში. მას, ერთი მხრივ, კერიის, ფუძის, ანგელოზად მიიჩნევენ, განსაკუთრებული პატივით უვლიან, მისი სახლიდან წასვლა ოჯახის დაქცევის ტოლფასია და, მეორე მხრივ, ბოროტი ძალაა, რომელიც თვით მზესაც, ძირითად ღვთაებასაც, შთანთქავს პერიოდულად, რის გამოც ქვეყნად წყვდიადი იმკვიდრებს. ლეგენდის თანახმად, რომ არა წმინდა მხედარი, სიცოცხლეს გადაშენება უწერია (ქალბაბარი სვანურ მითოლოგიაში.).

სათვალისებური ორნამენტი (სურ. 3) წრე, მზის სიმბოლო ბორჯღალი, ერთი წარმოშობის უნდა იყოს და ფუნქციურად ყველა მათგანი კერას უკავშირდება. ამიტომაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ამ მოტივის მოგვიანებით სახლის მთავარ საყრდენ ბოძზე, დედაბოძზე, გადატანა და ქვეწარმავლის ფუძის, ანუ სხვაგვარად კერის ანგელოზად მიჩნევა.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი დეკორის ფორმა გახლავთ **ფრინველის,** წეროს გამოსახულება (ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა, ხიზანაანთ გორა, ქარაზი, გეოი თეფე). იგივე ბაბადევრიშის მაგალითზე ის სპირალთან ერთობლიობაში გვხვდება. ერთი ვარაუდით, საქმე შესაწირი ცხოველების თუ ფრინველების სტილიზაციასთან გვაქვს [9. 93]. ჩვენს შემთხვევაში (ძეძვების ნამოსახლარზე) ჯერჯერობით მისი აღმოჩენის მხოლოდ ორი ფაქტია დადასტურებული. ერ-

თი, როდესაც იგი დატანილია კერის ბორდიურზე (სურ. 4) ამოღარულ პარალელურ ხაზებთან ერთობლიობაში, რომლებიც სამკუთხედების იმიტაციას ქმნიან და მეორე, ხუფი ტიპური მტკვარარაქსული ყურით, ასევე ამოღარულ პარალელურ ხაზებთან ერთად (სურ. 5). მიუხედავად არტეფაქტის ფრაგმენტულობისა, აქაც სახეზეა კომპოზიციის სეგმენტებად დაყოფის სურვილი. სავარაუდოდ, მტკვარარაქსელი მოსახლე შემკულობაში გარკვეულ იდუმალ იდეოლოგიურ დატვირთვას გულისხმობს, გარკვეულ მოწესრიგებულ საკრალურ ინფორმაციას გადმოგვცემს და დეკორიც მხოლოდ შემკულობის ფორმად არ უნდა მივიჩნიოთ. ის, როგორც ღვთაებრივი სიმბოლიკის აქცენტირებად, ასევე კონკრეტულად, მსგავსად შემკულ ჭურჭელში შენახული პროდუქტის სამსხვერპლოდ განკუთვნილად, ტაბუირებულად, შეგვიძლია ჩავთვალოთ [18. 43].

მესამე ეს ჯერ კიდევ ნედლ, გამოუწვავ კერამიკაზე **წნეხით დატანილი ფოსოებია** (სურ. 6, 7). ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც ორნამენტის შექმნის ისტორია ღრმა წარსულში, ჯერ კიდევ ენეოლითის ეპოქაში უნდა ვეძიოთ. თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე დიდი ოდენობით აღმოჩენილია ქალის მინიატურული ქანდაკებები, რომლებიც ძვ. წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება და კომპოზიციურად მეტად საინტერესო დეკორით გამოირჩევა (სურ. 9, 10, 11). მინიატურული ქანდაკებების შემკულობის ინტერპრეტაციის მეშვეობით შესაძლებელია გარკვეული პარალელების გავლება და იმ პერიოდის საზოგადოების ძირითად მენტალურ ფასეულობებთან დაკავშირება. ითვლება, რომ ძვ. წ. III ათასწლეულისათვის ქალს წამყვანი კულტის როლი აღარ აქვს, მაგრამ მისი ძირითადი გამორჩეული თვისებისადმი – ნაყოფიერებისადმი პატივისცემა საზოგადოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია. ამიტომაც არაა გასაკვირი ქანდაკებების სიუხვე. ძვ. წ. III ათასწლეულში მინიატურული ნამუშევრების ფორმები მაქსიმალურად გამარტივებულია, მაგრამ ხაზგასმული ფიზიკური ნიშან-თვისებების გამო, სქესში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. გამოკვეთილი ქალური ფორმები, დიდი თეძოები, მკერდი, მასიური მუცლის, ჭიპის

არე, წინ, მკერდზე დაკრეფილი ხელები, რა თქმა უნდა, ქალს განასახიერებს [20.232-233]. უდავოა, რომ კაცობრიობა დამწერლობის გამოგონებამდე მისთვის არსებით ინფორმაციას ხატავს, აქანდაკებს, ძერწავს, კაწრავს და ამ სახით გვიყვება ამბავს. მსგავსი დამოკიდებულებისაგან შორს არც მტკვარ-არაქსის კულტურის ხალხები უნდა ყოფილიყვნენ. თიხის ჭურჭელზე დატანილი სხვადასხვა სახის ორნამენტი სხვა არაფერია, თუ არა ამბის თხრობის მცდელობა, რომელიც თანამედროვეთათვის, მიუხედავად ძლიერი სტილიზაციისა, აბსოლუტურად მისაღები და გასაგები უნდა ყოფილიყო. ის, რომ უძველესი ხალხების ანბანურ აზროვნებას პიქტოგრამები და სტილიზებული ასო-ნიშნები უდევს საფუძვლად, ამის ნათელი დასტური მესოპოტამიური, ეგვიპტური და ინდური ანბანია, რაც ჩვენი მოსაზრების არგუმენტადაც გამოდგება. შემკულობის ეს მანერა მოგვიანებით გაჩენილ მამაკაცის მინიატურულ სტატუეტებზე აღარ გვხვდება, ამიტომ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ იგი უშუალოდ ქალის ატრიბუტიკას წარმოადგენს და მისთვის გამორჩეული დატვირთვის მატარებელია. აღსანიშნავია დეკორის რამდენიმე დეტალი:

ა) პარალელურ ხაზებს შორის ჩასმული ერთწყება, ან ორწყება ტეხილი ორნამენტი, რომელიც ქალის ფიგურას წელზე შემოუყვება და ხშირად თავზეც ადგას ჯიღად (სურ. 9); ტეხილი ორნამენტი მტკვარაქსელისათვის ერთ-ერთი ძირითადია თიხის ნაწარმის შემკობისას, იქნება ეს საყოფაცხოვრებო ჭურჭელი (სურ. 5, 8) თუ თიხის კერები [20. 232-233, 235].

ბ) ფოსო, რომელიც ჭიპს განასახიერებს. ჭურჭლების დეკორირებისას ეს დეტალი ორი სახით დაიტანება ნედლ კერამიკაზე: ერთი – მხოლოდ ჩაღრმავების სახით და მეორე – ურთიერთგადამკვეთ, დაჭდევებულ ხაზებთან კომბინაციაში. ამ ხაზების მეშვეობით ქანდაკებებში მკერდის არის გამოკვეთა-აქცენტირება ხდება. ჭურჭელზე ფოსოსებური ორნამენტის დამკვიდრება, როგორც წინა შემთხვევაში, არც ახლა უნდა ჩავთვალოთ მხოლოდ მეთუნის ესთეტიკური გემოვნების ნაწილად. ჩემი აზრით, აქაც ნაყოფიერების სიმბოლოს ხაზგასმას-

თან, სწორედ ღვთაების სტილიზაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც კერამიკულ ჭურჭელზე საფასადო მხარეს ვხედავთ ურთიერთგადამკვეთ ხაზებს შორის ჩასმულ, ან თუნდაც ცალკე აღებულ ფსოებს [20. 218, 223, 225]. მსგავსი კერამიკა ძეძვების ნამოსახლარის სამარხებიდანაც გვაქვს და დეკორი ფასადურ მხარეზე, ყურის მოპირდაპირედაა განთავსებული. პარალელების მოძებნა არც ამ შემთხვევაში ჭირს. ესენია: ერთი მხრივ, ელარის ჯგუფის კერამიკა – ელარი, გარნის დიდი ნაწილი, ახტამარი, ნახიჩევანი II, ქულთეფე, ბაბადევრიში [12. 130]. ქართული მასალებიდან ბეშთაშენი, ამირანის გორა, ურბნისი ბარმაქსიზის სამაროვანი, ელარი, შენგავითი, შრეშ-ბლური, არმავრ-ბლური – სომხეთში, იგდირი თურქეთში. ირანის გეოი თეფეს K ფენა – მეორე მხრივ, შენგავითური, რომელიც ამირანის გორის №9 სამარხის, ცარცის გორის, ბეშთაშენი III და თრიალეთის №4 ყორღნის მასალებს შეგვიძლია შევადაროთ. და ბოლოს ე. წ. არაგაცის ჯგუფის კერამიკა, რომელსაც, ასევე და არცთუ ისე მცირე პარალელები ეძებნება ჩრდილოეთ კავკასიაში (ზაგლიკა, ლუგავოე) და ირანში (იანიკ თეფე). ეს კერამიკა ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება და მის ზედა ზღვრად ძვ. წ. XX საუკუნე მიიჩნევა.

მეოთხე მოტივი **მცენარეული ორნამენტია.** ორნამენტი სრული ფორმით ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარზე მხოლოდ ერთ სამნაწილადტანიან ბადიაზე გვაქვს. კონკრეტულად ეს მოტივი სწორედ მსგავსი ტიპის, ვგულისხმობ სამნაწილადტანიან ჭურჭლებს, გამოკვეთილი გადასვლის ხაზებითა და ძირისაკენ მკვეთრი შევიწროებით, ახასიათებთ. ამ შემთხვევაში ოსტატს ჭურჭელი სრულად აქვს ათვისებული. შემკულია როგორც ყელის, ასევე გამობერილი მუცლის მთელი ზედაპირი. დაცულია სიმეტრიულობა და კომპოზიციაც რთულია. რასთან გვაქვს საქმე, რისი გადმოცემის სურვილი აქვს მეთუნეს? იგი აშკარად შტამპს იყენებს მსგავსი მიზანსცენის გადმოსაცემად. გამომდინარე აქედან, მოტივი მისთვის და იმ საზოგადოებისათვის, სადაც ცხოვრობს იგი, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. პირველი მცდელობა მსგავსი მოტივის გაშიფვრისა აქვს ხანზა-

დიანს შრეშ ბლურისა და ქულ თეფეს მაგალითზე. კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს უღელი, საიდანაც ორივე მიმართულებით იშლება რთული მოტივი. ე.ი. საწყისი სწორედ ცენტრია. იგი შეიძლება იყოს მიწაც, წყალიც, ნიადაგიც, ანუ სიცოცხლის საწყისი, რომელთაც ემატებათ მთები, ახალი ელემენტები ტეხილი პარალელური ხაზების სახით, აგრეთვე, ცა და მზე. ზემოთ ნახსენები კომპოზიცია ავტორს დაკავშირებული აქვს მიწათმოქმედების და მესაქონლეობის განვითარებასთან, ანუ მზე და წყალი განასახიერებენ იმ ძალებს, რომლებიც ხელს უწყობენ მსგავს საქმიანობას, – აღნიშნავს იგი. ჩვენს შემთხვევაში კერამიკის და ორნამენტის მსგავსება თვალშისაცემია, რომელსაც უღლის ცენტრში კრავს სეკირა და მის ქვეშ ფრინველების თუ მცენარეების სტილიზებული გამოსახულებაა (სურ. 12). ერთი რამ ცხადია, ადრებრინჯაოს ხანის ადამიანი იმ გარემოს და იდეოლოგიას გადმოგვცემს, სადაც ცხოვრობს. არის ეს მხოლოდ მხატვრული დეტალები თუ ამბის წერითი სახით გადმოცემის პირველი მცდელობა, ალბათ, დიდ ხანს დარჩება მსჯელობისა და კამათის საგნად. ერთიცაა, დამწერლობა ცივილიზაციის არსებობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მტკვარარაქსელი კი სწორედ მის სათავეებთან უნდა მოვიაზროთ.

გარდა ამ ოთხი სახასიათო მაგალითისა, ძეძვების ნამოსახლარზე მრავლადაა შემთხვევა ჭურჭლის ცრუ, მართლაც დეკორატიული ყურებით შემკობისა. გვაქვს აგრეთვე დანაძერწი კოპები, შვერილები, ნახევარმთვარისებური რკალები და ზოლები, ნაჭდევი, ფილიგრანული ოსტატობით შესრულებული წვრილი ხაზებით შედგენილი სურათები, ქიულ-თეფე I-ის [12. 300, ტაბ. XX_9], მალაქლიუს [15. 1-128, ნახ. 353], შენგავითის [15. 1-128, ნახ. 71], ურბნისის [10. ტაბ. XXI_3] მსგავსი. დეკორის ეს ფორმა ზოგადად დამახასიათებელია განვითარებული მტკვარარაქსული ძეგლებისათვის. ჩემი აზრით, არ იქნება აზრს მოკლებული ძეძვების ნამოსახლარი მოვიაზროთ ზემოთ ნახსენები ძეგლების კულტურულ-ქრონოლოგიური გავრცელების არეალში და ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მეორე ნახევრით დავათარიღოთ.

ლიტერატურა – REFERENCES

1. გრიგოლია გ., ტატიშვილი თ., ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, თბ., 1960.
2. მახარაძე ზ., ციხიაგორას მტკვარარაქსული ნამოსახლარი, თბ., 1984.
3. ოთხვანი ნ., საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე VI (51-B), ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკა საყდრისის მაღაროსა და ძეძვების ნამოსახლარიდან, თბ., 2015.
4. ორჯონიკიძე ალ., ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I, ძიებანი 1, თბ., 1998, გვ. 15-18.
5. ორჯონიკიძე ალ., საქართველოში არარატული ტიპის კერამიკის გავრცელების საკითხისათვის, ძიებანი, №10, თბ., 2002.
6. ფხაკაძე გ., ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.
7. შანშაშვილი ნ., მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი ორნამენტის ინტერპრეტაციისათვის, თბ., 1997.
8. ჩოლოყაშვილი ბ., ე. წ. სათვალისებური სპირალის ინტერპრეტაციისათვის, ძეგლის მეგობარი, №2, თბ., 1987, გვ. 68-71.
9. ჩუბინიშვილი ტ., მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965.
10. ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. ურბნისი I, თბ., 1962.
11. ჯაფარიძე ოთ., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.
12. Абибулаев О. А., Энеолит и Броза на территории Нахичеванской АССР, Баку, 1982.
13. Исмаилов Г., Археологическое исследования в Азербаиджане, Баку,1965.
14. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.
15. Куфтин Б., Урартский Колумбарии у подошвы Арарата и куро-аракский энеолит. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1944, გვ. 1-128.

16. Кушнарева К., Чубинишвили Т., Древные культуры Южного Кавказа, Ленинград, 1970.
17. Раевский Д., Модел мира с кифской культуры, Москва, 1985.
18. Чаилд Г., Древнейший Восток в свете новых раскопок, Москва, 1956.
19. Gönül-Yalçin. H., Die Karaz – Keramik von Tepecik in Ostanatolien, Istanbul, 2012.
20. Ö̧nder Bilgi, Anadolu'da Insan Görùntùleri, Istambul, 2012.

Nino Otkhvani

Typology and Ornament Characteristic of the Ceramics from Balichi-Dzedzvebi Early Bronze Age Settlement

Summary

Kura-Araxes settlement was uncovered in village Balichi, place called Dzedzvebi, in Bolnisi Municipality during archaeological excavations conducted under the Georgian-German Project. The excavated territory was called Balichi-dzedzvebi settlement. Settlement consist of four areas, on each area traces of Kura-Araxes culture was confirmed. The settlement is distinguished from other settlement of same culture, as metallurgical objects exceed agricultural-cattle-breeding ones; such are – millers, grinders, pestles, furnaces, crucibles. Ceramic artefacts are also found in abundance. It was determined what type of vessels and what kind of ornament is excessive on the settlement, and how different type of décor dates the site.

Most distributed shapes of the wares were selected out, dividing them into varieties and types:

Variety I. Group of glass-mug in which four subtypes were selected out: (type: I.A., I.B. I.C. and I.D).

Variety II. Pot with five types: (II.A., II.B. II.C. II.D. II.E);

Variety III. Bowl with three subtypes: (III.A., III.B. I II.C.);

Variety IV. With two subtypes: (IV A., IV.B.);

Variety V. lead with three subtypes: (V. A.V.B. V.C)

Variety VI. Pan like vessel

Several ornamentation are often used in the ceramic vessels on Balichi-Dzedzvebi settlement. Those are: concentrical circles, glass like ornament, zigzag and linear lines, cane or crescent ornaments as well as plant ornament and birds' stylistic representation.

Ornamentation of the ceramic vessels represented have plot.

All these kind of ornamnets are characteristic for the developed Kura-Araxes sites. Dzedzvebi settlement belongs to the cultural-chronological distributing area of Transcaucasus and Anatolia and dates back to IV-III millenniums BC.

სურათების აღწერილობა:

სურ. 1, 2. სპირალიანი პითოსი ძეძვები II, 8

სურ. 3. სათვალისებური ორნამენტი

სურ. 4. ფრინველის (წეროს) სტილიზებული გამოსახულება კერის ბორდიურზე

სურ. 5 ფრინველის (წეროს) სტილიზებული გამოსახულება ხუფზე

სურ. 6. ფოსოსებური ორნამენტი ნაჭდევებიან ორმანენტთან ერთობლიობაში

სურ. 7. ფოსოსებური ორნამენტი ურთიერთშემხვედრ პარალელურ ღარებთან ერთობლიობაში

სურ. 8. პარალელური, ტეხილი ორნამენტით შედგენილი სამკუთხედები

სურ. 9, 10, 11 ქალის მინიატურული ქანდაკებები თანამედროვე თურქეთის ტერიტორიიდან

სურ. 12. ბადია მცენარეული და ფრინველის სტილიზებული გამოსახულებით

სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

სურ. 4

სურ. 5



სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9

სურ. 10

სურ. 11



სურ. 12

ზურაბ ბრაგვაძე

ჭიათურის სამაროვანი

ჭიათურა და მისი შემოგარენი მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. ეს ქალაქი საქართველოს ის უნიკალური ადგილია, სადაც ადამიანი ჯერ კიდევ ქვის ხანაში დასახლდა და დღემდე უწყვეტად ცხოვრობს. არქეოლოგიური თვალსაზრისით, ქალაქ ჭიათურის ტერიტორია სათანადოდ შესწავლილი არ არის. XX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში პროფტექნიკური სასწავლებლის მშენებლობის დროს ჯურხა ნადირაძემ ადგილ „ჯიეთში“ გათხარა გვიანანტიკური ხანის სამაროვანი [8. 74-84] და ნამოსახლარი [5. 20-29], რომლის ქვედა ფენა მუსტიეს ეპოქას მიეკუთვნება [4. 5-19]. ამავე პერიოდში მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა ჭიათურის ნაციხარზეც, რომლის მასალა დღემდე გამოუქვეყნებელია [მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში]. როგორც ვხედავთ, დღემდე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები მოიცავდა ჭიათურის მხოლოდ ერთ მხარეს, მდ. ყვირილის მარცხენა სანაპიროს. რაც შეეხება ყვირილის მარჯვენა სანაპიროს, აქ არც სტაციონალური და არც დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ არქეოლოგიურ მონაპოვარს, რომელიც აღმოჩენილია შემთხვევით და დაცულია ცნობილი ჭიათურელი მხარეთმცოდნის გოდერძი სამხარაძის კოლექციაში. საკუთარი კოლექციის პუბლიკაციაზე თანხმობისათვის ბატონ გოდერძის მადლობას ვუხდი.

წინამდებარე სტატიაში სწორედ აღნიშნული არტეფაქტების შესახებ ვიმსჯელებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ მასალას შეუძლია წარმოდგენა შეგვიქმნას ჭიათურის ისტორიის ერთი კონკრეტული პერიოდის შესახებ. საერთოდ, შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ხშირ შემთხვევაში მოკლებულია ხოლმე არქეოლოგიურ კონტექსტს და მათი კვლევა ძნელდება სწორედ აღნიშნული მიზეზების გამო. არის შემ-

თხვევები, როდესაც არათუ არქეოლოგიური კონტექსტი, ნივთების აღმოჩენის ზუსტი ადგილიც ვერ დგინდება და ამგვარი მონაპოვარი უსარგებლოა ამა თუ იმ მეცნიერული პრობლემის გადაჭრისათვის. განსახილველი არქეოლოგიური მასალის შემთხვევაში იმ ბედნიერ გამონაკლისთან გვაქვს საქმე, როდესაც გოდერძი სამხარაძის წყალობით არა თუ ვიცით არტეფაქტების ზუსტი აღმოჩენის ადგილი, არამედ შეგვიძლია თამამად აღვნიშნოთ, რომ საქმე ეხება ერთიან სამაროვანზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას.

სამაროვანი მდებარეობს ჭიათურაში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე (სურ. 1). გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სახლების მშენებლობისა თუ სხვა მიწის სამუშაოების შედეგად აქ ჩნდებოდა სხვადასხვა სახის არქეოლოგიური არტეფაქტები, რომელსაც „უპატრონა“ ბატონმა გოდერძიმ და ისინი გადაარჩინა დაკარგვას. როგორც უკვე ვთქვით, დღეს ეს მასალები საიმედოდაა დაცული მისსავე მრავალფეროვან კოლექციაში.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენების ზუსტი ადგილმდებარეობა ჩვენთვის ცნობილია, მაინც ვერ დგინდება შემთხვევით გამოვლენილი კომპლექსების რაოდენობა, მიცვალებულთა დაკრძალვის წესი და სამარხთა აღნაგობა. თუმცა, ბრინჯაოს ჭვირული ბალთების რაოდენობა საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ საქმე უნდა გვქონდეს სამ ან ოთხ სამარხთან. სამარხების რაოდენობის დადგენის თვალსაზრისით, მნიშვნელობა ენიჭება ბრინჯაოს ბალთებს და თიხის ჯამს. აქ მოპოვებულია ბრინჯაოს სამი ჭვირული ბალთა. ზემო იმერეთში ანალოგიური ბალთები არქეოლოგიურად დადასტურებულია მხოლოდ ჯიეთის სამაროვანზე, სადაც ექვსი ბალთაა აღმოჩენილი და ყველა მათგანი გამოვლენილია სხვადასხვა სამარხში [8. 74-84]. იმერეთის გარდა, ასეთი სახის ბალთების ოთხი ნიმუში არქეოლოგიურად დადასტურებულია ქვემო გოსტიბეს სამაროვანზეც და იქაც თითო სამარხში თითო ბალთაა გამოვლენილი [3. 73-74]. ამრიგად, საშუალება გვეძლევა, ვივარაუდოთ, რომ ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე აღმოჩენილი ჭვირული ბალთები სხვადასხვა სამარხებიდან უნდა მომდინარეობდეს და მათი რაოდე-

ნობა მინიმუმ სამი უნდა ყოფილიყო. ბალთებთან ერთად სამარხებში უნდა ჩაეტანებინათ დოქებიც. მათი რაოდენობა ოთხია. ცხადია, ჭირს (და, ალბათ, შეუძლებელიცაა) იმის გარკვევა, რომელ ბალთასთან რომელი დოქი იყო ჩაყოლებული. ჭიათურაში აღმოჩენილი სამტუჩა და სადა დოქების პარალელები საკმაოდ რაოდენობით იძებნება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ყველაზე მრავლად ასეთი სახის თუნის ნაწარმი გამოვლენილია მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე [7], ჟინვალში [11. 78-82], ძევრში [2. 136-137] და ყველგან II-III საუკუნეებით თარიღდება. მსგავსი დოქები ჯიეთშიცაა აღმოჩენილი [8. 74-84] და ეს ვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გვიანანტიკურ ხანაში დღევანდელი ჭიათურის ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული და სამოსახლოდ ათვისებული ყოფილა მდ. ყვირილას ორივე ნაპირი. II-III საუკუნეებს მიეკუთვნება ბრინჯაოს ჭვირული ბალთებიც. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილს ისინი მიაჩნია სარიტუალო ნივთებად [9.73], ხოლო ზოგი მკვლევრის აზრით, ხელჩართული ბრძოლების დროს ისინი წარმოადგენდნენ საბრძოლო იარაღს [12. 80-91]. ბუნებრივია, წინამდებარე სტატია მიზნად არ ისახავს აღნიშნული საკითხის დეტალურ შესწავლას, ამიტომ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ბრინჯაოს ჭვირული ბალთები უნდა განვიხილოთ როგორც სამოსის აქსესუარი, რომელიც ფუნქციონირებდა დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში. II საუკუნის II ნახევარზე ადრე და III საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ ასეთი ბალთები არ ჩანს და, როგორც ეტყობა, ისინი დაკავშირებულია იმ ეპოქის მოდის გარკვეულ ტენდენციებთან.

ტანსაცმელს უკავშირდება სამაროვანზე გამოვლენილი კიდევ ერთი ნივთი – ვერცხლის ორწილადი მშვილდსაკინძი. არქეოლოგმა ნ. აფხაზავამ საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოში აღმოჩენილ მშვილდსაკინძებს. მისი მოსაზრებით, მსგავსი ცალები გავრცელებული უნდა ყოფილიყო II-III საუკუნეებში [1. 37-60]. ასე რომ, ბრინჯაოს ჭვირული ბალთები, დოქები და მშვილსაკინძი დროის ერთ ქრონოლოგი-

ურ მონაკვეთში თავსდება და ყველა ეს არტეფაქტი II-III საუკუნეებით თარიღდება. ამ რეალობიდან გამომდინარე კი ცხადი ხდება, რომ ჭიათურის სამაროვნის ძირითადი კომპლექსები მიეკუთვნება სწორედ აღნიშნულ პერიოდს.

მეოთხე სამარხის გამოყოფის საშუალებას იძლევა ქუსლიანი ჯამი, რომელიც სამაროვანზე მოპოვებული ნივთებიდან ყველაზე ადრეულია და მისი ზუსტი ანალოგები გამოვლენილია უფლისციხეში [9. 192]. მსგავსი ჯამები აღმოჩნდა საიხრხის საბადურის გორის I ფენაშიც [6. 11]. უფლისციხის და საიხრის ჯამებს აერთიანებს მკვეთრად გამოყოფილი ქუსლი და მრგვალი პირი. ასეთი სახის ნაწარმი გავრცელებული იყო ძვ. წ. II-I საუკუნეების პირველ ნახევარში. ისინი გაერთიანებულია ანტიკური ხანის ქართული კერამიკის IV ქრონოლოგიურ ჯგუფში [13. სურ. 705; 708], რომელიც სწორედ ძვ.წ. II-I სს-ით თარიღდება [13. 83]. ჭიათურის ჯამსაც ზუსტად ისეთივე მახასიათებლები აქვს, რაც ამ ქრონოლოგიურ ჯგუფში შემავალ ეგზემპლარებს. ესენია: მოყრილი პირი, მკვეთრად გამოკვეთილი ქუსლი და მოწითალო ფერის განლექილი თიხა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ჯამის შემცველი კომპლექსი ყველაზე ადრეული იყო ვაჟა ფშაველას ქუჩაზე არსებულ სამაროვანზე და იგი მიეკუთვნებოდა გვიან ელინისტურ ხანას, ძვ. წ. II-I საუკუნეებს.

ამდენად, ჩვენს წინაშეა სამაროვანი, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს ძვ.წ. II-ახ.წ.III საუკუნეებს. როგორც ვხედავთ, ნეკროპოლი ფუნქციონირებდა თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში და ამ რეალობიდან გამომდინარე, იგი გვესახება მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლად.

ლიტერატურა – REFERENCES

1. აფხაზავა ნ., ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979.
2. ბრაგვაძე ზ., ძევრის არქეოლოგიური ძეგლები, იბერია-კოლხეთი, №12, თბ., 2016.

3. თორთლაძე ზ., გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2015.
4. თუშაბრამიშვილი ნ., პირველი სიგნალი ჯიეთის პალეოლითური ღია სადგომიდან, არქეოლოგიური ჟურნალი, III, თბ., 2004.
5. მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., აღმოსავლეთ და დასავლეთქართულ კულტურათა შეხვედრა ზემო იმერეთის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური ჟურნალი, III, თბ., 2004.
6. მახარაძე გ., წერეთელი მ., საირხე, თბ., 2007.
7. მცხეთა III, თბ., 1981.
8. სონღულაშვილი ხ., ჯიეთის სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი, IV, თბ., 2006.
9. ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე, II, თბ., 1970.
10. ხიდაშელი მ., ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ., 1972.
11. ჩიხლაძე ვ., ჟინვალის სამაროვანი, თბ., 2015.
12. ყიფიანი გ., ბრინჯაოს ჭვირულ ბალთათა ატრიბუციის საკითხები, კავკასიის მაცნე, №1, 2000.
13. Нариманишвили Г., Керамика Картли V-I века до н.э., Тбилиси, 1991.

Zurab Bragvadze

Chiatura Cemetery

Summary

Chiatura and its surroundings are rich in archaeological monuments. The city is a unique place, where people dwell since the Stone Age continuously up to present. In the archaeological point of view, the territory of the city of Chiatura is not properly studied. Therefore, the occasional findings that occurred from time to time in the city streets are of major importance.

Mr. Goderdzi Samkharadze is a well-known defender and collector of Chiatura's antiquities. Many important archaeological artifacts are reserved in his collection. Among them our attention was attracted by certain objects, which were discovered in Chiatura, on Vazha Pshavela Street. The study of archaeological material has shown that these items come from one of necropolis and the footed bowl is the earliest among them. It belongs to the late Hellenistic Age (II-I centuries BC). The rest of the artefacts are dated by II-III century. The late Hellenistic and late antique burials in western Georgia are scarce, for this reason this collection represents very important artifacts for the study of ancient period archaeology and culture history of Upper Imereti region.

Among the archaeological artefacts are mostly interesting fot the clothing items: bronze buckles and silver fibulas. Jugs also belong to quite important discoveries.

As we see, the necropolis was functioning for almost five centuries and based on this reality, it is considered an important archaeological monument.

არქეოლოგიური არტეფაქტების კატალოგი

ჯამი. მიწითალო ფერის. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. აქვს სწორი პირი და მკვეთრად გამოყოფილი ქუსლი.

სიმაღლე – 7 სმ.

პირის დიამეტრი – 10 სმ.

ძირის დიამეტრი – 3 სმ.

ქუსლის რადიუსი – 3 სმ. (სურ. 2-3)

დოქი №1. მოწითალო-მოაგურისფრო. აქვს სამტუჩა პირი, რომელზეც დატანილია კოპები.

სიმაღლე – 13 სმ.

პირის დიამეტრი – 4 სმ.

ძირის დიამეტრი – 10 სმ. (სურ. 4)

დოქი №2. მიწითალო ფერის. სწორპირიანი.

სიმაღლე – 11 სმ.

პირის დიამეტრი – 3 სმ.
ძირის დიამეტრი – 7 სმ. (სურ. 5)

დოქი №3. ჩალისფერი. სწორპირიანი.
სიმაღლე – 7 სმ.
პირის დიამეტრი – 4 სმ.
ძირის დიამეტრი – 5 სმ. (სურ. 6)

დოქი №4. შავი ფერის, სწორპირიანი.
სიმაღლე – 9 სმ.
პირის დიამეტრი – 4 სმ.
ძირის დიამეტრი – 6 სმ. (სურ. 7)

მშვილდსაკინძი. ვერცხლის (სურ. 8)

ბალთა №1. ცენტრალური ფიგურა წარმოადგენს ირემს.
ზომები: 10X9 სმ. (სურ. 9)

ბალთა №2. ცენტრალური ფიგურა წარმოადგენს თავშებ-რუნებულ ირემს.
ზომები: 9X7 სმ. (სურ. 10)

ბალთა №3. გატეხილია.
ზომები: 11X11 სმ. (სურ. 11)

1

2



3

4

5



6

7

8

9

10

11

მარიკა მშვილდაძე

ქურციკისგამოსახულებიანი საბეჭდავები ფიქრისგორის სამაროვნიდან

ფიქრისგორას სამაროვანზე 2014-2016 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი საბეჭდავების რაოდენობა არცთუ ისე დიდია და სულ 10 ნიმუშით შემოიფარგლება. ზემოაღნიშნული საბეჭდავების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვიანანტიკური და ადრეფეოდალური პერიოდის ქართლის ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობების გასაანალიზებლად. ფიქრისგორის სამარხებში აღმოჩენილი საბეჭდავები ძირითადად სასანური გლიპტიკის ნიმუშებს წარმოადგენს, რომელთა შემოსვლა ქართლში უმეტესად IV საუკუნიდან იწყება და მთელ სასანურ პერიოდში გრძელდება.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს სამაროვნის სამარხებში 2016 წელს არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი მთლიანი ქვის ელიფსური (სარდიონი (ინვ. №139, სურ.: 1, 2) და ლითონის (ბრინჯაო (ინვ. №202, სურ.: 3, 4, 5) საბეჭდავები ქურციკის გამოსახულებით.

მოგვყავს საბეჭდავების აღწერილობა:

1. (ინვ. №139) 7.04.2016 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №127, ორმო სამარხი, სიღრმე – 0.2 მ.

საბეჭდავი მთლიანი ქვისა სარდიონის (სურ.: 1, 2), ე.წ. ელიფსური საბეჭდავი. პირი წაკვეთილ მხარეზეა, ბრტყელია და ოვალური, სადაზედაპირიანია. საბეჭდავს აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად.

პირზე გამოსახულია ქურციკი პროფილში მარჯვნივ (სურ. 2). მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: ქ. რამიშვლი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, ტაბ. III, №№34,35; R.Göbl, Der

sasanidische Siegelkanon, 1973, ტაბ. 19, 52°, 52b, 52i; Bivar D. H., Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum. Stamp Seals, II. The Sassanid Dynasty, London, 1969, ტაბ, 19, FH 6,8, 11,12; Кибальчич Т. В., Южнорусские геммы, Берлин, 1910, ტაბ. I, 24.

დაცულობა: ბეჭედი დაზიანებული და ირიზებულია.

ზომები: ინტალიოს პირის სიგრძე – 11 მმ, სიგანე – 8 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 19 მმ, რკალის შიდა დმ – 4 მმ, რკალის გარე დმ – 13 მმ.

გამოსახულების სტილის, საბეჭდავის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო V-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

იგივე სამარხში აღმოჩნდა: სამაჯური ბრინჯაოსი (ინვ. №145), მძივები მოყვითალო ფერის პასტისა, 6 ცალი (ინვ. №147).

2. (ინვ. №202) 7.04.2016 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №119, ქვასამარხი, სიღრმე – 0.91 მ.

საბეჭდავი მთლიანი ქვისა, ბრინჯაოსი (სურ. 3, 4). ე.წ. ელიფსური საბეჭდავი. პირი წაკვეთილ მხარეზეა, ბრტყელია და ოვალური, სადაზედაპირიანია. საბეჭდავს აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად.

პირზე გამოსახულია მწოლიარე ჩლიქოსანი ცხოველი, ქურციკი პროფილში მარჯვნივ (სურ.: 4, 5). გამოსახულება სქემატურია. კვეთა არ არის ღრმა. მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: ქ. რამიშვლი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, ტაბ. III, №№34,35; R.Göbl, Der sasanidische Siegelkanon, 1973, ტაბ. 19, 52°, 52b, 52i; Bivar D. H., Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum. Stamp Seals, II, The Sassanid Dynasty, London, 1969, ტაბ, 19, FH 6,8, 11,12; Christopher J. Brunner, Sasanian stamp seals in The Metropolitan Museum of Art. New York, 1978, გვ. 100, №89 (ანტილოპა); Кибальчич Т. В., Южнорусские геммы, Берлин, 1910, ტაბ. I, 24.

დაცულობა: ბეჭედი პატინიზებულია.

ზომები: ინტალიოს პირის სიგრძე – 11 მმ, სიგანე – 10 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 10 მმ, რკალის შიდა დმ – 4 მმ, რკალის გარე დმ – 14 მმ.

გამოსახულების სტილის, საბეჭდავის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

იგივე სამარხში აღმოჩნდა: მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი (ინვ. №203), სამაჯურის ფრაგმენტები რკინისა (ინვ. №204), საკინძი ბრინჯაოსი (ინვ. №205), საკინძი ბრინჯაოსი (ინვ. №206), სტილოსი (?) ძვლის. თავ-ბოლოწაწვეტებული წკირია. ნაკლულია და გატეხილია სამ ნაწილად (ინვ. №207), ბეჭედი რკინისა. შესქელებული ფარაკით (ინვ. №208), (ინვ. №209) საყურეები ბრინჯაოსი, თავებგახსნილი, ტანშესქელებული რგოლი. წყვილი (ინვ. №209), საკინძი რკინისა. თავი შემკული აქვს პასტის მწვანე ცილინდრული და მარგალიტის მძივით (ინვ. №210), საყურე ოქროსი (ინვ. №212), საკინძი ოქროსი (ინვ. №213), საკინძი ოქროსი (ინვ. №214), საკინძი ოქროსი (ინვ. №215), ბეჭედი რკინის (ინვ. №216).

უპირველესად, გვინდა ავღნიშნოთ, რომ სასანური გემების სპეციფიკური ხასიათის გამო, მხოლოდ სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობით მათი თარიღის დადგენა საკმარისი არ არის. სასანური გემების შიდა ქრონოლოგიის დასადგენად სამარხეული კომპლექსების თარიღები ერთ-ერთი აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობა უნდა იყოს [1. 18]. ჩვენც ზემოაღნიშნული საბეჭდავების დასათარიღებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილი მასალის ანალიზსა და თარიღს.

ქურციკის სიმბოლური დატვირთვა ანტილოპას, ირმის ან თხის სიმბოლური დატვირთვის მსგავსია. ქრისტიანულ სიმბოლიკაში მტაცებლისგან გაქცეული ქურციკი ამქვეყნიური ვნებებისაგან გაქცევას განასახიერებს. ეგვიპტელებთან ქურციკი თხასთან ერთად ღვთაება სეთის ატრიბუტი იყო მის ტიფონურ ასპექტში. ჰორი, რომელიც ფეხით თელავდა ქურციკს, ტიფონურ ძალებზე გამარჯვებას განასახიერებდა. ბერძნულ-რომა-

ულ მითოლოგიაში ქურციკი ღვთაება დიანას ატრიბუტია. ინ-დუსებთან ქურციკი ანტილოპასთან ერთად მთვარის ღმერთის ჩანდრის გადაადგილების საშუალებას წარმოადგენდა. ღვთაე-ბა შივის ეტლიც ანტილოპებითა და ქურციკებით შებმული გა-დაადგილდებოდა. შუმერულ-სემიტურ მითოლოგიაში ასტარ-ტას ატრიბუტად გვევლინებოდა. ქურციკი ზოგჯერ ღვთაება ეასთან ერთად ჩნდებოდა. იგი სულის ემბლემას წარმოადგენ-და. ქურციკს უძველესი დროიდან იკონოგრაფიულად ლომისა-გან ან პანტერისაგან გაქცეულს, ან მათ ხახაში მყოფს გამოსა-ხავდნენ, რითიც სულის ვნებებისაგან დევნა და შეუცნობადის აგრესიული, თვითგამანადგურებელი მხარე გამოისახებოდა [2.130]. ქურციკი გვევლინება ირანული და ინდური ქარის ღვთაების ვაიუს თანმხლებად...

ცხოველთა სამყაროს, მათ შორის, ქურციკების გამოსახვა დამახასიათებელია სასანური გლიპტიკისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთი სასანური საბეჭდავია აღმოჩენილი ზე-მოაღნიშნული სიუჟეტით. შეიძლება ითქვას, ცხოველთა სამყარო ერთ-ერთი საყვარელი თემაა სასანიანთა იმპერიის ქვისმჭრელე-ბისა. სასანიანთა ირანის კულტურის იმპორტთან ერთად, აღნიშ-ნული სიუჟეტები გავრცელებას იწყებს მეზობელ ქვეყნებში. გა-მონაკლისს არც ქართლი წარმოადგენდა. ფიქრისგორის სამარო-ვანზე აღმოჩენილი ქურციკის გამოსახულებიანი საბეჭდავები ამ ფაქტის ნათელ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს.

ფიქრისგორის №№119,127 სამარხებში აღმოჩენილი ქურ-ციკისგამოსახულებიანი გლიპტიკური ძეგლები დამზადებუ-ლია სასანური გლიპტიკისათვის დამახასიათებელი მთლიანი ქვის საბეჭდავების ორი ტიპისაგან:

1. ეს არის ე.წ. მთლიანი ქვისგან დამზადებული **ელიფსუ-რი საბეჭდავები.** ასეთი საბეჭდავების უმრავლესობას აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად. პირი წაკვეთილ მხარეზეა, ბრტყელია და ოვალური, ასეთი საბეჭდავების უმრავლესობა სადაზედაპირიანია, თანაბრად გაპრიალებული. ბეჭდის ეს ფორმა ვრცელ ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავს [1. 41]. ფიქ-

რისგორის სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავი დამზადებულია სარდიონისგან (ინვ. №139, სურ.: 1, 2);

2. **ლითონის საბეჭდავები,** რომლებიც ძირითადად ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. ზოგი გვერდებშებრტყელებული სფეროს ფორმისაა, ზოგი – კონოიდური, რომელსაც ყოველთვის აქვს მოზრდილი ნახვრეტი ზონრის გასაყრელად. პირი ამ ფორმის საბეჭდავებზე უფრო ხშირად ბრტყელი ან ოვალურია... ლითონის საბეჭდავები უმთავრესად ჩამოსხმით არის დამზადებული [1. 42]. ფიქრისგორის სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავი (ინვ. №202, სურ.: 3, 4) დამზადებულია ბრინჯაოსაგან.

ზოგადად, ფიქრისგორის სამარხებში დაფიქსირებული როგორც ინტალიოები, ისე მთლიანი ქვის საბეჭდავები ძირითადად კარგად არის დამუშავებული. ქვები კარგად არის შემონახული. მათი როგორც ზედა, ისე ქვედა ნაწილი კარგად არის გათლილი. ამას ვერ ვიტყვით ჩვენს საკვლევ საბეჭდავებზე, რომლებიც დროის ფაქტორის გამოა დაზიანებული.

გამოსახულების სტილის, საბეჭდავის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, №127 ორმო-სამარხში აღმოჩენილი სარდიონის საბეჭდავი (ინვ. №139, სურ.: 1, 2) V-VI საუკუნეებით, ხოლო №119 ქვასამარხში დაფიქსირებული ბრინჯაოს საბეჭდავი (ინვ. №202, სურ.: 3, 4, 5) IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ლიტერატურა – REFERENCES

1. რამიშვლი ქ., სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978.
2. Bivar D. H., Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum. Stamp Seals, II, The Sassanid Dynasty, London, 1969.
3. Christopher J. Brunner, Sasanian stamp seals in The Metropolitan Museum of Art. New York, 1978.
4. Göbl R., Der sasanidische Siegelkanon, 1973.
5. Керлот Х.Э., Словарь символов, Москва, 1994.
6. Кибальчич Т. В., Южнорусские геммы, Берлин, 1910.

Marika Mshvildadze

Seals with the Image of a Gazelle from Piqrisgora Tombs

Summary

Our interest lies in the tombs №№119,127 of Piqrisgora and elliptical sardonic and metal (bronze) seals shaped as a gazelle, uncovered during the archaeological digs of 2016 at Piqrisgora burial grounds (tomb №127, inv. №139, pic. 1,2, tomb №119, inv №202 pic.3,4,5). Due to the specificity of Sasanian gems, setting date only through stylistic analysis is not sufficient. In this respect burial ground complexes offer us important information, thus for setting dates of the abovementioned seals we pay due attention to the analysis and the dates of the materials uncovered from the burial ground complexes.

Glyptic monuments, with the images of gazelles discovered in the Piqrisgora tombs №№119,127, are made of the whole stone seals of two types: 1. The so called eliptic (stone) seals. Majority of similar seals have perforations for the string. Seals of the similar type uncovered in Piqrisgora tombs are made of sadonic; 2. Metal seals, made mostly of silver and bronze.... Some are shaped as sphere with the flattened sides. Some are cone shaped, which always have perforations for the attachment of the string. Seal of the similar shape is made of bronze.

In accordance with the image style, seal shape and the inverntory of the burial ground, №127, the sardonic seal found in a burial pit (inv. №139, pic.1,2) should be dated by V-VI centuries, while №119 bronze seal fixed in the stone burial pit by (inv. №202, pic.: 3,4,5) IV.

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

ნანა გელაშვილი

კონფუციონიზმი ჩინეთის ისტორიულ რეალობაში

ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ერთმანეთისაგან განსხვავებული მძლავრი ფილოსოფიური სკოლები ჩამოყალიბდა, რაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ჩინეთში ჭოუს დინასტიის (ძვ. წ. 1027-256) მმართველობის მეორე ნახევარი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კარდინალური ძვრებით აღინიშნა: აღმოცენდა ახალი ქალაქები, მაღალ დონეს მიაღწია ლითონის დამუშავებამ, ხელოსნობა-ვაჭრობამ, სოფლის მეურნეობამ, გაჩნდა მეტალის ფულის მონეტები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები და სხვ. პარალელურ რეჟიმში მძლავრი კულტურული და ინტელექტუალური აღმავლობის პროცესი მიმდინარეობდა. განსაკუთრებით წარმატებით ვითარდებოდა: ასტრონომია, მათემატიკა, ფილოსოფია და მედიცინა [1. 282]. თუმცა, აღნიშნულ პროგრესულ პროცესებს საგრძნობლად აფერხებდა სხვადასხვა დამოუკიდებელ სამეფოებს შორის პერმანენტულად მიმდინარე შიდა ომები, რომლებიც ხელისუფლებაში პირველობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. შესაბამისად, ხსენებულ პერიოდს „მეომარ სამეფოთა ხანა“ (ჩინურად – ჭონგუო) ეწოდა, რომელიც ძვ. წ. V-III საუკუნეებს მოიცავდა, კონკრეტულად – 475-221 წლებს [8. 21-22].

პოლიტიკური ვნებათაღელვისა და სოციალურ-ეკონომიკური ძვრების ფონზე ჩინელი საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილში ინოვაციურმა იდეებმა და ფასეულობებმა იჩინა თავი, რაც თვალნათლივ აისახა ისეთ ფილოსოფიურ მოძღვრებებში, როგორიცაა კონფუციონიზმი, ტაოიზმი, ლეგიზმი, მოიზმი და სხვ. [8. 26; 17.27-28]. ახ.წ. პირველ საუკუნეში კი ჩინეთში ბუდიზმმა შეაღწია ინდოეთიდან, რომელმაც ასევე მნიშ-

ვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში [2. 92-93]. ამჯერად ყურადღება ფოკუსირებულია კონფუციონიზმზე, რომელმაც წამყვანი პოზიციები დაიმკვიდრა ძველი და შუა საუკუნეების ჩინეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

კონფუციონიზმის ფუძემდებელია დიდი ჩინელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი და მოძღვარი კონფუცი (ძვ. წ. 551-479), რომელიც ჩინეთში უმეტესწილად ქუნგ წ-ის (ჩინურად ნიშნავს – მასწავლებელი ქუნგი, მოძღვარი ქუნგი) სახელით მოიხსენიება. კონფუცი კი მისი სახელის ლათინიზირებული ფორმაა, რომელიც მას იეზუიტმა მისიონერმა მათეო რიჩიმ უწოდა (რომელიც მე-16 საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩინეთში მოღვაწეობდა). სწორედ მან გააცნო დასავლურ სამყაროს კონფუცის სახელი [3. 74]. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ კონფუცი დაიბადა შანტუნგის პროვინციაში, ლუის სამეფოს ქ. ციუფუში[1], სამხედრო მოსამსახურის ოჯახში, წარმომავლობით კი წარჩინებულთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. კონფუცის მამა ადრე გარდაეცვალა (ის მაშინ 3 წლის ყოფილა) და ამიტომ ოჯახის მძიმე ტვირთს ის პატარაობიდანვე დედასთან ერთად ინაწილებდა [5. 32; 6. 99]. იმავდროულად, კონფუცი გულმოდგინედ და ბეჯითად სწავლობდა, რადგანაც კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ სათანადო განათლების გარეშე საზოგადოებაში შესაფერისი სტატუსის მოპოვება შეუძლებელი იყო. სწავლა-განათლებისკენ მოუწოდებდა ის თავის მოწაფეებსაც.

ძველ ჩინეთში განათლებულად ის ადამიანი ითვლებოდა, ვინც ექვს სფეროში სათანადო დონეზე ერკვეოდა; კერძოდ, უნდა სცოდნოდა რელიგიური რიტუალების შესრულება, მშვილდოსნობა, მუსიკალური ხელოვნება, ეტლის მართვა, წე-

[1] აქვე შევნიშნავ, რომ 2018 წლის აგვისტოში, ჩინეთში გამართულ კონფუცისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დროს, საშუალება მქონდა, ქ. ციუფუში მენახა კონფუცის საფლავი, მის პატივსაცემად აგებული პირველი ტაძარი, ასევე, დამეთვალიერებინა მის სახელთან დაკავშირებული სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

რა-კითხვა და მათემატიკა [4. 34-36; 10. 50] კონფუცი ამ ყველა-ფერს ახალგაზრდობაშივე შესანიშნავად დაეუფლა და თავად შემოიკრიბა მოწაფეები, რათა თავისი ცოდნა გაეზიარებინა მათთვის. გარკვეული ხნის მანძილზე ის პედაგოგიურ საქმია-ნობას ეწეოდა, შემდეგ სხვადასხვა მმართველის კარზე მსახუ-რობდა, სადაც მას ხელი მიუწვდებოდა არქივზე, დოკუმენტურ მასალაზე, მდიდარ ბიბლიოთეკაზე. მოგვიანებით კონფუციმ პოლიტიკური მოღვაწეობა სახელმწიფო სამსახურში მიატოვა და დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე თავისი ეთიკურ-ფილოსოფიური შეხედულებების ქადაგებას შეუდგა [9. 52-53; 16. 126]. იმ დროიდან მოყოლებული, თითქმის 30 წლის მანძილზე, თავისი ერთგული მოწაფეების თანხლებით, ის ჩინეთის სხვადასხვა მხარეში მოგზაურობდა, თავის მოძღვრე-ბას ქადაგებდა ხალხში, მოუწოდებდა მათ ეთიკური ნორმების კეთილსინდისიერად დაცვისკენ. სიცოცხლის უკანასკნელი წლები კონფუციმ თავის მშობლიურ ქალაქ ციუფუში გაატარა, სადაც 72 წლის ასაკში გარდაიცვალა [5. 37].

ხაზგასასმელია, რომ კონფუციმ და მისმა მოძღვრებამ მის სიცოცხლეშივე დიდი აღიარება მოიპოვა, მას იმთავითვე უამ-რავი თაყვანისმცემელი და მიმდევარი გამოუჩნდა. დიდი მოძღ-ვრის გარდაცვალების შემდეგ მისმა მოწაფეებმა ჩინეთის სხვა-დასხვა კუთხეში მის სახელზე ტაძრების აგება დაიწყეს, სადაც რელიგიური რიტუალები ტარდებოდა. თავად კონფუცის საცხ-ოვრებელი სახლის ადგილზე კი ულამაზესი სატაძრო კომ-პლექსი აიგო (რომლის მოხილვის პატივი მერგო), სადაც ისევე, როგორც ისტორიულ წარსულში, დღესაც უამრავი ხალხი მი-დის, რათა პატივი მიაგონ წმინდა ადგილს. შემდგომ ხანებში კონფუცის სახელი ჩინეთში წმინდანის რანგში ამაღლდა. კერ-ძოდ, თანგის დინასტიის პერიოდში (618-907) მას „პირველი წმინდანის“ ტიტული მიენიჭა, სუნგის დინასტიის (960-1279) მმართველობის დროიდან დაწესდა თაყვანისცემის რიტუალე-ბის ჩატარება მის საფლავზე, ცოტა მოგვიანებით მას მიენიჭა წოდება „სახელმწიფოს მოძღვარი“ [3. 77; 5. 30].

რამდენადაც კონფუციონიზმის ჩასახვის პერიოდში ჩინურ ენაში არ არსებობდა რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინი, თავდაპირველად ის ვრცელდებოდა როგორც ეთიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რელიგიად კი დაახლოებით ათასწლეულის შემდეგ გარდაიქმნა; კერძოდ, ახ.წ. მე-6 საუკუნეში, როდესაც კონფუციონიზმმა სრულად გაითავისა უძველესი ეროვნული რწმენა-წარმოდგენები (განსაკუთრებით წინაპართა და ბუნების მოვლენებისადმი თაყვანისცემის კულტი), მისი რელიგიად ტრანსფორმირება მოხდა. კონფუციონიზმი პოლითეისტურ სარწმუნოებად ითვლება. მის პანთეონში უზენაეს ღვთაებად ცა[1] მიიჩნევა, გაღმერთებულია ასევე თავად კონფუცი და მისი სახელოვანი მოწაფეები [11. 281; 13. 4]. კონფუცის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება თავისი არსით რელიგიისა და ფილოსოფიის ჩარჩოებს სცილდებოდა, ფაქტობრივად, ის ადამიანთა მთელი ცხოვრების წესის საფუძველს ქმნიდა და მათ შორის ურთიერთობების დარეგულირებას ისახავდა მიზნად. უნდა აღინიშნოს, რომ კონფუცი გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავდა – საყოველთაო ნორმად მიიჩნევდა საზოგადოების დაყოფას მმართველ და მორჩილ ფენებად ანუ ე. წ. კეთილშობილ და მდაბიო ფენების წარმომადგენლებად. ამასთან, ეს უკანასკნელნი გაბატონებული კლასის ნება-სურვილის აღმსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ [14. 59; 16. 137]. კონფუცის აზრით, ქვეყნის მმართველი ელიტა ყველანაირი დადებითი თვისებებით იყო შემკული, რომელთაგან უმთავრესი იყო ჰუმანურობა ანუ კაცთმოყვარეობა (ჟენ) და პასუხისმგებლობის გრძნობა (ი). ჰუმანურობაში მოიაზრებოდა გონიერება, სამართლიანობა, თავმდაბლობა, ნებისყოფა, ადამიანების სიყვარული და სხვ.

[1] უძველესი დროიდან ჩინეთში ცა უზენაეს ღვთაებად იყო აღიარებული, იმპერატორი კი, როგორც ცის შვილი, წმინდა არსებად მიიჩნეოდა. ძველ ჩინეთში ჩამოყალიბებული იყო შეხედულება, რომ ჩინეთი წარმოადგენდა სამყაროს ცენტრს, ცისქვეშეთს. ქვეყნის სახელწოდებაც ჩინურ ენაზე – ჭუნგუო ნიშნავს შუა, ცენტრალურ სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, ჩინელებს მიაჩნდათ, რომ ჩინეთი მსოფლიო ცივილიზაციის მწვერვალს წარმოადგენდა, ხოლო ყველა სხვა ქვეყნების ხალხი უკულტურო ბარბაროსები იყვნენ.

ჟენის მიღწევა შესაძლებელი იყო ზნეობრივი თვითსრულყოფის, ეტიკეტის (ლი) და რიტუალური ნორმების დაცვის გზით, რაც ასაკითა და სოციალური სტატუსით უფროსის, უპირველეს ყოვლისა, იმპერატორის პატივისცემასა და მორჩილებას ეფუძნებოდა [4. 45-46; 11. 261; 17. 25-26]. რამდენადაც ჩინეთში იმპერატორი ცის შვილად იყო აღიარებული, რომელიც ცის ნებას ასრულებდა დედამიწაზე, ამიტომაც მისი ხელისუფლება უწმინდესად და უზენაესად ითვლებოდა.

ქვეყანაში წესრიგის, ჰარმონიული ურთიერთობებისა და მშვიდობის დამყარების გზას კონფუცი საუკუნოვანი ადათ-წესებისა და ტრადიციების აღორძინებაში ხედავდა. ის ყოველგვარი სიახლისა და რეფორმების წინააღმდეგი იყო, აწმყოს პრობლემების გადაჭრის საშუალებას წარსულში და მივიწყებულ ძველ სიბრძნეში ეძებდა. ამ კუთხით კონფუცი საკმაოდ კონსერვატიული თვალსაწიერით წარმოჩნდება. ამ კონტექსტში საყურადღებოა მისი ფრთიანი გამონათქვამი: „მე ძველის გამგრძელებელი ვარ და არ ვქმნი ახალს, მე ვარ ის, ვისაც სიძველე უყვარს და იქ დაეძებს ცოდნას“ [10. 57; 14. 59]. კონფუცი საყოველთაო კანონად მიიჩნევდა უმცროსებსა და უფროსებს, შვილებსა და მშობლებს, ღარიბებსა და მდიდრებს, მეუღლეებს (სადაც ცოლს დაკნინებული, მორჩილის სტატუსი ეკავა) შორის მკაცრად დაწესებული ნორმებით გამყარებული ურთიერთობების დაცვას. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ მეგობრებს შორის ურთიერთობები, რომელიც თანაბარ ურთიერთობებზე იყო დამყარებული [8. 26; 11. 263]. ასე რომ, ამქვეყნად ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონოდა მიჩნეული, თითოეულ ადამიანს თავისი უფლება-მოვალეობები უნდა სცოდნოდა და ეკეთებინა ის, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა.

კონფუცის მოძღვრებას ლეიტმოტივად გასდევს სახელმწიფოს ჰუმანურად მართვის კონცეფცია. მის თანახმად, იმპერატორს და გაბატონებულ ფენას ქვეყანა უნდა ემართათ არა ძალისმიერი და სადამსჯელო მეთოდებით, არამედ ჰუმანური და მაღალზნეობრივი ნორმების დაცვით. კონფუცის სიტყვით, „მმართველი ელიტა ქარს ჰგავს, უბრალო ხალხი კი – ბალახს.

როდესაც ქარი უბერავს, ბალახი იხრება“ [10. 240]. კონფუცი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა წინაპართა კულტს და ე. წ. „სიაოს“ (ანუ მამისადმი შვილის მორჩილებას) ნორმებს, რაც, თავისი მხრივ, ხელს უწყობდა ოჯახისა და კლანური სისტემის აყვავებას ძველ ჩინეთში. მათი ინტერესები გაცილებით მაღლა იდგა ცალკეული პიროვნების ნება-სურვილთან შედარებით. კონფუცი ოჯახს განიხილავდა, როგორც პატარა სახელმწიფოს, ამ უკანასკნელს კი – როგორც დიდ ოჯახს [7. 166; 11. 264-265]. „სიაოს“ კონფუციონიზმმა იმდენად ფართო სპექტრის დატვირთვა მიანიჭა, რომ მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა და თითოეული ჩინელის უმთავრეს ქცევის ნორმად იქცა. კონფუციანური აღზრდა ოჯახში პატარა ასაკიდან იწყებოდა, ბავშვს ასწავლიდნენ წინაპართა კულტის პატივისცემას და მშობლებისადმი მორჩილებას (ანუ „სიაოს“). სწორედ ამ პრინციპს ეფუძნებოდა ის რეალობა, რომ ძველ და შუა საუკუნეების ჩინეთში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ უფროსი და უმცროსი თაობები თავიანთი შთამომავლებით. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ როგორც ნათესაურად, ისე ტრადიციებით და კლანური ურთიერთდახმარების ვალდებულებებით [3. 81].

კონფუცი არაერთი კლასიკური ნაშრომის ავტორია, მაგრამ მისი მოძღვრების ძირითადი პრინციპები თავმოყრილია მის ფუნდამენტურ ნაშრომში „ლუნ იუი“ („მსჯელობები და საუბრები“). სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, ხსენებული ნაშრომი მისმა მოწაფეებმა შეადგინეს მოძღვრის დარიგებების, სწავლებისა და გამონათქვამების კლასიფიკაციის საფუძველზე, კონფუცის გარდაცვალების შემდეგ [5. 39-41; 12. 3-4; 15. 261-268]. ეს არის 30 თავისგან შემდგარი კრებული, რომელშიც კონფუცი დიალოგის ფორმატში პასუხობს თავისი მოწაფეების შეკითხვებს.

აღსანიშნავია, რომ კონფუციონიზმი საფუძვლად დაედო ძველ ჩინეთში განათლების სისტემის შექმნას; ამასთან, თავდაპირველად უპირატესობა ჰუმანიტარულ დისციპლინებსა და სამეცნიერო დარგებს ენიჭებოდა. ამ სისტემის წყალობით, განათ-

ლებულ მოხელეთა ფართო წრის ფორმირება მოხდა, რომელიც მოკლე ხანში პრივილეგირებულ ელიტად იქცა. იმავდროულად, დაწესდა საკონკურსო შერჩევის სისტემა სხვადასხვა დონის თანამდებობების დასაკავებლად. მოგვიანებით, ხანის დინასტიის მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. 206 – ახ.წ. 220) ამგვარი საკონკურსო გამოცდები პოლიტიკურ ელიტაში მოსახვედრ აუცილებელ პირობად დაკანონდა [10. 228-230; 11. 247]. შუა საუკუნეების ჩინეთში მთელი განათლების სისტემა ორიენტირებული იყო კონფუციონისტური კადრების მომზადებაზე, კონფუცის მოძღვრების სათანადო დონეზე შესწავლა მყარ გარანტიას წარმოადგენდა წარმატებული პოლიტიკური კარიერისათვის, მატერიალური უზრუნველყოფისათვის და საზოგადოებაში პატივისცემის მოსაპოვებლად [6. 100-101; 17. 76-77]. ზოგადად, ჩინეთში მუდამ იდეალად ითვლებოდა განსწავლული და ერუდირებული მოხელე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კონფუციონიზმის კლასიკოსთა ცოდნის დონეს.

კონფუციონისტები ეფექტურად მართავდნენ ჩინეთის უზარმაზარ იმპერიას, იმ ხანმოკლე პერიოდების გამოკლებით, როდესაც ქვეყანა კრიზისულ სიტუაციაში ექცეოდა, ან ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერას კარგავდა. მთლიანობაში კონფუციონიზმი საუკუნეთა მანძილზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა ჩინელი საზოგადოების მრწამსზე, ფსიქოლოგიაზე, მენტალობაზე, ქცევის ნორმებზე, ყოველდღიურ ყოფაზე და კულტურაზე. ამ კუთხით გამონაკლისს წარმოადგენდა ცინის დინასტიის ფუძემდებლის ცინ ში-ხუანგ-ტის ზეობის ხანა (ძვ.წ. 221-210 წწ.), რომელიც ისტორიიდან ცნობილია, როგორც სასტიკი და დაუნდობელი მონარქი, თუმცა, იმავდროულად, მან ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური, ადმინისტრაციული და კულტურის სფეროების რეფორმები გაატარა [6. 113-115]. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო თემას, ცინ შო-ხუანგ-ტისთვის უფრო მისა-

ღები აღმოჩნდა ლეგიზმის[1] მოძღვრება, რომელიც ძალადობაზე და სახელმწიფოს მართვის უმკაცრეს დისციპლინაზე დაფუძნებულ მეთოდებს ქადაგებდა. შესაბამისად, კონფუციონიზმი, როგორც ლეგიზმის ოპონენტი, დევნისა და რეპრესიების ობიექტად იქცა. ძვ.წ. 213 წელს იმპერატორმა კონფუციანური ლიტერატურის დაწვის ბრძანება გასცა. მომდევნო წელს კონფუციონიზმის ყველაზე აქტიური 460 მიმდევარი სიკვდილით დასაჯა და კონფუციონისტური ტაძრების განადგურებას შეუდგა [3. 96; 4.38; 11. 270]. ლეგიზმისკენ გადახრამ და კონფუციონიზმის უარყოფამ ჩინელ ხალხს წაართვა არა მხოლოდ ტრადიციებზე აპელირების უფლება, არამედ სულიერი კომფორტი, რადგან ზღვარგადასულ მკაცრ დისციპლინას ჰარმონიული ნორმების დაცვის გარეშე, სავალალო შედეგები მოჰყვა. ამ პროცესებმა გარკვეული დოზით ხელი შეუწყო ცინის იმპერიის დამხობის დაჩქარებას. გამოიკვეთა ლეგიზმის არასიცოცხლისუნარიანობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მისი ჩანაცვლება ნაკლებად მკაცრი, ჰუმანური იდეოლოგიური სისტემით. სწორედ ასეთად მოიაზრებოდა კონფუციონიზმი, რომელმაც ცინის დინასტიის დამხობის შემდეგ (ძვ.წ. 206 წ. აღორძინება დაიწყო და ძვ.წ. 136 წელს ის ჩინეთის ოფიციალურ იდეოლოგიურ დოქტრინად გამოცხადდა [5. 50-51]. რაც შეეხება ლეგიზმს, კონფუციონიზმთან დაპირისპირების მიუხედავად, გარკვეული კონსენსუსის შედეგად, მისი ზოგიერთი დოქტრინა კონფუციონიზმმა გაიზიარა, მომდევნო ხანებში კი ლეგიზმი მთლიანად შეერწყა მას.

ხანის დინასტიის მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული (ძვ.წ. 206 წ.–ახ.წ. 220 წ.), კონფუციონისტები არა მხოლოდ მართავდნენ ქვეყანას, არამედ ფხიზლად ადევნებდნენ

---

[1] ლეგიზმი – კანონიკური სკოლა (ფა-ძია), რომელიც ჩინეთში ძვ. წ. მე-4 საუკუნეში ჩამოყალიბდა. ის ქადაგებდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობას, სადაც მართვის მეთოდები ემყარებოდა ძალადობას, უმკაცრეს დისციპლინას და კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ სასტიკ სასჯელებს. ლეგიზმმა დამოუკიდებელი სახით ძვ. წ. მეორე საუკუნემდე იარსება, მომდევნო ხანებში კი მისი ცალკეული დოქტრინები კონფუციონიზმს შეერწყა.

თვალყურს, რათა კონფუციონიზმის ეთიკურ-მორალურ ნორმებს საყოველთაო სახე ჰქონოდა. ასე რომ, კონფუციონიზმი მრავალმხრივ ფუნქციას ასრულებდა ჩინეთის ისტორიულ რეალობაში; კერძოდ, სახელმწიფო იდეოლოგიის, პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების და ადმინისტრაციული სისტემის მარეგულირებელ ფუნქციას. IV-V საუკუნეებში ჩინეთში ბუდიზმისა და ტაოიზმის მომძლავრების კვალდაკვალ, კონფუციონიზმმა მათგან გარკვეული ელემენტები შეითვისა, რაც გარდამავალ ეტაპს წარმოადგენდა ამ სამი მოძღვრების სინთეზის გზაზე. საბოლოოდ, XI-XII საუკუნეებში კონფუციონიზმმა ტრანსფორმაცია განიცადა ნეოკონფუციონიზმის სახით, რომელიც ბუდიზმის, ტაოიზმის და კონფუციონიზმის ორგანულ ნაზავს წარმოადგენდა [6. 241; 16. 125]. ასე თანდათან ჩამოყალიბდა სამი მოძღვრების სინკრეტული ტრიადა, სადაც თითოეული გარკვეული კომპონენტებით ერთმანეთს ავსებდა, ლიდერი პოზიცია კი კონფუციონიზმს ეკავა (რაც მე-20 საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა). დაბოლოს, ხაზგასასმელია, რომ კონფუციონიზმმა დიდი როლი შეასრულა არა მხოლოდ ჩინური ტრადიციებისა და ცივილიზაციის ფორმირება-განმტკიცებაში; მან შეაღწია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (უპირველეს ყოვლისა, კორეასა და იაპონიაში), სადაც მარეგულირებელი ბერკეტი მოიპოვა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სწავლა-აღზრდისა და განათლების სისტემა, იურისპრუდენცია და ადმინისტრაციული მართვის მეთოდოლოგია. თავისი გავრცელების არეალში კონფუციანური კულტი არა ერთი საზოგადოებრივი და იდეოლოგიური მოძრაობის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ კონფუცის სახელი აქტიურად ჟღერდა ევროპელ განმანათლებელთა და ფილოსოფოსთა (ვოლტერის, რუსოს, კანტისა და სხვ.) იდეურ ბატალიებში, რომლებიც სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ დიდი ჩინელი მოძღვრის სწავლებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ცალსახად აღიარებულია, რომ კონფუციონიზმი, თავისი გამორჩეულად სიღრმისეული კონტექსტის გამო, მსოფლიო მასშტაბის ორგანულ მონაპოვარს წარმოადგენს.

ლიტერატურა – REFERENCES

1. გელაშვილი ნ., ჩინური კულტურა, კულტუროლოგია, ნაწ. I, თბ., 2001.
2. გელაშვილი ნ., ბუდისტური კულტურის ფორმირება ჩინეთში, კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, XXVIII, თბ., 2013.
3. გელაშვილი ნ., შორეული აღმოსავლეთის რელიგიები, თბ., 2018.
4. ყარალაშვილი რ., ჩინეთის დიდი კედლის მიღმა, თბ., 1989.
5. An Introduction to Chinese Classics: Confucionism, Taoism and Buddihism, editors-in-chief: Li Ji, Wang Yueqing, Beijing, 2014.
6. Bai Shouyi, An Outline History of China, Beijing, 2002.
7. Buchanan K., Fitzgerald Ch., China – The Land and the People: the History, the Art and the Science, New York, 1981.
8. Ebrey P., Walthall A., Palais J., East Asia, A Cultural, Social and Political history, USA – Wadsworth, 2009.
9. Harrison A. John, The Chinese Empire, New York, 1972.
10. Stover E. Leon, The Cultural Ecology of Chinese Civilization, Peasants and Elites in the Last of the Agrarian States, New York, 1974.
11. Васильев Л. С., История религиий востока, Москва, 1988.
12. Е. Лан, Чжу Лянчжи, Хрестоматия по Культуре Китая, Пекин, 2011.
13. Лукьянов Л. Ц., Становление философии на востоке (древний Китай и Индия), Москва, 1989.
14. Переломов Л. С., Слово Конфуция, Москва, 1992.
15. Семененко И. И., Аформизмы Конфуция, Москва. 1987.
16. Сидихменов В. Я., Китай, страницы прошлого, Москва, 1987.
17. Юй Дун, Чшун Фан, Линь Сяолин, Китайская культура, Пекин, 2004.

Nana Gelashvili

Confucianism in the Historical Reality of China

Summary

It is widely known, that Chinese philosophical thought occupies distinguished position in the treasure of the world civilization. In the middle ages of the first millennium B. C. the Chinese intellectual forces created the type of philosophical teachings, such as Confucianism, Taoism and Legalism side by side, with the introduction of cardinal changes in the country. Among them Confucianism held an advanced position in all areas of the social life of China. The founder of the doctrine was a Chinese teacher, editor, politician and philosopher Confucius (551-479). The name is a Latinized form of Mandarin Chinese language – Kong Fuz (meaning – master Kong) and was coined in the late 16th by the Jesuit missionary in China Mateo Ricci.

Throughout the history Confucius is widely considered as one of the most important and influential individuals exerting influence over the lives of humanity. His teaching and philosophy greatly impacted people around the world and still linger in today's society. Confucius elaborated a system of moral, ethical and habitual norms, which represented the fundament of the conventions for all aspects of human life. Confucianism emphasized personal and governmental morality, correctness of social relationships, justice and sincerity. His followers competed successfully with many other schools of thought only were suppressed in favor of the Legalists during the Qin dynasty (221-206). Following the victory of Han dynasty after the collapse of Qin, Confucius's thoughts received official sanction and were further successfully developed. Confucius's principles have commonality with Chinese tradition and belief. He championed strong family loyalty, ancestor veneration, respect of elders by their children and of husbands

by the wives, recommending family as a basis for ideal government. Besides the main dogmas of Confucianism are the faith in the divine power of the heaven and adoration of an Emperor.

Confucianism has gone through the centuries a long and interesting way of development. It must be stressed that the spread of Confucianism was not limited only to the Chinese society; it had a great influence on ideological and cultural areas of East and South-East Asian countries too, penetrating from China almost in all region. In the 4th Century A. D. Confucianism entered Korean peninsula, where it was adapted to the local beliefs, in combination with Taoism and Buddhism. From there in the mid-6th Century Confucianism entered Japan. As well as on Korean peninsula and in other Asian countries, by the time in Japan Confucianism adapted to the ancient Japanese belief – Shintoism. As a result, a classical interreligious example occurred between Chinese traditional doctrine and other Asian beliefs.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ 70

მართებული არ იქნება, ვისაუბროთ დღევანდელ ისრაელზე, თუ მოკლედ მაინც არ შევეხებით ებრაელი ერის ისტორიას.

ეს ისტორია 4000 წლისაა და სათავეს იღებს იმ დროიდან, რაც მამა აბრაამმა, მისმა შვილმა ისაკმა და შვილიშვილმა იაკობმა იწამეს ერთი ღმერთის მრწამსი და ეთაყვანებოდნენ მას. ცნობილია მამა აბრამის მიერ თავისი ვაჟის ისაკის სამწირველოზე მიყვანის მცდელობა, იაკობისა და მისი 12 შვილის თავიანთი ოჯახებით ეგვიპტეში ჩასვლა და 210 წლის მონობის დასაწყისი.

შემდეგი ეტაპია ღმერთის მიერ მოშეს გამორჩევა, მისი ხელმძღვანელობით მონობის უღლის გადაგდება და 40 წელი უდაბნოში მოგზაურობა, თან საკმაოდ მძიმე ბრძოლების გადახდა და საბოლოოდ იოშუაყის ხელმძღვანელობით ებრაელთა აღთქმულ მიწაზე დამკვიდრება.

უდაბნოში ყოფნის მეორე წელს ღმერთმა ებრაელებს უბოძა თორა და ათი მცნება, რომლებმაც უკითხავად მიიღეს მისი ყველა პუნქტი. არ შეიძლება, არ აღინიშნოს თორაში მოცემული სოციალური მონაპოვრები. ჯერ კიდევ მაშინ, 3300 წლის წინ, ღმერთმა უბრძანა ყველას, ვინც იწამა მისი, როგორც ერთადერთის არსებობა, რომ მეშვიდე დღეს როგორც ბატონმა და მისი ოჯახის ყველა წევრმა, ისე ყმამ, პირუტყვმა და ყველამ უნდა დაისვენოს.

შემდეგი ეტაპი იყო პარლამენტის სახეობის მმართველობის (სანედრინის) ჩამოყალიბება, სამეფო კარის შექმნა. პირველი მეფე იყო შაული, რომლის შემდეგ გამეფდა მისი სიძე დავიდი, რომელმაც ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა იერუშალაიმი. მან თავისი მეფობის უდიდესი ნაწილი ომებში გაატარა და დასაწყისი მისცა ძლიერი ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

მის შემდეგ ტახტზე ავიდა სოლომონ მეფე (სოლომონ ბრძენი), რომელმაც იერუშალაიმში ააშენა პირველი „ბეთამიკ-დაში“, რომელიც იყო ებრაელთა ცხოვრების სასულიერო და ეროვნული ცენტრი და დასაბამი მისცა დიდი ისრაელის სახელ-მწიფოს შექმნას. მისი საზღვრები იყო ინდოეთის ოკეანიდან მდ. ევფრატის, თურქეთის აღმოსავლეთი ნაწილის და ეგვიპ-ტის ჩათვლით. ეს მონაპოვარი მისმა მემკვიდრეებმა სრულად გაანიავეს. ჯერ სახელმწიფო გაიყო ორად, ჩრდილოეთში ისრა-ელი სახელმწიფო დედაქალაქი შომრონი, ხოლო სამხრეთით იუდიას სახელმწიფო იერუშალაიმის დედაქალაქით. ისრაელის სახელმწიფო ჯერ ასირიელთა მიერ იქნა დაპყრობილი. 130 წლის შემდეგ, ძვ.წ. 586 წელს იერუსალიმი ერაყის მბრძანებელ-მან ებუხადნეცარმა დაიპყრო და ტყვედ წაიყვანა ებრაელთა უდიდესი ნაწილი. აი, აქედან იწყება ამ ერის მრავალ ქვეყნებში გაფანტვა. ხაშმონაიმთა, მაკაბიელების, აჯანყების შედეგად ებრაელებმა დაიბრუნეს დამოუკიდებლობა, თითქმის იგივე საზღვრებში, რაც სოლომონის დროს იყო, მაგრამ, სამწუხა-როდ, მხოლოდ 80 წელი იარსება.

აუწერელია ის ტანჯვა-წამება, რაც ებრაელთა ერმა განი-ცა ბერძნების, რომაელების, სპარსელების, ჯვაროსანთა, ინ-კვიზიციისა და გერმანელ ფაშისტთა მიერ. პოგრომების თუ სხვა მრავალი შევიწროების თუ დაცინვის მიუხედავად, ეს ერი მუდამ იყო დაკავშირებული თავის სამშობლოსთან და იერუშა-ლაიმთან. თაობები ცხოვრობდნენ და კვდებოდნენ „მომავალ წელს აშენებულ იერუშალაიმში“ თქმით. 2000 წლის განმავლო-ბაში, რაც ებრაელებს არ გააჩნდათ თავიანთი სახელმწიფო, არ შეწყვეტილა ებრაელთა ცხოვრება წმინდა მიწაზე. ესენი ძირი-თადად მორწმუნე ებრაელები იყვნენ. ისინი ცხოვრობდნენ იე-რუსალიმში, ცფათში, ტივერიაში, ჰევრონში, ლუდში, იავნეში და სხვა ადგილებში.

საინტერესოა ისრაელის პირველი პრეზიდენტის, ხაიმ ვე-იცმანის გამონათქვამი იერუშალაიმის შესახებ: „როდესაც იე-რუშალაიმი ჩვენი სალოცავი ადგილი და დედაქალაქი იყო, ად-გილი სადაც ლონდონია, ჭაობი იყო“. მიუხედავად იმისა, რო-

მელ ქვეყანაში ცხოვრობდა ებრაელი, ის ყოველდღიურ ბრძოლას აწარმოებდა თავისი რჯულის, ადათ-წესების და რწმენის შესანარჩუნებლად. ისინი ყოველთვის ლოიალურნი იყვნენ ქვეყნის მმართველებთან, რომლებიც, თავის მხრივ, მათ იყენებდნენ სახელმწიფოსათვის საჭირო საქმეების გადაწყვეტილებებში. ამიტომაა, რომ ამ 2000 წლის განმავლობაში ჩვენ ვხდებით საკმაოდ ბევრ ებრაელს სახელმწიფო მართვაში. ამის გარდა, ბევრ სხვა სფეროშიც – მეცნიერება, მუსიკა ხელოვნება, სამხედრო – ებრაელებს ავანგარდული როლი ეკავათ. ეს ყველაფერი ებრაელებს საშუალებას აძლევდა, გამკლავებოდნენ ანტისემიტთა ყოველდღიურ შემოტევებს. ამის მაგალითია რაიფუსის სასამართლო პროცესი საფრანგეთში. ასეთივე პროცესები იმართებოდა რუსეთში, უკრაინაში, პოლონეთში და ბევრ სხვა ქვეყანაშიც. ძალიან საინტერესოა ილია ჭავჭავაძის შეხედულება ებრაელთა საკითხთან მიმართებით.

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შეეხო რა საერთოდ ებრაელთა საკითხს, წერდა:

„არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადახდენია. ამ ოდესმე დიდებულ და სახელგანთქმულ ერს ბედმა ხელიდან გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფადობა და განაბნია იგი მთელ დედამიწის ზურგზე, ჩათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდათ ყოველგვარი ტანჯვა და წვალება, აზიასა და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში, ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევდა უბედურ ერსა, რომელიც იბრძოდა და იბრძვის ყოველნაირის საშუალებით, რათა თავი დაიცვას და არ გახდეს მსხვერპლი იძულებისა და წამებისა. ამდენი ხანია, ეს ერი მოგზაურობს მთელს დედამიწის ზურგზე და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი სატანჯველი, რომელიც ებრაელებს არ გამოეცადოთ. აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიათ ებრაელთა სადევნელად და საწამებლად? არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგროს. სდევნიდნენ ებრაელს – ვითარცა ერს,

სდევნიდნენ – ვითარცა თავისებური სადა განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებლებთ, სდევნიდნენ – ვითარცა უსამართლო ეკონომიური წეს-წყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიურ მჩაგვრელებს. მდევნელები ხან ერთ საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს არ დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი.

ახლაც კი, როდესაც ეგოდენს ღადღადებენ კაცთმოყვარეობაზე, იმავე საბუთები სძალით სდევნიან იმათ, იქაც კი, სადაც თითქოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიძულვილსა და დაუნდობლობას. ეს რამდენი ხანია, ევროპაში არსებობს ეგრეთწოდებული ანტისემიტური, ესე იგი ებრაელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დაჩაგროს ებრაელნი. ნამეტნავად ავსტრიაში და გერმანიაშია ძლიერი იგი მოძრაობა, ისეთ წრეშიაც კი, რომლისგანაც ნაკლებად მოსალოდნელი და საფიქრებელი იყო. ჩვენ ვამბობთ ავსრტიისა და გერმანიის მწერლობის და განათლებული საზოგადოების ერთს ნაწილზე. ზოგი გაზეთი მუდმივ ებრაელთა წინააღმდეგ იბრძვის. სტუდენტებიც კი, რომლებისგანაც საფიქრებელიც არ უნდა იყოს რომელისამე ერის სიძულვილი, საქვეყნოდ ღადღადებენ და მოქმედებენ ებრაელთა წინააღმდეგ. ამასწინათ ვენაში აკურთხეს ძეგლი გლაზერისა, იუსტიციის მინისტრად ნამყოფისა. გლაზერი გვარტომობით ებრაელი ყოფილა და ამიტომაც, როცა უნივერსიტეტის რექტორმა, ფოკელმა დაიწყო ლაპარაკი განსვენებულის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, სტუდენტებმა შექმნეს ისეთი ხმაურობა, რომ უნივერსიტეტის მთავრობა იძულებული გახდა, შეეჩერებინა დღესასწაული. სტუდენტები გამოვიდნენ უნივერსიტეტის დარბაზიდან და, როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთი უფროსი აღმოჩნდა ანტისემიტურის მიმართულებისა. ასე განსაჯეთ, ანტისემიტური გრძნობა არ დაცხრა არც მეცნიერების ტაძარში განსვენებულის სახელის წინაშე. გარდა ამისა, ამასწინათ, როცა ასამართლებდნენ შნერერს, ამ უკანასკნელის მომხრეებმა საქვეყნოდ აღიარეს, შნერერს რომ ებრძანებინა ჩვენთვის, ებრაე-

ლებს თავს დაეცით და ამოსწყვიტეთო, ჩვენ ხმაამოუღებლად შევასრულებდით მის ბრძანებასაო.

ანტისემიტურ მოძრაობას ძალიან დაუფიქრებია გერმანიის მმართველობაც. ამას მოწმობენ ზოგიერთი გაზეთები, რომელნიც ლაპარაკობენ ებრაელთა ყოფა-მდგომარეობაზე. ეს გაზეთები ამბობენ, რომ სხვა ქვეყნებშიც უფრო ძლიერდება ეს ანტისემიტური მოძრაობაო. ამის მიზეზი ეროვნული სიძულვილი და რელიგიური ფანატიზმი კი არ არის, არამედ ეკონომიური ძლიერება ებრაელთა კაპიტალისტებისა, რომლების ხელში გროვდება აუარებელი სიმდიდრე საფრანგეთისა, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოებისაო. ამ გარემოებას არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, არამედ პოლიტიკურიცაო და თუ ებრაელთა ეკონომიურს გაძლიერებას თავის დროზე არ შევებრძოლებით, კაპიტალის ხელში მოიქცევა ბედი და უბედობა ერთადა მეფეთაო. ყველანი იმას ჩივიან, რომ ანტისემიტური მიმართულება თანდათან უფრო და უფრო ძლიერდება, ნამეტნავად განათლებულ საზოგადოებაშიო.

რასაკვირველია, ეს გარემოება ნამეტნავად საფიქრებელია, რადგანაც განათლებულ საზოგადოებას დიდი გავლენა აქვს ევროპის ყოფა-ცხოვრებაზე. ამ ნაწილს საზოგადოებისა შეუძლიან, თავისი კვალი დააჩნიოს ებრაელთა ბედს და უბედობას. 1886 წელი“.

ანტისემიტთა მძაფრ შემოტევებს ნელ-ნელა უპირისპირდებოდა ებრაელთა წინააღმდეგობა. ახალგაზრდა ებრაულმა ინტელიგენციამ დაიწყო ფიქრი პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნაზე. 1897 წელს, ბაზელში გამართულ სიონისტთა პირველ ყრილობაზე, თავის გამოსვლაში ბენიამინ ზეევერცელმა გამოიყენა გამოთქმა: „არ გეგონოთ, რომ ეს არის ლეგენდა“. ის გულისხმობდა სახელმწიფოს შექმნას. კავკასიიდან ერთადერთი წარმომადგენელი რაბი დავიდ ბააზოვი, გერცელ ბააზოვის მამა იყო 1913 წელს ფრანკფურტში გამართულ სიონისტთა კონფერენციაზე კი საკმაოდ დამახასიათებელი გამოსვლები იყო. მოხსენებების წაკითხვა წიგნიდან. სიონისტური კონგრესის შედეგად პალესტინაში დაიწყო ალიის, ანუ,

„ებრაელთა ამოსვლა“ ტალღა, ძირითადად რუსეთიდან და პოლონეთიდან.

1901 წელს, მეხუთე სიონისტური კონგრესის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ისრაელის არსებობის ფონდი „კერენკა იემეთლე ისრაელ“, რომელსაც ევალებოდა პალესტინაში მიწების შესყიდვა და მისი მომზადება ებრაული დასახლებებისთვის. 1920 წელს დაარსდა „კერენაიესოდ“, რომელსაც ევალებოდა ებრაელთა დიასპორის კონსოლიდაცია და ფულადი შეწირულობების კონცენტრაცია. 1909 წელს დაარსდა პირველი კიბუცი დგანია და პირველი ებრაული ქალაქი თელავივი.

1917 წელს დამთავრდა ოსმანთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობა პალესტინაში, რომელიც შეცვალა დიდმა ბრიტანეთმა; იმავე წელს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბალფურის მხარდაჭერა ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ; 1919-1923 წლებში მესამე ალია, ძირითადად რუსეთიდან. ბრიტანეთის მანდატით და, აგრეთვე, სიონისტური ორგანიზაციების მოქმედებით, პალესტინას მოაწყდა ალია რუსეთიდან, პოლონეთიდან გერმანიიდან, რომელმაც ამ ხრიოკ და გამოფიტულ ქვეყანას განვითარების პერსპექტივა მოუტანა. ქვეყანა ნელ-ნელა ვითარდებოდა და წინ მიიწევდა. ამ პროცესს ხელს უშლიდა არაბულ ექსტრემისტთა მოქმედება. ებრაელთა მასობრივი ხოცვა ჰევრონში (1929 წ.), იერუსალიმში (1936 წ.) გამანადგურებლად მოქმედებდა ამ ორი ერის ურთიერთობებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიტანეთის მთავრობას ცალსახად ეჭირა არაბების მხარე. ეს გამოიხატებოდა ებრაული ემიგრაციის ძალიან დაბალი კვოტის დაწესებაში. მაშინ, როცა გერმანული რაიხის მანქანა უფრო და უფრო მეტ სისასტიკეს იჩენდა ებრაელების მიმართ, დიდი ბრიტანეთი ყოველ ღონეს ხმაროობდა, რომ პალესტინაში ებრაელთა რიცხვი არ გაზრდილიყო. თითქმის ყველა ევროპულმა სახელმწიფომ, გარდა ბულგარეთისა, ებრაელებს საზღვარი ჩაუკეტა. გამალებით მუშაობდა გაზების კამერები, სადაც განწირული ებრაელები შეჰყავდათ მახრჩობელა გაზის სივრცეში. შესასვლელთან ვაგნერის მუსი-

კა უკრავდა. ეს იყო ცივილიზებული ევროპელების ჰუმანური მიდგომა ებრაელთა საკითხის გადაწყვეტის მიმართ.

ბატონებო, დღესაც, 85 წლის შემდეგ ფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლიდან, ებრაელთა რიცხვმა მსოფლიოში ვერ მიაღწია ებრაელთა რიცხვს ჰოლოკოსტამდე. ბატონებო, დღესაც, ფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლიდან 85 წლის შემდეგ, ებრაელთა რიცხვი მსოფლიოში ვერ გაუტოლდა ებრაელთა რიცხვს ჰოლოკოსტამდე. ომის დამთავრების შემდეგაც, დიდმა ბეიტანეთმა დააწესა სასაცილო, ტრაგედია რომ არ ყოფილიყო, პალესტინაში ამომსვლელ ებრაელთა კვოტა, 75 000 ებრაელი ხუთი წლის განმავლობაში, მაშინ, როცა მილიონობით განადგურებული ებრაელი უსახლკაროდ დაეხეტებოდა. აქ გამოიკვეთა „მოსადის“ მოქმედება, რომელიც ყოველნაირი ხერხით ცდილობდა ებრაელთა არალეგალურად შემოყვანას. ეს ეპოპეა შესანიშნავადაა აღწერილი წიგნში „ექსოდუსი“, რომელიც ნამდვილ ფაქტებს ეყრდნობა. ამის გარდა, ტრანსიორდანიის ხელოვნურად შექნაში, სადაც 75% არაბებს ერგო და მხოლოდ 25% ებრაელებს, თვით ტერიტორიის განაწილებაც ისე იყო, რომ შეტაკებები გარდაუვალი იყო. ამ ანტიებრაული პოლიტიკის შედეგად მსოფლიომ მიიღო კიდევ ერთი საომარი მოქმედების არენა.

მიუხედავად ამისა ებრაული დასახლება, თავის მხრივ, ვითარდებოდა და ემზადებოდა მომავალი სახელმწიფოსთვის. 1920 წელს შეიქმნა ებრაელ მშრომელთა პროფკავშირები, ებრაული თავდაცვის ორგანიზაცია „ჰაგანა“, 1922 წელს კი – ებრაული სააგენტო. 1915 წელს ამერიკაში შეიქმნა ამერიკელ ებრაელთა კომიტეტი „ჯოინტი“, რომელიც მოწოდებული იყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ გაჭირვებულ ებრაელთა დასახმარებლად. 1931 წელს შეიქმნა ებრაელთა არალეგალური სამხედრო ორგანიზაცია „ეცელ“. 1941 წელს კი – „პალმახი “ და „ლეხი“. ბრიტანულ არმიაში შეიქმნა ებრაული ბრიგადები, რომლებიც მონაწილეობდნენ ნაცისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში. „ეცელი“ და „ლეხი“ რადიკალურად განწყობილი სამხედრო დაჯგუფებები იყო, მათი მეთაურები იყვნენ

მენახე მბეგინი და იცხაკ შამირი, პალმახს, ჰაგანას კიბენ გურიონი. ყველა ეს ორგანიზაცია ემზადებოდა მეზობელი ქვეყნების ინტერვენციისთვის. პირველი ორი ორგანიზაცია ბევრ სამხედრო ოპერაციას აწარმოებდა ბრიტანული მანდატის წინააღმდეგ. სასტუმრო „კინგ დევიდის“ აფეთქება მათი პროდუქტი იყო. ამ აქტმა საბოლოოდ გადააწყვეტინა ბრიტანეთის მთავრობას მანდატის შეწყვეტა. მათ გამოაცხადეს, რომ 1948 წლის 14 მაისს ბოლო ჯარისკაცი დატოვებდა პალესტინას. ამ გადაწყვეტილების პასუხად ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა. 1947 წლის 29 ნოემბერს ერთა საბჭოში გაიმართა დრამატული კენჭისყრა, სადაც ხმების უმრავლესობით გადაწყდა ისრაელის შექმნა პალესტინაში. მანდატის დამთავრების მეორე დღესვე, ე.ი. 15 მაისს, ხუთმა არაბულმა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა ისრაელს და დაიწყო უმძიმესი განმათავისუფლებელი ომი. ამ ომს წინ უძღოდა ყველა ევროპული ქვეყნის მიერ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის ემბარგოს გამოცხადება. ეს ისრაელისთვის სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, რამეთუ მის წინ კბილებამდე შეიარაღებული და გაწვრთნილი არმიები იდგნენ, ის კი კუსტარული და თვითნაკეთი იარაღით იბრძოდა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ემბარგოს არ დაემორჩილა და ისრაელს იარაღი მიაწოდა, იყო ჩეხეთი პრეზიდენტ ბენეშის მეთაურობით. ამ ომის პარალელურად ისრაელი იღებდა ასი ათასობით არაბული ქვეყნიდან გამოძევებულ ებრაელებს. თუ დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ისრაელში ცხოვრობდა 600 000 ებრაელი, სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ეს ციფრი ორნახევარჯერ გადიდდა. მოსახლეობის ასეთი ზრდა ყველაზე განვითარებული ქვეყნისთვისაც მომაკვდინებელია, არათუ ისრაელისთვის. ახალამოსულებს ხვდებოდა ერეც ისრაელის ჩრდილოეთში ჭაობი და მალარია, სამხრეთით კი – უდაბნო და ხრიოკი, სილიანი ნიადაგი. ამ საშინელ გამოცდასაც გაუძლეს ებრაელებმა და არაბებს სახვეწარი გაუჩნდათ სამშვიდობო ზავზე წასვლა. ნელ-ნელა ითვისებდნენ ერთ ხელში თოხით, მეორეში კი თოფით ჭაობიან მიწას და სამხრეთით კი ხრიოკ მიწას. რამ-

დენიმესაათიანი ლექციაც კი არ ეყოფა იმ საგმირო საქმეების ჩამოთვლას, რასაც აკეთებდნენ გუშინდელი საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოსული და დაუძლურებული ადამიანები. ტრუმპელდორის გმირობით შენარჩუნებული ჩრდილოეთის ნაწილი და სამხრეთით კი, ერთ ღამეში, 18 დასახლების შექმნა – აი, ასეთი რეალობით დაიწყო ებრაელმა ერმა თავისი 2000 წლის წინ დაკარგული სამშობლოს აღდგენა. გაცოცხლდა მივიწყებული ივრითული ენა და მდიდრდებოდა მისი სიტყვიერი არსენალი.

ისრაელის ომები

ყველაზე მძიმე და ხანგრძლივი ისრაელის ომებში იყო განმათავისუფლებელი ომი, რომელიც ინგლისელების გასვლისთანავე დაიწყო. ბევრ სამხედრო სპეციალისტს და ქვეყნის ლიდერებსაც მიაჩნდათ უდღეური სახელმწიფოს ბედი. ხუთი არაბული, კბილებამდე შეიარაღებული არმია ებრძოდა ახლად შექმნილ ისრაელის თავდაცვის არმიას. გასაკვირი გმირობითა და შემართებით იბრძოდა იერუშალაიმში მომწყვდეული მცირერიცხოვანი ჯარი, ალყაში მომწყვდეულ იერუშალაიმს სურსათისა და იარაღის მიწოდება. დღესაც, თელავივიდან იერუშალაიმში მიმავალ გზაზე გამოფენილია ის დამწვარი სატვირთო ავტომანქანები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ მაშინდელ სისხლიან შეტაკებებზე. საბოლოოდ არაბების მოთხოვნით დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომელიც გაცილებით უარესი იყო არაბებისთვის, ვიდრე პირველად მათთვის შეთავაზებული გეგმა. 1956 წელს ეგვიპტემ ჩაკეტა სუეცის არხი, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიოს სატრანსპორტო არტერია, რამაც გამოიწვია ისრაელ-საფრანგეთ-ინგლისის არმიების მეშვეობით სინაის ნახევარკუნძულის დაპყრობა და ამ არტერიის განთავისუფლება. აშშ და საბჭოთა კავშირის ზეწოლით სინაი დაუბრუნდა ეგვიპტელებს, მაგრამ სუეცის არხი გაიხსნა. მთელი ამ ხნის მანძილზე არაბი ფედაინელები (ტერორისტები) ტერაქტებს უწყობდნენ ებრაულ დასახლებებს. ახლა უკვე საკმა-

ოდ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ისრაელის არმია საკადრისად პასუხობდა მომხვდურებს.

1967 წელი ეგვიპტის საინფორმაციო ომით დაიწყო. ისინი ყველა დანაშაულში ისრაელს „ამხელდნენ“. ისრაელის მთავრობა გრძნობდა, რომ ამ თავხედურ ყვირილს მოყვებოდა პრაქტიკული მოქმედებაც. მარტის თვეში ნასერმა სთხოვა გაერო-ს, გაეყვანა საერთაშორისო ჯარი დემოკრაციული ზონიდან და იქვე შეიყვანა თავისი დივიზიები, რაც 1956 წლის ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა. ისრაელი ემზადებოდა ომისთვის, მისი ყველა შენაერთი მოქმედებდა ამ მიმართულებით. ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 5 ივნისს, გამთენიას, ისრაელის საჰაერო ძალებმა მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა ეგვიპტეს. საათნახევრის განმავლობაში მიწაზე განადგურდა მოწინააღმდეგის თვითმფრინავების 75% და თითქმის ყველა ასაფრენი ზოლი ეგვიპტის ყველა აეროდრომზე. ნასერი გაიძახოდა მის ბრწყინვალე გამარჯვებაზე, რაც სირიამ დაიჯერა და მანაც ომი დაიწყო ისრაელის ჩრდილოეთით. ისრაელის დაზვერვამ მოუსმინა ნასერისა და იორდანიის მეფის – ჰუსეინის საუბარს, სადაც ის არწმუნებდა ბრწყინვალე გამარჯვებაში. მიუხედავად ისრაელის გაფრთხილებისა, ჰუსეინმა ომი გამოუცხადა ისრაელს. სამივე ფრონტზე ისრაელმა 6 დღის განმავლობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ყველაზე დიდი მიღწევა იყო იერუშალაიმის აღმოსავლეთ ნაწილის განთავისუფლება და გოდების კედლის დაუფლება. ამის შემდეგ დაიწყო „ომი გამოფიტვაზე“ ორივე ფრონტზე. კისინჯერის მცდელობით, ეს ომიც შეწყდა. ამ ომის შედეგად ისრაელის ხელში აღმოჩნდა მთელი სინაის ნახევარკუნძული, იერუშალაიმი, ტერიტორიები მდ. იორდანიის ნაპირამდე, გოლანის მაღლობები. ისრაელის არმია დამასკოდან 56 კმ-ში იმყოფებოდა.

1973 წლის 6 ოქტომბერს, სირიისა და ეგვიპტის ჯარებმა ებრაელების ყველაზე წმინდა დღეს, ქიფურში, ომი დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ დაზვერვამ მთავრობა გააფრთხილა, ამას ისრაელი მაინც მოუმზადებელი შეხვდა. არაბებმა მოულოდნელი ომით პირველ ხანებში გარკვეულ წარმატებას მიაღ-

წიეს, მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ამ დღეს, როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სალოცავებშია, ისრაელის გზები თავისუფალია და რეზერვის მობილიზაცია უმოკლეს ვადაში მოხდა. ეგვიპტელთა არმიამ სინაის გარკვეული ნაწილი დაიპყრო, ხოლო სირიელთა ნაწილები კი კინერეთის ტბას უახლოვდებოდა. აქ გამოჩნდა ისრაელის სამხედრო უპირატესობა. არიკ შარონის დივიზიამ ეგვიპტელთა მე-2 და მე-3 არმიების შუა გაიარა, გადალახა სუეცის არხი და ეგვიპტელთა ღრმა ზურგში საომარი მოქმედებები დაიწყო, იმდენად წინ წავიდნენ, რომ რუსების ზეწოლის გამო შეჩერდნენ კაიროდან 101 კმ-ზე. სირიასთან კი იმდენად სწრაფად მოახდინეს სირიელთა სამხედრო პოტენციალის განადგურება, რომ უკვე ომის მე-5 დღეს ისრაელის არმიამ დამასკოდან 26 კმ-ს მიაღწია, სადაც შეჩერებულ იქნა აშშ-ს და საბჭოთა კავშირის მიერ.

შემდეგ ომები უკვე პალესტინელებთან გაჩაღდა, რომელიც დღემდე გრძელდება. მათ მოთხოვნებს საზღვარი არა აქვს. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

ისრაელი 70

70 წლის გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ ისრაელი არის მე-20 საუკუნის სასწაული და იმედი გვაქვს, რომ ეს ტენდენცია 21-ე საუკუნეშიც იქნება. ქვეყანა, რომელიც ომების პარალელურად იღებდა ალიას სხვადასხვა ქვეყნიდან, ახერხებდა, მინიმალურად დაეკმაყოფილებინა რეპატრიანტები საცხოვრებელი ფართით და სამუშაო ადგილებით. პარალელურად ხდებოდა მრეწველობის ბევრი დარგის ამოქმედება. ისრაელს სოფლის მეურნეობის მიმართულებით მაღალი ტექნოლოგიების დანერგვაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს, ძალიან მაღალ საფეხურზეა მედიცინა, სამხედრო მრეწველობა, მსუბუქი თუ მძიმე მრეწველობა, კომპიუტერული ტექნოლოგია და ბევრი სხვა რამ. ისრაელის ბიუჯეტმა 100 მლრდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. ისრაელის სახელმწიფო ბანკის გააზრებული მოქმედების გამო, თავიდან იქნა აცილებული ბოლო

წლების საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისები. ისრაელის ეკონომიკა მცირეა, მაგრამ მისი ეკვივალენტური წონა საერთაშორისო ბირჟებზე საკმაოდ დიდია. ცოტა ხნის წინ სარეკორდო ფასად, 40 მლნ დოლარად, გაიყიდა ისრაელის ფირმა „მობილაი“. ისრაელის ფირმების გაყიდვა 4-5 მლრდ დოლარად ჩვეულებრივ ამბად იქცა. ისრაელში მოქმედებენ მსოფლიოს უდიდესი კომპანიები, მაგალითად, „ინტელი“, „მოტოროლა“, „ჩეკპოინტ“, „ამადოქს“, „ტევა“, „აი.ბი.ემ.“ და ბევრი უცხოური თუ ადგილობრივი ფირმა. ისრაელის საკმაოდ ბევრი ფირმა მონაწილეობს ამერიკის საბირჟო ოპერაციებში „ნასა“ და „ნასდაკ“. ისრაელის მკვდარი ზღვის ქარხნები, საავიაციო, ტელეკომუნიკაციის, ლინზების, კომპიუტერული ტექნიკისა და ბევრი სხვადასხვა დარგის საწარმო ქვეყნის სიამაყეა. სოფლის მეურნეობის ნებისმიერი დარგი უაღრესად განვითარებულია.

ამ უდიდეს წარმატებათა შედეგად ერთ სულ მოსახლეზე მოდის საკმაოდ დიდი თანხა. საშუალო ხელფასი უახლოვდება $3000-ს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბინების ფასი ისრაელში გაცილებით მაღალია, ვიდრე დასავლეთის განვითარებულ ბევრ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქვეყანა ხარაჩოებშია ჩაფლული (13500 სამშენებლო ობიექტია).

ისრაელი ბრილიანტების და ძვირფასი ქვების მსოფლიო ცენტრია. ისრაელის ბრილიანტების ბირჟა თავისი ბრუნვით მსოფლიოში უდიდესია. ბოლო წლებში ძვირფასი ქვების დამუშავება კომპიუტერული მეთოდებით სულ უფრო ვითარდება.

ქიმიური მრეწველობა ისრაელში ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ამ თვალსაზრისით, მკვდარი ზღვის ქარხნები მსოფლიოში მოწინავეა.

Jacob Ofir

Israel 70

Summary

Based on 70 years experience, we may say that Israel is a wonder of 20th century and we hope that this tendency will continue in 21st century. The country that simultaneously with wars accepted aliyah from various countries managed to provide repatriates with minimum residential premises and jobs. At the same time many industrial activities developed. Israel takes one of the first places in introduction of high technologies in the agriculture, medicine, military industry, consumer goods and large-scale industries, computer technologies and many other industries are also highly developed in Israel. Israel budget exceeds 100 milliard US dollars. Due to smart actions made by Israel state bank, international economical crisis of recent years was overcome. Economics of Israel is small; however, its equivalent weight on international exchanges is quite big. A short time ago Israel firm Mobilay was sold for the record price of 40 milliard US dollars. Usually Israel firms are sold for 4-5 milliard US dollars such as: Intel, Motorola, Semiconductor, Check Print, Amadox, Teva, IBM and many other global and Israel firms. Many Israel firms participate in the American exchange Nasa, Nasdaq operations. Israel Dead Sea plants, aviation, telecommunication, lenses, computer equipment and great deal of other industries constitute pride of our country. All agricultural industries are on the highest level in Israel. Result of these great successes is amount of money per a person. Average monthly salaries are close to $3000. At the same time we should note that flat prices are much higher in Israel than in many Western developed countries despite intensive construction, which has been fulfilled in the country. At present 13500 objects are under construction. Israel is the world centre of diamonds and other precious stones. Israel diamond exchange turnover is the biggest one in the world. For recent years precious stones have been processed mainly through computer methods. The chemical industry occupies a leading place. The Dead Sea plants take the leading place in the world among plants of this industry.

ლალი გულედანი
ნინო ენუქიძე

კონფორმულობასა და წინასწარგანწყობასთან დაკავშირებული ტერმინები ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებში

კვლევა ეხება სოციალურ ფსიქოლოგიასთან, უფრო კონკრეტულად კი კონფორმულობისა და წინასწარგანწყობის ფენომენთან დაკავშირებულ ლექსიკას, მის გამომხატველ საშუალებებსა და ტერმინებს ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებში.

ნაშრომის მიზანია, განვმარტოთ ამ ფენომენების არსი; რაც მთავარია, გამოვკვეთოთ ამ სამ ენაზე არსებულ დარგობრივ ტექსტებსა და ლექსიკონებზე დაყრდნობით, ის ძირითადი ტერმინები, რომლებიც მათი განხილვისას გამოიყენება; გავაკეთოთ მათი შედარებითი ანალიზი სხვადასხვა ენაზე და გავარკვიოთ, თუ როგორ გადადის ესა თუ ის ტერმინი ინგლისური ენიდან ებრაულსა და ქართულში და რა სიძნელეებსა თუ კულტურულ განსხვავებებს ვაწყდებით ამ პროცესში, ვისაუბროთ ამ სირთულეების სავარაუდო მიზეზებზე. კვლევაში ასევე წარმოდგენილი იქნება ტერმინების კლასიფიკაცია ინგლისური ენიდან ქართულსა და ებრაულში გადასვლის რაგვაროობის მიხედვით. ამ მიზნით შესწავლილი იქნება ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის ელიოტ არონსონის პოპულარული კვლევა „სოციალური ცხოველი“ [11], რომელიც ბევრ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის, ქართულზე [1] და ებრაულზეც [20]. ქართული თარგმანი შესრულებულია ქ. თოდაძის, ა. მაყაშვილისა და ე. ბერიკიშვილის მიერ, ხოლო ებრაული – ავივა გურის მიერ.

ამ საკითხისადმი ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი ფსიქოლოგიური ტერმინების კვლევების ნაკლებობამ გამოიწვია, რაც ზრდის მოტივაციასა და აუცილებელს ხდის ჩვენ მიერ ამ ტიპის ტერმინების ანალიზის, მათი თარგმნისა და სამ სხვადასხვა ენაში ადაპტაციის საკითხის შესწავლას. მით უმეტეს, რომ ფსიქოლოგიის ისეთი სფეროები, როგორიცაა: კონფორ-

მულობა და წინასწარგანწყობა, ამ თვალსაზრისით, სრულიად შეუსწავლელია, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიური კუთხით ეს საკითხები ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა გასაანალიზებელი საკითხების თანმიმდევრობა, რომელიც ქართულ, ინგლისურ და ებრაულ ენებში კონფორმულობასა და წინასწარგანწყობასთან დაკავშირებული ტერმინების გამოყოფას და კვლევის აღწერითი და შეპირისპირებითი მეთოდის ანალიზის მეთოდების გამოყენებით ამ თემატიკის ლექსიკის, მათი გამოხატვის საშუალებების, დარგობრივად გამიჯნული ფსიქოლოგიური ტერმინების შედარებას და ორ ენაზე მათი თარგმნის პრობლემატიკის შესწავლას ეხება.

რაც შეეხება საკვლევ კორპუსს, გამოყენებულ იქნა ამ სამ ენაზე იდენტური დარგობრივი მასალა და მათი დეტალური ანალიზის საფუძველზე განხორციელდა ჩვენი კვლევის ზემოთ მითითებული მიზნები. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაზე და ლექსიკონებზე დაყრდნობით, გადაიჭრა კვლევის დასახული ამოცანები: ტერმინების ცნების განსაზღვრა, მათი კლასიფიკაცია შინაარსობრივად, კონკრეტული მაგალითების განხილვა-განმარტება და ა.შ.

კვლევის შედეგები გარკვეულ სამეცნიერო წვლილს შეიტანს როგორც ფსიქოლოგიის, ასევე ლინგვისტიკის დარგებით დაინტერესებულთათვის და მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის ამ სფეროებში მოღვაწე ადამიანებს. ასევე, საინტერესო იქნება ისეთი პრაქტიკული სფეროსთვის, როგორიცაა მთარგმნელობითი საქმიანობა.

სტატიის შესავალში სხვადასხვა მკვლევრის ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, შევეცდებით პასუხი გავცეთ ისეთ კითხვებს, როგორიცაა: რას წარმოადგენს სოციალური ფსიქოლოგია და რა როლი უკავია კონფორმულობასა და წინასწარგანწყობას ჩვენს ყოველდღიურობაში, ზოგადად, რა არის ტერმინი და მის რა კატეგორიებს ვხვდებით სოციალურ ფსიქოლოგიაში, ასევე, როგორ შეიძლება ამ ფენომენებთან

დაკავშირებული ტერმინების კლასიფიკაცია სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით.

შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მიჯნაზეა. სოციოლოგიისგან განსხვავებით, რომლის მიზანიც ადამიანის შესწავლაა ჯგუფსა და საზოგადოებაში, სოციალური ფსიქოლოგია უფრო მეტად ინდივიდზე ორიენტირდება ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებით. ხოლო პიროვნების ფსიქოლოგიისგან განსხვავებით, ის უფრო ნაკლებადაა ორიენტირებული ინდივიდებს შორის განსხვავებებზე და უმეტესად ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ ხედავენ და როგორ გავლენას ახდენენ ინდივიდები ერთმანეთზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, „სოციალური ფსიქოლოგია დამაინტრიგებელი კითხვების დასმის გზით, სწავლობს ჩვენს ფიქრებს, გავლენებსა და ურთიერთობებს“ [16. 4]. უფრო ნათლად რომ დავინახოთ, თუ რა არის ამ დარგის ინტერესის სფეროები, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ის სამი პუნქტი, რომლებსაც მეიერსი სოციალური ფსიქოლოგიის ძირითად საკითხებად მიიჩნევს: სოციალური აზროვნება გულისხმობს, რომ ა) ჩვენს სოციალურ რეალობას ჩვენ თვითონვე ვაგებთ, ბ) ჩვენი სოციალური ინტუიციები ძლიერი და ხანდახან სახიფათოა და გ) ატიტუდები (ფესვგადგმული დამოკიდებულებები) აყალიბებს ქცევას და პირიქით, ატიტუდებიც ქცევებისგან ფორმირდება. სოციალურ გავლენაში კი მოიაზრება ის, რომ დისპოზიციები (რაიმესადმი მიდრეკილება და მიმღებლობა) და სოციალური გავლენა აყალიბებს ქცევას, ხოლო სოციალური ურთიერთობები გულისხმობს, რომ ა) სოციალური ქცევა ბიოლოგიურიცაა და ბ) გრძნობები და ქმედებები ხალხის მიმართ ხან პოზიტიური, ხან კი უარყოფითია. ყველა ეს „დიდი იდეა“ კი სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლებია, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება [16. 6]. სოციალური ფსიქოლოგია ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებით ფოკუსირდება ინდივიდზე და იმაზე, თუ როგორ ხედავენ და როგორ ზემოქმედებენ ინდივიდები ერთმანეთზე [16. 4]. არონსონის აზრით, სოციალური ფსიქოლოგიის მთავარი ამოსავალი

წერტილი სოციალური ზეგავლენის ცნებაა, რომლის შესწავლითა და გაანალიზებითაც შესაძლოა, გავიგოთ, თუ რატომ და როგორ ვექცევით სხვების გავლენის ქვეშ, რა ცვლადები ზრდის ან ამცირებს ამ გავლენას, რა შესაძლო ფაქტორები უდევს ერთი ადამიანის მიმართ გამოხატულ სიმპათიას და მეორის მიმართ გამოხატულ ანტიპათიას ან სულაც აგრესიას და ა.შ. [1. 19-20].

პირველად ადამიანს სოციალური ცხოველი დაახლოებით 24 საუკუნის წინ არისტოტელემ უწოდა [11. 1-15; 7]. ამავე სახელწოდებისაა ელიოტ არონსონის ნაშრომი, სადაც იგი წერს, რომ იმის გამო, რომ ჩვენ, ყველანი, სოციალური ცხოველები ვართ, ინდივიდუალური და კონფორმულობასთან დაკავშირებული ღირებულებების მუდმივ ჭიდილში ვიმყოფებით [11. 13]. მეიერსის აზრით კი, დასავლურ ინდივიდუალისტურ კულტურაში, სადაც ზეწოლის მორჩილება არამიმზიდველად ითვლება, სიტყვა „კონფორმიზმი“ უარყოფითი შინაარსის მატარებელია და ის ვარაუდობს, რომ ამ კულტურის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის საწყენი იქნებოდა, თუ მას ვიღაც „ნამდვილ კონფორმისტად“ დაახასიათებდა [16. 188]. ფაქტი არის ერთი – როგორც არონსონი იტყოდა, არაკონფორმისტებს ადიდებენ ისტორიკოსები, მათ შესახებ იქმნება ფილმები და იწერება წიგნები, ხოლო მათ თანამედროვეებში, განსაკუთრებით კი მათ შორის, ვის დავალებებსაც ისინი არ ასრულებენ, ისინი დიდი სიმპათიით ნამდვილად ვერ სარგებლობენ [16. 17]. ფსიქოლოგიაში ვხვდებით ისეთ განმარტებასაც, რომელიც კონფორმულობას აღწერს, როგორც ადამიანებისთვის დამახასიათებელ ტენდენციას, დაეთანხმონ და მოერგონ რეფერენტული ჯგუფის დანარჩენ წევრებს, მათ განწყობებს, ღირებულებებსა და ქცევებს [4. 705].

მწერალს, დრამატურგსა და ჟურნალისტს ჯეიმს ტერბერს ეკუთვნის ფრაზა: „რატომ უნდა იყო არაკონფორმისტი, როგორც ყველა სხვა დანარჩენი?“ მან კონფორმულობის არსი შესანიშნავად გადმოგვცა თავის წიგნში „My Life and Hard Times“

შემდეგი მაგალითის მოხმობით: წარმოიდგინეთ, რომ უეცრად ქუჩაში ვიღაცამ სირბილი დაიწყო. მის მოტივს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. ჩავთვალოთ, გაახსენდა, რომ რაიმე გადაუდებელი საქმე ჰქონდა შესასრულებელი. მას თავიდან ერთი ადამიანი აჰყვა სირბილში, შემდეგ მათ კიდევ ორი ადამიანი შეემატა და დაახლოებით 10 წუთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ მომენტში, ვინც კი იმ ქუჩაზე იყო, ყველა გარბოდა. შემდეგ უკვე ამ გაუგებარ ბგერებში გამოიკვეთა სიტყვა „წყალდიდობა". მიუხედავად იმისა, რომ არავისთვის იყო ცნობილი, პირველად ვის აღმოხდა ეს სიტყვა, მაინც ყველა ამ „სტიქიას" გაურბოდა [18. 41-48]. როგორც ვნახეთ, პიროვნების საქციელზე მეტად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია დანარჩენი ადამიანების ქმედებებს. ხშირად რაიმე მოვლენის შემსწრეები ერთმანეთს უმტკიცებენ უმოქმედობას და ერთმანეთის „წამხედურობით" ისინი ინდიფერენტულ ქმედებას ავლენენ. როდესაც მოწმე მარტოა, მას თავის თავზე უწევს პასუხისმგებლობის აღება და ირგვლივ არავინ ჰყავს, ვის საქციელსაც „მიბაძავს". ამ მსჯელობით, არცაა გასაკვირი, რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტი ადამიანია ირგვლივ, მით უფრო იზრდება კონფორმულობის გამოვლენის ალბათობა და ამ შემთხვევაში ჩაურევლობის რისკიც.

ჯგუფის წინააღმდეგ წასვლის ტენდენციაში არსებობს მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებებიც, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა კულტურაში დამკვიდრებულ ანდაზებშიც. როდ ბონდმა და პიტერ სმიტმა (Rod Bond and Peter B. Smith) ჩაატარეს კვლევა, რომელსაც უნდა გაერკვია, არის თუ არა კონფორმულობა კროსკულტურულად დაკავშირებული ინდივიდუალიზმთან და კოლექტივიზმთან. კვლევებმა, რომლებიც 17 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა, გამოავლინა, რომ კონფორმიზმის შემთხვევები მეტად ჭარბობს კოლექტივისტურ საზოგადოებაში, მაგალითად, ჩინეთსა და იაპონიაში, ვიდრე ინდივიდუალისტურ კულტურებში, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკა და საფრანგეთი [12.111, 114, 124].

რაც შეეხება წინასწარგანწყობას, შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც რაიმე ნიშნით გამორჩეული ჯგუფის მიმართ

მტრული ან ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც მცდარ ან არასრულყოფილ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღმოცენებულ განზოგადებას ეფუძნება. არონსონის მიხედვით, წინასწარგანწყობა სამი კომპონენტისგან შედგება – კოგნიტური კომპონენტი, რომელიც სტერეოტიპსა და ჯგუფის შესახებ გარკვეულ რწმენას გულისხმობს, ემოციური კომპონენტი, რომელიც ჯგუფის მიმართ ანტიპათიასა და მის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას ეხება და ქცევითი კომპონენტი, რომელშიც ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული პრედისპოზიცია (მიდრეკილება) იგულისხმება [11. 303]. მსგავს განმარტებას ვხვდებით ოლპორტთანაც – მისი აზრით, წინასწრგანწყობა ანტიპათიაა, რომელიც არასწორ და მყარად ფესვგადგმულ განზოგადებას ემყარება [10. 9]. მეიერსი კი წინასწარგანწყობას განმარტავს, როგორც რაიმე ჯგუფისა და მასში შემავალი წევრების წინასწარ განსჯას უარყოფით კონტექსტში, თუმცა აღნიშნავს იმასაც, რომ ზოგიერთი განმარტების მიხედვით, წინასწარგანწყობა დადებითი ხასიათის განსჯასაც მოიაზრებს [16. 302]. საულ მაკლეოდის მიხედვით კი, წინასწარგანწყობა ინდივიდისადმი დაუსაბუთებელი ან არასწორი, როგორც წესი, უარყოფითი დამოკიდებულებაა, რომელიც მხოლოდ ადამიანის რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობას ეფუძნება (15). ზიმბარდოსეული განმარტების მიხედვით, რომლის ქართულენოვან ვარიანტშიც ეს ტერმინი „ცრურწმენით“ გვხვდება, ეს ფენომენი წინასწარ დასწავლილი დამოკიდებულებაა (ატიტუდი) სამიზნე ობიექტის მიმართ, რომელიც ნეგატიურ გრძნობებსა და რწმენებს (არმოწონება, შიში და სტერეოტიპები) მოიცავს. ეს ნეგატიური გრძნობები და შეხედულებები ამართლებს არსებულ დამოკიდებულებებს და ქცევით განზრახვებს, რომლებიც მოცემული სამიზნე ჯგუფის წევრების თავიდან აცილებას, კონტროლირებას ან განადგურებას ემსახურება. არასწორი შეხედულებები წინასწარგანწყობად მაშინ იწოდება, თუ ის ცვლილებას არ ექვემდებარება მაშინაც კი, როდესაც მისი სიმცდარისთვის შესაფერისი თვალსაჩინოება და მტკიცებულება არსებობს [4. 762; 12.465].

წინასწარგანწყობას ახასიათებს განზოგადების ტენდენცია. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ბევრი ადამიანის მხრიდან მუსულმანების მიმართ საკმაოდ მტრული დამოკიდებულება მოვიშველიოთ. ლოგიკურად კი ვიცით, რომ მხოლოდ იმიტომ, რომ ტერორისტული აქტების მონაწილეთაგან უმეტესობა ხშირად მუსულმანია, ეს იმას სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს, რომ ყველა მუსულმანი კაცი ტერორისტია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სტერეოტიპული განწყობა მეტად ძლიერია, ხშირად ლოგიკური აზროვნება უკანა პლანზე გადადის და მათ მიმართ უარყოფითი და მტრული დამოკიდებულება მაინც ვლინდება. ამ პლანში განიხილება ანტისემიტური განწყობებიც.

არსებობს წინასწარგანწყობის სხვადასხვა ფორმა – ის შესაძლოა იყოს როგორც დაუფარავი და მტრული, ასევე ძლივს შესამჩნევიც და როგორც ცნობიერი და განზრახული, ასევე გაუცნობიერებელი და უნებლიე. გარდა ამისა, ის, ასევე, შესაძლებელია იყოს შუალედური ამ ყველა ფორმას შორის [1. 293]. მეიერსის მიხედვითაც, ერთი და იმავე მიზნის მიმართ შესაძლებელია, გვქონდეს როგორც აშკარა (ცნობიერი), ასევე ფარული (ავტომატური) დამოკიდებულებები და ამას ის წინასწარგანწყობის დახვეწილ (სუბტილური) და ავტომატურ ფორმას უწოდებს [16.303].

წინასწარგანწყობის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა, კონფორმულობაც იყოს. ამის მაგალითად არონსონი აღწერს დასავლეთ ვირჯინიელი შავკანიანი და თეთრკანიანი მაღაროელების ურთიერთობას. რაც არ უნა უჩვეულო იყოს, მიწის ქვეშ ისინი ერთმანეთთან მეტად ინტეგრირებულები იყვნენ, ხოლო მიწის ზემოთ – პირიქით. ასეთი ქცევის ახსნა კონფორმულობით შეიძლება. მიწის ზემოთ ისინი ემორჩილებოდნენ მათ საზოგადოებაში არსებულ ნორმებს, მიწის ქვეშ კი იქცეოდნენ, როგორც ერთიანი ჯგუფი, რომელიც ერთ სქმეს ემსახურება [11. 335-336].

კონფორმულობისა და წინასწარგანწყობის ფენომენების სიღრმისეულად გაანალიზებისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ

მასთან დაკავშირებული დარგობრივი ტექსტების ტერმინების თარგმნისას თავს იჩენს გარკვეული სირთულეები თუ საკვანძო საკითხები, რომლებიც კულტურული განსხვავებებით, სპეციალური დარგობრივი ლექსიკონის არარსებობით და სხვა ფაქტორებითაა გამოწვეული. ტერმინოლოგიური საკითხები მეტად მჭიდრო კავშირშია სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის თარგმნასთან, რომელიც ცოდნის კონკრეტულ სფეროს ეხება, იქნება ტექსტი წიგნიდან, ჟურნალიდან თუ ენციკლოპედიიდან... როგორც წესი, ტერმინი რაიმე სპეციალიზებულ ტექსტში დიდი სიხშირით გვხვდება და მასში მნიშვნელოვან სემანტიკურ როლს ასრულებს. თუმცა შესაძლებელია, ისინი ჩვეულებრივი სიტყვის მსგავსად, პოლისემიური იყოს და ტექნიკურ და სამეცნიერო სფეროში კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა საგნისა და ცნებების დასასახელებლად გამოიყენებოდეს. ასევე, შესაძლოა, რომ ისინი იმ სიტყვებსაც ემთხვეოდეს, რომლებსაც ტერმინის მახასიათებლები არ გააჩნიათ. ტერმინის ეს პოლისემიური ხასიათი, რომელიც მასში რამდენიმე სპეციალურ მნიშვნელობას აერთიანებს, მთარგმნელის წინაშე ისეთივე ამოცანებს წამოჭრის, როგორსაც ნებისმიერი პოლისემიური სიტყვა, რომელიც პოტენციურად რამდენიმე მნიშვნელობას ატარებს და რომელთაგანაც კონტექსტის მიხედვით, მხოლოდ ერთი რეალიზდება. თარგმანი იმ სიტყვებიდან, რომლებიც ორიგინალი (თავდაპირველი) ტერმინისა და მისი განსხვავებული მნიშვნელობების გადმოცემას ემსახურება, ერთი კონკრეტული ვარიანტის ამორჩევას გულისხმობს. იმისათვის კი, რომ ამ პროცესის შედეგი ზუსტი იყოს და სწორი თარგმანი განხორციელდეს, აუცილებელია, გავიგოთ, თუ რის შესახებ არის კონტექსტში საუბარი [19. 246-247].

ჩვენ მიერ განხილული, შეპირისპირებული და დეტალურად დახასიათებული იქნა 100-მდე ფსიქოლოგიური (ძირითადად, კონფორმულობასთან და წინასწარგანწყობასთან დაკავშირებული) ტერმინი, რომელიც კლასიფიცირებულია 6 ცხრილის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში წარმოდგენილი ტერმინები განმარტებულია სხვადასხვა წყაროს მი-

ხედვით, თოთოეული ტერმინის ძირითადად ერთიდაიგივე შინაარსი სხვადასხვა ინტერპრეტაციით. ეს დეტალური განმარტებები აუცილებელია ტერმინის შინაარსის სწორი გააზრებისთვის, მთარგმნელის სტილის თავისებურებების გარკვევისა და თარგმნის სირთულეების მიზეზების ძიებისთვის. სტატიის ფორმატის გათვალისწინებით აქ საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მხოლოდ ტაბულების ნაწილს – ორ ცხრილს და კვლევის სპეციფიკის გასააზრებლად მათგან მხოლოდ რამდენიმე ტერმინის დეტალურ დახასიათებას.

სანამ უშუალოდ ტერმინების განმარტებებზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ თვითონ წიგნის სახელწოდება, რომელიც ქართულ და ინგლისურ თარგმანში იდენტურად გადადის (The Social Animal; სოციალური ცხოველი), თუმცა განსხვავებულ ინტერპრეტაციას ვხვდებით ებრაულში. היצור החברתי სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც „სოციალური ნაწარმი, პროდუქტი“, კონტექსტის მიხედვით კი, ალბათ, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი „სოციალური ქმნილება“ იქნება. თუმცა, გარდა ამ განსხვავებისა, ებრაულ თარგმანში წიგნის სახელწოდებას დამატებული აქვს „שיפור יחסי-אנוש“, რაც „ადამიანის ურთიერთობების გაუმჯობესებას“ ნიშნავს. თუმცა შემდეგ ტექსტში იგივე ტერმინი, „სოციალური ცხოველი“ უკვე სხვა ფორმით, „სოციალური ცხოველით/მხეცით“ გვხვდება – **חיה חברתי.**

კონფორმულობასთან დაკავშირებული ტერმინები და გამოხატვის საშუალებები

ცხრილი №1

	ტერმინები და გამოხატვის საშუალებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კონფორმულობას		
N	**ინგლისური**	**ქართული**	**ებრაული**
1	conformity	კონფორმულობა	קונפורמיות
*	nonconformist	არაკონფორმისტი	לא-קונפרמיסט
2	social influence	სოციალური გავლენა	השפעה חברתית
3	the norm	ნორმა	נוֹרמָה
4	deviate/deviate	ნორმიდან გადახრა/გადახრილი	סוטה /סוטה
5	obedience	მორჩილება	צייתנות
6	disobedience	დაუმორჩილებლობა	אי ציות
7	groupthink	ჯგუფური აზროვნება	חשיבה קבוצתית
8	illusion of unanimity	ერთსულოვნების ილუზია	אשליה של אחדות-דעות
*	unanimity	ერთსულოვნება	תמימות-דעים
9	belonging	მიკუთვნებულობა	השייכות
10	compliance	დათმობა	הסכמה
11	identification	იდენტიფიკაცია	הזדהות
12	internalization	ინტერნალიზაცია/ გაშინაგნება	הפנמה
13	social exclusion	სოციალური განდევნა	הדרה חברתית
14	individualist/ic	ინდივიდუალისტი/ური	אינדיווידואליסט/י
15	collectivist	კოლექტივისტური	קולקטיביסטי
16	bystander effect	მოწმის ეფექტი	נוכחותו של עומד מין צד
17	uninvolved bystander	ჩაურეველი დამკვირვებელი	העומד-מן-הצד „לא-מעורב“
18	secondary gain	მეორადი შეძენა	שינוי התנהגות
19	Feeling of “com-mon fate”	საერთოობის განცდა	הרגשת גורל משותף

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ტიპის კვლევა ჩატარდა ტერმინების მნიშვნელობის განსამარტავად, მათი სამ ენაზე შედარებითი ანალიზისა და თარგმანთან დაკავშირებული თავისებურებების გასააზრებლად, ცხრილებიდან დავიმოწმებთ მხოლოდ ორ-ორი ტერმინის განმარტებას:

1. **კონფორმულობა (conformity)** – კონფორმულობა ინგლისურში განმარტებულია, როგორც იმის შესატყვისი ქმედება, ქცევა, რაც მიღებული და მოთხოვნადია ჩვეულებრივი, ტრადიციული და ფართოდ მიღებული ჩვეულებით [14; 179]; სტანდარტებთან, წესებთან და კანონებთან შესაბამისობა; სოციალურად მისაღები ნორმების შესაბამისი ქცევა (Oxford Living Dictionaries)[17];

ქართულში – (ლათ. Conformus – მსგავსი) სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარში განმარტებულია, როგორც სოციალური ქცევის ტიპი, რომელსაც ახასიათებს შემგუებლობა... ნორმატიული წესრიგის, მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების პასიური მიღება; საკუთარი პოზიციის უქონლობა; მეტ-ნაკლები წნეხის ძალის მქონე ნებისმიერი ნიმუშის თუ სტერეოტიპის უპრინციპო და უკრიტიკო მიღება. კონფორმულობაში იგულისხმება ინდივიდის განწყობებისა და ქცევების შესაბამისობა სოციალური ჯგუფის მოლოდინებსა და ნორმებთან [9. 141]. ხოლო ეკონომიკური ფსიქოლოგიის ლექსიკონის მიხედვით, როგორც გაბატონებული სოციალური სტანდარტების, მასობრივი ცნობიერების სტერეოტიპების პასიური აღქმა, არაკრიტიკული მიღება და დაცვა, შემგუებლობა შიშის, შთაგონების, აზროვნების არაკრიტიკულობის, ჯგუფური სოლიდარობის იმპერატივისა და სხვ. მიზეზთა გამო. ხოლო კონფორმისტი, როგორც არსებულ მდგომარეობასთან, გაბატონებულ შეხედულებებთან პასიურად შემგუებელი პირი, რომელსაც საკუთარი პოზიცია და თვალსაზრისი არ გააჩნია ან მის დემონსტრირებასა და დაცვას არ ახდენს და ნებისმიერ გარედან თავსმოხვეულ

შეხედულებას ემორჩილება. პიროვნება, რომელიც სხვების, იერარქიულად მაღლა მდგომი პირების, ინტერესებისადმი თუ გარემოებებისადმი მორჩილებითა და შეგუებით, საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობს [2]. ფსიქოლოგიის ცნება-ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში ვხვდებით განმარტებას, რომლის მიხედვითაც კონფორმიზმი ინდივიდის საზოგადოებაში შეგუებითი ქცევა, მისი საზოგადოებრივ ერთეულთან, კოლექტივთან შერწყმაა, რომელშიც ადამიანები ერთმანეთს ქცევით ემსგავსებიან და მოქმედებენ საზოგადოებაში მიღებული ნორმების მიხედვით [3. 177]; ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, კონფორმულობა ასევე გულისხმობს ადამიანური ფსიქოლოგიური ქცევის მახასიათებელს, რომელიც გამოიხატება „ჯგუფის ზეწოლისას" მის ადვილად დაყოლიებაში. როდესაც პიროვნება თავისი და ჯგუფის აზრებს შორის წინააღმდეგობისას ახალ აზრს ქმნის, რომელიც უმრავლესობისას ემთხვევა [7. 56].

ებრაულ ენაში დამკვიდრებული განმარტების მიხედვით **(קונפורמיות)**, ტერმინი კონფორმიზმი გულისხმობს მორჩილებას და სწორხაზოვნად, ჯოგთან ერთად სიარულსა (המילון העברי החופשי ברשת) מילוג) [21] და ასევე ქმედებას ნორმის მიხედვით (ויקימילון ויקימילון)[24].

2. დათმობა (Compliance) – განმარტებულია, როგორც დამორჩილებისა და დათანხმების მოქმედება, მიდრეკილება, რომ დაუთმო სხვებს გზა ან როგორც უღირსი მორჩილება [14; 173], ან როგორც ვინმეს თხოვნის ან ბრძანების დათანხმების ფაქტი ან მოქმედება (Oxford Living Dictionaries)[17]. სხვის სასარგებლოდ რაიმეზე ხელის აღება, ნებით მიცემა, დანებება, დათანხმება, კომპრომისი [5].

ებრაულში ის **(הסכמה)** განმარტებულია, როგორც დადასტურება, ნებართვა; გადაწყვეტილება ან აზრი, რომელიც ყველა მხარის მიერაა მიღებული

((מילון העברי החופשי ברשת) גוגל)[21] კონსენსუსი, აზრების შეთავსება, დამთხვევა, საერთო აზრი, პოზიტიური განწყობა სალაპარაკოდ (Babylon Software)[23].

როგორც ვხედავთ, ამ განმარტებების მიხედვით, ტერმინი ებრაულში უფრო დადებით კონოტაციას ატარებს, ვიდრე ინგლისურსა და ქართულში. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ **„הסכמה“** პირდაპირი მნიშვნელობით თანხმობას ნიშნავს, რაც თავისთავად სულაც არ მოიაზრებს იმ ფაქტს, რომ შესაძლოა ადამიანს, რომელიც რაიმეს ან ვინმეს ეთანხმება, რაიმე საკუთარის დათმობა უწევდეს, ხოლო სიტყვა „დათმობის“ გაგონებისას მაშინვე რაიმეზე უარის თქმის, შეთანხმების რაიმეს სანაცვლოდ მიღწევის ასოციაცია ჩნდება. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ებრაულად ნათარგმნი ტერმინი შეუსაბამოა, თუმცა ქართულად მთარგმნელის მიერ ამორჩეულ ვარიანტს ვანიჭებთ უპირატესობას, ვინაიდან თვითონ „დათმობა“, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ტერმინი, რაიმე სახის ჯილდოს მიღების ან სასჯელის თავიდან აცილების სურვილით საკუთარი აზრისა და ქცევის ცვლილებას, დათმობას და სხვის არჩევას გულისხმობს. ებრაულად ზუსტი თარგმანია **ויתור**, რომელიც თარგმანში, სავარაუდოდ, მისი დადებითი კონოტაციის გამო არაა გამოყენებული.

	ტერმინები და გამოხატვის საშუალებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება წინასწარგანწყობას		
N	ინგლისური	ქართული	ებრაული
1	prejudice	წინასწარგანწყობა	דעה קדומה
2	stereotype	სტერეოტიპი	סטֶרֵאוֹטִיפּ
3	stigmatize	სტიგმატიზირება	סטיגמות
4	disposition	დისპოზიცია	נטייה
5	discrimination	დისკრიმინაცია	אַפלֶיָה
6	categorization	კატეგორიზება	לְסַוֵג
7	attribute	ატრიბუტი	תכונה; ייחוס
*	to attribute	ატრიბუტიზაცია	לייחס
8	attitude	ატიტუდი	יחס; עמדה
9	sexism	სექსიზმი	סקסיזם
10	hostile sexism	მტრული სექსიზმი	סקסיזם עוין
11	benevolent sexism	კეთილმოსურნე სექსიზმი	סקסיזם נדיב
12	to think stereotypically	სტერეოტიპული აზროვნება	חשיבה ספראוטיפית; יחס סטראוטיפי
13	the fundamental attribution error	ატრიბუციის ძირეული შეცდომა	שגיאת הייחוס הבסיסית
14	self-fulfilling prophecies	თვით აღსრულებადი წინასწარმეტყველება	הנבואות המגשימות את עצמן
15	stereotype threat	სტერეოტიპის საფრთხე	איום סטריאוטיף
16	blaming the victim	მსხვერპლის დადანაშაულება	להאשים את קורבן
17	displaced aggression	ჩანაცვლებული აგრესია	תוקפנות מותקת
18	scapegoat	განტევების ვაცი	שעיר לעזאזל

ამ ცხრილიდანაც წარმოვადგენთ მხოლოდ ორი ტერმინის ნიმუშს:

1. **წინასწარგანწყობა (prejudice)** – ინგლისურში განმარტებულია, როგორც მოწონების ან არმოწონების აზრი, შეხედულება, რომელიც ჩამოყალიბებულია ადეკვატური და საკმარისი ცოდნის ან გამოცდილების არსებობამდე. 2) (იურიდ.) ტრავმები, რომლებიც წარმოიქმნება ან შესაძლოა, წარმოიქმნას რაიმე ქმედების ან განსჯის შედეგად [14]; წინასწარგანზრახული მოსაზრება, რომელიც არაა დაფუძნებული მიზეზებსა და ფაქტობრივ გამოცდილებაზე; ანტიპათია, მტრობა ან უსამართლო ქმედება, რომელიც წინასწარგანზრახული და უსაფუძვლო აზრებიდან გამომდინარეობს [17], ასევე, როგორც ფიქსირებული, ფორმალიზებული და სტანდარტიზებული (და, შესაბამისად, შესაძლოა მცდარი) ფრაზა, იდეა, რწმენა. ფრაზების, იდეების და სხვ. ფიქსირებული ფორმები, რომლებსაც ფიქრის გარეშე, შეუცვლელად ვიყენებთ, მაგალითად, როგორებიცაა სტერეოტიპული მისალმებები („დილა მშვიდობისა“, „როგორ ხარ“ და ა.შ.) [14].

ქართულში – praejudicialis (ლათ.) – წინასწარი გადაწყვეტილება, ცრურწმენა[6]. იგულისხმება წინასწარ განსჯის აქტი, შეხედულების საკმარისი ინფორმაციის მოძიებამდე ჩამოყალიბება. მისი არსებობა შესაძლებელია ნებისმიერი საგნის, მოვლენის, პიროვნებისა თუ იდეის შესახებ. ხშირად ტერმინი გამოიყენება რაიმე დაჯგუფების მიმართ ნეგატიური აზრის გამოსახატად. პიროვნების მიმართ დამოკიდებულება, რომელიც სტერეოტიპებს ეფუძნება (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი) [8.]

ებრაულში **(דעה קדומה)** განმარტებულია, როგორც სტიგმა, დამოკიდებულება, რომელსაც ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია; როგორც მიკერძოებული აზრი; შეხედულება ვინმეს ან რაიმეს შესახებ, რომელიც ადამიანის გულშია და ჩამოყალიბებულია არა ფაქტების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, არამედ შემთხვევით შთაბეჭდილებაზე ან ვინმეს გავლენაზე (Babylon Software)[23].

როგორც უკვე ვახსენეთ, ქართულენოვან ლიტერატურაში ამ ტერმინისთვის სხვადასხვა შესატყვისი გვხვდება. „წინასწარგანწყობის“ გარდა, ითარგმნება, როგორც **„წინარწმენა“** და **„ცრურწმენა“.**

2. დისკრიმინაცია (discrimination) – ერთი რაიმეს მეორესგან დისკრიმინაცია გულისხმობს, დაინახო ან გააკეთო განსხვავება მათ შორის; მოეპყრა განსხვავებულად, განასხვაო რაიმე ნიშნის მიხედვით. კანონი, რომელიც არავის მიმართ არ ახორციელებს დისკრიმინაციას, ეპყრობა ყველა ადამიანს თანასწორად, ერთნაირად [14]. უსამართლო ან წინაწარგანწყობით გაჯერებული მოპყრობა სხვადასხვა კატეგორიის ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით რასის, ასაკის ან სქესის საფუძველზე (Oxford living dictionaries)[17].

ქართულში განმარტებულია, როგორც უფლებების შეზღუდვა; საერთაშორისო ურთიერთობაში – რომელიმე სახელმწიფოსათვის და მის წარმომადგენელთა და ორგანიზაციათათვის უფრო მცირე უფლებების მინიჭება სხვა სახელმწიფოსთან და მის წარმომადგენლებთან შედარებით. რასობრივი დისკრიმინაცია კაპიტალისტურ ქვეყნებში – რომელიმე რასის (მაგ.: შავკანიანებისა – ამერიკაში) უუფლებო მდგომარეობა და დევნა; დამყარებულია კაცთმოძულე რასობრივ თეორიაზე [5]. რომელიმე პიროვნების ან ჯგუფის უფლებათა და შესაძლებლობათა თვითნებური, დაუსაბუთებელი შეზღუდვა და ხელყოფა [7]. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარის მიხედვით, დიკრიმინაცია (სოციალურ-პოლიტიკური) მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისათვის რასობრივი, ნაციონალური, სოციალური წარმოშობის, სქესის, პოლიტიკური შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიხედვით უფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევაა. იგი შესაძლოა, განხორციელდეს როგორც უხეშად და დაუფარავად, ანუ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ზოგჯერ გენოციდის სახის მიღებითაც კი, ასევე, ის შესაძლოა ფარულ, არაოფიციალურ

ხასიათსაც ატარებდეს, როდესაც კანონსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში არ ფიგურირებს და სრული თანასწორუფლებიანობაა გამოცხადებული [9. 63].

ებრაულში **(אַפלָיָה)** ტერმინი განმარტებულია, როგორც იმის ცნობა და აღიარება, რომ არსებობს ადამიანთა რომელიმე რასის უპირატესობა, აღმატებულება სხვა რასებთან შედარებით, იმის მიჩნევა, რომ რომელიმე რასა არასრულფასოვანია ((מילון העברי החופשי ברשת)מילוג)[21]. ებრაულში დამკვიდრებულია ინტერნაციონალური ტერმინი **דיסקרימינציה**-ც, თუმცა იმავე მნიშვნელობისაა მთარგმნელის მიერ შერჩეული სიტყვაც, სინონიმი **הַפלָיָה** -ც.

კვლევისას განხილული მრავალრიცხოვანი ტერმინის შესწავლა-გაანალიზების შედეგად ცხადი გახდა, რომ ფსიქოლოგიური, კერძოდ კი კონფორმულობასა და წინასწარგანწყობასთან დაკავშირებული ტერმინების უმრავლესობა გადმოცემულია ე.წ. ინტერნაციონალური ტერმინებით, რომლებიც სამივე ენაში პირდაპირ, ერთი და იმავე სიტყვებითაა გამოხატული. ამის მაგალითებია: კონფორმულობა (conformity,ינפורמיות), ინდივიდუალისტური (individualistic, אינדיווידואליסטי), კოლექტივისტური (collectivist, קולקטיביסטי), ეთიკა (ethics, אֶתִיקָה), სტერეოტიპი (stereotype, סטֶרֵאוֹטִיפּ), სექსიზმი (sexism, סקסיזם), ანტისემიტიზმი (anti-Semitism, אנטישמיות), ემპათია (empathy,אמפתיה) და ა.შ.

თუმცა არანაკლებია ისეთი ტერმინებისა და გამოხატვის საშუალებების რიცხვი, რომლებიც ინგლისურსა და ქართულში ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს, ხოლო ებრაულად ამ ენაში დამკვიდრებული შესატყვისით ითარგმნება. მაგ.: იდენტიფიკაცია (identification, הזדהות), ინტერნალიზაცია (internalization, הפנמה), დისკრიმინაცია (discrimination ,אַפלָיָה), სტიგმატიზირება (stigmatize, סטיגמות), ატრიბუტი (attribute, ייחוס), ტენდენცია (tendency, נטייה), რასიზმი (racism, גזענות), სეგრეგაცია (segregation, הפרדה), ინტერრასობრივი (interracial, בין-גזעי), არატოლერანტობა (intolerance ,חוסר סובלנות) და სხვ.

გამოვლინდა არაზუსტი თარგმნის რიგი შემთხვევა: ეს ისეთი ნიმუშებია, როდესაც სიტყვასიტყვითი თარგმანი არ გვაქვს, თუმცა ეს ტერმინის შინაარსის გაგებას ხელს არ უშლის. მაგალითად, „მოწმის ეფექტი“ ქართულში არაპირდაპირი გზით გადმოვიდა (bystander effect); „ჩაურეველი დამკვირვებელი“, რომლისთვისაც ებრაულშიც და ქართულშიც არა სიტყვასიტყვით თარგმანს ვხვდებით (העומד-מן-הצד); ასევე, საერთოობის განცდა, რომელიც ქართულში არაპირდაპირი გზით გადმოვიდა; ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუ როგორც ქართულის, ისე ებრაულის შემთხვევაში (תהליכי "תחקיר" שלאחר הניסוי) და სხვ.

გამოიკვეთა ისეთი კატეგორიაც, როდესაც ტერმინის შინაარსი კონტექსტით არის განპირობებული. მთარგმნელები მიმართავენ არაპირდაპირ თარგმანს, რაც ტერმინის შინაარსის უკეთ გადმოცემის მცდელობით აიხსნება. მაგალითად, ებრაულში ვხვდებით „ერთსულოვნების ილუზიის“ არაპირდაპირ ფორმას – მთარგმნელი ერთსულოვნების აღმნიშვნელი დამკვიდრებული სიტყვის მაგივრად (תמימות-דעים) იყენებს אשליה של אחדות-דעות-ს, რაც ერთსულოვნების, ერთიანობის იდეას უსვამს ხაზს და კონტექსტს უფრო ნათლად გადმოგვცემს. მაგალითად, იდენტიფიკაცია, რომელიც הזדהות-ის მაგივრად გადაითარგმნებოდა როგორც (זיהוי), რომ არა კონტექსტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ აქ საუბარია არა რაიმეს ამოცნობასა და იდენტობაზე, არამედ საკუთარი თავის ვინმესთან გაიგივებაზე.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართულში მთარგმნელი მიმართავს არა სიტყვასიტყვით თარგმანს, არამედ ტერმინის შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით ირჩევს მასთან სემანტიკურად ახლოს მდგომ შესატყვისს. ამის მაგალითია „სოციალური განდევნა“, „გუნდური მუშაობის უნარის მქონე“, „ცდისპირი“, „მაკავშირებელი რგოლი“ და სხვ.

ჩვენი კვლევის ყველაზე მოსალოდნელი დასკვნა კი არის ის, რომ ტერმინებისა და გამოხატვის სხვა საშუალებების ერ-

თმანეთთან შეპირისპირებამ გამოავლინა, რომ მოხმობილი ცნებების და ტერმინების უმეტესობა ადეკვატურია, ანუ ზუსტად გამოხატავს შინაარსს და შეესაბამება ორიგინალს, რაც ბუნებრივია, ვინაიდან ტერმინების თარგმნის პროცესი ფანტაზირების, თავისუფალი თარგმანის შესაძლებლობას ზღუდავს და შინაარსის მაქსიმალურად ზუსტ თარგმნაზეა კონცენტრირებული.

ლიტერატურა – REFERENCES

1. არონსონი ელიოტ, სოციალური ცხოველი, 1-ლი გამოცემა, თბ., 2014.
2. არჩვაძე იოსებ, ქურხული ლია, ეკონომიკური ფსიქოლოგიის ლექსიკონი, თბ., 2016.
3. ბერულავა ნ., ხოჯავა ზ., ფსიქოლოგიის ცნება-ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1992.
4. ზიმბარდო ფილიპ, ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ., 2010.
5. თოფურია ვარლამი, სარედაქციო საბჭო, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 3, თბ., 1953.
6. კაპანაძე ნუნუ და კვაჭაძე მარინა, ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2008.
7. პაიჭაძე ნუგზარ, ადამიანური რესურსების მართვა ცნებებისა და განსაზღვრებების ლექსიკონი, თბ., 2008.
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამოქალაქო განათლება ლექსიკონი-ცნობარი II ნაწ., თბ., 2010.
9. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2004.
10. Allport Gordon, The Nature of Prejudice. Cambridge, MA: Addison-Wesley, 1954.
11. Aronson Elliot; Joshua Aronson, The Social Animal. 10th ed. New York, Worth Publishers, 2008.

12. Bond Rod, Peter B. Smith, "Culture and Conformity: A Meta-Analysis of Studies Using Asch's (1952b, 1956) Line Judgment Task." Psychological Bulletin 119, no. 1. 1996. https://pdfs.semanticscholar.org/ffac/a6b5174f02c6d43ab0df2991c2a62281b271.pdf
13. Gerrig Richard J, Psychology and Life. 20th ed. Harlow, Essex: Pearson Education, 2014.
14. Hornby A. S., Oxford Advanced Learner’s Dictionary of Current English, 3rd ed. Oxford: Oxford University Press, 1988.
15. McLeod Saul, "Prejudice and Discrimination." Simply Psychology, 2008. Accessed November 25, 2018. https://www.simplypsychology.org/prejudice.html.
16. Myers David G., Social Psychology. 9th ed. Boston: McGraw-Hill, 2008.
17. Oxford Living Dictionaries https://en.oxforddictionaries.com/ https://www.brainpickings.org/2012/01/13/asch-elevator-experiment/.
18. Thurber James, My Life and Hard Times. San Francisco: Harper & Row, 1933.
19. Федоров А. В., Основы общей теории перевод (лингвистические проблемы), Москва, 2002.
20. ארונסון, אליוט. האיצור החברתי שיפור יחסי-אנוש. ת"א: הקיבוץ הארצי השומרהצעיר,1983.
21. https://milog.co.il/ (המילון העברי החופשי ברשת) מילוג .
22. https://www.milononline.net/מילון אנציקלופדי עברי: מילון ספיר .
23. https://www.babylon-software.com/ Babylon Software.
24. ויקימילוhttps://he.wiktionary.org/wiki/%D7%A2%D7%9E%D7%95%D7%93–%D7%A8%D7%90%D7%A9%D7%99

Lali Guledani
Nino Enukidze

Terms Related to Conformation and Prejudice in Georgian, Hebrew and English Languages

Summary

The study deals with the vocabulary, translating, expressions and terms in social psychology, more specifically, in connection with the phenomenon of conformity and prejudice in Georgian, Hebrew and English languages.

The study showed that most of the words related to psychological, namely conformity and prejudice terminology, is expressed in the same international terms in all three languages. Conformity (კონფორმულობა, קונפורמיות), individualistic (ინდივიდუალისტი, אינדיווידואליסטי), ethics (ეთიკა, אֶתִיקָה), stereotype (სტერეოტიპი, סטֶרֶאוֹטִיפּ), sexism (სექსიზმი, סקסיזם), anti-Semitism (ანტისემიტიზმი, אנטישמיות), etc. could be considered as the examples. However, there are a number of terms that are international in Georgian and English, but in Hebrew they are translated in native complimentary words. For instance: identification (იდენტიფიკაცია, הזדהות), internalization (ინტერნალიზაცია, הפנמה), discrimination (დისკრიმინაცია, אַפלָיָה), attribute (არიბუტი, ייחוס), tendency (ტენდენცია, ייחוס), racism (რასიზმი, גזענות), segregation (სეგრეგაცია, הפרדה), interracial (ინტერრასობრივი, בין-גזעי), etc.

The examples of inaccurate translation have been identified – these are the examples, where translation is not literal, but it does not interfere with the meaning of the term. The certain category where the content of the term was translated into context has also been revealed. Translators apply the indirect translation, which explains an attempt to better understand the content of the term. In such situations without

considering the context, the translation would be inadequate. Sometimes the translator chooses a semantic proximity to the psychological term.

The most anticipated conclusion of our research is that the comparison between the terms and the other means of expression has demonstrated that the most of applied concepts and terminology are adequate and accurately reflect the contents and correspond to the original, which is obvious, since the term translation process limits the possibility of free interpretation and is focused on the most accurate translation of the content.

ინგა ზაბახიძე

სამხედრო ძალთა თანაფარდობა ისრაელ-არაბეთის I ომის დროს

1948 წლის 14 მაისის ღამით, ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებიდან რამდენიმე საათში, პალესტინელებსა და ებრაელებს შორის შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო, რომელიც ძლიერ ომში გადაიზარდა. არაბების დასახმარებლად მაშინვე გამოვიდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომელმაც პალესტინაში გასაგზავნად მოხალისეთა მობილიზაცია გამოაცხადა. არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ გადაწყვიტა ძალისმიერი მეთოდებით წინ აღდგომოდა პალესტინის ორად გაყოფას. არაბებმა პირდაპირი პასუხისმგებლობა აიღეს ომის დაწყებაზე. საბოლოო ჯამში ორივე მხრიდან ომში 86.500 კაცი მონაწილეობდა. ისრაელის 65.000-იანი არმიის წინააღმდეგ არაბულმა ქვეყნებმა მხოლოდ 21.500 კაცის გამოყვანა შეძლეს, აქედან ეგვიპტემ – 10.000, იორდანიამ – 4.500, სირიამ – 3.000, ერაყმა – 3.000, ლიბიამ – 1.000. ეს მონაცემები ებრაული წყაროების მიხედვით ასე გამოიყურება:

ისრაელის საზღვართან თავმოყრილი ძალა[1]

ქვეყანა	მეომართა რაოდენობა
ეგვიპტე	10 000
იორდანია (არაბული ლეგიონი)	6.500
სირია	3.000
ერაყი	4.500
ლიბანი	3.000

[1] ცხრილი 1-2 [6. 231-232]. იქვე აღნიშნულია, რომ ცხრილში არ არის ზუსტი მონაცემები.

ისრაელის და არაბული ძალების შესაბამისობა

ერეც-ისრაელი ციონი	ებრაული ძალა (პირველი ხაზი)	არაბული ძალა (პირველი ხაზი-ფრონტი)
ერეც – ისრაელის რაიონი		
ქვეყნის სამხრეთი	6500	9000 (ეგვიპტე)
იერუსალიმის რაიონი	4500	6500 (არაბული ლეგიონი)
თელ-ავივი, ნათანია,	9000	(ერაყი, სირია,
გალილეა	5000	ლიბანი, „ხსნის არმია“)

ამ ომთან დაკავშირებით ისრაელის პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი წერდა: „ჩვენ სრულებით არ ვიყავით ომისთვის მზად. სასწრაფოდ გვჭირდებოდა იარაღი, თუკი სადმე შევძლებდით მის შეძენას, მაგრამ, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ფულის შოვნა და არც ისე ცოტა რაოდენობით. გვჭირდებოდა მილიონობით დოლარი და ასეთი თანხის გაღება მხოლოდ ამერიკელ ებრაელებს შეეძლოთ“. გოლდა მეირი ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური მისიით 1948 წლის 21 იანვარს გაემგზავრა და ჩიკაგოში ებრაელთა ფედერაციისა და ქველმოქმედი ფონდის საბჭოს საერთო კრების წინაშე სიტყვით გამოვიდა. მეიერმა განაცხადა: „ებრაული მოსახლეობა პალესტინაში ბოლომდე იბრძოლებს. თუ ჩვენ არ გვექნება იარაღი, ვიბრძოლებთ ქვებით... ებრაელმა ხალხმა უკანასკნელ წლებში დაკარგა ექვსი მილიონი ებრაელი..., მაგრამ თუ იცოცხლებს შვიდასი ათასი ებრაელი, ებრაელი ხალხი იცოცხლებს“. გოლდა მეირი პალესტინაში ხუთი მილიონი დოლარით დაბრუნდა, რომლითაც ჰაგანისათვის იარაღი შეიძინეს. ამ ფაქტის შესახებ ბენ გურიონმა განაცხადა: „როცა ისტორია დაიწერება, იქ

ჩაიწერება ამბავი ებრაელი ქალისა, რომელმაც სახელმწიფოს შესაქმნელად ფული იშოვა“.

ისრაელის არმია დაკომპლექტებული იყო კარგად გაწვრთნილი კადრებით და აღჭურვილი თანამედროვე იარაღით, არტილერიით, ტანკებით და თვითმფრინავებით. დასავლეთის სახელმწიფოების კოლონიური სისტემის ქვეშ დიდხანს მყოფი არაბული არმია კი მხოლოდ მსუბუქი იარაღით იყო აღჭურვილი. მათ არ ჰყავდათ გამოცდილი კადრები და საერთოდ მზად არ იყვნენ ომისათვის, ისრაელის არმია მაშინვე ჩაება ომში. ომისათვის სათანადოდ აღჭურვილი ისრაელის არმია მუდმივად ივსებოდა დასავლეთის ქვეყნებიდან სამხედრო ემიგრანტებით, რომლებიც გამოცდილი სპეციალისტები იყვნენ, აგრეთვე, უახლესი იარაღითა და მთელი მსოფლიო ებრაული თემის ფინანსური დახმარებით. ისრაელი სარგებლობდა აგრეთვე მსოფლიო საზოგადოების მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერით. ყველა ამ ფაქტორმა ისრაელის გამარჯვება განაპირობა.

ჯერ კიდევ ომამდე (1948 წლის აპრილში), საბჭოთა კავშირის სატელიტ ჩეხეთში შეძენილი „მესერშმიტი“-ს ტიპის თვითმფრინავებით, ისრაელმა, იმავე წლის მაისის ბოლოს ეგვიპტის არმიის საჰაერო უპირატესობას ხაზი გადაუსვა. უნდა ითქვას, რომ სტალინის ნებართვით, ჩეხეთმა საკმაოდ ბევრი და კარგი ხარისხის საჭურველი მიჰყიდა ისრაელს, რამაც საბოლოოდ მოაგებინა ომი. მოსკოვი ყველაფერს აკეთებდა მიზნის მისაღწევად, რადგანაც ახლო აღმოსავლეთში მოსკოვი ვაშინგტონს უპირისპირდებოდა. მას აღმოსავლეთ ბლოკის საიდუმლო სამსახურის იარაღით მომარაგების და ახლო აღმოსავლეთელი მეომრების გაწვრთნის დიდი გამოცდილება ჰქონდა. სტალინმა არა მარტო იარაღით მოამარაგა ებრაული არმია, არამედ მისი ოფიცრებიც გაწვრთნა. 1948 წლის დასაწყისში სამხედრო ატაშემ ბეირუთში სტივენ შმიდტმა ვაშინგტონში თავის ხელმძღვანელობას იმ საიდუმლო თვითმფრინავების შესახებ აცნობა, რომლითაც ბიკაას ველზე ღამღამობით აეროდრომზე სხდებოდნენ. ატაშემ შიფროტელეგრამაში ამერიკელებს აუხ-

სნა, რომ ამ გზით შეჰქონდათ იარაღი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ისრაელის არმიისათვის. ვაშინგტონმა დაზვერვას დაავალა, გაეგოთ, საიდან მოდიოდა იარაღი. პასუხად პრაღაში მყოფმა სამხედრო ატაშემ გაარკვია, რომ იარაღით სავსე ყუთები საიდუმლო თვითმფრინავის ბორტზე იტვირთებოდა ჩეხეთში და ებრაული არმიისათვის მოხალისეებს წვრთნიდნენ ჩეხეთის არმიაში. ატაშემ არ იცოდა, რომ მოხალისეებად არჩევდნენ, აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომგამოვლილ ებრაელ ოფიცრებსაც. საბჭოთა არმიის წევრებს აუხსნეს, რომ პარტიული დავალებაა, იბრძოლონ ისრაელის მხარეზე ბრიტანეთის იმპერიისა და არაბი რეაქციონერების წინააღმდეგ. ისრაელისათვის იარაღის მიწოდების თობაზე ინფორმაციებს ამერიკის სამხედრო დაზვერვა რეგულარულად აწვდიდა ვაშინგტონს. საომარი ტვირთი საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული იყო, როგორც „ქირურგიული ინსტრუმენტები და სხვა სამედიცინო აღჭურვილობა“. თვითმფრინავები ჯდებოდნენ თვით ისრაელის ტერიტორიაზე, რომელსაც იმ დროს კიდევ არავანი უწოდებდა ისრაელს. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი, ადმირალი ჰილენპეტერი უკმაყოფილო იყო ისრაელში იარაღის გადასროლით. ვაშინგტონში მზად იყვნენ, ოფიციალური პროტესტი გამოეცხადებინათ პრაღისათვის. ჩეხეთის ელჩმა ამერიკელებს აუხსნა, რომ მისი მთავრობა ისე საჭიროებს ვალუტას, რომ პროტესტის მიუხედავად, კვლავ გააგრძელებს იარაღით ვაჭრობას. ბრნოსთან შორიახლოს, კუნოვიცაში, ინგლისურ „სპიტფარ“-ს და გერმანულ „მეშერსმიტ-109“-ს ამერიკული ნიშნებით ღებავდნენ, რათა მფრინავებს ოკუპირებული გერმანიის ამერიკული ზონის გადაფრენა გაადვილებოდათ. შემოდგომაზე ამერიკის სამხედრო ატაშემ ვაშინგტონს აცნობა, რომ ჩეხეთში ისრაელის სამხედრო მოსამსახურეების ინტენსიური მზადება მიდიოდა.

ისრაელის სამხედრო ნაწილები თავდადებით იბრძოდნენ არაბების წინააღმდეგ ომში. მათ ძლიერი მოტივაცია ჰქონდათ: წყდებოდა ებრაული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. არაბული ქვეყნების არმიების საბრძოლო მოქმედება ცუდად

კოორდინირებული და ნაკლებეფექტიანი გამოდგა, თუმცა თავიდან ორივე მხარის სამხედრო ძალები რაოდენობით დიდად არ განსხვავდებოდნენ. 1949 წლის დაზავების შემდეგ ისრაელმა უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭა ქვეყანაში საკუთარი ინდუსტრიის განვითარებას და დიდ წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით. თავდაცვითი რესურსების მართვის სისტემის გონივრულად გამოყენება საგრძნობლად ეხმარება ეროვნული უსაფრთხოების მიზნების განსაზღვრასა და მიღწევას, რამაც განსაზღვრა ისრაელის გამარჯვება არაბ ქვეყნებთან შემდგომ ომებში.

ლიტერატურა – REFERENCES

1. მეთეშაშვილი ალ., ქრისტიანობა და ისლამი. აზიისა და აფრიკის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1993.
2. ჟღენტი კ., პალესტინის პრობლემების გადაჭრის ზოგიერთი საკითხი, თბ.,1991.
3. Enciklopedia Amerika. v. 20. New-York, 1945.
4. Колинз Л., Лапъер До., „О, Иерусалим!“, Israel, 1979.
5. Кселев В. И., Ралестиская проблема в межрегиональный аспект. «Наука». Москва.1988.
6. История еврейского национального движення 1914-1949 гг. Иерусалим, 1993.
7. Мир на рубеже XIX-XX веков тенденции развития противоречия революции, Москва, 1991.

Inga Zabakhidze

Military line-ups during First Arab-Israeli War

Summury

On May 14, 1948, a few hours after the announcement of the State of Israel, the armed clashes between the Palestinians and the Jews began to transform into the open war. Soon after the Arab League, the League of Arab States issued a mobilization of volunteers to send them to Palestine. The League of Independent States has decided to force the Palestinian divide by violent methods. The Arabs took direct responsibility for the war.

In the end, 86500 people participated in the war from both sides.

Arab countries managed to pull out only 21500 men, against Israeli 65000 army, including Egypt – 10000, Jordan – 4500, Syria 3000, Iraq 3000, Lebanon 1000. The Israeli army was composed of well-trained staff and modern weapons, artillery, tanks and aircraft. The Arabian army, which had been under the colonial system of the Western state for the long time did not have experienced staff, and was not ready for war, the Israeli army immediately attacked the war.

The Israeli army, appropriately equipped for war, was permanently filled with military emigrants from the Western countries, who were experienced specialists, besides were equipped with the latest weapons and financial help of the worldwide Jewish community. Israel enjoyed the moral and political support of the world community. All these factors have led Israel to victory.

უჩა ოქროპირიძე

აფხაზური პრობლემის თანამედროვე გააზრებისათვის

1989 წელს გამოცემულ ჰელსინკის ჯგუფისა და წმ. ილია მართლის საზოგადოების საინფორმაციო ჟურნალში „მატიანე“ (№4), რომელიც მთლიანად აფხაზეთის პრობლემებს ეძღვნება, შესავალში ნათქვამია: **„ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ და აფხაზ პატრიოტებს: გავაცნობიეროთ რეალობა, დავუკვირდეთ მტრების ფანდებს, რომელთაც ოსტატურად შექმნეს კონფრონტაცია ჩვენს ხალხებს შორის, რათა ისინი არ შეერთებულიყვნენ და არ დაპირისპირებოდნენ მომხვდურთ ამ მიწაზე! დროა, გამოვფხიზლდეთ, აღვადგინოთ ძმური ერთობა და შევუტიოთ ჩვენი ქვეყნების ისტორიულ მტრებს. ასეთი ერთობა ეოცნებებოდათ ჩვენი ქვეყნის რჩეულ შვილებს. ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი დღესაც!“ [1.3].**

სამწუხაროდ, მაშინ ორივე მხარისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა გონიერების ხმის გაგონება, რადგან ეროვნული ძალებიდან მომდინარე ამ ჭეშმარიტად გონივრულ სულისკვეთებას სასტიკად დაუპირისპირდა რუსულ და, უფრო მეტად, საბჭოურ ნიადაგზე ამოზრდილი ბოლშევიკურ-პარტიული საქმიანობისა და იდეოლოგიის პროდუქტი, საბჭოთა ჰომოსოვეტიკუსური სისტემის ერთგული მსახური და მისი ნების ყურმოჭრილი აღმსრულებელი, ქართველი და აფხაზი ხალხის უბოროტესი მტერი საბჭოური ნომენკლატურა!

აღნიშნულმა ნომენკლატურამ ყველაფერი გააკეთა ჩვენი ხალხების ერთმანეთისაგან გასაუცხოებლად, ერთმანეთზე წაკიდებისა და მათ მიერ ერთმანეთისადმი უკიდურესი სიძულვილის დასათესად და გასაღვივებლად. შემდეგ კი, საჭირო დროს, ხელოვნურად შექმნა მისგანვე მართული კრიზისი და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ მიუსია გამოსოვეტიკუსებული, ნომენკლატურული კასტისა და მისი სატელიტებისაგან

შეგნებულად შეცდომაში შეყვანილი ორი მოძმე ხალხი (გამოსოვეტიკუსებული ნიშნავს ადამიანის ისეთ ფსიქოლოგიურ ტიპს, რომელსაც ყოველგვარი თვალხილული სიმართლის დანახვასა და აღიარებას ავტორიტარისაგან მოწოდებული და იდეოლოგიურ „პარში“ გატარებული ილუზია და სიცრუე ურჩევნია; ფაქტობრივად, ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც ნოდარ ნათაძემ „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ უწოდა). ამის მაგალითია ჩვენი თანაცხოვრების საბჭოური პერიოდი და დღევანდელი ვითარება, აღარაფერს ვამბობ რუსეთის ცარიზმის მცდელობებზე...

სწორედ ამ ფენას ემყარებოდა და ემყარება საქართველოში არსებული ყველა ავტორიტარული რეჟიმი. ჩვენდა სამწუხაროდ, აღნიშნული კომუნისტური ნომენკლატურის მმართველობის პერიოდში დაბადებული და აღზრდილია საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის უმრავლესობა და ამიტომაც, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზმი და სახელმწიფოებრივი სისტემაც სუსტია, რადგან ჩანასახოვან მდგომარეობაშია და სუსტია მისი მთავარი საყრდენი – ქართული სამოქალაქო საზოგადოება. ამ და მსოფლიოში მიმდინარე სხვა პროცესების გამო ქართული სახელმწიფო არსებობას განაგრძობს საკუთარი სუვერენობის მძლავრ მეზობელ სახელმწიფოთა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მესვეურთა მიმძლავრების ფონზე, სადაც მასზე და მის ნებაზე, სამწუხაროდ, თითქმის აღარაფერია დამოკიდებული [6. 71], მაგრამ, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთი ვითარებაა, ძალიან დიდი ხანია; ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა ეპოქაში, ხოლო მისი უშუალო შედეგები საქართველოში გათვალსაჩინოვდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყების დროიდან, რისთვისაც ნიადაგი დიდი ხნის მანძილზე მიზანმიმართულად მზადდებოდა. ამას სრულიად ადასტურებს ჩვენ მიერ მოხსენებულ ჟურნალ „მატიანე“-ში თავმოყრილი მასალა აფხაზეთის პრობლემის შესახებ, მაგალითად, აფხაზეთის ქართველების პეტიცია სკკპ XXVI ყრილობის

პრეზიდიუმს, სკკპ ცკ-ს გენერალურ მდივანს ლ.ი. ბრეჟნევს, ... სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს. მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია სიმართლის თქმისა და სამართლიანობის აღდგენის პრეტენზია (თუმცა კიდეც ამბობს გარკვეულ სიმართლეს, მაგრამ ნაწილობრივ), ამასთან, სამართლიანობის აღდგენისათვის მიმართავს პეტიციაში აღწერილ უმსგავსობათა უმთავრეს სულის ჩამდგმელთ და ამ სისტემის უშუალო შემოქმედთ, საბჭოთა ნომენკლატურული მმართველობის ჩამომყალიბებელსა და მის უმთავრეს ავტორთ. ამიტომაც, მიმართვის ტექსტიც, ისევე, როგორც ამ ყალბი სისტემის მთელი მახინჯი ორგანიზმი, აგებულია ყალბ და, რაც მთავარია, არაგონივრულ, უსამართლო ორიენტირებზე. მისი ავტორები, ნაცვლად იმისა, რომ ემხილებინათ საბჭოთა ნომენკლატურული მმართველობის სისტემის მთელი სიმახინჯე, აკეთებენ იმას, რასაც სწორედ ამ სისტემის სიცოცხლისუნარიანობა ემყარებოდა და მისი არსებობის გამართლებას უზრუნველყოფდა. პეტიციაში წინ წამოსწევენ და საუბრობენ რა იმაზე, რომ „იმ დროს ავტონომიური რესპუბლიკის (აფხაზეთის ასსრ-ს – უ. ო.) უმცირესობის – აფხაზთა (15 %) ხელში იყო ნომენკლატურულ თანამდებობათა ორი მესამედი... ბრძოლამ „თანამდებობებისათვის“ უმთავრესად ანტიქართული ხასიათი მიიღო... კორუფციის ზრდამ შეუძლებელი გახადა ეფექტური ბრძოლა ვ. კობახიას მფარველობის ქვეშ მყოფ საქმოსანთა და მაქინატორთა წინააღმდეგ...“ და ა. შ. არავის ახსოვს სამშობლოს ინტერესები და არც არავინ ამხელს „გააფხაზებულ ქართველებს“ ნომენკლატურული თანამდებობებისა და პრივილეგიების მისაღებად გადადგმული ამ ნაბიჯისათვის, რადგან ამავე მიზნის მისაღწევად მათი დიდი ნაწილი სამომავლოდ თავადაც მზად იყო ანალოგიური ნაბიჯის გადასადგმელად. არც იმის თქმა და აღიარება სურს არავის, ან კიდევ, ანალოგიური მიზეზით, თავშიც არ მოსდით, რომ ყოველივე ამის სათავე მახინჯი და ბოლომდე კორუფციული სისტემაა, რომელსაც თავი სწორედ მოსკოვში ედო. და თუ არა

მათი მოსკოველი წამქეზებლები და შემკვეთ-მფარველები – კობახიები, ჯენიები, არგუნები, კეხირ-იფები და მთელ აფხაზეთში მოქმედი საქმოსან-მაქინატორთა კამპანია, ვერაფერს გაბედავდა; მითუმეტეს, 1977 წლის დეკემბრის წერილით საქართველოს მაშინდელი კპ ცკ-ის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის მიერ აფხაზი ხალხის მიმართ ბერიას პოლიტიკის გაგრძელებაში მისი დადანაშაულება, აფხაზეთის ასსრ-ს საქართველოდან გამოყოფა და რუსეთის სფსრ-ში შეყვანის მოთხოვნა თავშიც არავის მოუვიდოდა, რომ არა მოსკოვის კრემლიდან ანდრეი სუსლოვის მსგავსთა მიერ საქართველოს დასაშლელად აშკარა წამქეზებლური, მავნებლური საქმიანობა. სწორედ ამ საქმიანობის შედეგი იყო აფსუა გ. ანშბას მუქარა ქართველების მიმართ – „გეყოფათ აფხაზეთში ცხოვრება, წადით აქედან, სანამ არ დაგხოცავთო“, გაგრის ქალაქკომის პირველ მდივან კვანტალიანთან დაკავშირებული და სხვა ინციდენტები თუ პროვოკაციები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის აფხაზეთში ქართული მოსახლეობის არარაობრივ ყოფაზე, რასაც ხელს უწყობდა და, თავის მხრივ, კიდევ უფრო აქეზებდა საბჭოთა ნომენკლატურული მმართველობის უერთგულესი მსახური საქართველოში – ედუარდ შევარდნაძე და მისი უნიათო და მხოლოდ საბჭოთა ნომენკლატურულ ინტერესებზე გათვლილი ე. წ. დროებით დაშოშმინების პოლიტიკა – მერე კი, თუნდაც ქვას ეთოვა. ამგვარი პოლიტიკა, ფაქტობრივად, აფხაზეთში აღნიშნული სისტემის მიზნებისა და სურვილების განხორციელებას წარმოადგენდა და, ამდენად. ქართული სახელმწიფოს მიმართ მოღალატური იყო.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პეტიცია, დიდწილად, სავსეა ელემენტარული დასმენებითა და ყალბი პათოსით კომუნისტთა მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევათა შესახებ, რომელთა მთავარი მიზანიც ტომობრივი ნიშნით ამა თუ იმ ნომენკლატურული თანამდებობის მოპოვება იყო; მაგრამ ყველაზე ამაზრზენი იყო და ურთიერთსიძულვილის გამღვივებელ მთავარ სტიმულატორს წარმოადგენდა ის, რომ

ვინმეს მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლა საერთოდ არ აინ-ტერესებდა და თანამდებობრივ სავარძელში აბობღების შემ-დეგ, თავადაც სიამოვნებით განაგრძობდა საქმოსნობასა და მაქინატორობას. წარმოიდგინეთ რა მორალურ-ზნეობრივი ატ-მოსფერო იქნებოდა ამ ასპარეზზე, თუ იმასაც გავითვალისწი-ნებთ, რომ ეს „მრავალრიცხოვანი საჩივრები, გაგზავნილი ზემდგომ ორგანოებში, გარჩევისა და რეაგირებისათვის იმავე ხელმძღვანელებს უბრუნდებოდათ, რომელთაც მშრომელნი უჩივიან. საჩივართა სამართლიანი განხილვის ნაცვლად, „მომ-ჩივანნი“ ახალი დევნის მსხვერპლნი ხდებიან, მათ ეროვნულ და ადამიანურ ღირსებას აბუჩად იგდებენ და ცინიკურად ეპყ-რობიან“, – აღნიშნულია პეტიციაში [7.17].

ასე რომ, დაშვებული იყო ყველაზე ცინიკური და ადამია-ნობის შეურაცხმყოფელი მეთოდები „დახურულ კასრში კაცი-ჭამიას გამოსაყვანად“. ხოლო ამ საქმის „ მეცნიერულ დონეზე“ შემზადებას ემსახურებოდა კუზნეცოვის (1922 წ.), აშხაცავას (1925 წ.), ფაჩულიას (1968 წ.), ინალ-იფას (1965, 1976 წლების), ვორონოვის (1978 წ.), ტრაპეზნიკოვის (1979 წ.) ნაშრომები და მათი პრაქტიკული საქმიანობა [7.6-20]. ქართველი სპეციალის-ტების კრიტიკისა და კამპანიისა კი ვორონოვ-ტრაპეზნიკოვებ-სა არ ეშინიათ, რადგან მათ იციან, რომ „ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას ისინი დუმილს ამჯობინებდნენ... [2.21-28]. პირი-ქით, ერთ-ერთი მათგანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადე-მიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი გურამ მამულია რედაქტირებას უკეთებს და ვიზას აძლევს საქართველოსათ-ვის მავნე შინაარსის ასეთ წიგნს საქართველოში [13].

სიმართლეს თუ ვიტყვით, საბჭოთა ნომენკლატურული სისტემა ანალოგიურ პოლიტიკას ატარებდა აჭარის ასსრ-შიც; აქაც ცდილობდნენ, ხელოვნურად გამოეწვიათ და გაეღვივები-ნათ ერის შიგნით დაპირისპირება და ანტაგონიზმი; ამგვარი წერილები-დასმენებით მანიპულირების შედეგად უზრუნველე-ყოთ ურთიერთგაუცხოებისა და მძულვარების ატმოსფერო. ამავე მიზანს ემსახურებოდა აჭარაში ეროვნული მოძრაობის

აღმავლობის პერიოდში შექმნილი ე. წ. „გარდაქმნის ხელისშემწყობი აჭარის საზოგადოება“ (გხას-ი); თუმცა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა გაქანებამ მათ ლიდერებზეც იქონია გავლენა და ზოგიერთთან უშუალო კონტაქტების შემდეგ მოხერხდა მათი აქტივობის განეიტრალება და ეროვნული იდეალებისადმი სიმპათიით განწყობაც კი, თუმცა მათშიც იყვნენ ისეთები, რომლებიც „თავიანთი საქმის“ ბოლომდე მისაყვანად უკან არაფერზე დაიხევდნენ და მზად იყვნენ, შეწირვოდნენ ნომენკლატურული სისტემისადმი ერთგულ სამსახურს, მაგრამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მათ ამის საშუალება, საბედნიეროდ, არ მიეცათ. ამის ერთ-ერთ მიზეზად ჩვენ ისიც მიგვაჩნია, რომ ისინი ჯერ კიდევ ქართულად ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ და, მიუხედავად უპირობო მოვალეობისა, შეესრულებინათ უეროვნებო ნომენკლატურის დაკვეთა, მაინც (შეიძლება ეს მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ქვეშეცნეულად მოხდა) საბოლოოდ ვერ გაიმეტეს თავიანთი მშობლიური გარემო, რომელშიც ისინი ამ ენაზე ოპერირებდნენ. ენა რომ ერის სულიერი გამოხატულების რეალური ფაქტორია, ამას გვაფიქრებინებს უტყუარი ფაქტები: 1956 წლის მარტსა და 1978 წლის მაისის ამბების დროს, ქალაქ ბათუმში მიუხედავად სტუდენტური მოძრაობის საკმაო გაქანებისა, ორივე შემთხვევაში საპროტესტო მანიფესტაცია-მიტინგებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მხოლოდ რუსული ფაკულტეტის სტუდენტებმა [3.16; 5.9], რამაც რუსული ენა წარმოაჩინა როგორც იმპერიული სულისკვეთებისა და განწყობილების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, ამხილა მისი შინაგანი იმპერიული ბუნება. ამან კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ენა ჭეშმარიტი სულია ერისა“... მაშინდელი აფხაზეთის ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, ფაქტობრივად, გარუსებული იყო და მშობლიურ ენაზე აღარ საუბრობდა. ხოლო ვორონინ-ტრაპეზნიკოვების მოსმენამ თუ სადამდე მიიყვანა საქმე, ეს დღეისათვის ყველასათვის ნათელია. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ დასახე-

ლებული მიზეზების გამო, ქართული მხრიდანაც არ ისმოდა გაწონასწორებული, საერთო საქმის სასარგებლოდ მომართული გონიერების ხმა, თუ არ ჩავთვლით ზემოთ ხსენებულ ჟურნალ „მატიანეს“ შესავალ წერილში „აღდგეს ერთობა“ დაფიქსირებულ ჯანსაღ პოზიციას. ისიც უნდა ითქვას, რომ კრებულის შემადგენლობა და შინაარსი ნაკლებად პასუხობს წერილში დაფიქსირებულ მიზანდასახულობას და პრობლემათა გადაწყვეტის რეალურ გზას... „აფხაზი“ ავტორებისთვის კი ბედიის, მოქვის, დრანდისა და ლიხნის კულტურულ ძეგლთა კუთვნილების დასადგენად გადამწყვეტი აღმოჩნდა „ბებია ასინეთის მონათხრობი“, რომელიც თურმე ამ ტაძრებს ხშირად იხსენიებდა „აფხაზურ ძეგლებად“ [4. 30]. ასე რომ, აქ ქართულ-აფხაზური ნომენკლატურული კლანის მესვეურთა ფანტაზია ძალიან შორს იყო წასული და საკუთარი ყალბი არგუმენტების გასამყარებლად, როგორც ჩანს, ყველაფერი დაშვებულია, მაგრამ ვისაც სიმართლის დანახვის ელემენტარული სურვილი გააჩნია, მისთვის ყველაფერი ნათელია, სავსებით ზედაპირზე დევს და მორწმუნე ადამიანს მისი აღქმა არ უნდა გაუჭირდეს; მაგრამ ნომენკლატურული კლანის ყოვლისშემძლეობის ილუზიით გაბრუებულ მის ელიტას საკუთარი ფიზიკური და მატერიალური შესაძლებლობების უფრო სჯერა, ვიდრე თვალხილული ჭეშმარიტების და ჯიუტად აგრძელებს სატანის მსახურებას, რაც საბოლოოდ მათი მხილებითა და საკუთარ თავზე ღვთიური მსჯავრის მოწევით დასრულდება. აფხაზი ხალხის ჭეშმარიტი შვილები კი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის მემკვიდრის გიორგი შერვაშიძის სახით, თავიანთი ეროვნული თვალსაწიერის კავკასიურ ჰორიზონტს ასე აღიქვამენ: **„მართალია, ჩვენს სამშობლოს – ევერიას ყოველგვარი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისე გაშეშდა, რომ დაგვებნა ეროვნული ევოლუციის შარა და კანონი... დიახ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, იღბლის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მო-**

ციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მოვიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა. შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსება, შემოსული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა; ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ღონება-შეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვაღწიეთ ამ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნიდით ჯაშუშობასა და სამშობლოს მტრობაში“ [9.18-19; 2.28].

აი, ამ გარემოს წარმომადგენლად მიაჩნია თავი აფხაზთა უკანასკნელი მთავრის პირდაპირ შთამომავალს გიორგი შერვაშიძეს (და ეს, როგორც მისი ნააზრევის კონტექსტიდან ჩანს, ეამაყება კიდეც – უ. ო.) უხსოვარი დროიდან იმ ეპოქის ჩათვლით, „როცა რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მივაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნიდით ჯაშუშობასა და სამშობლოს მტრობაში“, ანუ ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებულ რუსული იმპერიალიზმის განახლებად ფორმათა ნომენკლატურულ მსახურებაში. გიორგი შერვაშიძე, გრძნობდა რა ყოველივე ამას, იქვე იმასაც გვეუბნება, რომ **„თუ ქართველი ერი მთლიანად არ გადაშენდა, შთამომავლობა და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად“ [9. 18-19].** გიორგი შერვაშიძის ამ სიტყვების დადასტურებას წარმოადგენს აღნიშნულ კრებულში მოცემული თითქმის მთელი მასალა.

აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ აფხაზეთში ჩვენ, ქართველებს აფსუებზე მეტად გვმტრობენ „გააფხაზებული ქართველები“, რომლებიც აფხაზეთში სწორედ ნომენკლატურული პრივილეგიებისა და თანამდებობების მისაღებად

„აფხაზებად“ ჩაეწერნენ; ამიტომაც, აფსუებისათვის ყოველთვის უნდა ემტკიცებინათ, რომ ისინი მათზე ნაკლები „აფხაზები“ არ იყვნენ. და კიდევ – მათ მიერ ამის დასამტკიცებლად ჩადენილი ანტიქართული ქმედებანი, ხშირ შემთხვევაში, უკან, მშობლიურ წიაღში დაბრუნების ყოველგვარ შანსს უსპობდა, რადგან მათი ამ გზით წამყვანი ძალის მიერ ყველაფერი თავიდანვე ასე იყო ჩაფიქრებული. სწორედ ამ ძალის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ისინი კი არ „გააფხაზდნენ“, არამედ განომენკლატურდნენ, რაც მათი გარუსების წინაპირობად იქცა და ამ გზაზე აფსუათა მნიშვნელოვანი ნაწილიც გაიყოლიეს (ნომენკლატურული კლანის შემადგენლობაში ეროვნული ბალანსის დაცვა ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა – უ. ო.).

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის პირობებში, მათივე აზრით, მათ მიერ ჩადენილი საქმეების გამო, ამ კლანს უკან მოსაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდა, თანაც მათი ანგარებით ჩადენილი ქმედებების მხილებისაც სასტიკად ეშინოდათ და ეშინიათ დღესაც. ამიტომ, მათი პატრონის შთაგონებით, ამ ადგილობრივ ნომენკლატურულ კლანს მომავალი მხოლოდ რუსეთის მიერ კონტროლირებად „აფხაზურ ანკლავში“ წარმოუდგენია და საკუთარი „პრესტიჟული არსებობის“ შესანარჩუნებლად მათთვის ერთადერთი გზა აფხაზეთში რუსული ინტერესების დაცვა და განმტკიცებაა. მაგრამ ამ საკითხში ისინი ისე შორს არიან წასულნი, საქმის ბოლომდე მისაყვანად, თანახმა გახდნენ გარუსებაზე, რადგან თუ აფსუური სახელმწიფოს საშენ მასალად გადაიქცევიან, მაშინ კიდევ ერთხელ უარი უნდა თქვან უკვე მომხდარ საკუთარი გარუსების ფაქტზე და გააფსუვდნენ; ეს, რუსული სახელმწიფოს დომინირების პირობებში, მათი აზრით, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამასთან, ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოზე მეოცნებე ნამდვილი აფსუებისაც ეშინიათ, რადგან ასეთ პოზიციას ისინი ღალატად ჩაუთვლიან. თუმცა ეს ბრალდება ამ

„დღევანდელ ღამურებს“ საბოლოოდ მაინც არ ასცდებათ, რადგან „არა არს საიდუმლო, რომელიც არა განცხადდეს“. იციან რა ესეც, თავიანთ ერთადერთ ხსნას ისინი მათი „სულის მყიდველ“ რუსეთში ხედავენ. მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მათ არ იციან, თუ რა დასჭირდება რუსეთს მომავალში (აქამდე თუ რა სჭირდებოდა რუსეთს მათგან, ამას, მგონია, საქართველოში ქართულ-აფხაზური ნომენკლატურა უკვე მიმხვდარი უნდა იყოს და ისიც გაითვალისწინოს, რომ მათი რესურსი უკვე მილევადია – უ. ო.).

ამიტომაც, ამ საბოლოო გადაშენების პერსპექტივას, ხომ არ აჯობებდა, რომ აფსუებთან ერთად, თავიანთ თანამოძმე ქართველებთან ურთიერთობის მოგვარებაზე ეზრუნათ? მითუმეტეს, ჩვენ კარგად გვესმის მათი როგორც ადრინდელი, ისე დღევანდელი პრობლემები და არც არაფერში ვადანაშაულებთ. ზემოთ მოტანილი მკვეთრი გამოთქმები და ცნებები კი იმისათვის მოვიხმეთ, რომ მათი დღევანდელი მდგომარეობა, მათთვისვე ნათლად დაგვენახვებინა. ჩვენთან მათ, ნორმალურ პირობებში, არავითარი სერიოზული პრობლემა არ ჰქონიათ და არც არასდროს ექნებათ. ამიტომაც, სასწრაფოდ შევამზადოთ ნიადაგი ურთიერთმოსალაპარაკებლად და გონივრული კონსენსუსის ნიადაგზე რომ არ გადაიჭრას, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს შორის ისეთი პრობლემა არ არსებობს [6. 66-68]. ხოლო თუ სადამდე მიდის უეროვნებო ნომენკლატურის ციინიზმი და მანქურთული დამოკიდებულება მშობელი ერისადმი, ამის მაგალითად კმარა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების შეფის ალექსი ინაურის პასუხი 1956 წლის მარტის მოვლენებზე. როდესაც მას შეეკითხნენ – რატომ გამოიყენა სამხედრო ძალა უიარაღო მანიფესტანტების წინააღმდეგ, მათი დაშლა ხომ სახანძრო მანქანიდან მიშვებული წყლის ჭავლითაც შეიძლებოდა, მან ციინიკურად უპასუხა: „ჩვენ რომ სახანძრო რაზმის შლანგებით წყალი მიგვესხა დემონსტრანტებისათვის, ისინი გაცივდებოდნენ და ფილტვების ანთება დაემართებოდათ!“ [8. 32] (ეს ნომერი ძირითადად ეძღვნება მესხთა რეპატრიაციის

პრობლემას)]. აი, ამის მსგავს პასუხს უნდა ველოდეთ მომავალშიც, თუ ვინმე საქართველოში ამ „რუსული რულეტის“ აქტიორთა საქმიანობას მოიკითხავს.

აქვე მინდა აღვნიშნოთ, რომ, სხვათა შორის, 1989 წლის 9 აპრილი იყო გარდამტეხი მუხტი და ქართველი ხალხის ღირსეული პასუხი ქართული ნომენკლატურული კასტის კოლაბორაციონისტულ და საკუთარი ხალხის მიმართ მოღალატურ საქმიანობაზე. ამიტომაც შეაფასა საქართველოს ეროვნულმა გმირმა მერაბ კოსტავამ 9 აპრილის აპოგეა ასე: „ეს არის წამი უდიადესი...“ და უნდა ვიცოდეთ, რომ ამ წამის შემდეგ, მიუხედავად უამრავი შინაგანი პრობლემისა და ახლის შობასთან დაკავშირებული ტკივილებისა, ქართველი ერი დაუბრუნდა ტაძრისკენ მიმავალ გზას. მან ამ დღეს აჩვენა, რომ შეიგნო თავისი ღვთაებრივი მისია და დაღუპულ გმირთა წმინდა სისხლით აკურთხა იგი. აქედან იწყება გასაგნებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაც საქართველოში წარმავალსა და მარადიულს შორის. ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი სამშობლო არ დაუშვებს ამ ბრძოლაში დამარცხებას, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, თამამად გვეთქმოდეს: „ჩვენთან არს ღმერთი!“, ანუ სიმართლე. სწორედ ამას ნიშნავს 9 აპრილის იდეალების სამსახური, რომელმაც აუცილებლად ტაძართან უნდა მიგვიყვანოს. ამიტომაც აფხაზური პრობლემის მოგვარება ორივე მხარემ 1991-1992 წლების სამხედრო--კრიმინალური გადატრიალების დრომდე არსებული ვითარებიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც ეროვნული იდეალების მატარებელმა ხელისუფლებამ შეძლო გარდამავალ პერიოდში მიღწეული კონსენსუსების გზით აფხაზურ მხარესთან მდგომარეობის ნორმალიზება და მისი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს აღმშენებლობით დაინტერესება.

ლიტერატურა – REFERENCES

1. „აღდგეს ერთობა“, ჟურ. „მატიანე“, №4, 1989.
2. ბაქრაძე აკ., „რუსთა მეცნიერება და ქვათა ღაღადი, უმეცრება თუ პროვოკაცია?“, ჟურნ. „მატიანე“, № 4, 1989, გვ. 21-28.
3. ბიბილეიშვილი ი., საქართველოსათვის, ბათუმი, 2011.
4. ლორთქიფანიძე მ., „ცნობა თუ დეზინფორმაცია?“, ჟურნ. „მატიანე“, № 4, 1989, გვ. 29-30.
5. მეგრელიძე რ., „1978 წლის 26 მაისი ბათუმში“, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქ.-ოს ისტორიის კათედრა, საისტორიო მაცნე, №6, ბათუმი, 1997, გვ. 3-17.
6. ოქროპირიძე უ., კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პრობლემის შესახებ, ბათუმის შრს უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, II, (VII), გვ. 53-73.
7. აფხაზეთის ქართველთა პეტიცია სკკპ XXVI ყრილობის პრეზიდიუმს, სკკპ ცკ-ს გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს; ასლი: სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, ჟურნ. „მატიანე“, № 4, 1989. გვ. 6-20.
8. საქართველოს მოამბე, № 2, 1977.
9. შერვაშიძე გიორგი, ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946, გვ. 18-19.
10. Анчабадзе З. В., Трапш М., Очерки Истории абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960.
11. Анчабадзе З., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1969.
12. Антелава И.Г., Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, Сухуми, 1961.

13. Хрюшкова И.Г., Скульптура раннесредневековой Абхазии: V-X века. Тбилиси, 1980.
14. Рамятники древней культуры Абхазии, Москва, 1972 (С предисловием Гиорги Гулуа, Говорящие камни Абхазии).
15. Воронов Ю. Н., В мире архитектурных памятников Абхазии, Москва, 1978.

Ucha Okropiridze

For the Modern Understanding of Abkhazian Problem

Summary

The article offers modern understanding of Abkhazian problem, according to which the whole responsibility of the created problem should be taken by the worst enemy of the Georgian and Abkhazian people and Soviet nomenclature and its local satellites.

True historical past of Georgian and Abkhazian people is considered, i.e. the period when they stood in support of each other and fought against the colonial policy of Russian imperialism; The article points to the attitude of the people of the Abkhazia towards the Georgian people and the government, and the artificially created problems in contemporary Abkhazia and the real face and evil intentions of its creators are analyzed.

The article offers recommendations for the solution of the situation and revival of mutual trust.

თამარ ანთაძე

ღირსეულად დაფასებული მეცნიერი

საქართველოში ასეთი შემთხვევები უფრო იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არსებობს. საპირისპირო მაგალითები ძალიან ბევრია. უმადურობა უფრო მეტია მადლიერების გამოხატვაზე. პროფ. გივი კიღურაძის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. უმცროსი კოლეგები, მოსწავლეები ხშირად ივიწყებენ თავიანთ წინამორბედებს, მასწავლებლებს. ძალიან კარგია, რომ ამჯერად ასე არ მოხდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის საქმიანობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს წინამორბედების წვლილის ღირსეულად დაფასებას. ამ კარგ ტრადიციას თავისი ისტორია გააჩნია და მის მესაძირკვლედ კათედრის დამაარსებელი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე გვევლინება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი ორი საინტერესო ნაშრომი. პირველი ეხება ქართული მედიევისტიკის ფუძემდებელს პროფ. გრიგოლ ნათაძის ცხოვრებას და მოღვაწეობას და დაიბეჭდა 1959 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების 77 ტომში, ხოლო მეორე – კიდევ ერთ ცნობილ ისტორიკოსს, პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის მოღვაწეობას. ეტყობა, მას ამ ნაშრომის გამოქვეყნება ვერ მოუხერხებია. პროფ. მერაბ კალანდაძე მის კვალს არქივში გადააწყდა და პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. ამით პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ, ფაქტობრივად, საძირკველი ჩაუყარა მათი ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლას. ეს ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა [4. 2]. ეს კარგი ტრადიცია გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა პროფ. გივი კიღურაძემ და პროფ. კოტე ანთაძემ. ამ პრობლემატიკას დიდი ყურადღება ეთმობა დღესაც. მისი შეს-

წავლის მთავარ ინიციატორად პროფ. მერაბ კალანდაძე გვევლინება. ფაქტობრივად, ის კათედრის მეისტორიედ მოგვევლინა [2]. პროფ. გივი კიღურაძემ (1922-1978) ღრმა კვალი დატოვა XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. მან თავისი სიტყვა თქვა და შეძლებისდაგვარად შეეცადა, წინ წაეწია საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის სწავლება, პოპულარიზაცია და მეცნიერული კვლევა, შესწავლა. მან, პროფ. კოტე ანთაძესთან ერთად, ღირსეულად გააგრძელა ის კარგი ტრადიციები, რომლის სათავეებთან იდგა პროფ. ალექსანდრე ნამორაძე.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს იმ საკვლევი ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, რომელიც ღვაწლმოსილი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება. ამას აქვს მნიშვნელობა და საერთო წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა შეიძლება გაკეთდეს. ამ კუთხით ეს თემა სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი არ ყოფილა და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით, მასზე ორიოდე სიტყვით შევჩერებულიყავით.

წინამდებარე ნაშრომი ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველი ნაწილი შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღვაწლმოსილი მეცნიერის საიუბილეო საღამოების აღნიშვნას, ხოლო მეორე ნაწილში კი მოკლედ მიმოვიხილავთ იმ საკვლევ ლიტერატურას, რომელიც შეეხება მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლას.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთხელ აღინიშნა ამაგდარი მეცნიერის საიუბილეო თარიღები. ამას აქვს მნიშვნელობა და მისი სახელის არდავიწყების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

დავიწყოთ იმით, რომ 1979 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა ცნობილი მეცნიერის გარდაცვალების წლისთავი. მოგონებებით გამოვიდნენ მისი მეგობრები, კოლეგები. მათ ძალზე თბილად გაიხსენეს პროფ. გივი კიღურაძე როგორც პიროვნება, მეგობარი, მეცნიერი, ლექტორი. ეს იყო საინტერესო და ძალზე თბილი საღამო.

1982 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა მისი 60 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით ფრიად ავტორიტეტულ სამეცნიერო კრებულში „ფრანცუზსკი ეუეგოდნიკში“ დაიბეჭდა მისი მოწაფის კონსტანტინე ბოჭორიშვილის ინფორმაცია [27. 259-260].

1992 წელს პროფ. გივი კიღურაძეს 70 წელი შეუსრულდა, მაგრამ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა და 1992 წლის ზამთარში თბილისში გაჩაღებულ სამოქალაქო ომთანაა დაკავშირებული, მისი ფართოდ აღნიშვნა ვერ მოხერხდა. ამ ფონზე ერთგვარ გამონაკლისად გვევლინება და ნაწილობრივ ამის კომპენსაციას წარმოადგენს მისი მოწაფის პროფ. მერაბ კალანდაძის მეტად თბილი წერილი მასწავლებელზე „მეცნიერი და პედაგოგი“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“ [5].

2002 წლის 25 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა პროფ. გივი კიღურაძის 80 წლის იუბილე. სხდომას უძღვებოდა ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგე პროფ. კ. ანთაძე. შესავალი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი აკად. როინ მეტრეველი. მან გაიხსენა მათი თანამშრომლობა ქართულ ენციკლოპედიაზე მუშაობის დროს. პროფ. გივი კიღურაძის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა მისმა მოწაფემ პროფ. მერაბ კალანდაძემ. მან აღნიშნა, რომ პროფ. გივი კიღურაძე იყო ფართო პროფილის ისტორიკოსი, რომელიც ღრმა ჩახედულობას ამჟღავნებდა არა მარტო ახალ ისტორიაში, არამედ კარგად ერკვეოდა ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში და ისტორიოგრაფიაში. ის არ იყო ვიწრო ემპი-

რიკოსი, ფაქტოლოგი ისტორიკოსი. მას იზიდავდა თეორიული საკითხები. მან ხაზი გაუსვა პროფ. გ. კიღურაძის წვლილს საფრანგეთის დიდი რევოლუციის, XX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობების, ქართულ-ევროპული ურთიერთობების კვლევისა და ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. მოგონებებით გამოვიდნენ აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, აკად. ოთარ ჯაფარიძე, პროფ. კოტე ანთაძე, პროფ. ნოდარ ლომოური, პროფ. კარლო მეშველიანი, პროფ. გურამ ყორანაშვილი, პროფ. გურამ მანჯგალაძე. პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე საინტერესო სტატია [6; 23].

2012 წელს პროფ. გივი კიღურაძის 90 წლის იუბილე ერთი და იგივეს გამეორება რომ არ ყოფილიყო, სულ სხვა ფორმით ჩატარდა და ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველმა ნაწილმა მოგონების ფორმა მიიღო, ხოლო მეორე ნაწილი სამეცნიერო კონფერენციას წარმოადგენდა, სადაც მისთვის საინტერესო თემატიკას, ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებს სათანადო ყურადღება დაეთმო [3].

და ბოლოს დავძენთ, რომ 1998 წელს კიდევ ერთხელ გაიხსენეს ცნობილი მეცნიერი და ღირსეული პატივი მიაგეს მის ხსოვნას, რაც იმით გამოიხატა, რომ გამოვიდა ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის სამეცნიერო კრებული, რომელიც პროფ. გივი კიღურაძის ხსოვნას მიეძღვნა [22. 4-8].

* * *

საიუბილეო საღამოები მისი გახსენების ერთი ფორმა იყო. მეორე ფორმა მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლაა. ვერ ვიტყვით თითქოს ამ მხრივ არაფერი არ იყოს გაკეთებული. რაღაც პოზიტიური ძვრები არსებობს და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, უმართებულო იქნებოდა. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი უმცროსი კოლეგის პროფ. კოტე ანთაძის საინტერესო ბროშურა „გივი კიღურაძე ცხოვრება და

მოღვაწეობა“ [1]. ის მიზნად ისახავს უფროსი კოლეგის გახსენებას და მისი შემოქმედების შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. ეს არის ისტორიოგრაფიული ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომელიც ქართულ საზოგადოებას ზოგად წარმოდგენას შეუქმნის გივი კიღურაძის წვლილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი მთავარი ამოცანა იყო პროფ. გ. კიღურაძის შემოქმედების გარეგანი ანალიზი. ნაშრომში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. გ. კიღურაძის დამსახურება. ფაქტობრივად, პროფ. კ. ანთაძის საინტერესო ნაშრომმა საძირკველი ჩაუყარა პროფ. გივი კიღურაძის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლას. ამ ნაშრომის მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა [7. 128-130].

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. გივი კიღურაძის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მის უმცროს კოლეგას, პროფ. კოტე ანთაძეს და მის მოწაფეს – პროფ. მერაბ კალანდაძეს. მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება, სწორედ მან ითავა. ეს იყო პირველი ნაბიჯი პროფ. გ. კიღურაძის შემოქმედების შინაგანი გარჩევის გზაზე. ეს პროფ. კ. ანთაძის მიერ დაწყებული საქმის ლოგიკური გაგრძელება იყო. მან ორი მიმართულებით აწარმოვა მუშაობა. ის ზოგადიდან კონკრეტულისაკენ მიდის. ეს იყო სწორი მიდგომა.

თავდაპირველად მან ყურადღება გაამახვილა ქართულ ისტორიოგრაფიაში მის მიერ შეტანილ სართო წვლილზე [8. 160-173; 22. 4-8; 24. 45-56]. ეს პირველი ნაბიჯი იყო. ამის შემდეგ მან კიდევ უფრო გააფართოვა კვლევის არეალი, რაც უმთავრესად იმით გამოიხატა, რომ დააკონკრეტა საკითხი და ხაზი გაუსვა მის დამსახურებას დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების დამუშავების საქმეში.

პირველ ყოვლისა, მან აღნიშნა პროფ. გ. კიღურაძის დამსახურება საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის საქმეში. ამ დაინტერესების

ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება მისი სადოქტორო დისერტაცია „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს (1789-1794 წწ.)“. ეს მისი საუკეთესო ნაშრომია, რომელმაც სავსებით სამართლიანად დაუმკვიდრა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევრის სახელი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის დიდი აღიარება იყო [9. 122-129; 10. 89-92; 11. 29-30; 12. 2-3]. პროფ. გ. კიღურაძეს ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლის საქმეში [13. 423-445; 14. 232-265; 25. 93-109]. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი დაინტერესება საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიით XX საუკუნის დასაწყისში. მისი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მაროკოს პირველი კრიზისი 1905-1906 წლებში. ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1960 წელს გამოქვეყნდა, როგორც მონოგრაფია. „ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი)“.

განსაკუთრებით ფასეულია პროფ. გ. კიღურაძის დაინტერესება თეორიული საკითხებით. ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, ისტორიის მეთოდოლოგია [14. 265-316; 15. 118-130; 16. 282-295; 17. 118-130; 26. 99-105].

პროფ. გ. კიღურაძის წვლილს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში ეძღვნება პროფ. მ. კალანდაძის საინტერესო ნარკვევი „გივი კიღურაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები“ [18. 298-309; 19. 239-253].

ძალზე მოკლედ, ლაკონიურად, მაგრამ კომპაქტურადაა გაშუქებული პროფ. გივი კიღურაძის დამსახურება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლის საქმეში თ. ანთაძის და მ. კალანდაძის წიგნში „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია“ [2. 54-64].

გაკვრით ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს ლალი ფირცხალავა თავის მიმოხილვით ნარკვევში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია“ [22. 9-13]. ის ძალიან მოკლედ მოგვითხრობს კათედრის ისტორიას, ჩამოთვლის კათედრის გამგეებს და კათედრის წევრებს.

პროფ. კ. ანთაძის ბროშურის შემდეგ პროფ. მ. კალანდაძის შრომები წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს, როგორც თეორიული თვალსაზრისით, ისე კონკრეტიკაში. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ეს ორი ნაშრომი იწერებოდა ორ სხვადასხვა პერიოდში, რომელიც დიამეტრულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუ პროფ. კ. ანთაძის ბროშურა დაიწერა საბჭოთა პერიოდის ბოლოს, პროფ. მ. კალანდაძის შრომები იწერებოდა პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც მეტი აზროვნების თავისუფლება იყო. ამას აქვს მნიშვნელობა. ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება: 1. თუ პროფ. კ. ანთაძის ბროშურაში მარქსიზმისამი დამოკიდებულება ლოიალურად შეიძლება მივიჩნიოთ, პროფ. მ. კალანდაძე თავის შრომებში აშკარად ცდილობს, გათავისუფლდეს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენისაგან. ეს საკითხის თეორიული მხარე; 2. ახლა კონკრეტიკას მივხედოთ. არის კონკრეტული სიახლეები. როგორც პროფ. მ. კალანდაძე დასძენს, პროფ კ. ანთაძეს, როგორც ეტყობა, უნებლიეთ გამოეპარა მხედველობიდან პროფ. გ. კიღურაძის ნაშრომი „ცოფიანების მოძრაობის შეფასებისათვის“, რომელიც მან წაიკითხა პროფ. ალ. ნამორაძის გარდაცვალების 5 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე და გამოქვეყნდა მისი თეზისები. პროფ. მ. კალანდაძემ გაასწორა ეს შეუსაბამობა და დააზუსტა პროფ. გ. კიღურაძის შრომების სია; 3. მან ყურადღება მიაპყრო ერთ ნიუანსს. კ. ანთაძის ბროშურაში აღნიშნულია, რომ პროფ. გ. კიღურაძე იყო ახალი ისტორიის ქრესტომათიის ერთ-ერთი თანაავტორი, მაგრამ თანაავტორობით გამოსული წიგნების ჩამონათვალში მას ვერ ვხედავთ. როგორც ჩანს, უნებლიეთ გამორჩა; 4. ბ-ნ კოტეს ბროშურაში, რომელიც 1983 წელს გამოვიდა, ბუნებრივია, ვერ მოხვდებოდა პროფ. გ. კიღურაძის საინტერესო ნაშრომი „არ-

მიის გამოღვიძება“, რომელიც დაიბეჭდა ავტორიტეტულ სამეცნიერო კრებულში „ფრანცუზსკი ეჟეგოდნიკში“ 1984 წელს. ასე ამგვარად მისი შრომების ნუსხა კიდევ უფრო დაზუსტდა. ეს, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯია [8. 129].

განსხვავებულია კვლევის მეთოდი. პროფ. გ. ანთაძის ბროშურა პროფ. გ. კიღურაძის შემოქმედების გარეგან გარჩევას ისახავდა მიზნად და ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლის საქმეში მის საერთო დამსახურებაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს პროფ. გ. კიღურაძის შემოქმედების შესწავლის ერთი მნიშვნელოვანი საფეხური იყო. ამით დაიწყო ეს საქმე. ამას უნდა მოყოლოდა გაგრძელება. ეს მეორე საფეხური იქნებოდა. დაწყებული საქმის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება პროფ. მ. კალანდაძის შრომები. აქ უფრო მეტად აქცენტი კეთდება პროფ. გ. კიღურაძის შემოქმედების შინაგან ანალიზზე. მან მისი შემოქმედების კვლევის არეალი კიდევ უფრო გააფართოვა და მისი შესწავლის მეთოდი მრავალფეროვანი გახადა. ის იყენებდა მისი შემოქმედების როგორც გარეგანი, ისე შინაგანი გარჩევის მეთოდს. წინ წამოწია რიგი კონკრეტული საკითხები. მან ქართულ ისტორიოგრაფიის განვითარებაში მისი საერთო წვლილის გვერდით მიუთითა მის კონკრეტულ ღვაწლზე ამ დარგის განვითარების საქმეში. ეს იყო საკითხისადმი დედუქციური მიდგომა, საერთოდან გადადიხარ კონკრეტულზე.

მან სცადა ამ საკითხის განზოგადება. პროფ. გ. კიღურაძის შემოქმედების მაგალითზე შეეცადა, შეეფასებინა საბჭოთა ისტორიოგრაფია. ამგვარი მიდგომა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების აპოლოგეტური შეფასება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა პერიოდში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ეს იყო ერთი უკიდურესობა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის განქიქება, მიწასთან გასწორება,

ადვილი გზით სიარული იქნებოდა და, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ორივე უკიდურესობა მიუღებელი უნდა იყოს. საკითხისადმი მიდგომა მეცნიერულია. ის ცდილობს, გამოიძებნოს საშუალედო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ, ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მსოფლიო ისტორიის შესწავლა მეცნიერულ ელფერს ატარებდა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. მან ხაზი გაუსვა, რომ ემპირიის ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა მართებული არ იქნებოდა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. მისი მკაცრად განსჯა მარქსისტული კლიშეების გამო ადვილი გზით სიარული იქნებოდა და სუპერკრიტიკულად მიაჩნია. მას ძალიან მოსწონდა ირაკლი აბაშიძის სიტყვები: „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ეს იყო სწორი მიდგომა. პროფ. გ. კიღურაძემ აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. მაშინ ამ გზით ძალიან ბევრი მიდიოდა. ეს იმ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი იყო. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ ესახება და მაშინ მშობლიურ ენაზე, მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებზე ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რომელიც გაგვაჩნია. ასე რომ, ამ ნაბიჯს გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები [20].

პროფ. გივი კიღურაძის შემოქმედების შესწავლის გარკვეული ტრადიცია ყალიბდება, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ თავისებური ევოლუცია განიცადა და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. მას მკვეთრად გამოკვეთილი ორი პერიოდი გააჩნია. ის დაიწყო საბჭოთა ეპოქაში და გაგრძელდა პოსტსაბჭოთა პერიოდში. ფაქტობრივად, ეს იყო ორი სრულიად განსხვავებული მიდგომა. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს მარქსიზმისადმი ლოიალურ დამოკიდე-

ბულებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – მარქსიზმისაგან სრული გათავისუფლების მცდელობასთან. მათ შორის არსებული განსხვავება ამის ლოგიკური შედეგია.

აღნიშნულ თემაზე საუბრის დროს გვერდს ვერ აუვლით მისი მეგობრის პროფ. აკაკი სურგულაძის ძალზე თბილ და საინტერესო მოგონებებს მეგობარზე და კოლეგაზე, პროფ. გივი კიღურაძეზე [21. 117-121]. აქვე დავძენთ იმას, რომ პროფ. გივი კიღურაძის სახე ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში გვხვდება. აქ ვგულისხმობთ პოეტ თეიმურაზ ჩალაბაშვილის მეტად თბილ ლექსს, რომელიც პროფ. გ. კიღურაძის ხსოვნას ეძღვნება.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი ყურადღება ეთმობა იმ საგნების და ეპოქების სწავლებას, რომელსაც ასწავლიდა და იკვლევდა პროფესორი გივი კიღურაძე: ახალი ისტორია, საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონის ეპოქა, ახალი ისტორიის ისტორიოგრაფია, ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიის კვლევის მეთოდები, თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება. ყველაფერი ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. გივი კიღურაძის შრომის ღირსეულ დაფასებად მიგვაჩნია.

* * *

ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროფ. გივი კიღურაძის ხსოვნას სათანადო პატივი მიაგეს, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ დაიწყო მისი ცხოვრების და მოღვაწეობის სერიოზული შესწავლა. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ გზაზე. ამას აქვს მნიშვნელობა. საძირკველი ჩაეყარა მისი მემკვიდრეობის კვლევას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ჩვენი აზრით, საჭიროა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ერთი საინტერესო მონოგრაფია უნდა მიეძღვნას. ქართულ ისტორიოგრაფიაში პროფ. გ. კიღურაძის დამსახურებისადმი დამოკიდებულება წინამორბედების ღირსეული დაფასების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ანთაძე კ., გივი კიღურაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983.
2. ანთაძე თ., კალანდაძე მ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის V ყოველწლიური კონფერენცია, მიძღვნილი პროფ. გ. კიღურაძის დაბადების 90 წლისთავისადმი, დეკემბერი, 2012.
4. კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
5. კალანდაძე მ., მეცნიერი და პედაგოგი, გაზ. „თბილისი“, 14 თებერვალი, 1992.
6. კალანდაძე მ., ევროპის ისტორიის მკვლევარი (პროფესორ გივი კიღურაძის დაბადების 80 წლისთავის გამო), „თბილისის უნივერსიტეტი“, 27 აპრილი, 2002.
7. კალანდაძე მ., პროფესორი კოტე ანთაძე, თბ., 2014.
8. კალანდაძე მ., პროფესორი გივი კიღურაძე, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 359, თბ., 2005.
9. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
10. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში, საქართველოს კომუნისტი, №7, 1989.
11. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები (რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2013 წლის 30-31 მაისი), თბ., 2013.

12. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიის შესწავლა საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VI ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2013.
13. კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხები XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი 7, თბ., 2010.
14. კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, წიგნი 1, თბ., 2011.
15. კალანდაძე მ., საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნაკვეთი 9, თბ., 2011.
16. კალანდაძე მ., ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 2013.
17. კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაცნე, ისტორიის სერია №2, 2014.
18. კალანდაძე მ., პროფესორი გივი კიღურაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები, საისტორიო ძიებანი, XII, თბ., 2013-2015.
19. კალანდაძე მ., ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
20. კალანდაძე მ., საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ის-

ტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა, VIII ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2015.
21. სურგულაძე აკ., არდავიწყება მოყვრისა, თბ., 1986.
22. კრებული მიძღვნილი პროფ. გივი კიღურაძის ხსოვნისადმი, რედაქტორი მ. კალანდაძე, თბ., 1998.
23. ყორანაშვილი გ., ელიოს უნიღბო მსახური, გაზ. „თბილისი“, 24 ოქტომბერი, 2002.
24. Kalandadze M., Ein Georgischen Erforscher der Neuen Geschichte Westeuropa – “Georgica” 30. 2007.
25. Kalandadze M., Probleme der neuen Geschichte Westeuropas in der Georgischen Historiograpie des 20 Jahrhunderts – “Georgica”, 32. 2009.
26. Kalandadze M., Die Releuchtung der Frage der Pilosophie und Metogologie der Geschichte in der Georgischen Historiographie – “Georgica”, 36. 2013.
27. Бочоришвили К., Научная сесия Тбилиском государственном университете – «Французский Ежегодник», 1982г. Москва, 1984.

Tamar Antadze

Duly Appreciated

Summary

In Georgian historiography, the study of the activities of Prof. Givi Kighuradze is one of the best examples of appreciation of his predaccessors’ contribution.

The study of Prof. G. Kighuradze’s life and work has a vivid political background. It is divided into two periods: the end of the Soviet epoch and the Post-Soviet era. The initial attitude to Marxism can be considered as loyal, however, in the post-Soviet era the situation chan-

ged radically. Georgian historiography tried to free itself from Marxism-Leninism.

The main initiator of the study of Prof. G. Kighuradze's life and work was Prof. Kote Antadze, who wrote an interesting book „Givi Kighuradze's Life and Work", which was published by Tbilisi State University in 1983. This book provided external analysis of Prof. G. Kighuradze's scientific heritage and introduced the Georgian society to Prof. G. Kighuradze's contribution in Georgian historiography. In fact, Prof. K. Antadze formed grounds for further scientific study of Prof. G. Kighuradze's life and activities.

Further research in the given field was undertaken by his student Prof. M. Kalandadze, who attempted to implement internal analysis of Prof. G. Kighuradze's scientific heritage. This was an important step forward and consisted in concrete discussion of Prof. G. Kighuradze's contribution to Georgian historiography.

Prof. G. Kighuradze largely contributed to the study of the source studies, historiography and history of Western Europe, especially the French Revolution. His most significant work was „The French Army During the Great Revolution". In Georgia, Prof. G. Kighuradze was one of the most prominent researchers of the French Revolution.

Prof. G. Kighuradze's works in the theory of history are especially valuable and embrace the source study of the new history, historiography, philosophy of history and methodology of history.

Prof. G. Kighuradze researched the history of international relations in the beginning of the 20th century, Georgian-European cultural and historical relations. He largely contributed to the promotion of the source study of new history, historiography and history in general.

The above-mentioned issues were also the focus of research of historians: A. Surguladze, G. Koranashvili and L. Pirtskhalava.

Thus, it is an urgent task to fully accomplish the undertaken initiative and dedicate an interesting monograph to Prof. G. Kighuradze's life and work.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲢᲘ�პᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲗᲐ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ)

კომუნიკაციის თანამედროვე გლობალიზებულმა სისტემამ შესამჩნევად გააფართოვა სხვადასხვა ხალხთა ლინგვოკულტურული კონტაქტები. სპეციალურ სამეცნიერო წრეებში მუდმივი მსჯელობის საგნად იქცა განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგზე საუბარი. შედეგად, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კულტურათაშორისმა კვლევებმა მსოფლიოში არნახულ მასშტაბებს მიაღწია (რითიც უკვე დასტურდება მოცემული თემის აქტუალობა). ახალი ეპოქალური გამოწვევების სტრუქტურამ პარემიოლოგიაშიც ლოგიკურად მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ ის უკვე გლობალურ ჭრილში სვამს საკითხს ანდაზური ენის ფუნქციაზე ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში. ამიტომ დღეს (ეროვნული პარემიული ფონდების შემდგომ კვლევასთან ერთად) უმნიშვნელოვანესი გახდა განსხვავებულ კულტურათა მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო ფონდების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში. ზოგადად, ამგვარი კვლევების პოპულარობა (თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ პროცესებთან ერთად), ასევე, აიხსნება მკვლევართა დიდი სურვილით, სწორედ ანდაზების მაგალითზე შეისწავლონ განსხვავებულ ხალხთა მსოფლაღქმა.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი ხდება, როგორც განსხვავებულ ეთნოკულტურათა იდენტიფიცირება (თითოეულის ეთნიკური იდენტურობის გამოყოფა), ისე კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა (კულტურათაშორისი მსგავსების ნიშნულების) დადგენა.

ცხადია, ანდაზა დიდი თემაა ... მასში ჩადებული ცოდნა ამა თუ იმ ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია. ამ ბრძნულ „პორტატიულ პარადიგმებს“ [1. 14], როგორც მოცემული ხალხის (ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მიღებული) შეფასებების ერთგვარ მემატიანეს, ზუსტად აქვს შემონახული ადამიანური ურთიერთობების პრაქტიკულად ყველა ძირითადი ზედაპირული (თვალსაჩინო) თუ სიღრმისეული (არათვალსაჩინო) ცხოვრებისეული მოტივი.

ამჯერად, ჩვენი ყურადღება შეჩერდა ე. წ. „ენის“ თემაზე. ქართულ და არაბულ (როგორც სალიტერატურო, ისე სხვადასხვა არაბული ეთნოსების) ფონდებში მითითებულ თემატურ ჩარჩოებში დაძებნილი შესატყვისების ფონზე, შევეცდებით, შეპირისპირებით პლანში გავიაზროთ მოცემულ საზოგადოებებში ჩამოყალიბებული მსოფლხედვა (ყოველდღიურ ადამიანურ ურთიერთობებში დაფიქსირებული გამოცდილება) ამ მნიშვნელოვანი და მუდამ აქტუალური („ენის“) ფენომენის შესახებ.

ამ მიზნით (ქართულ და არაბულ საანდაზო ფონდებში) საგანგებოდ შეირჩა ერთი საინტერესო სემანტიკური მოდელი – სენტენცია, რომელიც, პრაქტიკულად, **ენის გონივრული გამოყენების** უნივერსალური შეფასებაა. აპრიორულად აქვე ვიტყვით, რომ ძიებისას ის ერთგვარ რუბრიკად ანუ მთავარ თემად გამოდგება. საქმე ისაა, რომ ის ტიპოლოგიურად იმგვარ (ექსპლიციტურად განზოგადებულ) გამოთქმათა სახეობას განეკუთვნება, რომელიც, ზედაპირულ დონეზევე კონსტატირებს რა ერთგვარ ზოგად „კანონს“, დადგენილ წესს, დასკვნის სახით საყოველთაოდ აღიარებულ (კანონზომიერ) დებულებად დევს მოცემულ (რადიკალურად განსხვავებულ) ცნობიერებებში. აქ დასმულ საკითხთან პირდაპირ კავშირში არ არის, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი ზოგადადამიანური თვისებაც, რომლის საილუსტრაციოდ გოეთეს ერთი ცნობილი შეფასება გამოდგება: სამართლიანი არის ის, რაც დადგენილია, ამი-

ტომ ყველა დადგენილ კანონს ადამიანები სამართლიანად სცნობენ ისე, რომ არც ცდილობენ მის არსში წვდომას.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ამგვარი (ე. წ. აფორისტული) ანდაზები სამყაროში არსებულ მრავალფეროვან მოვლენათა კლასში უფრო არსებითს, აბსტრაქტულ ღირებულებებს გამოყოფენ. მათში გამოხატული ფართო მნიშვნელობის იდეა თავის ფართო ჩარჩოებში აქცევს ცხოვრებისეულ შედარებით „ვიწრო“ მნიშვნელობის მქონე (ხშირად, არათვალსაჩინო) მრავალფეროვან მოვლენებს და დასკვნის სახით ახსნას აძლევს მათ.

შესაბამისად, რამდენადაც მასშტაბურია ანდაზაში „ჩადებული“ განზოგადებული იდეა (დედააზრი), იმდენად ფართო სპექტრისაა მისი ზოგადაზრობრივი განფენილობის პოტენციალი (მეტიც, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო კონტექსტებში რეალიზების პერსპექტივები). ეს მოცემულობა საშუალებას იძლევა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო „ენის“ თემატიკა სისტემურად არა ერთ პლანში გავიაზროთ, რაც ძიებისას ბუნებრივად აისახება არაბულენოვან შესატყვისებშიც.

ღირებულად მიგვაჩნია, რომ აქ წარმოდგენილი არაბული მაგალითების უმრავლესობა (მცირე სალიტერატურო გამონაკლისის გარდა) ჩაწერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ ინფორმანტებისაგან. შესაძლო უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, ანდაზების შესწავლით დაინტერესებული მაძიებლისთვის (ვისთვისაც არაბული მშობლიური ენა არა არის) ყველაზე სწორი გეზი ინფორმანტებთან უშუალო კომუნიკაცია აღმოჩნდა. სათანადო კონტექსტებში გადააზრების საფუძველზე დაზუსტდა მოცემულ ეთნოცნობიერებაში მოცემულ მოვლენასთან მიმართებით (საგნებსა და მოვლენებს შორის) დადგენილი წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებები.

მაშ ასე, როგორც ზემოთ ითქვა, ძიებისას პოსტულატად აღებულია ცნობილი ქართული ანდაზა – **„ჩემი ენა ჩემი მტერი, იგივ ჩემი მეგობარი“** და მისი (სალიტერატურო არაბულის ანდაზურ ფონდში მოძიებული) შესატყვისი – **„ო, ენავ, შენი წყალობით ადამიანი ან ამაღლდება ან დამდაბლდება“.**

მოცემული გამოთქმები ადამიანურ ურთიერთობებში ენის (ავად თუ კარგად) მოქმედებით გამოწვეულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე დაკვირვების მრავალმხრივ (პრაქტიკულად, სრულყოფილ) შეჯამებას წარმოადგენს. მისი (როგორც მთავარი თემის) საფუძველზე, ერთი მხრივ, მოცემულ ფონდებში შევეცდებით, მოვუძებნოთ (ამ სემანტიკურ მოდელში მოქცეული ექსპლიციტურად განზოგადებული) პარალელები, მეორე მხრივ, გავიაზროთ (მოცემული რუბრიკის ქვეშ) „ენის“ სხვა რა მიმართებების მოთავსებაა შესაძლებელი. ამ უკანასკნელთ ქვეთემების სახით გამოვყოფთ (როგორც ქართულში, ისე არაბულში). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძიების ამგვარი გეზი კომპლექსურია, ის თავისთავად უზრუნველყოფს მოცემულ თემაზე (ჩვენთვის საინტერესო ფონდებში) მოძიებული მაგალითების სინონიმურ, კვაზისინონიმურ და ანტონიმურ დაჯგუფებას.

მთავარი თემა:

- **ჩემი ენა ჩემი მტერი, იგივ ჩემი მეგობარი.**

  يا لسان يُكرَم المرء بفضلك أو يُهان(ლიტ.)

- **ო, ენავ, შენი წყალობით ადამიანი ან ამაღლდება ან დამდაბლდება.**

ამავე ნაწილში აზრობრივად შესაძლებელია შემდეგი არაბული მაგალითების შეტანა:

لسانك حصانك: إن صنته صانك إن هنته هانك (ლიტ. / სირ. / ლიბან.)

- შენი ენა – ცხენია შენი: თუ უერთგულებ – გიერთგულებს, თუ უღალატებ – გიღალატებს.

  ما على الأرض شيء أحقّ بطول سجن من لسان (ლიტ.)

- არაფერია მთელ დედამიწაზე ენაზე უფრო სამართლიანი (ღირსეული) სასჯელი (ციხე).

  الموت والحياه في ايد اللسان (ეგვიპტ.)

- სიკვდილი და სიცოცხლე თვით ენის ხელშია.

(ლიტ.) إنّ البلاء مُوَكَّل بالمنطق

- უბედურება ენის წარმომადგენელია.

(ლიტ.)من حسن إسلام المرء تَركُه مالا يعنيه

- კაცის ღვთისმოსაობა (მორწმუნეობა) იმაში ვლინდება, (უარი თქვას) არ ჩაერიოს იმაში, რაც მას არ ეხება.

(ლიტ.) تكلّم فقد كلّم الله موسى

- თქვი შენი (კეთილი) სათქმელი, თვით უფალიც კი ესაუბრებოდა მოსეს.

ქვეთემები:

ა) **გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუ-ბარი.**

(ლიტ. /სირ. /ლიბან. / ეგვიპტ.) اللسان الحلو يطلّع الحية من وكرها

(ერაყ.) اللسان الطّيب يطلّع الحيه من الغار

- ტკბილი ენა გველს სოროდან გამოიყვანს.

(ლიტ.) قاتله الله ما أعذب لسانه!

- ღმერთმა დასწყევლოს, რა ტკბილი ენა აქვს!

(ლიტ.) من حسن كلامه طاب عيشه

- ტკბილმა ენამ (ლამაზმა სიტყვებმა) ცხოვრება მოუწყო (დაუტკბო).

(ლიტ.) سبّح يغترّوا

- ხშირად უთხარი მათ საქებარი სიტყვები და დაბრმავ-დებიან (შენს წილს იოლად მიიღებ).

(ლიტ.) من لانت كلمته وجبت محبّته

- ვინც სიტყვა შეარბილა (ენით მოქნილობა გამოიჩინა), სიყვარული მოიპოვა.

(ლიტ.) إنّ من البيان لسحرا

- ლამაზ სიტყვებს ჯადოსნური ძალა აქვს (იმორჩილებს მსმენელს).

(პალესტ. / იორდან.) كلامو متل اللبن على العسل

- მისი სიტყვა ისეთია, როგორც რძე თაფლთან.

(ეგვიპტ.) الكلام الطيب ينجى

- ტკბილი სიტყვა გადაგარჩენს (საფრთხისგან დაგიცავს).

(ლიტ.) (كلامه) أغزل من امرئ القيس

(ლიტ.) أبلغ من قيس

- იმრ ალ-კაისს აღემატება ენის სიტკბოებით სიყვარულში.

ბ) **სიტყვა ან მოგკლავს ან გაგაცოცხლებს. / ენა – მწარე, ენა – ტკბილი, ენა – ქვეყნის ამომგდები. / ენა უტკბესი, ენა უმწარესი.**

(ეგვიპტ.) الموت والحياه في ايد اللسان

- სიკვდილი და სიცოცხლე ენის ხელშია.

(ლიტ.) ما صدقة أفضل من صدقة من قول!

- არაფერია სიტყვით გაცემულ წყალობაზე უფრო მეტი მოწყალეობა.

(ლიტ.) ما الإنسان لولا اللسان إلاّ صورة مُمثَّلة أو بَهيمة مُهمِلة

- ადამიანი იქნებოდა (კაცის მსგავსი) სურათი ან უმეტყველო ცხოველი, თუ არა ენა (რომლითაც მას თავისი აზრების გამოხატვის უნარი ეძლევა).

(ლიტ.) أكل وحمد خير من أكل وصمت

- ჭამა შექებით სჯობს ჩუმად შექცევას (ანუ, გაუხარე მადლიერებით დიასახლისს გული და კიდევ გიმასპინძლებს).

(ლიტ.) ربّ قول أشدّ من صول

- იქნებ სიტყვა ზოგჯერ დარტყმაზე ძლიერიც იყოს ?!

(ერაყ.) اللسان شباب نيران

- ენა ცეცხლის ალებს ჰგავს (ცეცხლის შვილებივითაა).

(სირ.) لسانه أحلس أملس متل كرباج بشطلين

- მისი ენა გლუვია, მაგრამ როგორც ორწვერიანი მათრახი.

გ) **არც ყველაფერი ითქმება, არც ყველაფერი იჭმევა./ნათქვამია: ცუდი სიტყვა არ გაივლის ხანსა გრძელსა.**

(ლიტ./ერაყ.) صاحب القول \ الحقّ له مقام ومقال

- სიმართლის თქმას (სათქმელის პატრონს) თავისი დრო და ადგილი აქვს.

(ერაყ.) الكلام مثل الطعام

(სირ./ლიბან.) الكلام طعام

(სირ./ეგვიპტ.) الكلام بينذاق متل الطعام

(იორდან.) ذوق الكلام متل الطعام

- სიტყვა საჭმელივითაა, გასინჯე, სანამ შეჭამ (დაფიქრდი, სანამ იტყვი).

(ლიტ.) ما كلّ قولة لها جواب

(ერაყ.) كلّ كلمه ما لها مردّ

- ყველა სიტყვას არ ეგების პასუხი.

(ლიტ.) أسوأ القول الأفراط

- ყველაზე ცუდი ზედმეტი (უტაქტო) სიტყვებია.

(ლიტ.) المنة تهدم الصنيعة

- (უადგილო) საყვედურმა საქმე ჩაშალა.

(ლიტ.) ربّ حرب شبّت من لفظة

- ერთი დაუფიქრებელი (უტაქტო) სიტყვა ომის მიზეზად იქცა.

(ლიტ.) ربّما كان السكوت جوابا؟!

- იქნებ თავად სიჩუმემ გასცეს უკეთ პასუხი?!

(ლიტ.) (ربّما) ربّ السكوت أبلغ من كلام؟!

- (ზოგჯერ) სიჩუმე უფრო მჭევრმეტყველია, ვიდრე სიტყვა.

(ლიტ.) ربّ عين أنمّ من لسان

- (ზოგჯერ) თვალები უფრო მჭევრმეტყველია, ვიდრე ენა.

დ) **სველი ენა რას არ იტყვისო. / ენას ძვალი არა აქვს და სიტყვას ბაჟიო./ კაცის ენა რას არ იტყვისო.**

(სირ.) لسان ابن آدم شختة

- ადამიანის ენა ხორცის ნაჭერია.

(სირ./ლიბან.) يا لساني شلون ما درتك بتندار

- ჩემო ენავ, საითაც მინდა იქით მიგაბრუნებ.

(ლიტ.) ليس لقوله سور يحصره

- მის სიტყვას ღობე არ აკრავს (რაც პირზე მოადგება, ყველაფერს როშავს).

(ლიტ.) لسان ثرثار

- ენასარსარა.

ე) **თავში კაკუნი რამ მიყო და ჩემმა ენამაო.**

(ლიტ.) إياك وأن يضرب لسانك عنقك

- გაფრთხილდი, კისერი არ წაგაჭრას შენმა ენამ.

(ლიტ.) ما عدوّ الإنسان إلا لسانه

- ადამიანს სხვა მტერი არ ჰყავს, გარდა საკუთარი ენისა.

(ლიტ.) طول اللسان يقصّر الأجل

- გრძელი ენა სიცოცხლეს უმოკლებს ადამიანს.

(სირ./ლიბან./იორდან./პალესტ.) اللسان عدوّ القفا

- ენა კეფის მტერია.

(ლიტ.) طاعة اللسان ندامة

- ენისადმი მორჩილება სინანულია.

(ლიტ./ერაყ.) اِحفَظ لسانك (وعليك نفسك)!

- დაინდე (დაიცავი) შენი ენა და თავი შენი!

(ლიტ. /სირ./ლიბან.) عثرة القدم أسلم من عثرة اللسان

- ფეხით წაბორძიკება უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ენით წაბორძიკება.

(ლიტ.) من سبّك؟ قال: من بلّغني

- ვინ გაგანაწყენა? თქვა: ვინც ამბავი მომიტანა.

(ლიტ.) ليس المشير كالخبير

- (ცუდი) ამბის პირში მთქმელს (სიბრიყვით), გადაკვრით მთქმელი ვერ შეედრება.

(ლიტ.) سقطت به النصيحة على الظنّة

- თავისი რჩევების გამო ის ეჭვმიტანილი შეიქნა.

ზემოთ წარმოდგენილ ბოლო არაბულ ერთეულებს, ვფიქრობთ, შესატყვისად ასევე გამოადგება ქართული **„აგერ დამაბი ენაზეო...“**

ვ) ***საიდუმლოს შენახვა:***

(ლიტ.) أملك الناس لنفسه أكتمهم لسرّه

- თავს ის ფლობს საუკეთესოდ, ვინც საიდუმლოს თავისთან ინახავს.

(ლიტ.) سرّك من دمك

- შენი საიდუმლო შენი სისხლია.

(ლიტ.) صدرك أوسع لسرّك

- შენი მკერდი საუკეთესო (ყველაზე ტევადი) საყუდელია შენი საიდუმლოსთვის.

ზ) ***უადგილო ხუმრობა***

უხეირო (უკბილო) ხუმრობამ ძმა ძმას გაჰყარაო./ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, შიგ რომ სიმართლე არ ერიოსო./კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

(ლიტ.) المزاح سباب النواكى

- ხუმრობა შეურაცხყოფის ნაირსახეობაა (რომელსაც ბრიყვები მიმართავენ).

(ლიტ.) المزاحة تهدم الصنيعة

- (უადგილო) ხუმრობა კეთილ საქმეს (ურთიერთობას) ანგრევს.

(ლიტ.) ربّ مزح في غوره دجّ

- ხუმრობას ხშირად ქვეტექსტად სიმართლე უდევს. (ქართ.: ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, შიგ რომ სიმართლე არ ერიოსო).

(ლიტ./ერაყ.)تحسبو جدّا وهو مازح

- შენ სერიოზულად მიიჩნევ მის ნათქვამს, ის კი ხუმრობს.

(ლიტ.) المزاحة تذهب المهابة

- (უადგილო) ხუმრობა ავტორიტეტის მტერია.

(ლიტ.) لا تمازح الشريف فيحقد عليك ولا الدنيء فيجترئ عليك

- ნუ ეხუმრები კეთილშობილს, ის შეგიძულებს და ნურც მდაბიოს ეხუმრები – აგიხირდება.

როგორც ვხედავთ, ქართული და არაბული ანდაზური ფონდები მოცემულ თემაზე ტიპოლოგიურად მრავალფეროვან, მეტად საინტერესო განზოგადებულ მოდელებს გვთავაზობს. წარმოდგენილმა მაგალითებმა ცხადად აჩვენა, რომ ზოგჯერ ფართო მნიშვნელობის მქონე ერთი ანდაზა შესაძლოა არა ერთი მნიშვნელობით იქნას გაგებული. ანუ ერთი ექსპლიციტური შინაარსის შემცველ გამონათქვამს ერთზე მეტი იმპლიციტური აზრობრივი სტრუქტურა ედოს საფუძვლად. შესაბამისად, ფართოა მისი ზოგადაზრობრივი განფენილობის არეალი. ამიტომ, ამგვარი (მით უფრო, უცხოენოვანი) ანდაზების დედააზრის გახსნისას უცილობლად განხილვა უნდა მოხდეს იმ სიტუაციურ კონტექსტთან მიმართებით, რომელშიც ხდება მისი რეალიზება. წერილობით თუ ზეპირ კომუნიკაციაში მათი გამოყენების სწორი ფლობა თითოეულის სემანტიკური შეფერილობისა და სტილისტური მახასიათებლების ზუსტ ცოდნას მოითხოვს. ერთი შეხედვით, თითქოს იოლად გასაგები შესიტყვებების საზრისში წვდომა, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ენის ფლობას არ ჯერდება. ეს პროცესი არსებული კოლექტიური ცნობიერების სიღრმეებში შეღწევას, პრაქტიკულად, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის შესწავლას გულისხმობს.

და ბოლოს, ამგვარი (შეპირისპირებით პლანში) მიდგომით მიღებული შედეგები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ წმინდა ლინგვოკულტურულოგიური მნიშვნელობის კონტექსტში. მოცემული თემა (პარემიის პრაგმატული ფუნქციური პარამეტრების გათვალისწინებით) უშუალოდ იძლევა გასვლას ლინგვოდიდაქტიკაში. მართებულია დებულება, რომ ანდაზები ის ძველი ძვირფასი თვლებია საზოგადოდ გამოცდილი სიბრძნისა, რომლებიც გვეხმარებიან ყოველდღიურ ცხოვრებასა და კომუნიკაციაში, რათა გავუმკლავდეთ თანამედროვე ცხოვრების პირობებთან დაკავშირებულ სირთულეებს [3]. ეს ნათელს ხდის, რომ კვლევის შედეგების შედარებით საერთაშორისო დონეზე პარემიოლოგიას შეუძლია, შეიტანოს თავისი ღირებული წვლილი იმ ჰუმანურ მსოფლიო შეკვეთაზე, რომელიც (ანდაზური ფონდების სახით) დაფუძნებულია გამოცდილ, აპრობირებულ სიბრძნეზე.

ლიტერატურა – REFERENCES

1. Ardner E., Witchkraft, Economics and the Continuity of Belief. Douglas M., [ed.] Witchkraft Confessions and Accusations, L., 1970.
2. Haskell R. E., Cognition and Symbolic Structure . “Cognitive Psychology and the Problem of Symbolic Cognition”, Norwood, 1987, p. 67-82.
3. Mieder Wolfgang, Modern Paremiology in Retrospect and Prospect, Abstracts of Oral Presentations, The 1996 Tokyo International Proverb Forum.
4. http://www.sscnet.ucla.edu/comm/steen/cogweb/Abstracts/TokyoForum – 96.html
5. Webster Sheila K., Arabic Proverbs and Related Forms”, “Proverbium” №3,1986, pp. 179-194.
6. Миллер В., Очерки русской народной словесности, Москва, 1924.
7. Пермяков Г. Л.б От поговорки до сказки (заметки об общей теории клише), Москва, 1070.
8. سهام ترجمان - "يا مال الشام". دمشق، ١٩٨٧

Khatuna Tumanishvili

On the Typological Research of Proverbs Connected with Tongue in the Context of Different Cultures (Based on Georgian and Arabic Materials)

Summary

Modern globalized communication system significantly expanded linguocultural contacts of different peoples. Structure of new epochal challenges logically caused in the field of phraseological research poseed the necessity to rise the question of the function of figurative language in contemporary culture already in global context. Therefore, today (together with further research of national collections), it is important to study interlingual evidence in comparative context, in order to obtain a common stock of international collections with their diverse functions in different cultures.

The above-mentioned demonstrates the urgency of the given topic and defines the object of the present study: interpretation of the proverb – a formula modeled as a certain concept in a given mentality – in the context of different cultures (Arabic/Georgian). In this case the urgency of the topic is also connected with the first attempt to introduce a new topic into the Georgian Arabistics.

The present Work (as the main) is based on the analysis of semantic model – "*My tongue is my enemy and my friend as well"*. Illustrative (Georgian and Arabic) material is divided into: a) exact equivalents, b) semantic equivalents. The work also includes abstract information about the proverb.

All Arabic examples are recorded and translated from Arabic primary source – directly from Syrian, Lebanese, Egyptian, Iraqi informants. To avoid possible inaccuracies, for a researcher (not a native speaker of Arabic) interested in studying proverbs the best way proved to be direct relationship with informants. By re-interpretation in

appropriate context, imaginary logical relations established with respect to a particular phenomenon in given ethnoconsciousness (between things and phenomena) were specified.

Based on such approaches it becomes possible to identify Georgian and various Arabic ethnocultures (to define ethnic identity of each), simultaneously, to determine globalization characteristics of cultures (intercultural similarity markers).

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

გერცელ ბააზოვი – 115

ქართველი და ებრაელი ხალხის ისტორიის ნათელი ფურცელი

გერცელ ბააზოვი ქართული ლიტერატურისა და დრამატურგიის თვალსაჩინო, საინტერესო და კოლორიტული ფიგურაა. ამ ნაყოფიერმა, უნიჭიერესმა მწერალმა თავისი ორიგინალური შემოქმედებით ხელი შეუწყო ქართული საბჭოთა დრამატურგიის თემატურად გამრავალფეროვნებას, მხატვრულად დახვეწას და იდეურად განმტკიცებას.

მწერლის პიესები დაწერილია ცოცხლად, მიმზიდველად, ექსპრესიულად. მათ გარკვეული როლი შეასრულეს სოციალისტური რეალიზმის ამსახველი დრამატურგიის დამკვიდრებაში. ასევე, მნიშვნელოვანია გერცელ ბააზოვის წვლილი ეროვნული თეატრალური კულტურის წინსვლისა და თანამედროვეობის სცენაზე წარმოჩენის საქმეში.

გ. ბააზოვის ცხოვრება ნაადრევად და ტრაგიკულად შეწყდა; იგი მსხვერპლი აღმოჩნდა 1937-38 წწ. რეპრესიებისა. იმ დროისათვის გერცელის ნიჭი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შედიოდა და მკითხველი კიდევ უფრო საყურადღებო მხატვრულ ნიმუშებს ელოდა.

მწერალმა საკუთარი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ზრდისა და გამრავალფეროვნების საქმეში და ამიტომაც, ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მის ისტორიაში.

გერცელ დავითის ძე ბააზოვი დაიბადა 1904 წლის 28 ოქტომბერს დაბა ონში, დიდი ქართველი ებრაელი განმანათლებლის, საზოგადო მოღვაწის, დავით მენახემის ძე ბააზოვის ოჯახში.

დავით ბააზოვი (1887-1947 წწ.) გამოჩენილი ქართველი ებრაელი საზოგადო მოღვაწე იყო, ფართოდ განათლებული პიროვნება და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. როგორც დელეგატი, ხშირად მონაწილეობდა ებრაელთა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში.

პირველდაწყებითი განათლება გერცელმა ონის სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ ამ სასწავლებლის ბაზაზე გაიხსნა რვაკლასიანი გიმნაზია, სადაც სწავლა განაგრძო. უკანასკნელი კლასი კი გერცელმა წარჩინებით დაამთავრა თბილისში, (1922 წ.) სათავადაზნაურო გიმნაზიის ბაზაზე შექმნილ ქალაქის XI ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელსაც ცნობილი მეცნიერი გიორგი ახვლედიანი ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ ის შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე და მას 1927 წ. ამთავრებს; მუშაობს ერთხანს მოსამართლედ, ჟურნალ „სამართლის“ რედაქციის მდივნად; 1930 წელს სწავლას აგრძელებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში დასავლეთ ევროპის ლიტერატურათა სპეციალობით. ამავე წელს გერცელმა ცოლად შეირთო სოფიო პრუგერი (შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი). 1932 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე გ. ბააზოვი პროფესიონალი მწერლის საქმიანობას ეწეოდა. მან საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა – თხუთმეტამდე პიესა და რამდენიმე ბელეტრისტული ნაწარმოები. მწერალი პარალელურად აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა – ებრაელებში განათლების შეტანისა და მათთან კულტურული მუშაობის მიმართულებით.

ჭაბუკი გერცელის პირველი ლექსები გამოქვეყნდა ქუთაისის გაზეთში „ებრაელის ხმა“ (რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდა დავით ბააზოვი). გიმნაზიაში ყოფნის დროს, 1921-22 წლებში უჩა ჯაფარიძესთან და დიმიტრი ჯანელიძესთან ერთად გამოსცა სალიტერატურო ჟურნალი „ონი“. ჟურნალის გამოცემის ინიციატორი გახლდათ უჩას უფროსი ძმა გრიშა ჯაფარიძე. გერცელი ამ დროს უკვე საკმაოდ ინტენსიურ ლიტე-

რატურულ მოღვაწეობას ეწეოდა: წერდა ლექსებს, მოთხრობებს, თარგმნიდა რუსი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს, ქუთაისის გაზეთში აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, ამავე დროს, გიმნაზიის პირველ მოწაფედ ითვლებოდა.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ გერცელის ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო გააქტიურდა. „ტრიბუნაში“ დაიბეჭდა გერცელ ბააზოვის მიერ თარგმნილი მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ძველთაძველი ლიტერატურული ძეგლი „გალობათა გალობა“. ბააზოვის სახელი უფრო და უფრო ცნობილი ხდება და გერცელი ნიჭიერი დრამატურგისა და საინტერესო ბელეტრისტის სახელს იმკვიდრებს.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა უკვდავი ებრაული პოემა-პასტორალის „გალობათა გალობის“ თარგმანს. ის გერცელ ბააზოვის პოეტური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მონაპოვარია.

ასე რომ, მართალია, პოეზია ეპიზოდად დარჩა გერცელის სამწერლო ბიოგრაფიაში, მაგრამ, იმავდროულად, მეტად მეტყველ და საგულისხმო შემოქმედებით საფეხურს წარმოადგენდა.

ოციან წლებში გერცელ ბააზოვმა გამოაქვეყნა მოთხრობები, ნარკვევები, კრიტიკულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილები. მისი ერთ-ერთი პირველი ბელეტრისტული ნაწარმოებია ისტორიული მოთხრობა „ალვარ როდრიგო“, რომელიც 1924 წელს გაზეთ „მაკავეელში“ დაიბეჭდა.

გერცელი შემოქმედებით კავშირს ამყარებს ქართველ ებრაელთა დრამატულ დასთან – „კადიმასთან“. „კადიმამ“ წარმოადგინა გერცელ ბააზოვის ორიგინალური ისტორიული ტრაგედია „საიდუმლო ბინა“, რომელიც XV საუკუნის ესპანეთის ებრაელთა ყოფას ასახავდა. ამ ტრაგედიაში გერცელის და-ძმა მონაწილეობდნენ. დასს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი დოდო ანთაძე.

გერცელ ბააზოვის პუბლიცისტური სტატიები ქვეყნდებოდა გაზეთებში: „ტრიბუნა“, „მაკავეელი“, ჟურნალებში „დროშა“, „თეატრი და ცხოვრება“ და „ქართული მწერლობა“. გერ-

ცელი თავის წერილებში აღნიშნავდა ებრაელი ერის დამსახურებას მსოფლიოს წინაშე, რადგან ებრაელი ერის ნიჭმა და შრომისუნარიანობამ არა ერთი გენიალური ადამიანი მისცა მსოფლიოს და არა ერთი საშვილიშვილო საქმის დამწყებად მოგვევლინა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში გ. ბააზოვი აქვეყნებს თავის ცნობილ ბელეტრისტულ ნაწარმოებებს: „გელათის ქუჩის დასასრული“, „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“ და რომანი „ფეთხაინი“. 1920-21 წლებში ქართველ ებრაელთა ცხოვრების ამსახველი ეს ჭეშმარიტი სურათი ქუთაისელ ებრაელთა ყოფის თავისებურ მხატვრულ ქრონიკადაც გვევლინება.

გელათის ქუჩა გეტოს თავისებური ალეგორიაა. ეს მოთხრობა ებრაელთა ძველი ყოფის დასამარებისა და ახალი ცხოვრების დასაწყისის სიმბოლოა. ავტორმა შესანიშნავად ასახა ებრაელი მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია და კლასთა ბრძოლა მის სხვადასხვა ფენას შორის.

მოთხრობაში „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“ ავტორმა გვიჩვენა კლასთა ბრძოლა, ადამიანის ხასიათის ევოლუცია, ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირება.

„ნიკანორ ნიკანორიჩი“ ნოველის ტიპის მოთხრობაა. იგი ძალზე ამაღელვებელი ნაწარმოებია: საოცარი სიმართლე, ლაკონურობა, დახვეწილობა, კოლორიტი, ხატოვანება გამორჩეულს ხდის მას და ამიტომ ღირსეული ადგილი უკავია მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

გერცელ ბააზოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მეტად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რომანს „ფეთხაინი“. ის წარმოადგენს არა მარტო დიდ ეპიკურ ტილოს, არამედ მხატვრულ-ლიტერატურული თვალსაზრისითაც ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და საინტერესო ნაწარმოებია მწერლის შემოქმედებაში.

ავტორს რომანი ტრილოგიად ჰქონდა ჩაფიქრებული. „ფეთხაინის“ გამოქვეყნებული ნაწილი ამ მომავალი და, სამწუხაროდ, დაუსრულებელი ტრილოგიის პირველი წიგნია. მწე-

რალს ტრილოგიაში მიზნად ჰქონდა დასახული ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების თავისებური მატიანეს შექმნა, მათი ყველა წრისა და ფენის ცხოვრების დასურათება. ეს მას იზიდავდა როგორც არა მხოლოდ მხატვარს, არამედ როგორც მოღვაწეს და პატრიოტს.

რომანი „ფეთხაინი“ 1932-33 წლებში იწერებოდა. „ფეთხაინი“ სიმბოლური სათაურია. ფეთხაინის ქუჩა თბილისში (როგორც გელათის ქუჩა ქუთაისში) ქართველ ებრაელთა ტრადიციული უბანი იყო და თავისებურ გეტოს ჰგავდა. „ფეთხაინი“ ძველებრაულად „ბეთ-ხაიმი“ „სიცოცხლის სახლს“ ნიშნავს, სინამდვილეში კი სასაფლაოს ასოციაციას იწვევდა. მართლაც, ამ უბანში დასამარებული იყო თავისუფლების, განათლების, თანასწორობისა და პროგრესის იდეალები. ავტორის სიტყვებით, „ფეთხაინს“ ბორკილებში ჰყავდა მოქცეული ათასობით ადამიანი და ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ახალ ცხოვრებას.

რომანში მოქმედება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორი წლის მანძილზე იშლება. ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟია ღარიბი ებრაელი – ნათან ჯანაშვილი. ნათანის ცხოვრების ბევრი მომენტი გერცელ ბააზოვის ავტობიოგრაფიულ დეტალებს მოგვაგონებს. ნათანს გზის გამკვლევად შაულ ათანელიშვილი ევლინება, მოწინავე, კეთილშობილი მუშა. მწერალი ყველგან ხაზს უსვამს იმ დიდ როლს, რომელსაც პარტიის რიგებში აღზრდილი მოწინავე ადამიანები ძველი თვითშეგნების რღვევისა და ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში ასრულებენ. ავტორის თვალსაზრისით, ღარიბი ებრაელისთვის არსებობდა მხოლოდ ერთადერთი გზა – საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დადგომა და სოციალისტურ შრომაში აქტიურად ჩაბმა. ეს იყო ნაწარმოების მთავარი იდეაც.

„ფეთხაინმა“ თავისი ცოცხალი, მრავალფეროვანი ტიპაჟით, დახვეწილი ენითა და სტილით, თავის დროზე მკითხველის დიდი ინტერესი, სიყვარული და პოპულარობა დაიმსახურა.

მწერლის შემოქმედების პირველ პერიოდს აგვირგვინებს პიესა „დილეამარ“ (1928 წ.). პიესა ალეგორიულ-სიმბოლური ხასიათისაა. ის თავისი არსით რეალისტური ნაწარმოებია და არის ცდა იმისა, რომ ჭეშმარიტებას მხოლოდ თეორიულ სფეროში კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ ცხოვრების სასიცოცხლო ინტერესებს ვუკავშირებდეთ. ავტორის რწმენით, გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პიროვნება ხალხისგან განუყოფელია, მისი ინტერესების დამცველია და თავის ბრძოლაში ხალხს ეყრდნობა.

ნაკლოვანებათა მიუხედავად, ამ პიესამ საზოგადოებას დაანახა, რომ გერცელ ბაზოვის სახით ქართულ დრამატულ მწერლობას საინტერესო და ნიჭიერი დრამატურგი მოევლინა.

დრამატურგის მომდევნო პიესები, ისევე, როგორც „დილეამარ“, გამოირჩეოდა საკმაოდ გამომეტყველი, მოქნილი ენით, საინტერესო სცენური ღირსებებით.

გერცელ ბაზოვის ცნობილი პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“ არა მარტო ავტორის, არამედ მთელი ქართული დრამატურგიის სასიხარულო მიღწევა იყო. ამ ნაწარმოებში ნაჩვენები იყო 30-იანი წლების საბჭოთა სინამდვილე, მასში ისე ნათლად იყო ასახული ახალი საბჭოთა ხასიათის ფორმირება, სოციალისტური შეგნებისა და საბჭოთა მორალის დამკვიდრება, რომ პიესა იმ პერიოდის ქართული მხატვრული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს შეიძლება განეკუთვნოს.

ეს პიესა ქართული დრამატურგიის ნამდვილი შენაძენი იყო. პიესამ ცხადყო გერცელ ბაზოვის ნიჭიერება და დრამატურგიული ოსტატობა. „მუნჯები ალაპარაკდნენ“ დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე (რეჟ. დ. ანთაძე) და ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე (რეჟ. გრ. სულიაშვილი).

პიესის მიზანი იყო, ეჩვენებინა ღარიბი ქართველი ებრაელობის სოციალისტურ ყოფაში ჩაბმა, მათი ცხოვრების გარდაქმნის გზა, საუკუნეობრივი სიბნელის, უვიცობის, რელიგიური ფანატიზმიდან გამოყვანისათვის ბრძოლა... დრამატურგმა

მშვენივრად აღწერა, რომ ღარიბი ებრაელობის გაჭირვებისა და ჩაგვრისაგან დასახსნელად, მოწინავე ებრაელ მშრომელებთან ერთად იღვწიან მოძმე ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, რომლებიც ებრაელთა ბედს თავიანთ ღვიძლ საქმედ თვლიან.

გერცელ ბააზოვი თანმიმდევრულად ხსნის პიესის მთავარი გმირის – მეირ სეფიაშვილის სახეს და ხაზს უსვამს მასში ახალი საბჭოთა ადამიანის თვისებებს: პატრიოტიზმს, მაღალ მოქალაქეობრივ თვითშეგნებას, პასუხისმგებლობის გრძნობას, პატიოსნებას და სიმტკიცეს. დრამატურგმა კარგად გვიჩვენა, თუ რაოდენ ძლიერია კლასობრივი მტრების ბოღმა და შური, მათი შიში და სიძულვილი. ის მომენტი, რომ მუნჯები ალაპარაკდნენ, დრამატურგს მხატვრულად აქვს წარმოდგენილი. მირიამის თამამ აჯანყებას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ძველი ცხოვრების ბასტიონზე გადამწყვეტ შეტევას, ახალი ცხოვრების საბოლოო გამარჯვებას უვიცობაზე, სიბნელესა და დრომოჭმულ ტრადიციებზე. ათასწლოვანი ჩაგვრით დამუნჯებული ადამიანები ალაპარაკდნენ, ამაშია ამ პიესის იდეა, მისი შინაგანი პათოსიც და ლაიტმოტივიც. პიესა დაწერილია გულწრფელი სიყვარულით ჩაგრული ებრაელებისადმი, ებრაელი მშრომელებისადმი და მნახველის სიმპათიას ნერგავს კეთილი, პატიოსანი, ჰუმანური ადამიანებისადმი. მაყურებელს სიხარულს გვრიდა ის გარემოება, რომ ფეხზე დგებოდა და ახალ ცხოვრებას ეზიარებოდა, თავისუფლებას მოიპოვებდა ებრაელი ხალხი. სპექტაკლი ხელს უწყობდა ერთა ძმობასა და მეგობრობას.

გერცელ ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ ქართული დრამატურგიის სასიხარულო მონაპოვარი იყო. ეს იყო, იმავდროულად, გერცელ ბააზოვის, როგორც დრამატურგის, პირველი დიდი შემოქმედებითი წარმატება.

გერცელ ბააზოვის პიესებმა გარკვეული, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეროვნული თეატრალური კულტურის წინსვლისა და თანამედროვეობის სცენაზე წარმოჩენისათვის.

ასევე დიდი წარმატებით სარგებლობდა გერცელ ბააზოვის პიესა „იცკა რიჟინაშვილი“, რომელიც დიდი წარმატე-

ბით იდგმებოდა საქართველოს თეატრებში 1936-37 და 1937-38 წლების სეზონში. იგი საუკეთესო დრამატურგიულ ნაწარმოებს წარმოადგენს. ეს პიესა ავტორის ბოლოდროინდელი ქმნილებაა და ამიტომ უფრო დახვეწილი და სრულყოფილია.

პიესა ისტორიულ-რევოლუციური ხასიათისაა. მასში დრამატურგმა მიზნად დაისახა, მხატვრულად ეჩვენებინა ცნობილი ქართველი რევოლუციონერის, იცკა რიჟინაშვილის მგზნებარე ცხოვრება და მამაცური საბრძოლო საქმეები.

იცკა რიჟინაშვილის სახეში გერცელ ბააზოვმა შეძლო ჩამოექნა ქუთათური ურიელ აკოსტას მიმზიდველი პიროვნება. იცკა ჰგავს ურიელ აკოსტას თავისი მგზნებარებით, კეთილშობილებით, სიმტკიცით. ორივე სასტიკად აწამა უკულმართმა სინამდვილემ, უსამართლობამ, რელიგიურმა და პოლიტიკურმა ფანატიზმმა.

ავტორმა გადაწყვიტა, იცკას ხანმოკლე, მაგრამ დაძაბული და ლამაზი ცხოვრება, რაც შეიძლება, სრულად ეჩვენებინა. პიესა იწყება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში იცკას მოწაფეობის პერიოდიდან და მთავრდება მისი ტრაგიკული სიკვდილით. მისი ცხოვრება რაღაც სამიოდე წლის რკალშია მოქცეული.

დრამატურგმა დაგვიხატა გულთბილი, ძალზე ნიჭიერი, მკვირცხლი ახალგაზრდის სუფთა შინაგანი ბუნება, ცოდნისკენ სწრაფვა, განსწავლულობა, იცკას მიერ ქართული ენის, როგორც მშობლიური ენის დაცვა... ის ილაშქრებს არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. იცკას ე.წ. „მგლის ბილეთით“ აძევებენ სასწავლებლიდან და ის იძულებულია, საზღვარგარეთ – ლაიფციგში გაემგზავროს სასწავლებლად. მეგობრები სინანულით ემშვიდობებიან თავიანთ მოთავეს. განსაკუთრებით დანაღვლიანებულია ქართველი ქალიშვილი – მერი კაციტაძე, რომელსაც ძლიერ უყვარს ებრაელი ახალგაზრდა – იცკა რიჟინაშვილი და მზადაა, ტრადიცია დაარღვიოს და ცხოვრება მას დაუკავშიროს.

იცკა განაგრძობს სწავლას გერმანიაში. სასწავლებელშიც არის ორი, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ბანაკი.

იცკა – ჩამოყალიბებული, უდრეკი, უშიშარი რევოლუციონერი, გაიგებს რა, რომ საქართველოში 1905 წლის შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, გადაწყვეტს სამშობლოში დაბრუნებას. „რა დროს სწავლაა, დაუყოვნებლივ მივდივართ საქართველოში“, – განუცხადებს იგი მეგობრებს, თავის ლაიფციგელ მეგობრებთან ერთად ქუთაისში ბრუნდება და რევოლუციის კოცონს აღვივებს. იცკას მოქნილი მუშაობის წყალობით, ჯარისკაცთა ნაწილი რევოლუციის მხარეზე გადავა და ყაზახებს დაუპირისპირდება.

დრამატურგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მშრომელი ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, ერთობლივად იბრძოდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. რევოლუცია დამარცხდა. რეაქციის მძვინვარე ტალღამ ქუთაისსაც გადაუარა. მეფის „ოხრანკა“ იწყებს ნადირობას რევოლუციონერებზე. იცკა უცხოეთში გადაწყვეტს წასვლას, მაგრამ სულ უკანასკნელ წუთს, როდესაც ის ქუთაისს უნდა გასცლოდა, პოლიციელი აბრამი მას რევოლვერით კლავს.

ხალხმა შეიყვარა იცკას პიროვნება, ეს მხოლოდ იცკას თვისებებით კი არ იყო განპირობებული, არამედ დრამატურგის მაღალმხატვრული ოსტატობითაც. ჟანრული თვალსაზრისით, ავტორმა პიესას „იცკა რიჟინაშვილი“ ტრაგედია უწოდა. ამ ოპტიმისტური ტრაგედიის სახით მწერალმა ქართულ დრამატულ ჟანრს კიდევ ერთი საინტერესო ნაწარმოები შესძინა.

გერცელ ბააზოვს ეკუთვნის აგრეთვე ტრაგედია „ხავაი“, პიესა „შავი ზღვის პირას“ (1938წ. უნდა დადგმულიყო, მაგრამ რეპეტიციებიდან მოიხსნა), საბავშვო პიესა „ჭინჭარი“, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა.

გერცელ ბააზოვი ძლიერი შემოქმედებითი პოტენციის მწერალი და დრამატურგი გახლდათ. ნაადრევ სიკვდილს ხელი რომ არ შეეშალა (დახვრიტეს 1938 წ.), იგი კიდევ არაერთი ბრწყინვალე ნაწარმოებით გაამდიდრებდა ქართული მწერლობის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, თუმცა ის, რისი შექმნაც მოასწრო, უკვდავია.

საამაყო მწერლისა და პიროვნების – გერცელ ბააზოვის ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველი და ებრაელი ერების ისტორიის ნათელ ფურცელს წარმოადგენს სამარადისოდ.

Натела Натлиашвили-Квиникадзе

Герцель Баазов – 115

Яркая страница истории грузинского и еврейского народов

Резюме

Герцель Баазов – великолепная, интересная и колоритная фигура в грузинской литературе и драматургии. Этот плодотворный, талантливый грузинский еврей внес своим оригинальным творчеством свой весомый вклад в развитие и идейное укрепление грузинской советской драматургии.

Жизнь писателя прервалась безвременно. От стал жертвой репрессий 1937-1938 г.г. (34-летний Герцель был расстрелян в 1938 году). Талант молодого писателя был в периоде зрелости и читетель ждал еще более интересные произведения. Но то, что он успел за свою короткую жизнь создать и оставить своей любимой стране, неповторимое наследие в грузинской литературе и поэтому, Герцель Баазов занял достойное место в ее истории.

Большой грузинский писатель Герцель Баазов родился 28 октября 1904 года в поселке Они, в семье видного еврейского просветителя и общественного деятеля – Давида Менахемовича Баазова.

Давид Баазов (1887-1947 г.г.) пользовался большим авторитетом. Он был широкообразованной личностью и как делегат, часто участвовал в международных конгрессах и конференциях.

Герцель закончил Кутаисскую дворянскую гимназию, затем юридическое отделение социально-экономического факультета Тбилисского государственного университета и аспирантуру по специальности западно-европейских языков – с отличием. Он женился на Софье Пругер (в дальнейшем доктор медицинских наук).

С 1932 г. до конца жизни Герцель Баазов подвизался на литературном поприще. Он оставил довольно богатое литературное наследие: 15 пьес, несколько беллетристических произведений, рассказы... Параллельно вел активную общественную деятельность среди грузинских евреев по направлению культурной работы и внесения просвещения.

Герцель работал очень интенсивно: писал стихи, рассказы, переводил произведения русских и иностранных писателей, опубликовывал публицистические материалы, очерки... В газате «Трибуна» был напечатан его перевод со старого еврейского языка знаменитого паматника глубокой старины «Песнопение песнопений».

Перевод имел большой отзыв.

Герцель установил творческую связь с еврейской драматической труппой «Кадима», руководителем которой был известный грузинский театральный деятель и режиссер Додо Антадзе.

В начале тридцатых годов Герцель Баазов издает свои знаменитые беллетристические произведения: «Конец Гелатской улицы», «Последнее слово Шемарии» и роман «Петхаин».

Роман «Петхаин» занимает очень значительное и особенное место в творчестве писателя. Как досадно, что «Петхаин» – только первая книга незавершенной трилогии, самое утонченное и интересное эпическое полотно.

Улица Петхаина находилась в традиционном квартале Тбилиси и походила на своеобразное гетто.

По-еврейски «Бет-хайм» означает «Дом жизни», в действительности же улица Петхаина вызывала ассоциацию кладбища,

ибо в этом районе были «захоронены» идеалы свободы, образования, равенства и прогресса.

Роман «Петхаин», благодаря своему живому, разнообразному типажу, утонченному языку и стилю драматурга, заслужил большой интерес и любовь читателя.

Известная пьеса Герцеля Баазова «Немые заговорили» оказалась радостным достижением не только автора, но и всей грузинской драматургии.

В этой пьесе писатель стремился, улучшить жизнь бедного грузинского еврейства, вывести его из вековой темноты, невежества, тьмы религиозного финатизма. В пьесах Баазова наряду с передовыми евреями подвизались и лучшие сыны грузинского народа, т.к. они судьбу евреев считали своим кровным делом. Таким образом, содействовали братству и дружбе грузинского и еврейского народов.

С колоссальным успехом пользовалась пьеса «Ицка Рижинашвили». Эту пьесу ставили в грузинских театрах. Пьеса историко-революционного характера и представляет собой лучшее драматическое произведение. В нем автор поставил своей целью художественно отразить пылкую жизнь и отважные боевые дела знаменитого революционера – Ицки Рижинашвили. Ицка Рижинашвили походил на Уриеля Акосту своей целеустремленностью, благородством, стойкостью.

Этой оптимистической трагедией автор обогатил грузинскую драматургию еще одним блестящим произведением.

Герцель Баазов обладал сильным творчеким потенциалом. Если бы его не постигла трагическая кончина жизни, он еще не одним чудесным произведением обогатил бы грузинское литературное наследие. Но то, что он успел создать, – бессмертно и нерукотворно.

Жизнь и деятельность Герцеля Баазова навечно представляет собой яркую страницу истории грузинского и еврейских народов.

მერაბ კალანდაძე

პროფესორ უშანგი სიდამონიძის გახსენება

წლეულს, შემოდგომაზე ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ უშანგი სიდამონიძეს (1929-1997) დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, გაგვეხსენებინა ღვაწლმოსილი მეცნიერი და ორიოდე სიტყვა გვეთქვა მასზე, როგორც XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევარზე.

პროფ. უშანგი სიდამონიძემ თავისი კვალი დატოვა XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში და თავისი წონიანი სიტყვა თქვა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების საქმეში, რომელიც, უმთავრესად, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით განიხილებოდა ძალზე ცალმხრივად, ტენდენციურად. ამ მხრივ, მთავარ ტონისმომცემლად პარტიის ისტორიის სპეციალისტები გვევლინებოდნენ.

ქართული ისტორიოგრაფის წინაშე პროფ. უშანგი სიდამონიძის მთავარი დამსახურებაა ის, რომ მან ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში 70-იანი წლების დასაწყისში, „უძრაობის პერიოდის“ გარიჟრაჟზე, გაბედა არატრაფარეტულად, არაშაბლონურად გაეშუქებინა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის აქტუალური საკითხები. ხაზი გაუსვა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ისტორიულად პროგრესულ მნიშვნელობას. და ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ამ ფაქტს და ცდილობდა, მისი გახსენება ერთხელ და სამუდამოდ ამოეძირკვა ხალხის ცნობიერებიდან. იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე ამგვარი ნაბიჯი გმირობის ტოლფასი იყო, ხოლო საბჭოთა მთავრობის მხრიდან ის გაუგონარ მკრეხელობად აღიქმებოდა. მას კარგად მიესადაგება XIV საუკუნის ჟამთააღმწერლის სიტყვები. „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს, არა თვალთახმა ვისიმე“. ის ცდილობდა, ეს პრინციპი შეძლებისდაგვარად დაეცვა და გაეტარებინა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში ამის გაკეთება არ იყო ადვილი საქმე. ისინი, პირიქით, ისტორიკოსებისაგან სულ სხვა რამეს ითხოვდნენ. ისტორიული მოვლენებისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები აქ უნდა ვეძიოთ.

უნდა ითქვას, რომ ამ ფონზე პროფ. უშანგი სიდამონიძის შემოქმედება, კერძოდ კი, მისი საინტერესო მონოგრაფია – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის ისტორიოგრაფია. 1917-1921 წწ.“ – ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება. ამას იმ-ჟამინდელი საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე პირდაპირ ბომბის გასკდომის ეფექტი ჰქონდა და უმალ მიიპყრო ორთოდოქსულად მოაზროვნე მარქსისტების ყურადღება. დღეს ეს პოლემიკა უკვე ღიმილის მომგვრელია, ყავ-

ლი გაუვიდა, მოძველებულია, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაჰკრავს. პროფ. უშანგი სიდამონიძის ეს მონოგრაფია იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და მას ამ პრობლემით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად ვერ უვლის გვერდს. მან გაბედა და არატრიუმფალურად, არაშაბლონურად გააშუქა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული და აქტუალური პერიოდი, რომელიც ეკალივით ესობოდათ თვალში ბოლშევიკებს და მოსვენებას არ აძლევდა. მან სცადა, ობიექტურად გაეშუქებინა საქართველოს ისტორიის ეს რთული მონაკვეთი და წინ წამოწია 1918 წლის 26 მაისის აქტის ისტორიული მნიშვნელობა. ფაქტობრივად, ეს ხელისუფლების დუელში გამოწვევის ტოლფასი გახლდათ. შედეგმაც არ დააყოვნა. საბჭოთა ხელისუფლება ასეთ რამეს არავის პატიობდა.

ალბათ, მეორე თაობის ისტორიკოსებიდან საბჭოთა ხელისუფლების ძლიერი ხელი არავის ისე ძლიერად არ განუცდია, როგორც პროფ. უშანგი სიდამონიძეს, ეს იყო მორალური ტერორის ნიმუში, რომელიც ფრიად ნიშანდობლივი იყო „უძრაობის ხანისათვის“. ეს, უმთავრესად, იმით გამოიხატება, რომ ის, როგორც მკვლევარი ისტორიკოსი, ფაქტობრივად, იზოლირებული აღმოჩნდა, თითქმის არაფერს უბეჭდავდნენ, მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა. მეცნიერულ პაექრობაში მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი პარტიული ორგანოების ჩარევის შედეგად გააუქმეს, ეს იყო მეცნიერებაში სახელმწიფოს უხეში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით ჩარევის ლოგიკური შედეგი. ბ-ნ უშანგის მძიმე მორალური ტრავმა მიაყენეს, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არავის არ აინტერესებდა. ასეთი იყო მკაცრი საბჭოთა რეალობა.

მხოლოდ გარდაქმნის პერიოდში აღდგა სამართლიანობა. 1990 წლის 3 ივლისს ისტორიის ინსტიტუტში მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ძიებული ხარისხი, რომელსაც ის დიდი ხანია, იმსახურებდა. „სამართალმა პური ჭამა“. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“.

* * *

მე ძალიან მეამაყება და არაერთგზის აღმინიშნავს, რომ მოვესწარი უნივერსიტეტის „ოქროს ხანის“ კუდს. მე მასწავლიდა დიდი ივანე ჯავახიშვილის და მისი თანამოაზრეების აღზრდილი პედაგოგების პლეადა. უნივერსიტეტში ჯერ კიდევ იყო ივანე ჯავახიშვილის სული. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემს ლექტორებს შორის, უდავოდ, ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო ბ-ნ უშანგი სიდამონიძე, ის იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტი, თავისი საქმის უებრო მცოდნე, XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი, ჩინებული ლექტორი. ის მეორე კურსზე, მეორე სემესტრში გვიკითხავდა საინტერესო თეორიულ საგანს – „ისტორიული მეცნიერების შესავალი“. მახსოვს, ლექცია გვიტარდებოდა შაბათობით, 10 საათსა და 15 წუთზე, 108 აუდიტორიაში.

მას ყველანი დიდი პატივისცემით და მოკრძალებით ვეკიდებოდით და ამას გააჩნდა რაღაც რომანტიკული შარმი. ჩვენ ვიცოდით, რომ მას უსამართლოდ მოექცნენ და ჩაუგდეს სადოქტორო დისერტაცია. ჩვენში, ბავშვების თვალში ის ხელისუფლების მიერ სრულიად უმართებულოდ ათვალისწუნებულ პიროვნებასთან ასოცირდებოდა. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი ჩვენი უკმაყოფილების ფარული გამოხატულება.

იმ რთული სტრესული მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, რომელიც ცხადია, განპირობებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან უსამართლო მოპყრობით, პროფ. გივი კიღურაძემ ის მიიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინტერესო თეორიული კურსის „ისტორიული მეცნიერების შესავალი“ წასაკითხად. ასე ჩაეყარა საფუძველი საუნივერსიტეტო პრაქტიკაში სრულიად ახალ სამეცნიერო დისციპლინას, რომელიც უნივერსიტეტში დღესაც ისწავლება, თუმცა ცოტა სხვა სახით. ამ სიახლის ინიციატორად და მოთავედ პროფ. უშანგი სიდამონიძე გევლინება. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურება იყო.

აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე. XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი უშანგი სიდამონიძე მოგვევლინა ახალ ამპლუაში, სადაც ის საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებდა ისტორიის თეორიის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, წყაროთმცოდნეობის საკითხებში, დამხმარე ისტორიულ დისციპლინებში. ის იყო ჩინებური ლექტორი, რომლის საინტერესო ლექცია გაჯერებული იყო პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის ცოდნით, ჩვენ წინაშე იდგა ერუდირებული, ჭეშმარიტი ინტელიგენტი. ასეთები დღეს აღარ არიან ან ძალიან ცოტანი არიან და მათ მოფრთხილება სჭირდებათ. აი, ასე დაიწყო ჩვენი – როგორც ლექტორის და სტუდენტის – ურთიერთობა, რაც შემდგომში გაგრძელდა, როდესაც მეცნიერული მუშაობა დავიწყე.

მეორედ ჩვენი გზები გადაიკვეთა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დამტკიცების დროს. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ასპირანტურაში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის სპეციალობით. სწორედ ამ კათედრაზე იყო მიწვეული უშანგი სიდამონიძე საათობრივი ანაზღაურების წესით. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ წლების განმავლობაში მასთან ერთად მომიწევდა მუშაობა ამ კათედრაზე.

ამბავი, რომელიც მინდა მოგითხროთ, 1977 წლის 7 აპრილს კათედრის სხდომაზე მოხდა და შეეხებოდა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემის დამტკიცებას. ჩემმა მეცნიერ-ხელმძღვანელებმა – პროფ. გივი კიღურაძემ და პროფ. კოტე ანთაძემ საკანდიდატო დისერტაციის თემად შემირჩიეს საინტერესო და რთული საკითხი, „შილერი, როგორც ისტორიკოსი“. პროფ. უშანგი სიდამონიძემ ამ თემისადმი, რომელიც წმინდა მსოფლიოს ისტორიას შეეხებოდა, სკეპტიკური დამოკიდებულება გამოხატა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სკეფსისი სულაც არ გახლდათ საფუძველს მოკლებული და გააჩნდა თავისი რეზონი, აზრი. ის ითვალისწინებდა იმ სირთულეებს, რომელიც წმინდა მსოფლიოს ისტორიის პრობლემების შესწავლასთან იყო დაკავშირებული და მე, როგორც ახალგაზრდა მკვლევარს, ჯერ

კიდევ არ მქონდა სათანადოდ გაცნობიერებული და რომანტიკულად ვუყურებდი. მან გამოთქვა უფრო პრაგმატული მოსაზრება, რომ მოგვეძებნა ისეთი თემა, რომელიც ქართულ რეალობასთან იქნებოდა დაკავშირებული. ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორ გარემოებაზე. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ეს იყო სწორი მიდგომა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ჩემდამი უაღრესად კეთილგანწყობილი ადამიანის საქციელი. ამაში არც მაშინ და არც შემდეგ ერთი წამითაც ეჭვი არ შემპარვია. ჩემთვის მისი პოზიცია ძალზე გამჭვირვალე გახლდათ, მაგარ მაშინ ამ თემაზე შევჯერდებით. საქმე ის იყო. რომ პროფ. გივი კიღურაძეს ეიმედებოდა, რომ მოახერხებდა ჩემს გაგზავნას იენის უნივერსიტეტში, სადაც მექნებოდა საშუალება, მემუშავა არქივში. ერთი შეხედვით, ეს არ იყო ძნელი საქმე, მაგრამ 1978 წლის 5 აგვისტოს პროფ. გივი კიღურაძე უეცრად გარდაიცვალა და ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც შევძელი.

იმდენად დიდი იყო მისი ავტორიტეტი, რომ ამის გამო მე არც კი გავნაწყენებულვარ, ყოველთვის მახსოვდა მისი რჩევა და შეძლებისდაგვარად ვცდილობდი მის გათვალისწინებას. ეს იყო საკითხისადმი სწორი მიდგომა. დღეს ჩემს სტუდენტებს ყოველთვის ვურჩევ, თავი შეიკავონ წმინდა მსოფლიოს ისტორიის პრობლემების დამუშავებისაგან და ხელი მოკიდონ ისეთ თემებს, რომელიც ქართულ რეალობასთან იქნებოდა დაკავშირებული. ამაში მეხმარება არა მხოლოდ ჩემი პირადი გამოცდილება, რომელიც წლების მანძილზე მეტ-ნაკლებად დამიგროვდა, არამედ ბ-ნ უშანგის პოზიციაც, რომელიც ყოველთვის მახსოვს და არ მავიწყდება.

ჩვენი გზები კიდევ ერთხელ გადაიკვეთა, როდესაც მუშაობა დავიწყე ისტორიის ინსტიტუტში ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ისტორიკოსი პროფ. ილია ტაბაღუა, მაგრამ ჩვენ სხვადასხვა განყოფილებაში ვმუშაობდით და ჩვენი შეხვედრები ინტენსიური ხასიათით არ გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, ერთი

სასიამოვნო მოგონება მაინც შემორჩა. ერთხელ შევხვდით ინ-სტიტუტში და მითხრა, რომ წაიკითხა ჩემი სტატია მაკიაველ-ზე. მისი ყურადღება მესიამოვნა. მთავარი სწორედ ეს იყო. თუმცა თვითონ ამ სტატიას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვს, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, სამეცნიერო-პო-პულარულ ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს.

განსაკუთრებულ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა ჩვენი შეხვედრები 90-იანი წლებში, როდესაც დავბრუნდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხშირად ვხვდებოდით შაბათ დღეს, როდესაც ჩვენი ლექციები ერთმანეთს ემთხვეოდა. ლექ-ციის დაწყების წინ ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობ-დით. მასთან ურთიერთობა დიდი სიამოვნება იყო. ვსაუბრობ-დით სხვადასხვა თემაზე, ხშირად ეს საუბარი ერთი საინტერე-სო წიგნის წაკითხვის ტოლფასი იყო. ის იყო არაჩვეულებრივად ერუდირებული და წიგნიერი ადამიანი. ამ საუბრებს დავიწყება არ უწერია.

უნდა გავიხსენო მის მიერ მონათხრობი ერთი ამბავი, რო-მელზეც ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილი იქნებოდა და საქართველოში განათლების სისტემაში არსებული ვითარე-ბის რეკვიემად გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ შემდგომ წლებში ეს ვითარება უკეთესობისაკენ კი არა შეიცვალა, არა-მედ უარესობისაკენ. პროგრესის მაგივრად მივიღეთ რეგრესი. ეს გახლავთ რეალობა და მას თვალი უნდა გავუსწოროთ.

როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის ლექტორი, სტუდენტებისაგან ვითხოვდი ელემენტარულ ცოდ-ნას VIII კლასის დონეზე და მკაცრი ლექტორის იმიჯი ჩამომიყა-ლიბდა. ბ-ნ უშანგი დაინტერესდა, რა ხდებოდა და სტუდენ-ტებს ჰკითხა: „მაინც რას გეკითხებათ კალანდაძე, რომ ვერ პა-სუხობთო“. როგორც თვითონ მიამბო, ასეთი პასუხი მოისმინა: „აჩემებული აქვს, ვინ იყო ვინცხა ნაპოლეონი და სულ ამას გვეკითხებაო“. როგორც ბ-ნ უშანგიმ ბრძანა, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გამცინებოდა, „მართლაც, სატირალი რომ არ იყოს, სასაცილოა“.

და ბოლოს, მინდა მაჟორულ ნოტაზე დავამთავრო. ბ-ნ უშანგის ჩემი ნაშრომის – „ფრიდრიხ შილერი, ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებზე“ – წაკითხვა ვთხოვე. მას მოეწონა ეს ნაშრომი და საინტერესო რჩევები მომცა, რომელსაც დღესაც ვითვალისწინებ ჩემს სამეცნიერო საქმიანობაში.

უსამართლო მოპყრობამ ბატონ უშანგის მძიმე მორალური ტრავმა მიაყენა, მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა და ძალიან ადრე, 68 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს მოხდა 1997 წლის შემოდგომაზე.

Merab Kalandadze

In Memory of Prof. Ushangi Sidamonidze

Summary

This year the eminent Georgian historian, Prof. Ushangi Sidamonidze (1929-1997) would have turned 90. The article represents the recollection of different episods from our relationship.

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

ქართული თეატრისა და კინოს მშვენება და სიამაყე

„გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ
სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი“.

ილია

„გიორგი გეგეჭკორი „თხემით ტერფამდე“ არტისტია. ასეთი საოცარი მსახიობები თითზე ჩამოსათვლელნი არიან. მან მომადლებული ტალანტი გამაოგნებელი შრომისმოყვარეობითა და ორგანიზებულობით განავრცო. ეს არის შესანიშნავი შერწყმა და ყოველივე ეს ხდის მას დიდ და საყვარელ მსახიობად“, – წერდა დიდი ქართველი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი.

თეატრში ყოფნა ზეიმია, დღესასწაულია, რადგან თეატრი საზოგადოების ტრიბუნაა, მსახიობი კი – ხალხის სულიერი მსახური, ჩვენი ცხოვრების ცოცხალი მემატიანე. მსახიობისთვის აუცილებელია: ნიჭი, შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, გარეგნობა, სმენა, მეტყველება და პლასტიკურობა. უნდა იცოდეს და უყვარდეს თავისი ერის ისტორია, ლიტერატურა და სხვა მრავალი რამ... ნამდვილი მსახიობის პროფესია რთული ხელოვნებაა და მრავალი წახნაგი აქვს. გიორგი (გოგი) გეგეჭკორს, უბრალოდ, ორი სიტყვით ვერ დავახასიათებთ, რადგან ის იყო დიდი მსახიობი, დიდი მოქალაქე, ბრწყინვალე მამულიშვილი, პატრიოტი, არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ბაბუა, საერთოდ, ადამიანი აღმატებულ ხარისხში!

გიორგი გეგეჭკორი გამოირჩეოდა იშვიათი სცენური კულტურით, ფართო ერუდიციით, დახვეწილი ინტელიგენტურობით, ელეგანტურობით, გარდასახვის დიდი, იშვიათი უნარით, მაღალი პროფესიონალიზმით. საოცარი ხიბლი გააჩნდა, მკაფიო სასცენო მეტყველებით, უზადო ქართულით, მდიდარი არ-

ტისტული თვისებებით, კეთილშობილებით, პატიოსნებით სამაგალითო იყო ყველასთვის. ის მთელი საქართველოს საყვარელი პიროვნება იყო: ნამდვილი ქართველი, დიდი არტისტი, დიდი ადამიანი. მოკლედ რომ ვთქვათ, დიახაც, ეს იყო დიდი მსახიობისა და დიდი მოქალაქის ორგანული შერწყმის ეტალონი.

თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში გოგი მონაწილეობდა ცნობილი რეჟისორის – გიორგი ტოვსტონოგოვის საკურსო დადგმებში. ტოვსტონოგოვი, მოხიბლული გოგის ნიჭიერებით, წესიერებითა და მოწესრიგებულობით, ამბობდა: „აი, ეს არის ბუნებით მომადლებული ნიჭი“.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გოგი გეგეჭკორმა მთავარი როლები შეასრულა სპექტაკლებში: ა. ბრუნშტეინის „ცისფერი და ვარდისფერი“ (პოლიციელი), კ. გოლდონის „საპატარძლო აფიშა“ (ფილიპო), მ. გორკის „მდაბიონი“ (ნილი), ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ (გლუმოვი), კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (კავალერი რიპაფრატა) და სხვ.

გიორგი გეგეჭკორმა სამსახიობო მოღვაწეობა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში განაგრძო და ასამდე როლი განასახიერა, ასი ადამიანის ცხოვრებით იცხოვრა, მათი პრობლემებით, ტკივილით, სიხარულით დაიტვირთა, იცოდა ნამდვილი ქართული სიტყვის ფასი სცენაზე და თავის საყვარელ მაყურებელთან გულწრფელად, მართალი სიტყვით მიაბიჯებდა.

ალექსანდრე ახმეტელის სპექტაკლებზე – „ანზორი“, „ლამარა“, რღვევა“, „ყაჩაღები“ და სხვ. – აღზრდილი, დოდო ალექსიძის (მსახიობის ოსტატობა) და მალიკო მრევლიშვილის (სასცენო მეტყველება), გიორგი ტოვსტონოგოვისა და მიხეილ თუმანიშვილის ყოფილი სტუდენტი – გიორგი გეგეჭკორი განებივრებული იყო მაყურებლის სიყვარულით და თავადაც ანებივრებდა მაყურებელს თავისი არაჩვეულებრივი, მაღალი კლასის ხელოვნებით, დახვეწილი ესთეტიზმით... იგი ყველას უყვარდა, მის სპექტაკლებზე დასწრება ხომ ნამდვილი ზეიმი იყო...

ახალგაზრდა მსახიობის გლუმოვი (ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, რეჟ. დ. ალექსიძე, 1944 წ.) იყო სატი-

რული, ნიჭიერი, მამხილებელი. იგი ნიღაბს ხდიდა სახეს. შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე ყოფილი პოლიციელის – ბლაგოის (ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“, რეჟ. მ. თუმანიშვილი, 1956 წ.) როლში. გოგი ღრმად ხსნიდა თავისი გმირის ფსიქოლოგიას, მთლიანად ცხოვრობდა მისი ცხოვრებით – ფიქრებით, გრძნობებით, განცდებით...

გიორგი გეგეჭკორის განსახიერებით გაიოზ გადალენდია (ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, რეჟ. მიხეილ თუმანიშვილი, 1955 წ.) ჭკვიანი, მოხერხებული, მიზანმიმართული, ლევან გოლუას შეურიგებელი, დაუნდობელი მტერი იყო.

მისი ყველა პერსონაჟი მაღალი ოსტატობით იყო გამოკვეთილი. ეს იყო ივანე ბატონიშვილი (კ. სოლოვიევის „დიდი ხელმწიფე“, რეჟ. ა. ვასაძე, 1945 წ.), მონტანო (უ. შექსპირის „ოტელო“, რეჟისორები – ა. ვასაძე, შ. აღსაბაძე, 1948 წ.), ბახვა ფულავა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, რეჟ. დ. ალექსიძე, 1948 წ.), ტატო (მ. მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რეჟ. დ. ალექსიძე, 1948 წ.), წამყვანი (ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“, რეჟ. მ. თუმანიშვილი, 1951 წ.), კოტე (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, რეჟ. ა. დვალიშვილი, 1952 წ.), მინაგო (გ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“, რეჟ. ა. დვალიშვილი, 1955 წ.), იაგო (უ. შექსპირის „ოტელო“, 1956წ.), კაცი მანტიით (პ. კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“, რეჟ. მ. თუმანიშვილი, 1959 წ.), ჰამლეტი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“, რეჟ. დ. ალექსიძე, 1960 წ.), გლოსტერი (უ. შექსპირის „მეფე ლირი“, რეჟ. მ. თუმანიშვილი, 1966 წ.), სტოკმანი (ჰ. იბსენის „ექიმი სტოკმანი“, რეჟ. რ. სტურუა, 1972 წ.), ტიგრანა (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, რეჟ. რ. სტურუა, 1973 წ.), კასიუსი (უ. შექსპირის „იულიუს კეისარი“, რეჟ. მ. თუმანიშვილი, 1973 წ.), ანანია (ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“, რეჟ. რ. სტურუა, 1974 წ.), ლელთ ღუნია, რუსი ოფიცერი (ი. ჭავჭავაძის „ჩემო კალამო“, „მგზავრის წერილების“ მიხედვით, გ. საღარაძე, თ. ჩხეიძე, 1978 წ.), ნათანი (ლესინგის „ნათან ბრძენი“, რეჟ. ვ. ვექსმუტი, 1976 წ.), ბაკინგემი (უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“, რეჟ. რ. სტურუა, 1979 წ.), ხევისბერი (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, რეჟ. ა. ვარსიმაშვი-

ლი, 1987 წ.), მეორე ალქაჯი (უ. შექსპირის „მაკბეტი“, რეჟ. რ. სტურუა, 1995 წ.), რეჟისორის თანაშემწე (მიხეილ თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრი, თ. უაილდერისა და რ. გაბრიაძის „ჩვენი პატარა ქალაქი“, რეჟ. მიხ. თუმანიშვილი, 1983 წ.) თუ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი (მეტეხის თეატრი, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რეჟ. ს. მრევლიშვილი, 1993 წ.), „მონატრება“ (ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“, 2002 წ.).

გიორგი გეგეჭკორის ბაკინგემი („რიჩარდ მესამე“) იყო ზედმიწევნით არისტოკრატიული, ელეგანტური, ნამდვილი ინგლისელი დიდგვაროვანი ლორდი... მსახიობის გმირები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულნი იყვნენ – ტრაგიკულნიც და დრამატულნიც, კომიკურნიც და ლირიკულნიც და ყველა უმაღლესი ოსტატობით გამოძერწილი, ისეთი, რომ აგაფორიაქებს, აგაღელვებს, ხან ცრემლს მოგგვრის, ხან სიცილად დაიღვრები... იმავდროულად, ყველა პერსონაჟი უშუალო და ახლობელი...

აღტაცებულნი ვიყავით ამ დიდებული მსახიობით, დიდებული ადამიანით, ყველასათვის საყვარელი შემოქმედით, მისი ფართო რეპერტუარით, დიაპაზონით, ეროვნული მრავალსახეობით, მრავალფეროვანი თემატიკით, ფაქიზი იუმორით...

გიორგი გეგეჭკორის მიერ განსახიერებულ სცენურ სახეებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის – ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის განუმეორებელი სახის სცენაზე ხორცშესხმა. ამ სახემ გიორგი გეგეჭკორს არნახული წარმატება მოუტანა.

რუსთაველის თეატრში გაჩენილი ხანძრის გამო სპექტაკლ „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ (ავტორი მ. მრევლიშვილი, რეჟ. დ. ალექსიძე, 1949 წ.) პრემიერა 1949 წლის 2 ივლისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა და დიდ ეროვნულ დღესასწაულში გადაიზარდა. საყვარელი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების სცენური სიცოცხლე მაყურებელს ატყვევებდა, ემოციებს უმძაფრებდა, პოეტთან ერთად განიცდიდა მისი „სულის ობლობას“, თანაუგ-

რძნობდა მის სიყვარულს ალექსანდრე ჭავჭავაძის ტურფა ასულის – ეკატერინეს (კატინას) მიმართ... გიორგი გეგეჭკორის ტატო იყო ლამაზი, მომხიბვლელი, ნამდვილი პოეტი (ლადო გუდიაშვილის ნახატს ჰგავდა), პლასტიკური, ულამაზესი ხმის ტემბრით, საუცხოო დეკლამაციით, მაყურებელი ცრემლს ვერ იკავებდა, როდესაც მსახიობი შთაგონებით, სასოწარკვეთით წარმოთქვამდა: „ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი...“, ან „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში...“, „და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი...“, „შავი ყორანი გამითხრის საფლავს...“. ჩვენი წარმოდგენით, ალბათ, სწორედ ასეთი იქნებოდა დიდი პოეტი...

გიორგი გეგეჭკორმა თითქოს გააცოცხლა საქართველოს სასიქადულო, საამაყო პოეტი, გულმხურვალე მამულიშვილი, გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილი!

რომ იცოდეთ, რა ხდებოდა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ?! მაყურებელი დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს, შემდეგ გარეთ ელოდა, ელოდა ტატოს – გიორგი გეგეჭკორის გამოჩენას... მსახიობს ზოგჯერ თეატრის უკანა კარიდან აპარებდნენ ხოლმე.

როგორც აღვნიშნეთ, დიდებულმა, სახელოვანმა, განუმეორებელმა მსახიობმა უამრავი თაყვანისმცემელი შეიძინა. მათ შორის მეც ვიყავი.

„მეხსიერების ხეს“ ფოთლებს შემოვაცლი...

დაუვიწყარი სკოლის წლები... რარიგ ხარბად ვეწაფებოდით წიგნებს, როგორ ვიყავით გატაცებული თეატრით, კინემატოგრაფით, საყვარელი მსახიობებით... ყოველ კვირადღეს თეატრში ვიყავით, უფრო ხშირად – რუსთაველის თეატრში. ის სპექტაკლები, რომლებშიც ჩვენი საყვარელი მსახიობი გოგი გეგეჭკორი თამაშობდა, უთვალავჯერ გვქონდა ნანახი. მაშინ სად ეწყობოდა თეატრის კვირეულები, არ იყო ტელევიზორი... მსახიობის დანახვა ახლოს რომ გვინდოდა, სპექტაკლის შემდეგ, თეატრის გამოსასვლელთან ვუცდიდით და ავტეხდით ხოლმე ერთ ყიჟინას და ტაშისცემას.

მე და ჩემს განუყრელ მეგობარს დოდონა კიზირიას ოცნებად გვქონდა გადაქცეული მსახიობ გოგი გეგეჭკორის გაცნობა. ბატონი გოგის დედა, დიდებული, უკეთილშობილესი ქ-ნი თამარ გელოვანი ერთ-ერთი სანიმუშო სკოლის დირექტორი გახლდათ და მას თურმე ახლოს იცნობდა ჩვენი სკოლის დირექტორი, ქ-ნი ლილი მელაძე – დოდონა კიზირიას დედა, მაღალი ინტელექტის, ფართო ერუდიციის, დიდი შინაგანი კულტურის მქონე პიროვნება. შეიტყო რა ჩვენი სურვილი, გაიგო რა გოგი გეგეჭკორისადმი ჩვენი თაყვანისცემის შესახებ, დახმარება აღგვითქვა, მაგრამ ჩვენთვის სად ეცალა?! ველოდეთ, ველოდეთ და დავრწმუნდით რა, რომ ქ-ნი ლილი მელაძე, სასკოლო საქმეებით მაქსიმალური გადატვირთვის გამო, დაპირებას ნამდვილად ვერ შეგვისრულებდა, გადავწყვიტეთ, თავად აგვესრულებინა ჩვენი სანუკვარი ოცნება.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, მე-7 კლასში ვიყავით. ნოემბრის სუსხიანი კვირადღე იყო. დავესწარით დილის წარმოდგენას – გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელს“. მთავარ როლებს თამარ თეთრაძე და გოგი გეგეჭკორი ასრულებდნენ.

დამთავრდა თუ არა სპექტაკლი, მოგროვილი ფულით ყვავილების თაიგული შევიძინეთ, ნახევრად სანთლის ყვავილები რომ ერია. მსახიობი იმხანად, ჩვენი სკოლის პირდაპირ, ჩასახვევში, ჩალაუბნის ქუჩის 1/28-ში ცხოვრობდა. ვიდექით სადარბაზოში და ველოდით მის გამოჩენას. ის კი იგვიანებდა. საშინლად ციოდა და სიცივისაგან ფეხებს ვაბაკუნებდით. ერთმა მეზობელმა ქალმა ყვავილები რომ დაგვინახა ხელში, „ვინ მოკვდა“-ო, გვკითხა. „ესე იგი, ეს ყვავილები მიცვალებულისას ჰგავს?!“ – და ცრემლები მომერია. მეგობარმა დამამშვიდა. განვაგრძეთ ლოდინი... კიბეზე მაღალმა, სიმპათიურმა, ჭაღარა მამაკაცმა ჩამოიარა, შემოგვხედა და სადარბაზოდან გავიდა. მალე თონის პურით დაბრუნდა. ისევ სიცივისაგან მობუზულები რომ დაგვინახა, „გოგონებო, ვის ელოდებით“-ო, გვკითხა. „ბიძია გოგის“, – ვუპასუხეთ. „მე მამა ვარ მისი, წამომყევით“, – გვითხრა და მეორე სართულისკენ გაგვიძღვა. გოგი გეგეჭკორის მამა შესანიშნავი ერისკაცი, ქართული კულტურის დიდი

მოამაგე, ბ-ნი ლადო გეგეჭკორი გახლდათ. მსახიობის დედა – უსაზღვროდ გულღია, თბილი, სანდომიანი მანდილოსანი ისეთი მზრუნველობითა და ყურადღებით შეგვხვდა, რომ ჩვენი უხერხულობა სადღაც გაქრა და თავისუფლად ვიგრძენით თავი. ოთახში შეშის ღუმელი გუზგუზებდა და სასიამოვნო მყუდროება სუფევდა. ქალბატონმა თამარმა გაგვათბო, გაგვესაუბრა და ძალიან გაიხარა, რომ მის შვილს ასე ვაღმერთებდით. ხაჭაპურს აცხობდა, „მალე გოგიც მოვა და ერთად ვისადილოთ“, – გვითხრა მან. მალე ისიც მოვიდა, ახალგაზრდა, ერთობ მომხიბლავი, კეთილშობილი ინტელიგენტი, დახვეწილი მანერებით; უჩა ჯაფარიძის ნამუშევრების გამოფენაზე შეევლო თურმე და იმიტომ დააგვიანდა. ჩემი მეგობარი დოდონა ლექსებს წერდა და გოგი გეგეჭკორსაც მიუძღვნა მშვენიერი ლექსი, რომელიც თაიგულში გრაგნილად იყო მოთავსებული.

ჩვენს „კერპს“ ლექსი ძალიან მოეწონა, გაიღიმა და დოდონას დიდი მადლობა გადაუხადა. ამის შემდეგ ცოტა გავთამამდით და მსახიობს ფოტო ვთხოვეთ სახსოვრად. სიამოვნებით დაგვთანხმდა და მეორე ოთახში გავიდა. ერთი მოზრდილი ფოტო გამოიტანა, ბარათაშვილის გრიმით იყო გადაღებული. დოდონას წავჩურჩულე: „ერთი კვირა მე მექნება, ერთი კვირა – შენ. ამ კვირაში – მე“. გოგის არ გამოეპარა ეს დეტალი, გაეცინა. „თქვენ ჩხუბი არ მოგივიდეთ“-ო და ახლა პატარა ფოტოსურათები გამოიტანა, წარწერები გაუკეთა და გვაჩუქა, თან დააყოლა: „ბატიფეხური მაქვს“-ო. რომ იტყვიან, მეცხრე ცაზე ვიყავით.

მსახიობი ქუჩაში გვესალმებოდა, სწავლის ამბებს გვეკითხებოდა, გვესაუბრებოდა... ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, შეგვამჩნევდა თუ არა წინა რიგში მსხდომთ, სცენიდან გაგვიღიმებდა და მოგვესალმებოდა.

გიორგი გეგეჭკორმა ბრწყინვალე როლები შეასრულა სპექტაკლებში, ასევე – შესანიშნავი კინოროლები და ყველა როლში სცენური სიმართლით, ემოციურობით, ჩინებული მე-

ტყველებით, დახვეწილი იუმორით – იყო განუმეორებელი და არაჩვეულებრივი!

აუ, რამდენი დრო გასულა მას შემდეგ?! პატარა დოდონა კიზირია, რომელმაც მაშინ ლექსი მიუძღვნა გიორგი გეგეჭკორს, ჩვენს საყვარელ მსახიობს, დიდი ხანია, აშშ-ში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლავთ.

ჩვენი საყვარელი, სასიქადულო მსახიობი 60 წლის განმავლობაში ამშვენებდა ქართულ სცენას; და მართლაცდა, ვით „ქართული თეატრის სინდის-ნამუსი" (როგორც ცნობილი მსახიობი, ქ-ნი სოფიკო ჭიაურელი უწოდებდა), გულანთებული სამშობლოს სიყვარულით, ახალგაზრდული ენერგიით, დიდი, უზადო ტალანტით, არისტოკრატიზმით, მაღალი ინტელექტით, პატიოსნებით, ზნეობითა და კეთილშობილებით 60 წლის განმავლობაში გვხიბლავდა და გვატყვევებდა.

ვთვლი, რომ ეს მოგონება, ეს გაუხუნარ ფერთა ექო, არა მხოლოდ ჩემი ბავშვობის, არამედ მთელი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ლამაზ, დაუვიწყარ ფურცელს წარმოადგენს.

... შემდეგ იყო გიორგი გეგეჭკორის შესანიშნავი და დაუვიწყარი დონ სეზარი (ფ. დიუმანუასა და ა. დენერის „დონ სეზარ დე ბაზანი", რეჟ. დ. ალექსიძე, 1953 წ.). გიორგი გეგეჭკორის მიერ განსახიერებული დონ სეზარი არასოდეს დაავიწყდება მაყურებელს: გაღარიბებული აზნაური, მაგრამ მაინც ამაყი, ღირსებით რომ გადაიგდებს ხოლმე მხარზე დახეულ ლაბადას, დაუნდობელი – დაშნით ხელში, კეთილი, გულისხმიერი დაჩაგრულთა მიმართ, ღარიბთა დამცველი... იგი ღრმად ადამიანურია, კეთილშობილი, იცის თავისი ღირსების ფასი და არ კარგავს მას თვით მეფესთან საუბრის დროსაც კი... ქალთა გულთამპყრობელი, სიმღერითა და სიცილით, უზრუნველად ცხოვრობს, სიცოცხლის ტრფიალია და ხალისს გადასცემს გარშემომყოფთ... მსახიობი დონ სეზარი დღესასწაულს ანიჭებდა მაყურებელს, თეატრში იყო ზეიმი, იფრქვეოდა ჯანსაღი იუმორი... მახსოვს, როგორი პლასტიკური, მოძრავი, არტისტული და ელეგანტური იყო დონ სეზარი, რა მოხდენილად დადიო-

და, ფერწერულ ტილოებზე გამოსახულ რაინდებს ჰგავდა... სპექტაკლში შერწყმული იყო ჰეროიკა და კომედია... იმ დროისთვის გიორგი გეგეჭკორი უკვე ძალზე პოპულარული, ხალხის დიდი სიყვარულით გარემოცული მსახიობი იყო. დონ სეზარის სახემ უზარმაზარი წარმატება მოუტანა შემოქმედს.

განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია გიორგი გეგეჭკორის ექვთიმე ქათამაძის კოლორიტული პერსონაჟი (კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“, რეჟ. მ. თუმანიშვილი, 1958 წ.). ამ სპექტაკლში მსახიობმა ექვთიმე ქათამაძის ბრწყინვალე სცენური სახე შექმნა. უნდა ითქვას, რომ დრამატურგმა კიტა ბუაჩიძემ და მსახიობმა ბევრი საინტერესო და დადებითი თვისება აღმოაჩინეს სრულიად ჩვეულებრივ, მარტოხელა, უცნაურ, ასაკშეპარულ კაცში... ექვთიმე, წარსულში გამოჩენილი სპორტსმენი, გახლავთ მეცნიერების კანდიდატი (მისი თქმით, ქვა რომ ააგდო, კანდიდატს მოხვდება თავში), კარგი მწვრთნელია, ლექსებს წერს... მაგრამ, პირადი ცხოვრება ვერ მოუწყვია...

გავიხსენოთ დიდი კომედიური ბრწყინვალებით აღბეჭდილი, ერთი ამოსუნთქვით ჩატარებული, ექვთიმესა და მისი საცოლის – ივლიტეს (სალომე ყანჩელი) პაემნისა და ექვთიმეს ახალ ბინაში შესახლების სცენები... გიორგი გეგეჭკორმა დიდი არტისტული ოსტატობით, ტემპერამენტით, დახვეწილი ჟესტებით, ლაკონიურად, საოცარი პლასტიკით გამოძერწა თავისი გმირი და ამ ორიგინალური სახის შექმნით დიდი გამარჯვება მოიპოვა.

ისევე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის – ქართული პოეზიის მშვენების პერსონაჟში, ასევე დავით კლდიაშვილის უბერებელი გმირის – პლატონ სამანიშვილის (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, თ. ჩხეიძე და რ. სტურუა, 1969 წ.) როლში გიორგი გეგეჭკორი კი არ თამაშობს, არამედ ცხოვრობს. ეს როლი არის მსახიობის სიბრძნის ნაყოფი. გეგეჭკორის პლატონი დ. კლდიაშვილის ნამდვილი გმირია. მსახიობმა საოცარი სევდანარევი იუმორით შექმნა პლატონის ეროვნული სახე. გიორგი გეგეჭკორის მსუბუქ იუმორში, ინტონაციაში, დუმილში – პატარა ადამიანის დიდი სევდა მოჩანს... გვახსოვს, რა უხერხულ მდგომარეობაში ვარდება პლატონი კირილეს საქციელის გამო:

ის ერთდროულად იღიმება, ბრაზობს, განიცდის, რცხვენია... გვებრალება, გვებრალება იმიტომ, რომ უმწეოა... მიუხედავად ყველაფრისა, პლატონი არტისტულია, აქვს შინაგანი კულტურა... ფართოა მსახიობის თვალსაწიერი და, შესაბამისად, ვირტუოზულად გამოხატავს პლატონის სულიერ მდგომარეობას...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი გეგეჭკორის პლატონი ყველაზე საუკეთესო პლატონია დავით კლდიაშვილის თეატრის ისტორიაში. გიორგი გეგეჭკორის მიერ ვირტუოზულად განსახიერებული ნიკოლოზ ბარათაშვილის, პლატონის, დონ სეზარისა და ექვთიმე ქათამაძის სახეები შეიძლება მისი შემოქმედების მწვერვალებად ჩაითვალოს.

გიორგი გეგეჭკორმა სპექტაკლში „ნათან ბრძენი“ (ლესინგის „ნათან ბრძენი“, რეჟ. ვ. ვექსმუტი, 1976 წ.) გაამდიდრა მთავარი პერსონაჟის – ნათანის სახე, გვიჩვენა შინაგანი ბრძოლა უფრო ძლიერად, ვიდრე რომელიმე ნათანს გაუკეთებია. ადარებდა რა გერმანელ ნათანს, რეჟისორი ვერნერ ვექსმუტი, პრიორიტეტს გიორგი გეგეჭკორს ანიჭებდა.

გვერდს ვერ ავუვლით სპექტაკლს „ჭინჭრაქა“ (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, რეჟ. მ. თუმანიშვილი, 1963 წ.). განა დაგვავიწყდება გიორგი გეგეჭკორის მგელი? ქართულ ხალათში, ფაფახში, აზიურ ჩექმებში გამოწყობილი, მშიერი, ავი, მაგრამ მაინც გაბღენძილი, ზოგჯერ კბილმტკივანი, ყბაახვეული, მაინც რომ ეარშიყება მშვენიერ მელაკუდას და მისი გუნდის – კვარტეტის მეცადინეობის სცენა დათვთან (ეროსი მანჯგალაძე), მელასთან (მედეა ჩახავა) და ტურასთან (ზინა კვერენჩხილაძე) ერთად? ისეთი გარდასახვა აქვს მსახიობს, ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ეს ის გიორგი გეგეჭკორია, რომელიც ვიხილეთ დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილის, დანიის კეთილშობილი პრინცის – ჰამლეტის, პლატონ სამანიშვილის, ექიმი სტოკმანისა და კიდევ რამდენ სხვა დრამატულ როლში?!

ფრიად დასამახსოვრებელი სახეები შექმნა სახელოვანმა არტისტმა კინოფილმებშიც: „ჭრიჭინა“ (ლევანი, ს. დოლიძე და ლ. ხოტივარი, 1954 წ.), „აბეზარა“ (ვახტანგი, ნ. სანიშვილი, 1957 წ.), „წარსული ზაფხული“ (ბესარიონი, გ. წულაია და ნ. ნე-

ნოვა, 1959 წ.), „არდადეგები“ (მამა, მ. კოკოჩაშვილი, 1962 წ.), „მე ვხედავ მზეს“ (სამხედროს მასწავლებელი, ლ. ღოღობერიძე, 1967 წ.), „ბროწეულის ფერი“ (მოხუცი საიათნოვა, ს. ფარაჯანოვი, „არმენფილმი“, 1968 წ.), „ჩარი-რამა“ (რეზო, ნ. სანიშვილი, 1974 წ.), „კაცია-ადამიანი?! (მოსე, ს. დოლიძე და ქ. დოლიძე, 1976 წ.), „დათა თუთაშხია“ (სანდრო კარიძე, გ. ლორთქიფანიძე, 1976 წ.), „ბაკულას ღორები“ (გალაქტიონი, ბ. რაჭველიშვილი, 1976 წ.), „წიგნი ფიცისა“ (ანტონ კათალიკოსი, გ. ლორთქიფანიძე, 1983 წ.), „ანთიმოზ ივერიელი“ (ესტატე, გ. ჭოხონელიძე, 2002 წ.) და მრავალი სხვ.

მსახიობმა 40-მდე კინოფილმში ითამაშა და თითოეულ პერსონაჟში ძლიერ, დამაჯერებელ გარდასახვას მიაღწია. მისი გმირები მსუყე საღებავებით არიან დახატულნი, მათი განცდები, გრძნობები რეალისტურია, უშუალო...

მაღალი რანგის მოღვაწედ მიგვაჩნია გიორგი გეგეჭკორის მიერ განსახიერებული ანტონ კათალიკოსის სახე ფილმში „წიგნი ფიცისა“.

ბრწყინვალე სახე შექმნა მსახიობმა სანდრო კარიძის როლში ჭაბუა ამირეჯიბის არაჩვეულებრივი ნაწარმოების „დათა თუთაშხიას“ (რომელსაც ცნობილი მსახიობი კახი კავსაძე „ქართველთა ბიბლიას“ უწოდებს) მიხედვით შექმნილ ასევე არაჩვეულებრივ ფილმში „დათა თუთაშხია“.

სანდრო კარიძის პერსონაჟში დიდი პატრიოტისა და მოაზროვნის, კარიძე-გეგეჭკორის სულიერი სამყაროა ჩაქსოვილი. კარიძის რთული და საინტერესო სახე ფილმის ერთ-ერთი ღერძია. მაშინდელი ქართული ყოფის ანალიზს ისე ვერავინ გამოხატავდა, როგორც მაღალი ინტელექტის მქონე მსახიობი გიორგი გეგეჭკორი. მისი დაუვიწყარი, მრავლისმთქმელი რეპლიკა – „ვაი, საით მიექანები, უბედურო საქართველოვ?!“ – დღესაც შეგვძრავს ხოლმე.

გეგეჭკორების ოჯახში მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული სუფევდა. მშობლები – თამარ გელოვანი-გეგეჭკორისა, საშუალო სკოლის ბრწყინვალე პედაგოგი და დირექტორი, მამა – ლადო გეგეჭკორი, ქართული კულტურის დი-

დი მოამაგე, მწერალი გახლდათ; მათ ოჯახში სტუმრობა ყოველთვის დღესასწაული იყო. გიორგი გეგეჭკორის მეუღლე – ნათელა ურუშაძე ქართული თეატრის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი იყო; გიორგის ძმა – მერაბ გეგეჭკორი – შესანიშნავი მსახიობი, მერაბ გეგეჭკორის მეუღლე – ეკატერინე ვაჩნაძე, ასევე ცნობილი მსახიობი; შვილი – გიორგი (უმცროსი) გამოჩენილი მხატვარი, ძირითადად პორტრეტისტი; ქალიშვილი – მანანა გეგეჭკორი კარგი თეატრმცოდნე იყო და მათი შთამომავლებიც თეატრის მსახურები არიან. ასე რომ, თეატრალ გეგეჭკორთა დინასტია გრძელდება!

ქართული თეატრისა და კინოს სახელოვანი მოღვაწე ბოლომდე იხარჯებოდა მაყურებლისთვის. ჭეშმარიტი არტისტი დიდ მიხეილ თუმანიშვილთან ერთად ამკვიდრებდა ახალი თეატრის ესთეტიკას. მასში ყოველთვის ცოცხლობდა განახლების, სიახლის მოთხოვნილება. ამიტომაც ის მარად ახალგაზრდა იყო! ოცი წლის განმავლობაში მიხეილ თუმანიშვილი და გ. გეგეჭკორი ერთად ქმნიდნენ ეპოქას... ხშირად იმარჯვებდნენ კიდეც... გიორგი გეგეჭკორი ძალიან ერთგული მეგობარი იყო, ენთუზიასტი, ფანატიკოსიც კი. მეგობრები ერთად იბრძოდნენ თეატრის გამარჯვებისათვის, სასცენო ხელოვნების წინსვლისა და სრულყოფისათვის. ბ-ნი გიორგის არსებაში ორი ფენომენი – დიდი პიროვნება და დიდი შემოქმედი იყვნენ გაერთიანებულნი, ფლობდა უმაღლესი კლასის სამსახიობო დონეს და ადამიანებთან ურთიერთობის საკუთარ, განსაცვიფრებლად დელიკატურ სტილს.

გიორგი გეგეჭკორი გეგეჭკორთა სათეატრო დინასტიის კორიფე გახლდათ. ახალგაზრდები მისგან სწავლობდნენ საქმისადმი ერთგულებას, სიკეთეს, სიწმინდეს, პრინციპულობას, პასუხისმგებლობას, პატიოსნებას... სწავლობდნენ სიყვარულს, ურთიერთობას, სიტყვის მადლსა და ძალას...

ბ-ნ გიორგი გეგეჭკორს რეგალიები არ აკლდა: იყო საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მაგრამ მაინც ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის ხალხის დიდი სიყვარული იყო.

ვფიქრობთ, რომ გიორგი გეგეჭკორის ნიჭის, ინტელექტისა და პროფესიონალიზმის რეალიზება სრულად არ მოხდა. მსახიობი თავისი ჭეშმარიტად მაღალი შემოქმედებით დიდ სიხარულსა და ბედნიერებას გვანიჭებდა, მას კიდევ ბევრი მხატვრული სახის შექმნა შეეძლო, მათი ცხოვრებით ეცხოვრა და მათი ემოციები, გრძნობები და განცდები გაეთავისებინა...

რა ლამაზად აღნიშნავდა ცნობილი მსახიობი ვანო იანტბელიძე: „გიორგი გეგეჭკორი – მისი აღმატებულება ქართული თეატრის სინდისი იყო, საყვარელი და სათაყვანო, რომელიც წმინდა სანთლად ენთო და იწვოდა, ანათებდა და ათბობდა ადამიანთა გულებს, გზას უკვალავდა ახალ თაობებს და შეგვახსენებდა იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ მსახიობისთვის ყველაზე დიდი რეგალია და სიმდიდრე მაყურებლის უანგარო აღიარება და სიყვარულია“.

გიორგი გეგეჭკორის ცხოვრება და მოღვაწეობა სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს ხელოვანი თავის საყვარელ საქმეს, თავის სამშობლოს. მან იცხოვრა დიდი ილიას დევიზით, უყვარდა თავისი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალა ყველაფერი, მთავარი კი სიყვარულია!

Натела Натлиашвили-Квиникадзе

Краса и гордость грузинского театра и кино

Резюме

«Сильнее всего и всех любите свою Родину – и будьте готовы, для нее даже пожертвовать собой.»

(Илья Чавчавадзе)

«Георгий Гегечкори – артист с головы до пят. Таких артистов не очень много. Природный большой талант он расши-

рил потрясяющим трудолюбием и организованностью. Это – счастливая совокупность и все это делает его большим и любимым артистом», – писал великий грузинский режиссер Михаил Туманишвили.

Бывать в театре – праздник, т.к. театр – трибуна общества, а артист – духовный слуга народа, живой летописец нашей жизни. В двух словах этого актера не характеризовать, ведь он был и великим артистом, большим гражданином, блестящим сыном Грузии, патриотом, необычайным супругом, отцом, дедушкой, другом... В общем, «Человеком с большой буквы!»

После окончания театрального института артистическую деятельность Георгий продолжил в Государственном Академическом театре имени Шота Руставели. В этом театре он исполнил примерно сто ролей, в основном – главные.

В течение 60 лет украшал наш любимый артист грузинскую сцену и своим блестящим талантом, энергией, аристократизмом, высоким интеллектом, честностью, нравом, благородством очаровывал и пленял зрителя.

Громадный успех принес Гегечкори воплощенный им образ великого грузинского поэта – романтика Николоза Бараташвили.

Георгий Гегечкори как будто оживил нашего любимого, незаурядного поэта Грузии – пламенного патриота, гениального Николоза Бараташвили.

Премьера спектакля «Николоза Бараташвили» состоялась 2 июля 1949 года. Николоз (Тато) Бараташвили – Гегечкори был красивым, очаровательным, настоящим поэтом, пластичный, с чудесным тембром голоса и декламацией... По нашему представлению, наверное, точно таким был бы великий поэт. Успех был невиданный.

Созданный Георгием Гегечкори сценический образ несравненного поэта Грузии – Николоза Бараташвили весьма большая творческая победа артиста.

...Затем были замечательные персонажи, все непосредственные и близкие: незабываемый испанский идалго Дон Сезар де Ба-

зан (реж. Д. Алексидзе, 1953г.)... Подвижный, артистичный, элегантный, гордый Дон Сезар... Гегечкори дарил зрителю настоящий праздник, веселье, раздавался здоровый юмор... К этому времени Георгий Гегечкори был уже популярным, окруженный истинной любовью народа молодым актером.

Среди воплощенных Георгием Гегечкори героев, особенно надо отметить колоритного, немеркнущего, бессмертного героя Давида Клдиашвили – Платона Саманишвили (реж. Т. Чхеидзе и Р. Стуруа, 1969 г.) и Эквтиме Катамадзе (К. Буачидзе, «Повесть любви», реж. М. Туманишвили, 1958 г.).

Воплощенный Г. Гегечкори персонаж Платона Саманишвили, плод его мудрости, настоящий национальный герой, он – самый лучший в истории театра Давида Клдиашвили.

В творчестве Г. Гегечкори отметим замечательных персонажей: Иван царьевич («Великий государь» К. Соловьева, реж. А. Васадзе, 1945г.), Монтано (У. Шекспир «Отелло», режиссеры – А. Васадзе, Ш. Агсабадзе, 1948г.), Бахва Пулава (Г. Церетели, «Первый шаг», реж. Д. Алексидзе, 1948 г.), Тато (М. Мревлишвили, «Николоз Бараташвили», реж. Д. Алексидзе, 1948г.), ведущий (Ю. Фучик, «Люди, будьте бдительны», реж. М. Туманишвили, 1951г.), Иаго (У. Шекспир, «Отелло», 1956г.), человек в мантии (П. Когоут, «Когда такая любовь», реж. М. Туманишвили, 1959г.), Гамлет (У. Шекспир, «Гамлет», реж. Д. Алексидзе, 1960г.), Глостер (У. Шекспир, «Король Лир», реж. М. Туманишвили, 1966г.), Стокман (Г. Ибсен, «Доктор Стокман», реж. Р. Стуруа, 1972г.), Тигран (Н. Думбадзе, «Обвинительное заключение», реж. Р. Стуруа, 1973г.), Лелт Гуниа, русский офицер (Илья Чавчавадзе, «Мое перо», «Письма путника», реж. Г. Сагарадзе, Т. Чхеидзе, 1978г.), Натан (Г.Е. Лессинг, «Натан мудрый», реж. В. Вексмут, 1976г.), Бакингэм (У. Шекспир, «Ричард III, реж. Р. Стуруа, 1979г.), Соломон Исакич Меджгануашвили (Л. Ардазиани, «Соломон Исакич Меджгануашвили», реж. С. Мревлишвили, Метехский театр, 1993г.) и др.

Зрители восторгались широким репертуаром, диапазоном, разновидной теметатикой, тонким юмором актера.

Много прекрасных, незабываемых персонажей создал знаменитый артист и в грузинских кинофильмах: Левана (С. Долидзе и Л. Хотивари, «Стрекоза», 1954г.), Вахтанга (Н. Санишвили, «Заноза», 1957г.), Виссариона (Г. Цулая и Н. Ненова, «Прошедшее лето», 1959г.), Отца (М. Кокочашвили, «Каникулы», 1962г.), Старого Саятновы («Гранатовый цвет», С. Параджанов, 1968г.), Сандро Каридзе («Дата Туташхиа», Г. Лорткипанидзе, 1976г.), Антона Католикоса («Книга клятвы», реж. Г. Лорткипанидзе, 1983г.) и много др.

Актер сыграл разные роли в 40 кинофильмах и достиг настоящего перевоплощения.

Георгий Гегечкори обладал высачайшим артистическим мастерством, и что самое главное, удивительным деликатным стилем во взаимоотношениях с людьми.

Красиво отмечал известный грузинский артист Вано Иантбелидзе: «Георгий Гегечкори был совестью грузинского театра, он горел, как свеча,освещал сердца людей и напоминал ту простую истину, что для актера самая большая регалия и богатство – признание и любовь».

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა
და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
GEORGIAN STATE MUSEUM OF THEATRE, MUSIC,
CINEMA AND CHOREOGRAPHY

გურამ პაატაშვილი

აზრთა კრებული

„მაესტროს აზრთა სამყარო“

გამოიცა აკადემიკოს გურამ პაატაშვილის „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლების“ პირველი და მეორე ნაწილი. წიგნში ასახულია გამოჩენილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, კომპოზიტორის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და შემოქმედებითი გზა. წარმოდგენილია მისი აზრთა კრებული – „მაესტროს აზრთა სამყარო“. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნის მეორე ნაწილიდან – „მაესტროს აზრთა სამყარო“.

- უდიდესი სიმდიდრეა, როდესაც ადამიანს ერთდროულდ გონების, სულიერების და გრძნობის კულტურა გააჩნია.
- შემოქმედის ნაწარმოებმა მხოლოდ გონება კი არა, სულიც უნდა შეძრას.
- სამყაროს მისწრაფება, ჟინი და შეუპოვრობა მართავს.
- საყვარელი ადამიანი შეიძლება დაკარგო, მაგრამ სიყვარულის დაკარგვა შეუძლებელია.
- კულტურა უდიდესი განძია, ის პოლიტიკაზე უფრო ბრძენია.
- ადამიანი ღმერთისა და ბუნების ნაყოფია, რომელიც ერთსა და მეორესაც ივიწყებს ზოგჯერ.
- როცა ყველაფერი ერთდროულად მოდის: განწყობა, მუსიკა, სიტყვა..., უდიდესი სიცოცხლის ძალითა და წყურვილითა ხარ დამუხტული.
- ისტორია სისხლითა და მახვილით იქმნება, იწერება კი მელნით, მყუდროდ მოკალათებულ სავარძელში.

- ერთ ნავში ორი ტალანტი იშვიათად თუ ეწყობიან ერთმანეთს, მითუმეტეს, თუ წლების განმავლობაში ნავი არ იძირება.
- იმედი ციცინათელასავითაა, ბჟუტავს, ხან კი გაიელვებს.
- საყვარელი ადამიანისა და სამაშობლოს გარეშე დიდხანს ვერ იცოცხლებენ.
- ხელოვნება და მეცნიერება არსებობის საშუალებაა.
- როდესაც საყვარელი ადამიანი არ გღალატობს, ის მხოლოდ წესიერი კი არა, ჭკვიანიცაა.
- მხარდაჭერა ნიჭიერებს სჭირდებათ, უნიჭოები თვითონ იკვლევენ გზას და თავს არავის აჩაგვრინებენ.
- შემოქმედმა ჰარმონიულად უნდა აღიქვას სამყარო, მაქსიმალურად მიუახლოვოს მას და გაუსწროს მოვლენებს.
- როგორი დიდიც არ უნდა იყო, შენი ხალხი მაინც შენზე დიდია, თუმცა იშვიათი გამონაკლისებიც არსებობს. ყველაზე დიდი კი ჭეშმარიტებაა.
- ხანგრძლივად იმ შემოქმედის ქმნილება ცოცხლობს, რომლის შინაგანი სამყარო მუსიკის, პოეზიისა და ფერთა უხილავი ძაფებითაა ნაქარგი.
- ცხოვრება საოცრებათა ველია.
- ქვეყანა, პირველ რიგში, მისი ადამიანები, კულტურა და ისტორიაა.
- მხატვრობა პოეზია და მუსიკაა, რომელსაც ხედავ და გესმის კიდეც.
- ქვეყნისათვის მხოლოდ სახელოვანი, ისტორიული წარსული საკმარისი არ არის, მას მძლავრი, თანამედროვე, ცოცხალი ენერგეტიკა და გონიერება სჭირდება.
- ნაწარმოები ნიჭით, გამოცდილებითა და ცოდნით იქმნება.
- ტალანტს თუ არ ახლავს დიდი შემართება, შეუპოვრობა და მიზანდასახულობა, შეიძლება ის უნიჭოებმა ჩაკლან.
- შემოქმედებითი პროცესი ნიჭთან ერთად, უპირველესად, აზროვნების საშუალებაა. თუ არ არსებობს მსოფლმხედველობა, განწყობა, აღმაფრენა, შემოქმედიც არ არსებობს.
- ვისიც გწამს და გიყვარს, ის შენთვის მთელი სამყაროა.

- უამრავი ნაწარმოებია, რომელიც მხოლოდ ცარიელ ხმას გამოსცემს და ოფლის სუნი უდის.
- ზოგიერთები მთელი ცხოვრება ერთი და იგივე კარს ამტვრევენ და ის არ იციან, თუ რა დახვდებათ კარს მიღმა.
- იმპროვიზაცია ახალისებს და ახალ ელფერს მატებს თემას ან ცალკეულ ნაწარმოებს. იმპროვიზაციის დროს თავისუფალი ხარ და საზღვრები ქრება, უსასრულო და ამოუწურავია ზღვარგადასული ფანტაზიის სიგიჟეც. თუმცა ზომიერების გრძნობა აქაც აუცილებელია. ამავე დროს, არის ისეთი ქმნილებები, რომლებსაც იმპროვიზაცია არ სჭირდებათ.
- პოლიტიკაში საბოლოოდ ის იცინის, ვისაც კარგი ყნოსვა აქვს, დროულად მოკურცხვლა ეხერხება და სწრაფად დარბის.
- სილამაზე უდიდესი ძალაა, გნუსხავს და აგამაღლებს, მაგრამ სიკეთე მასზე უფრო ძლიერია და მაღლა დგას.
- პიროვნებად რომ ჩამოყალიბდე, ჭეშმარიტ მუსიკას უნდა ეზიარო.
- ვინც თავისი ქვეყნის აღმშენებლობას ემსახურება, ის კაცობრიობის განვითარებასაც უწყობს ხელს.
- ყოველთვის უნდა გახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დაივიწყო, რომ ადამიანი გქვია.
- შემოქმედებაში ინდივიდუალიზმის და იმპროვიზაციის უშრეტი ძალა გზაა ზეციური სიმაღლეებისკენ და უსასრულობისკენ.
- ადამიანებს საერთო სიძულვილი და სურვილები აერთიანებთ.
- რასაც ხანგრძლივი ძიების შედეგად ვერ პოულობ, თვითონ უნდა შექმნა ის.
- რელიგიის როლის დაკნინებით ეროვნული სულიერი კულტურის განვითარებაც შეფერხდება. რელიგია არის ერის უმთავრესი თვისება და მისი დასუსტება ერის დასუსტებას გამოიწვევს.
- გენიოსი ცარიელ ადგილზე არ იბადება, მას წინამორბედი ჰყავს.

- შემოქმედი ადამიანის ცხოვრებას უცნაურობები თან სდევს, ის მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, შეიძლება ითქვა ცხოვრების თანამგზავრია.
- შთაგონების წყარო ქალები ქმნიან განწყობას, ზემოქმედებენ სამყაროზე, მართავენ მთელ მსოფლიოს, ისტორია კი მეტწილად მამაკაცების სახელით არის ცნობილი.
- სურვილები ხშირ შემთხვევაში მაშინ სრულდება, როცა ის აღარ ახსოვთ, ან აღარ აწყობთ.
- ყველაზე მწარე იმ ხელით გაწნული სილაა, რომელიც ადრე გეალერსებოდა და გეფერებოდა.
- ძნელია, დაშორდე იმას, რაც მოგწონს, გაღელვებს და გაფიქრებს. სადაც არ უნდა იყო, ეს გრძნობა მუდამ თან გდევს.
- ადამიანის აზროვნებაში არის რამდენიმე კითხვა, რომელიც თითოეულში ინდივიდუალურ ასოცირებას იწვევს: „რა გავაკეთოთ?“ „ყოფნა –არყოფნა?“ „ვინ არის დამნაშავე?“ დღემდის ამოუცნობი რჩება გამოცანა, რომელშიც ადამიანის აზროვნების, გრძნობის თუ ბედის ტრაგედია იმალება.
- ლიდერს ვერ აირჩევ, ვერც დანიშნავ და ვერც გადააყენებ და მოხსნი, რადგან ლიდერებად იბადებიან და მათი დანიშვნა და არჩევა მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. ლიდერს ავლენს დრო, მისი მოღვაწეობა, შინაგანი ბუნება და მასშტაბურობა.
- ვისთვისაც უპირველესი სტომაქია, ყველაფერს საკუთარი ჯიბით ზომავენ.
- საყვარელი ადამიანის ამოსუნთქულ ჰაერსაც კი სიყვარულის სუნი ასდის.
- არცთუ იშვიათად პრობლემები სიდუხჭირის კი არა, რწმენის, კულტურისა და ცოდნის უკმარისობის გამო იჩენს ხოლმე თავს.
- ადამიანი სამყაროს სიცოცხლეში იხილავს, მის სულიერ დონეზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქვამს მას.
- ადრინდელი დროიდან მოყოლებული ხალხს ვირივით ამუშავებენ და ძროხასავით წველიან. ზოგჯერ კი ისეთი დრო დგება, როცა უმუშევრებსაც გვარიანად წველიან.

- მეცნიერების აზრით, გარკვეული სიზუსტით რაიმე მოვლენის პროგნოზირება არცთუ ისე იოლია. პოლიტიკოსების უმრავლესობა კი თარიღებს წინასწარ ასახელებს ხოლმე.
- გათითოებული ადამიანები დროთა განმავლობაში უკვალოდ იკარგებიან და ქრებიან.
- ჭკვიანი ადამიანი გამოუვალ სიტუაციაშიც კი მზის ქვეშ ადგილს თავადვე გამოძებნის.
- ხელოვნების სიყვარული არ ნიშნავს იყო ხელოვანი, ის ნიჭთან ერთად დიდი და უსასრულო შრომაა.
- ბელადებს ისეთი ბედი აქვთ, როგორც სხვა არავის, სიცოცხლეში და საიქიოშიც მოსვენება არა აქვთ.
- ზოგჯერ რეალობას უმჯობესია, შემოქმედებით ებრძოლო, მაგრამ, სამწუხაროდ, მუშტიც აუცილებელი ხდება ხოლმე.
- საკუთარ ჯიბეზე და სტომაქზე მზრუნველი კასტა სამშობლოს ცნებას თავის პირად ინტერესებზე მაღლა არასოდეს დააყენებს.
- ზოგჯერ იდეებთან ჭიდილი გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სამხედრო ძალასთან გამკლავება.
- ყოველმა ადამიანმა თავისი სულიერების ტაძარი უნდა აააგოს და მომავალ თაობას გაუნათოს გზა.
- როცა ლამაზი ქალი გაბედული და მამაცია, ორმაგად მომხიბლავი და მიმზიდველია.
- ძველ დრომოჭმულ ტრადიციებზე დაყრდნობით ახალი აზროვნება ვერ შეიქმნება, რადგან ის მხოლოდ სახეშეცვლილ იგივე ძველს გაიმეორებს.
- შეიძლება ადამიანს მოერიო, წააქციო და დასცე კიდეც, მაგრამ ვერ დააჩოქებ, რადგან წაქცევა დაჩოქებას არ ნიშნავს.
- შემოქმედის თვისებაა სამყაროს განსხვავებული თვალთახედვით აღქმა და მისი ანალიზი.
- ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა რთულია, დროთა განმავლობაში მათი იქიდან აღმოფხვრა კი გაცილებით უფრო ძნელი.
- მოწინააღმდეგეები წინდაუხედაობის გამო თავიდან აწვდიან ერთმანეთს იმ თოკს, რომელზეც ერთი მეორეს ჩამოახრჩობს ხოლმე.

- კლასიკური კულტურა ეს ის გაუხუნარი და მარადიული საგანძურია, სადაც ღვთაებრივი და დიადი დავიწყებას არასოდეს ეძლევა.
- სიყვარულის მომატებასთან ერთად გონიერება კლებულობს ხოლმე.
- შემოქმედი ადამიანი მარადიულ სიცოცხლეს თავის ქმნილებებში აგრძელებს. მხოლოდ თითოეულის ხვედრია სიცოცხლეშივე ჰპოვოს აღიარება.
- ყველაზე მეტად იმას უნდა უფრთხილდე, ვისაც შენი ეშინია.
- ნატიფი ხელოვნება უწინარესად ბგერის, ფრაზის, სიტყვისა და ფერის განცდა, მიგნება-აღმოჩენაა.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანი, თავის ეროვნულობასთან ერთად, მსოფლიოს ხალხის ინტელექტისა და მიღწევების მატარებელიცაა.
- ერს სულიერება, კულტურა და გონიერება გადაარჩენს.
- ღირსებადაკარგულ ჯუჯეებს, როგორც წესი, ყოველთვის ათვალისწუნებული ჰყავთ ერის საამაყო შვილები.
- შემოქმედი თავის შემოქმედებით ეპოქას ქმნის, ეს მისი ეპოქაა, რომელშიც თაობები აღიზრდებიან.
- დიდი ერის სულიერებას ნიჰილიზმი არასოდეს შეეპარება.
- ეროვნული კულტურა სიამაყეა. ეს არის სულიერების ტაძარი.
- თუ თავიდანვე პირველი ნოტი, ფრაზა, ფერი ბუნებრივად მოდის, ქმნილებაც სათანადოდ გაიჟღერებს.
- ნიჭიერი ადამიანები ყველა ეპოქაში იბადებიან. სწორედ ისინი წარმოაჩენენ თავიანთ ეპოქალურ ქმნილებებში დიდ ეპოქას.
- სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყნად, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან თან დაგყვება.
- შემოქმედის ქმნილება ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების სარკეა.
- ვინც ძალაუფლებისკენ მიილტვის, უნდა ახსოვდეს, რომ სამეფო ტახტიდან სახრჩობელამდე ორიოდე ნაბიჯია.
- ხელოვნება ადამიანთა სულებს აერთიანებს. რწმენა არის ერის მაცოცხლებელი დვრიტა! რწმენა გადაარჩენს ერს ჟამთა სიავეს!

- იქ, სადაც ძალაუფლება და ფული იმარჯვებს, ჭეშმარიტებას არაფერი ესაქმება.
- არც ერთი ერის კულტურა არ უპირისპირდება სხვა ერის კულტურას, პირიქით, ერთი მეორეს ავსებს და ამდიდრებს.
- ადამიანს ოცნების უნარი რომ არ შესწევდეს ცხოვრება უაზრო იქნებოდა, სამყარო კი ერთფეროვანი და მოსაწყენი.
- ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი უმაღლესი კანონი და მოვალეობა ხალხის კეთილდღეობაა.
- შესაძლებელია წარსულის, დიდი ეპოქისა და კულტურის ძეგლის განადგურება, რადგან დარჩენილი ნაშთი მაინც ღაღადებს იმ სიცოცხლეზე, რომელიც ოდესღაც არსებობდა.
- ადამიანი თავის დროს ეკუთვნის, წარსული აწმყო და მომავალი მასშია.
- სიტყვა თავისუფლება ამაყად და სასიამოვნოდ ჟღერს, ოღონდ ზოგჯერ მწარე შეგრძნებას ტოვებს.
- შემოქმედი ადამიანისთვის იუბილე და ბენეფისი მაშინ არის, როცა ის ქმნის.
- ზოგიერთი ხალხი დიდხანს ვერ ითმენს ვერანაირ უსამართლობას და ამიტომ, სამწუხაროდ, მალე ეგუება მას.
- ნებისმიერ დროს საზოგადოებას იდეალები სჭირდება, ისინი მათთვის შუქურასავით არიან.
- ადამიანის მრავალრიცხოვან ბუნებრივ სიმდიდრეთაგან ერთ-ერთი ხმა და სიტყვაა, რითიც ის სამყაროს ეხმიანება.
- ცხოვრებაში მოვლენები მრავლად არის, სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ცოტა რამ ხდება, ძირითადად კი, ყველაფერი სახეშეცვლილი მეორდება.
- ყველაზე ეფექტური პირველი სიტყვაა, საჭირო და მნიშვნელოვანი კი ბოლოს ნათქვამი.
- ის, რაც შენ გარშემო ხდება და თუ ვერაფერს ცვლი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხარ თანამონაწილე.
- მშობლიური ენა ის ფენომენია, რომელიც ერისა და ქვეყნის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებას და მას გადაგვარებიდან იცავს.
- ზოგიერთები მტრედებივითაა, შეიფარებ, აჭმევ, ისინი კი თავზე გასვრიან ხოლმე.

- ნიჭიერი ადამიანები დროს წინ უსწრებენ, დრო კი ყოველთვის არ ჩქარობს მათ აღიარებას.
- ზოგჯერ რევოლუციონერებს რევოლუციების თავად აღარ სჯერათ, მაგრამ ცდილობენ, სხვები დააჯერონ მის აუცილებლობაში.
- შემოქმედის სულს და მის ქმნილებას სიბერე არ ეპარება.
- ადამიანი თავისი ბუნებით შემოქმედია, მაგრამ დროთა განმავლობაში მან თავისი თავი მჭამელად გადააქცია. სმაჭამა და სექსი თანამედროვე ადამიანის უპირველეს მოთხოვნილებად იქცა.
- ქალი მამაკაცს თავდაპირველად აჯადოვებს, შემდეგ ფრთებს შეასხავს და ცაში ანავარდებს, ბოლოს კი მიწაზე დაუშვებს და სამუდამოდ მიწიერ ვალდებულებებს დააკისრებს.
- კარგ და ცუდ ერებად დაყოფა ცივილიზებული სამყაროს სამარცხვინო და შემზარავი მოვლენაა, რომელიც უხსოვარი დროიდან დღემდე ცოცხლობს და ხარობს.
- ერთგულება ღირსეულთა ხვედრია, ის სიყვარულისა და გონიერების ნაყოფია.
- ადამიანებს ყველაზე მეტად ერთმანეთის პატიება სჭირდებათ.
- საუკეთესო მუსიკა ადამიანის გულის საგალობელია.
- შემოქმედი სივრცეში შეიძლება შეზღუდულია, მაგრამ შემოქმედებაში აბსოლუტურად თავისუფალია და ბატონპატრონია დროში მოგზაურობისა.
- ადამიანის რაობა მისი საქმიანობითა და შდეგებით განისაზღვრება.
- შემოქმედებითი და ინტელექტუალური შრომა შემოქმედისა და მეცნიერის არსსა და შინაარსს წარმოადგენს.
- ყოველმა ადამიანმა თავისი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით უნდა გაამდიდროს და უკვდავყოს სამყაროსთან კავშირში თავისი არსებობის უზენაისი ჭეშმარიტება.
- სილამაზისა და ნიჭიერების აღქმას კეთილი გულით დანახვა და გაფრთხილება სჭირდება.
- საყვარელ ადამიანთან ერთად ყველგან სამოთხეა.

- სათუთი გაფრთხილება სჭირდება იმ ადამიანთა სახელებს, ვისზეც იდგა და დგას ქვეყნის კულტურა, ერის ღირსება.
- ადამიანი, რომელიც სიკეთეს თესავს, მისი ყოველი დღე საჩუქარია ხალხისა და ქვეყნისათვის.
- ყველაზე დიდი განძი თავად ადამიანშია და მისი პოვნა მხოლოდ მის სულშია შესაძლებელი.
- შემოქმედი ქმნის ეპოქას, ეპოქა კი ბადებს შემოქმედს.
- ადამიანი ისაა, ვინც სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლას ცდილობს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი არასოდეს ღალატობს შემოქმედის მაღალ ტიტულს და მოწოდებას.
- შთაგონება და ნიჭი ასაკს არ ეპუება.
- იყო ბედნიერი და სხვებიც გააბედნიერო, ეს რჩეულთა ხვედრია.
- ჭეშმარიტი შემოქმედი შინაგანად თავისუფალი და ბუნებით ოპოზიციონერია. ის არასოდეს გახდება ვინმეს მეხოტბე და ლაქია.
- თითოეული ბგერა, ჰანგი, ყოველი აზრი დიდი აღმაფრენისა და შრომის შედეგია.
- ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, სხვებს უყვარდე, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, თავად გიყვარდეს.
- შემოქმედის ქმნილებაში თავისი ერის სული, სიტყვა და ჰანგი ბობოქრობს.
- ოცნება დიდებული რამაა, მაგრამ ფანტაზიად გადაქცეული ოცნება ილუზიაა.
- ადამიანი სამყაროს განუმეორებელი და უნიკალური არსებაა. მისი არსებობის უპირველესი მიზანი ზნეობრივი სრულყოფილებისკენ სწრაფვაა.
- კულტურის ისტორია ერის ისტორიაა, მაჩვენებელი მისი სიბრძნის, ინტელექტუალური და შემოქმედებითი დონის.
- შემოქმედის ქმნილებანი მისი აზროვნების, ნიჭისა და რწმენის ბარომეტრია.
- იჩქარე, სანამ გაქვს საშუალება, სანამ საკუთარ სიცოცხლეს შენ მართავ, სანამ არსებობ..., ქმნა სიკეთისა და მშვენიერებისა.

- ბედნიერებისთვის ისიც კმარა, რომ ყოველდღე ამოდის მზე, გვაქვს წყალი და პური, იბადებიან ბავშვები, ჟღერს მუსიკა...
- შემოქმედი გულით ხედავს და გონებით განსჯის და ქმნის.
- უფალი წიგნთა წიგნის მეშვეობით ადამიანის ენით გველაპარაკება.
- ცოდნას, ნიჭსა და სიკეთეს შორის უნდა არსებობდეს განუყრელი კავშირი. ცოდნა და ნიჭი მხოლოდ სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს.
- ნიჭიერ ადამიანს წყნარად ცხოვრება არ შეუძლია. ის მუდამ ძიებაშია და მიღწეულით არ კმაყოფილდება.
- მუსიკა ყველაფერია. თუ ჩვენს გულში მუსიკა არის, სხვა ყველაფერშიც არის.
- ადამიანის ბედნიერება სილამაზესთან, სიკეთესთან და მუსიკასთან ზიარებაა.
- კაცობრიობის მთელი ისტორია – ეს მოქმედებისა და მიზანსწრაფვის ისტორიაა, თავისუფლებისკენ სწრაფვის ისტორია.
- ნოვატორობა, ახალი აზროვნება ისტორიული განვითარების ბუნებრივი, ლოგიკური შედეგია. ეს არის სიახლე, შემოქმედებითი, მხატვრული მოვლენა, რომელიც წარმოიშვა როგორც აუცილებლობა და არა როგორც შემთხვევითობა.
- სულიერი მემკვიდრეობა – ეს მთელი კაცობრიობის კულტურული განძი და მონაპოვარია.
- ბიბლია გვასწავლის, გიყვარდეს მოყვასი შენი, ცხოვრება კი გვიხსნის, თუ როგორ და რატომ?
- იდეალი – ეს ისაა, რისკენაც ადამიანი მთელი ცხოვრება მიისწრაფვის და იშვიათად თუ აღწევს.
- ძველი აღქმა ის მოძღვრებაა, რომელმაც სასულიერო და ინტელექტუალური რევოლუცია მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში. მის სიბრძნეში წვდომით ადამიანი იწყებს საკუთარი არსებობისა და გარემომცველი სამყაროს შეცნობას და ამ სამყაროში კუთვნილ ადგილს ჰპოვებს.
- ჭკუა, სიბრძნე და ცნობისმოყვარეობა ადამიანის არსებობის აზრია.

- ნებისმიერი ერის სულიერი სიმდიდრე შემოქმედ ადამიანთა ქმნილებებითა და რაოდენობით განისაზღვრება.
- ისეთი პიროვნება უნდა იყო, რომ პატარა შენთან დიდი გახდეს.
- ხალხთა მეგობრობა ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე ნათელი სიმფონიაა.
- შემოქმედის სათქმელი მის გულში მღერის, მისი სული მუდამ ღიღინებს, ღელავს, იფერფლება.
- მნიშვნელოვანია, სად დგახარ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, საით დგამ ნაბიჯს და რა მიმართულებით მიდიხარ.
- შემოქმედის ქმნილება ნიჭის, ფიქრის და განცდის, ყოველდღიური ცხოვრებისა და მასში მიმდინარე პროცესების ანარეკლია.
- ნიჭიერება და წარმატება – ეს შენი კოლეგების წინაშე ერთადერთი მიუტევებელი ცოდვაა.
- შემოქმედის ვალია, პირადი წვლილი შეიტანოს ზოგადსაკაცობრიო შემოქმედების საგანძურში.
- ადამიანი კვდება, ხელისუფლება იცვლება, ჭეშმარიტი ქმნილება კი ცოცხლობს.
- პატიოსან მშრომელ ხალხს მხოლოდ სამშობლო გააჩნია, დანარჩენ სხვებს კი – მამულები.
- მუსიკას თარგმნა არ სჭირდება, მისი ენა ყველას ესმის, ის ადამიანის სულიდან დაგროვილ ჭუჭყს გამორეცხავს და აკეთილშობილებს მას.
- ზოგს ქალი უფრო უყვარს, ვიდრე სამშობლო, არადა ორივე სიყვარულისთვის არსებობს.
- შემოქმედისთვის ხანგრძლივი სიცოცხლეც ხანმოკლეა.
- ქალი ბუნებით მომხვეჭელია, განსაკუთრებით იმ მამაკაცის მოპოვებას ცდილობს, რომელიც მას არ ეკუთვნის.
- თუ ვიგინდარა რამეს მიაღწევს, უფრო გათავხედდება.
- სიცოცხლეში ყველაზე ხანმოკლე ბედნიერებაა.
- არანორმალურები, რომლებსაც ძალაუფლება სწყურიათ, უშრეტი ენერგიით და ძალით არიან აღვსილები. მათი დაოკება შეუძლებელია, ხშირ შემთხვევაში ატომურ იარაღზე არანაკლებ საშიშნი არიან.

- სიყვარულისა და სიმდიდრის დაფარვა შეუძლებელია.
- მამაკაცის კისერზე ქალის მკლავები გადამრჩენიცაა და მახრჩობელაც.
- ადამიანები თავიანთ წარმომავლობას, მოსწონთ მათ ეს თუ არა, ვერ გაექცევიან, ისინი მეტნაკლებად თავიანთი ხალხის ყველა ნაკლისა და ღირსების მატარებლები არიან.
- დიპლომატი ადამიანი ბევრს ფიქრობს და თითქმის არაფერს ამბობს, შეცდომებს არ უშვებს, იგი ამ შანსს სხვებს აძლევს.
- შემოქმედებაში უნდა იგრძნობოდეს ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ახსნისკენ სწრაფვა, მათი მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრება.
- მოაზროვნე ადამიანის გონიერებას საზღვრები გააჩნია, უგუნურის უმეცრება კი უსაზღვროა.
- მომავალს ყოველთვის იმედის თვალით შევცქერით, რადგან ის ძალიან შორსაა.
- ცეკვის დროს არ უნდა ილაპარაკო, უნდა იცეკვო და გრძნობებს მიეცე.
- ღამე ძალიან ბევრი რამ ბრწყინავს, განსაკუთრებით ვარსკვლავები და ქალები.
- ღირსეული ხელისუფლება ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობს, უღირსი კი – საკუთარ თავზე.
- ცოდნასა და რწმენას შორის ის განსხვავებაა, რომ ცოდნა არის ხილული რწმენა, ხოლო რწმენა უხილავი.
- მნიშვნელოვანია ყოველივე ის, რაც თქვენ გარშემო ხდება, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც თქვენ სულში ხდება.
- ზრდილობა ძვირფასი რამაა, რომელიც არაფერი ღირს, მაგრამ ძალიან მომგებიანია.
- გარეგანი სილამაზე თვალისმომჭრელია, ჭეშმარიტი სილამაზე კი გარეგანი და შინაგანი სამყაროს ჰარმონიული თანხვედრაა.
- უგუნურს მარტო განათლება დიდს ვერაფერს შემატებს, თუ აღზრდა და შინაგანი ბუნება მწყრალად არის მასთან.

- ადამიანს უნდა გააჩნდეს პიროვნული ღირსება და პროფესიული თვისებები, უბედურებაა, როდესაც არც ერთი არ გააჩნია.
- ზოგიერთი ქალი იმ პეპელას ჰგავს, რომელიც ყველა ყვავილს აჯდება.
- გამარჯვებისთვის თავდადებით იბრძვიან, დაუნდობელი ბრძოლა კი გამარჯვების შემდეგ იწყება.
- კაცობრიობამ მთელი ისტორიის მანძილზე ოჯახზე უკეთესი ვერაფერი მოიგონა.
- საყვარელს ქალისაგან მხოლოდ ერთი რამ უნდა, ქმარს კი – ის ერთი რამ და სხვა ყველაფერიც.
- კულტურული სახის დაკარგვა ეროვნების დაკარგვის ტოლფასია.
- როდესაც ლაპარაკის გამო არ გსჯიან, ეს ხანმოკლე ბედნიერებაა.
- უგუნური იმ შემთხვევაშიც იბრძვის, როდესაც შესაძლებელია, გაიმარჯვოს ბრძოლის გარეშე, გონიერი კი, ხშირ შემთხვევაში, ბრძოლის გარეშე იმარჯვებს.
- წარმტაცი მუსიკის სამყარო სულის სალბუნად მიგაჩნდეს.
- სტუმრები მოსვლისას სასიამოვნონი არიან, რიგ შემთხვევაში კი წასვლისას უფრო სასიამოვნონი ხდებიან.
- ყველას უნდა დიდხანს იცოცხლოს, სიცოცხლეს კი არავინ უფრთხილდება.
- უნდა ეცადო, დატკბე ყოველდღიური სიხარულით, რადგან შეიძლება ხვალინდელი დღის სიხარულს ვეღარ მოესწრო.
- მუსიკის და დედა ბუნების ფარული ჰარმონიის წვდომა მშვენიერების შარავანდედით მოსილთა ხვედრია.
- ადამიანს რამდენიმე სახე აქვს – ისეთი, რომელსაც თავად მოირგებს, ისეთი, რომელსაც მას მიაწერენ, ისეთი, რომელსაც სიტუაციების მიხედვით იღებს და ისეთი, როგორიც სინამდვილეში აქვს.
- სიყვარული და ლეკვები ბრმები იბადებიან, თუმცა ლეკვები თვალებს დროულად ახელენ.
- შემოქმედი ადამიანი ქმნის, არაშემოქმედი კი სხვას ასწავლის.

- ადამიანებს აინტერესებთ ის, რაც მათ ეხებათ, მაგრამ ყველაზე მეტად აინტერესებთ ის, რაც მათ არ ეხებათ.
- უკეთესია თვალებთან ერთად გულითაც ხედავდე.
- რევოლუციას მოაზროვნე, მიზანდასახული ადამიანები ამზადებენ, დაქირავებულები და ფანატიკოსები ახორციელებენ, მისი დიდებითა და შედეგებით კი მეტწილად ვიგინდარები სარგებლობენ.
- თუ მუსიკას ახსნა სჭირდება, ის არაფრად ვარგა.
- გონიერი ადამიანებით აღფრთოვანებულები არიან, თუმცა ხელისუფლებაში იშვიათად თუ ეპატიჟებიან.
- ამქვეყნად მხოლოდ სიყვარულსა და სიკვდილს ვერ გაექცევი.
- ადამიანები ძნელად ამოსაცნობები არიან, ისინი თავის ჭეშმარიტ ხასიათს და მისწრაფებებს მალავენ და ასევე მალულად ამჟღავნებენ.
- ლამაზი ქალები მამაკაცებს ეკეკლუცებიან, გამოცდილები კი კისერზე ეკიდებიან.
- როდესაც დაავადებულია ერთი თითი, მკურნალობაა საჭირო და არა ხუთივე თითის მოკვეთა.
- როდესაც მოაზროვნე ნაწილს არ ძალუძს საკუთარი ხალხის სულიერი სიმაღლის წარმოჩენა, ამ მისიის შესრულებას ცდილობენ დილეტანტები, მაგრამ მათი მისწრაფება ფუჭია და უშედეგო. თითოეული თავისი სამრეკლოდან ახმაურებს ზარს.
- რწმენადაკარგული თაობა უწიგნურობისა და არასულიერებისა და არასულიერების ჭაობში ჩასაძირადაა განწირული.
- ამქვეყნად უსასრულო მხოლოდ სისულელეა.
- ფულით დახმარება დროებითია, ჭეშმარიტი დახმარება სულის დახმარებაა.
- რელიგია ყოველთვის საზოგადოებრივი ორგანიზმის გამწმენდი სისტემის როლს ასრულებდა, როგორც კი ხალხთა მასებში ღვთის რისხვისადმი შიშის ინერცია შენელდა, უდიდესი ნაწილის აღვირახსნილობა ვერავინ და ვერაფერმა შეაჩერა.

- აზრების ხატოვნად, ამაღლებულად და ლამაზად გადმოცემა ყველაზე მეტად მუსიკას ძალუძს.
- ვინც არ იცის თავისი ხალხის ისტორია, ეს მისი დანაშაული კი არა, სასჯელია.
- თავზარდამცემია როდესაც მშვენიერებას, სულიერებას, ამაღლებულ გრძნობებს, სიწმინდეს ხელყოფენ უმეცარი სიბრიყვითა და სიძულვილით გაჟღენთილი უგუნურნი.
- პოლიტიკა – ეს არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის, რომელშიც ჩართულია „ბელადის“ კომპლექსით შეპყრობილი ხალხთა მასა. მხოლოდ ძალაუფლებისთვის ბრძოლისას იკმაყოფილებენ ისინი ჟინს და ლტოლვას.
- უანგარო სიყვარული დროსა და სივრცეს არ ემორჩილება.
- რევოლუცია მედროვეებისა და ხელმოცარულებისთვის ნამდვილი განძია.
- შემოქმედს და მის ქმნილებას თავიანთი ღირსებები და სისუსტეები გააჩნიათ.
- ხელოვნება საუკეთესო აღმზრდელი და მკურნალია.
- ხელისუფლებაში მისვლისთანავე მცირემცოდნენი ყოვლისმცოდნედ მოევლინებიან ქვეყანას, შარვალგამოხეულნი გვარიანად მოკეთდებიან, მომხვეჭელები ისევ არიან. იმედგაცრუებული ხალხი სასოწარკვეთილია. ცხოვრების ჭეშმარიტება იმაშია, რომ სრული ჭეშმარიტება არ არსებობს.
- ძეგლების დამამხობლები თავიანთ ძეგლებს წამოჭიმავენ ხოლმე.
- როდესაც უმრავლესობით ან უმცირესობით საზღვრავენ, მეცინება, ჭკუით უნდა განსაზღვრონ და არა რაოდენობით.
- პოლიტიკოსებს ხელეწიფებათ ნათელი მომავლის დაპირება, ისტორიკოსებს – წარსულზე ზრუნვა, აწმყოს სიკეთეზე საუბარს კი ყველა გაურბის.
- მკაცრი ტონით გაცემულ პასუხს, სჯობს ხუმრობით თქვა ის, რაც აუცილებელია.
- სჯობს, გასაჭირში მყოფ ადამიანს დაეხმარო, ჭკუა კი მერე ასწავლო.
- მდიდარ ადამიანს კანონი ხშირ შემთხვევაში არ სჯის ჩადენილი ცოდვების გამო, ამიტომ უცოდველი ჰგონიათ თავი.

- ყვავ-ყორნებიც კორტნიან არწივებს და ძაღლებიც ძიძგნიან დაცემული ლომების სხეულს.
- პროგრესული ძალა არა ძლიერთა მხარეს, არამედ მართალთა მხარეს უნდა უმაგრებდეს ზურგს.
- არის ერთი საერთო სენი, რაც ადამიანებს აქცევს ერთ მთლიანობად, ეს შოვინიზმია. ამ უკურნებელ სენს არაფერი ბოჭავს, არც მორალი, ინტელექტუალური და სულიერი დონე.
- ომის დროს კანონი დუმს, მშვიდობის დროს კი მას მეტწილად მმართველობის სასარგებლოდ აახმიანებენ ხოლმე.
- უდიდესი ღირსებაა, გაიმარჯვო მტერზე და არ გაანადგურო ის.
- ადამიანს მრავალ ნიჭთან ერთად მოთმინების უნარი უნდა გააჩნდეს.
- უბედურებაა, როდესაც ღირსეული ადამიანები ვიგინდარებზე არიან დამოკიდებულნი.
- გულწრფელობა დიდებული რამაა, რიგ შემთხვევაში კი – საშიში და დაუშვებელი.
- აგრესია მეტწილად სუსტ და გაუწონასწორებელ ადამიანებს ახასიათებთ.
- თვითგანწმენდის ბუნებრივ პროცესს, ყოველ მიმოქცევას თუ ბუნებრივ ძვრებს, ფსკერის ნალექიც მოჰყვება ხოლმე.
- უკვე თქმული და ქმნილი იქმნება ხშირად.
- დასანანია, როცა, მომავლის ნაცვლად, მხოლოდ წარსული შემოგრჩება.
- უბედურებაა, აკეთო ის, რაც არ გსიამოვნებს, ჭამო, რაც არ გსურს, დალიო, რაც არ გწყურია და ცხოვრობდე მასთან, ვინც არ გიყვარს.
- თუ გინდა მოგებული დარჩე, წყენა დაივიწყე, სიკეთე კი გახსოვდეს. საზოგადოება პასიური გახდა, აშკარაა ზნეობისა და ინტელექტის დეფიციტი.
- ცხოველები ცოცხლობენ იმისთვის, რომ იკვებონ, ასეთი ადამიანებიც მრავლად არიან. არიან ისეთებიც, რომლებიც იკვებებიან იმისთვის, რომ იცოცხლონ.
- მეცხრამეტე საუკუნე ზნეობრივი ქაოსითა და ბობოქრობით მეოცე საუკუნემ დაჩრდილა.

- ადამიანი მეტწილად გულს სტკენს იმას, ვისაც ის უყვარს.
- ანჩხლი ქალი, პირველ რიგში, საკუთარ თავს ეამბოხება.
- მომრავლდნენ ფულით სავსე ჯიბეებით, მაგრამ ცარიელი ცხოვრებით აღტყინებული უმეცარნი.
- რელიგია ადამიანების უდიდესი ნაწილის აზროვნებასა და ემოციებს ფლობს.
- სანამ მოქმედებაში ხარ, ცოცხლობ, უმოქმედობაში კი ცოცხალ-მკვდარი ხარ.
- უმისიოდ დარჩენილი ხალხი განწირულია.
- ადამიანი დაიჯერებს და ესმის ის, რისი გაგონების უნარიც გააჩნია ან რაც მისთვის სასურველია.
- ჭეშმარიტი პიროვნება და ბრძენკაცი თავმდაბალი და უბრალოა, დროებით აღზევებული კი – ქედმაღალი და ირონიით აღსავსე.
- უზნეო და ავყია კაცთან სიახლოვეც კი მოსარიდებელია. თუ თანამდებობას გამოჰკრა ხელი, ხალხს ცხოვრებას ჯოჯოხეთად გადაუქცევს.
- ჭეშმარიტი ადამიანი მზად არის მეტის გასაცემად და ნაკლების მისაღებად.
- ძველი შინაარსი ახალ ფორმაში გადასვლისას განვითარებას განაგრძობს.
- საკუთარი ისტორიის გააზრება, მომავალზე ფიქრი, ფხიზლად ყოფნა ყოველი ღირსეული ადამიანის ვალია.
- დიდი ფული დიდ ვერაფერს ქმნის, ჭეშმარიტად დიდი მხოლოდ ნიჭიერებით, ცოდნით და თავდადებული შრომით იქმნება.
- ყოველთვის გახსოვდეთ კეთილი საქმის ქმნა.
- ადამიანები სხვებისაგან სამართლიანობას მოითხოვენ, ხშირად კი თავად იქცევიან უსამართლოდ.
- ადამიანის მორალურობა მხოლოდ გონების ნაყოფი როდია.
- ყველა ერს თავისი კულტურა გააჩნია, სხვისი მიბაძვით საკუთარიც (და)იკარგება.
- სხვისი პირადი დღიურის ჩანაწერების გაცნობა ამ ადამიანის სულის კუნჭულში რაღაც მიმალულის და ინტიმურის გაშიშვლებას, სულიერ სტრიპტიზს ნიშნავს.

- ყველაზე სანატრელნი შორს მყოფი ახლობლები არიან.
- სჯობს, საკუთარი თავის იმედი გქონდეს, ვიდრე მომავლის.
- ქალების სისუსტე მამაკაცებია, სიხარული კი – ბავშვები.
- რაც უფრო შორდები წარსულს, ის უფრო გიახლოვდება და არ გასვენებს.
- შენი სიცოცხლე შენს ხელშია, ნუ გგონია, მას ვინმე შეცვლის შენს მეტი.
- სხვა ხალხის კულტურის ცოდნა და გათვალისწინება საკუთარი თვალსაზრისით და მსოფლმხედველობით უფრო მრავალმხრივ წარმოაჩენს ადამიანს.
- ჯანმრთელი სხეულისა და სულის გარეშე ბედნიერი ვერ იქნები.
- ხელოვნება უზენაეს აზროვნებასა და სილამაზესთან ურთიერთობაა.
- ისტორია მხოლოდ ფაქტები არ არის, მისი მთელი სიცხადით წარმოსახვა ადამიანების კეთილგონიერებაზე არის დამოკიდებული.
- დემოკრატია ხალხისაც და უფრო დემოკრატების ძალაუფლებაა.
- შემოქმედის დაუშრეტელი ფანტაზია, მშვენიერებასა და სილამაზეზე ღაღადი, ზებუნებრივი წვა და სულიერი აწყვეტა – უკიდეგანო შემოქმედებითი ნავარდია.
- მხოლოდ ძლიერი ფესვის, დიდი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ხალხს ძალუძს გახდეს სხვა ერის ერთგული და ორიგინალური ნაწილი ისე, რომ, ამავე დროს, მთლიანად შეინარჩუნოს თავისი თვითმყოფადობა, თავისი წესი და კანონი.
- სამწუხაროდ, ადამიანებმა უხსოვარი დროიდან დაივიწყეს, რომ მათ აკისრიათ უდიდესი ღვთაებრივი მისია – ყოველი მათგანი პასუხისმგებელია ყველა დანარჩენზე.
- როდესაც ქმნი ნაციონალურ მოტივებზე, ისე უნდა შექმნა, რომ ქმნილება ინტერნაციონალური გახდეს. შემოქმედს თუ თავისი ნაღველი თან არ ახლავს, მის გარეშე ის შემოქმედი ვერ იქნება და მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის.

- თავისუფლებაზე მაშინ ლაპარაკობენ უსასრულოდ, როდესაც ის რეალურად არ არსებობს.
- თუ ადამიანების სულიერი ძალები ამოიწურება, ვერანაირი ეკონომიკური განვითარება და სიძლიერე ვერ იხსნის ნაციას გადაგვარებისაგან.
- თანამედროვე სამყაროს ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად ხელოვნება ერთ-ერთი ყველაზე დიდებული საშუალებაა.
- ნებისმიერი თამაში მიზნის გარეშე უაზრობაა.
- ქალისკენ აზრით, გულისა და ხორციელი ძახილით უნდა მიილტვოდე.
- ზოგიერთ ქმნილებაში თავად უფალი მეტყველებს შემოქმედის კალმის მეშვეობით. შთაგონების პროცესში, შემოქმედს მიუწვდომელ, სრულიად სხვა სამყაროსთან და ზეციურ ძალებთან, მოვლენებთან აქვს კავშირი, რაც მხოლოდ უხილავი სამყაროა და შემოქმედის საიდუმლოა...
- დროებას ადამიანები ტყუილუბრალოდ უჩივიან, სწორედ მათ უნდა გააუმჯობესონ ის.
- არიან ისეთები, რომლებსაც სამოქმედო გეგმა არასოდეს გააჩნიათ, მუდმივად იმპროვიზაციის სტიქიაში იმყოფებიან.
- დიდ შემოქმედ ადამიანებს არასოდეს ასვენებთ მეამბოხის სული, ისინი შინაგანი ბუნების სიდიადის გამო ყოველთვის კრიტიკულად არიან განწყობილნი არსებული უსამართლობების მიმართ.
- ზოგჯერ ქურდობა უდიდესი ტვირთია, რადგან არნახული კონკურენციით სარგებლობს.
- ღირსეულმა ადამიანმა ცხოვრების ლაბირინთებს შუქი უნდა მოჰფინოს.
- მასწავლებლებს უდიდესი მისია აკისრიათ, განსაკუთრებით კი ეპოქათა გასაყარის ჟამს, გზააბნეულთათვის ჭეშმარიტი გზისკენ გზის ჩვენებისა.
- ცხოვრება ადამიანების ვნებათაღელვის და ბრძოლის დაუსრულებელი არენაა.
- ბუნებაში, ისევე, როგორც ცხოვრებაში, მდგრადი ის არის, რაც ჰარმონიულია.

- ზოგიერთი იმის შიშით, რომ საკუთარი აზრი არ შეიცვალოს, სხვებს არ უზიარებს მას.
- პოლიტიკის ავკარგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პოლიტიკოსების ხელში აღმოჩნდება ის. პოლიტიკა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს პოლიტიკოსების უმრავლესობას მიაჩნია.
- ზოგიერთების ფიქრს აზრთან საერთო არაფერი აქვს, მხოლოდ ოცნებაა.
- იდეალური ცოლი ყველაზე თვალისმომჭრელად სამზარეულოსა და ლოგინში ბრწყინავს.
- კომპრომისების პოლიტიკა ყოველთვის არ ამართლებს, მას თავისი დანიშნულება აქვს. პოლიტიკა მიმდინარე პროცესების ადეკვატურად უნდა ხორციელდებოდეს და, რიგ შემთხვევაში, მოვლენებს წინ უნდა უსწრებდეს.
- ნიჭიერი ადამიანი, სადაც არ უნდა იყოს, ყველგან ნიჭიერია. ურთულესმა დრომ შეიძლება უფრო გაამახვილოს მისი ტალანტი, რაც მის პიროვნებას უფრო მნიშვნელოვანს გახდის.
- ვინც არ იცის, რა უნდა, იმას მიიღებს, რასაც სხვები გაიმეტებენ მისთვის.
- ნებისმიერი დანაშაული კაცობრიობაზე თავდასხმის ტოლფასია.
- შემოქმედის ჩანაფიქრი შემოქმედებით პროცესში იხვეწება, ქმნილების სულის ჩამდგმელი კი სანთელივით იწვის.
- ქორწინება სიყვარულის ვალდებულებებზე გაცვლის საზეიმო ცერემონიაა.
- იუმორი განტვირთვის და ნეგატიური ენერგიის განდევნის საუკეთესო საშუალებაა.
- კანონიერება ითვალისწინებს უფლებებით და სამართლიანობით და არა ძალმომრეობით მოქმედებას.
- შემოქმედმა ადამიანმა თავისი ქმნილებით ისეთი სამყარო უნდა შექმნას, საიდანაც გამოსვლა არავის მოუნდება.
- ადამიანში მთავარია სული, ყოველ მათგანშია ღვთაებრივი ძალა. სწორედ ეს სიწმინდე უნდა უყვარდეთ ადამიანებს ერთმანეთში.

- გაზვიადებული და მოჩვენებითი ყველგან და ყველაფერში დროებითია და უკვალოდ ქრება.
- შემოქმედის ქმნილებანი დროში გამოიცდება, მათი ჭეშმარიტებაც დროში გაცხადდება.
- პესიმისტს და ოპტიმისტს შორის ის განსხვავებაა, რომ კრიტიკულ სიტუაციაში პესიმისტი ადგილზე კვდება, ოპტიმისტი კი – გაქცევისას.
- ნორმალურ ადამიანს სიყვარული ათბობს, ბოროტს – სიძულვილი.
- ვინც დღენიადაგ თავისი უნიჭო შემოქმედების წარმოჩენას ცდილობს, საბოლოოდ, როგორც სხვა ყველა უღიმღამო ქმნილება, მისი „შედევრებიც“ სანაგვე ყუთში აღმოჩნდება.
- ვისაც გულში სიყვარულისა და სიკეთის გრძნობა არ გააჩნია, ის დიდს და მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის.
- ზოგიერთი ადამიანის ცხოვრება გამრუდებულ სარკეში გამოსახულების მსგავსი და ადეკვატურია.
- შემოქმედი თავისი შემოქმედებით ცხოვრობს, დიდ საოცრებებს ქმნის. ჭეშმარიტად აამაღლებს და სულიერი განათლების გზით გააბრწყინებს ადამიანებსა და სამყაროს.
- სიკვდილის მრავალი მიზეზი და საშუალება არსებობს, სიცოცხლისათვის კი ერთადერთი – სიყვარული.
- ვინც სხვათა ნიჭს, ღვაწლსა და ღირსებას არ აფასებს, თვითონაც შორს დგას მისგან.
- თვალთმაქცი გაიძვერა ისეთ რამეს შეაჩეჩებს და აცდუნებს სხვას, რაც მას არ გააჩნია, სხვას კი სულ არ სჭირდება.
- დროებით აღზევებულ თაღლითებს უყვართ ლაღი და ნათელი ცხოვრება, მაგრამ არ უყვართ, როცა ნათელი ეფინება მათ შავბნელ საქმეებს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი ქმნილებებით ეპოქას ქმნის. მთელი თავისი არსებით, ნიჭითა და ინტელექტით დღენიადაგ შემოქმედებაშია ჩაფლული.
- სიყვარული ცხოვრებაა. ეს მუსიკა, პოეზია, ფერწერაა. ეს სიკვდილზე გამარჯვებაა.

- შემოქმედებით პროცესში რასაც ვერ ხედავ, ის გესმის, წარმოიდგენ, მოსვენებას არ გაძლევს, რაც შენს წარმოსახვაშია, იმას ქმნი და უდიდეს სიამოვნებას განიცდი.
- ადამიანის გონებასა და სულზე ხელოვნება უდიდეს ზეგავლენას ახდენს. ისე არაფერს შეუძლია დანგრეული ცხოვრების აღდგენა, როგორც ხელოვნებას.
- სიყვარული სურვილია სილამაზით და ღვთაებრივი სამყაროთი ტკბობისა. გამოვლენაა იმისა, რაც ადამიანის გულში და სულში კიაფობს.
- თანამედროვე ცხოვრება პარადოქსებითაა სავსე, მორალურმა მხარემ უკიდურესად დაბლა დაიწყო დაცემა.
- შემოქმედი ოპტიმისტიც არის და პესიმისტიც, ის სევდანარევი ადამიანია.
- ისტორიის სასწორი ხშირად მერყეობს.
- ადამიანების უმრავლესობას საკუთარი თავის მოტყუებისა და რომანტიკისადმი მიდრეკილება ახასიათებთ.
- შემოქმედი თავის ქმნილებებში, მსახიობი კი სცენაზე, როგორც ზეციური მოვლენა, ისე უნდა ბრწყინავდეს.
- ის ძალაუფლებაა პროგრესული, რომელიც ცოდნასა და კანონზომიერებაზეა დამყარებული.
- თავდაპირველად სათაური და დასახელება წარმოაჩენს ქმნილებას, შემდგომ კი თავად ნაწარმოები განსაზღვრავს ქმნილების სიდიადეს.
- მაიმუნმა თავისი თავი სარკეში რომ დაინახა, ირონიულად გაეღიმა, თვალებმოჭუტული მრავალმნიშვნელოვნად დიდხანს უმზერდა საკუთარ თავს და ამის შემდეგ ადამიანი დაიბადა.
- ადამიანების უმრავლესობა მხოლოდ იმ ზღუდეებს გადააბიჯებს, რაც მათ საშუალებებს არ აღემატება.
- შემოქმედებით ადამიანს უზენაესთან უამრავი უხილავი ურთიერთობა აკავშირებს.
- ზოგჯერ ხალხის ყველაზე დიდი პრობლემა საკუთარი მშობლიური მთავრობაა, რომელთანაც ერთად იძინებენ და იღვიძებენ, ოღონდ არ ვახშმობენ.

- ხელოვნებამ ადამიანებს თვითშეგნება უნდა გაუფაქიზოს და თითოეულს გულზე უნდა მიუკაკუნოს.
- გონიერი და ღირსეული ხალხი ბნელსა და უკუნეთში არ აღმოჩნდება, მითუმეტეს აბსოლუტურ ჯოჯოხეთში არ ამოყოფს თავს.
- ქალი ღვთაებრივი მოვლენაა, ის სიცოცხლის არსებობის მიზანია.
- ადამიანები ადრე იქით მიეშურებოდნენ, სადაც ელოდებოდნენ, ახლა კი ზოგჯერ იქით მიიჩქარიან, სადაც არავინ ელოდებათ.
- ყველას აქვს უფლება, ისე იფიქროს, როგორც თვითონ თვლის საჭიროდ, ის მათ ინტელექტუალურ დონეზეა დამოკიდებული, ოღონდ ჭეშმარიტების გზას არ უნდა ასცდეს.
- პოლიტიკოსების გაფუჭებულ საქმეს, სამხედროები ომით ასწორებენ ზოგჯერ, თუმცა ეს დროებითი მოვლენაა, რადგან ნებისმიერი ძალადობა ახალ ძალადობას წარმოშობს.
- შემოქმედი ადამიანი არასოდეს არ არის საკუთარი თავით კმაყოფილი, ის მუდამ ძიებაშია და ახალი ემოციებით იმუხტება.
- ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი ლაჩრები არიან
- ზოგიერთი მთელი სიცოცხლე სიკეთეს თესავს, საქვეყნო საქმეს აკეთებს და თითო-ოროლა თუ იცნობს, ზოგს კი მთელი ცხოვრება ცხვირიდან თითი არ გამოუღია და სუყველა იცნობს.
- გონიერებისა და გრძნობების გარეშე მნიშვნელოვანი არაფერი შეიქმნება, და თუ იქმნება, უკვალოდ ქრება.
- ყველა დღესასწაულს თავისებური ნაღველი თან სდევს. ბედნიერებას, ხშირ შემთხვევაში, ნაღველიც თან ახლავს.
- პოლიტიკა ზნეობას მხოლოდ უზნეო პოლიტიკოსებს აკარგვინებს.
- ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე, წინასწარ არავინ იცის, რას ელის და ვის როგორ გაუმართლებს. ხშირ შემთხვევაში კი ცხოვრება ზოგიერთისთვის ძველი დროის დეპეშასავით მოკლე, აბდაუბდა და შეცდომებითაა სავსე.

- შემოქმედი ადამიანი თავისი ქმნილებებით ისტორიის, ხელოვნებისა და კულტურის ნებისმიერი სიმაღლეების თანაზიარი და ცივილიზაციის გვერდით მდგომია და მოვლენებს წინ უსწრებს კიდეც.
- ბიბლიურ ხალხს მთელი ისტორიის მანძილზე ტალახს ესროდნენ, ისინი ეცემოდნენ კიდეც, მაგრამ მათი ვარსკვლავთა სიკაშკაშე არასოდეს განელებულა და ცამდე მაღლდებოდნენ მუდამ.
- მკაცრ ეპოქას დაუნდობელი და მკაცრი ლიდერები ქმნიან.
- თუ ადამიანი მუდმივად სალოცავში დადის, წესებს იცავს და ლოცულობს, მაგრამ არ იცვლება, გაუგებარია რაში გამოიხატება მისი რწმენა?
- ხელოვნება სიკეთის დიდ ნათელ სვეტზეა დაფუძნებული, რომელიც ასხივოსნებს ჩვენს ცხოვრებას და საშუალებას აძლევს ადამიანებს, შეიგრძნონ სამყაროს სილამაზე.
- შემოქმედი არ ელოდება შთაგონებას, ის მას არასოდეს სტოვებს, ყოველთვის მასში და მის გვერდითაა.
- ადამიანი ყველაფერს ფილოსოფიურად და იუმორით უნდა უმზერდეს.
- შემოქმედმა ცხოვრებასა და შემოქმედებაში ყოველთვის უნდა ეძიოს მუსიკის, პოეზიისა და ფერის ანსამბლი. ეს უდიდესი შინაგანი ძალაა ყველა დროის შემოქმედის უშრეტი წყარო და სათავე, რომელიც ბუნებასთანაა ხმაშეწყობილი.
- ცხოვრებასა და შემოქმედებაში ყველაფერია შესაძლებელი, თუ ის სიყვარულს, ნიჭიერებასა და შრომისუნარიანობას ეფუძნება.
- არასწორი ინტერპრეტაცია დამოკიდებულებებს ცვლის და თავდაყირა აყენებს.
- ზოგჯერ შემოქმედი მეცნიერია და მეცნიერი შემოქმედი. მეცნიერება თავისებური შემოქმედებაა.
- თვითმყოფადობა და ბუნებრივობა უფრო საინტერესოს ხდის ადამიანს, განსაკუთრებით კი ხელოვნებას.
- ვისაც სიყვარულის უნარი შესწევს, ის პატიებასაც შესძლებს.

- სიწმინდეები უფრო იცავს ადამიანებს, ვიდრე თავად ადამიანი სიწმინდეებს.
- ქალის სილამაზეს ქალური ჭკუა უხდება. კაცის ჭკუა მისთვის შესაძლოა დამღუპველი გახდეს.
- ადამიანი მთელი სიცოცხლე რაღაცას ეძებს, მიღწეულით არ კმაყოფილდება და ზოგჯერ იმასაც კარგავს, რის მოპოვებასაც მთელი სიცოცხლე დრო და ძალ-ღონე შესწირა.
- ზოგიერთი უცოდველი ცხოვრებას მაშინ იწყებს, როცა ცოდვილს აღარც ძალა აქვს, აღარც ფული და აღარც სურვილი.
- იჩქარეთ ცხოვრება, სიცოცხლე ნებისმიერ წუთს შეიძლება შეწყდეს.
- ანტიხელოვნება ძარცვავს ადამიანს და ამახინჯებს საზოგადოების სულიერებას.
- როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ მინდორ-ველზე არც ერთი ნათელი და მრავალფეროვანი ყვავილი არ იზრდება და არც ხარობს, ამის მიზეზი ისაა, რომ მთელი ადგილი სარეველასავით გამრავლებულმა ბიუროკრატიამ შთანთქა.
- გამოცდილი პოლიტიკოსი ორიოდე სიტყვით მრავლისმეტყველია.
- ზოგიერთებს ბოლო წლებში ველურ კაპიტალიზმზე მოუხდათ გადასვლა და ცივილური სამყაროს ნაწილად მიიჩნევენ თავს. თუმცა არცთუ იშვიათად შუა საუკუნეების ეპოქაში ჩარჩენილებს უფრო გვანან.
- ადამიანი რომ არ წაიქცეს, იარსებოს და ფეხზე დადგეს, მას გვერდში დგომა სჭირდება.
- უფერულად გახმოვანებულ სიმართლეს ვერავის დააჯერებ, ლამაზად გაჟღერებულ ტყუილს კი ადვილად იჯერებენ.
- ის, რაც გამოუდეგარია ან დრომოჭმული, კალენდრის ძველი ფურცელივით გადაშლიან ხოლმე.
- ოჯახი ტრადიციებისა და ფასეულობების შემონახვის მტკიცე საძირკველია.
- რიგითი ჯარისკაცები ქვეყნის ბურჯია, მათ ფრონტის წინა ხაზზე ხოცავენ.

- რაც არ გახსოვს, ის, ალბათ, არც ყოფილა, რადგან ყველას ყველაფერი კარგად ახსოვს.
- მცირერიცხოვანი ერის ხალხისათვის დიდი შეცდომები სახიფათოა.
- ვისაც ვერ ატყუებენ, ისინი არ უყვართ, მაგრამ ქალები რატომღაც მაინც უყვართ.
- დამოუკიდებლობა და თავისუფლება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს შემოქმედებით თავისუფლებას – „რაც მინდა იმას ვაკეთებ“. შემოქმედებითი თავისუფლება – ეს შენი არჩევანია, რა გააკეთო, მაგრამ როგორ გააკეთო, მხოლოდ ნიჭისა და ოსტატობის წყალობით უნდა განახორციელო.
- შემოქმედი უნდა იყოს ადამიანი-ტაძარი, ადამიანი-ოკეანე, რომლის დუმილიც კი მოაჯადოვებს, აამაღლებს და დააფიქრებს ადამიანს.
- ხელისუფლება ბედავს იმდენს, რამდენსაც მას ხალხი აბედვინებს. ხალხი არანაკლებ დამნაშავეა იმაში, რაც ქვეყანაში ხდება.
- მებრძოლი გენი, რომელიც ჯერ კიდევ ბჟუტავს, მას გაღვივება სჭირდება და არა ჩაქრობა.
- იმპროვიზაცია მსმენელსა და მაყურებელს შორის მაშინ შედგება, როცა ის წარმატებულია. იმ იმპროვიზაციას იჯერებენ, რომლის აქტიური თანამონაწილე და ამყოლიც თავად ხდებიან, როცა იმპროვიზაციის სტიქიის ეპიცენტრში აღმოჩნდებიან.
- ვცდილობდი, ყველაფერი მესწავლა, განსაკუთრებით კი ის, რაც მაინტერესებდა, მაგრამ მთელი ჩემი სიცოცხლე – ბავშვობიდან დღემდე – მუსიკაშია. ის ჩემშია, მე კი – მასში.
- მუსიკოსები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მუსიკალური ენა ყველასათვის მისაღები და გასაგებია.
- შემოქმედი ადამიანის ქმნილებებისთვის ყველაზე ბუნებრივი ის ადგილი და გარემოა, სადაც ისინი იქმნებიან.
- ეროვნულობისა და სულიერების დაკარგვის შემთხვევაში ქვეყანა თავის ისტორიულ სახეს დაკარგავს და დაიღუპება.

- ყველაფრის საფუძველი ადამიანის შინაგანი სამყარო და მისი სულიერებაა.
- ვისაც საკუთარი პროფესიული ტრიბუნა არ გააჩნია, ხელისუფლებისკენ მიილტვის. არიან ისეთებიც, რომლებმაც ოპოზიციურობა პროფესიად გაიხადეს.
- ძირფესვიანი ცვლილებების განხორციელება სახელისუფლებო მოხელეების შეცვლის გარეშე შეუძლებელია.
- ადამიანები თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს ძილსა და სიზარმაცეში ატარებენ, მათი უმრავლესობა კი დარჩენილ ნაწილს სიზმრის ახსნასა და ნანახის რეალობაზე საუბარში ატარებს.
- ქვეყანა იდეებისა და გმირების გარეშე ვერ იარსებებს.
- ადამიანი არსებული კულტურისაგან ქმნის ახალს და ავითარებს მას, ეს არის მისი უპირატესობა არსებული კულტურის წინაშე.
- დედა ენა, ისტორია, ტრადიციები და ფესვები – ეროვნული სიამაყეა.
- კანონიერება არც ისე საშიშია, როგორც მისი დამცველები.
- სიკეთისათვის მადლობის მოსმენა იმას არ ნიშნავს, რომ სხვებისგანაც მადლიერებას ელოდო.
- სამოთხე ყველა ღირსეულ და წმინდა ადამიანშია.
- ხალხი ყოველთვის გარდაქმნის მოლოდინშია.
- ხმა ფაქტიურად ადამიანის სულის ნაწილია, მისი საშუალებით ხმოვანდება ის, რაც მასში შინაგანად არის.
- მანამდე იქნება ყველაფერი კარგად, სანამ კაცობრიობას ღმერთი უთმენს.
- ქვეყნის ბელადები ერთმანეთისაგან ზოგჯერ მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ერთმა სხვა ნაციები და ხალხი გაანადგურა, მეორემ კი – თავისი.
- კამათში ჭეშმარიტება იბადება, ზოგჯერ კი კვდება კიდეც.
- ნებისმიერი შემთხვევითი მოვლენები ყოველთვის საჭირო დროს გვახსენებენ თავს.
- მშობლები ბავშვებს სიცოცხლეს ჩუქნიან, მასწავლებლები კი – ცოდნის ძალას. ნებისმიერი ქვეყნის მომავალი თავისი მოქალაქეების ცოდნის ხარისხზეა დამოკიდებული. მასწავ-

ლებლები ქვეყნის ხვალინდელი დღის ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალის ფორმირებას ახორციელებენ. მათ მაღალი სახელმწიფოებრივი მისია აკისრიათ.

- გუშინ იყო ის, რაც დღეს არის და მომავალშიც იგივე იქნება – ის, რაც გვაღელვებს, გვიყვარს და გაუხუნარია.
- ადამიანის გონებასა და გულში მხოლოდ ნიჭიერი და მოაზროვნე, შემოქმედი ადამიანის ქმნილების კვალი რჩება.
- ხელისუფლებასა და პოლიტიკოსობაზე უფრო მეტად ხელოვნებას ძალუძს, ადამიანის გულს ისე მიუკაკუნოს, რომ მათი გონება დაიპყროს.
- სიბერის მოლოდინი უფრო დამთრგუნველია, ვიდრე თვითონ სიბერე.
- ზოგიერთი პოლიტიკოსების დიდება დროის მდინარეში არ იძირება, უმრავლესობის სიდიადე კი გინებისა და ანეკდოტების პერსონაჟებადაა ქცეული.
- გენიოსი სხვებისაგან განსხვავებულია, მიუხედავად თავის გენიოსობისა, ცხოვრებაში მაინც არაფერს პატიობენ, ხშირ შემთხვევაში – ჩრდილში დგას და მოკრძალებულია.
- შემოქმედი ადამიანი, როგორც სხვა სუყველა, მოკვდავია. მისი ნიჭი და ქმნილება კი უკვდავი.
- მხიარული და კეთილი გული ბუნების საჩუქარია.
- დიდებული აზრები სიტყვებით გამოითქმება და დიდებული იქნებოდა, ეს სიტყვები აზრს რომ არ იცვლიდეს.
- პიარის მოყვარულთა უმრავლესობა ეროტიკით იწყებს და სრული პორნოგრაფიით ასრულებს.
- როცა ადამიანი აღარ განასხვავებს ეროვნულობას, კულტურას და ტრადიციებს, კაცობრიობის ისტორიაც დამთავრდება.
- რამდენი დროც უნდა გავიდეს, შემოქმედის ჭეშმარიტი ქმნილება ყოველთვის დარჩება ფიქრისა და განსჯის საგნად.
- როცა წმინდა ტაძარი ინგრევა, ხალხი ხანგრძლივ დევნილობასა და უბედურებაში აღმოჩნდება, მაგრამ ტაძარი კვლავინდებურად მათ სულში რჩება მარად ჟამს.

- მდუმარება ან მჭევრმეტყველება ყოველთვის არ არის ჭკუის მანიშნებელი. სულელიც შეიძლება იყოს მდუმარე ან მოლაყბე.
- კეთილშობილი ადამიანი სხვის სიყვარულშიც საკუთარ ბედნიერებას პოულობს.
- სინანული გონიერებასთან ერთად მოგვიანებით მოდის.
- ქორწინება სიყვარულის ხანგრძლივი და ძვირად ღირებული სიამოვნებაა.
- ვისაც ჰგონია, რომ მთავრობა მხოლოდ ფულის ტომრებზე ზის, ცდება, რადგან თავად ამბობენ, რომ მათ უკეთესად იციან, თუ რაზე სხედან.
- დიდი შემოქმედის შეცვლა შეუძლებელია... და თუ ვინმეს შეცვლა შესაძლებელია, ის არც არის დიდი შემოქმედი.
- ქალის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა, როცა ის შეყვარებულია.
- სამართალი მაშინ ზეიმობს, როცა კანონი კანონობს, სამართალიც, შესაბამისად, ყოველთვის ვერ ზეიმობს.
- სანდო და მისაბაძი, ერთგული და თავმდაბალი ადამიანის ადგილი რეალურ ყოფაში, სამწუხაროდ, ან აღარ დარჩა ან გაუფასურებულია.
- მეგობრობა უძვირფასესი განძია, მაგრამ ადამიანის უმრავლესობა მანამდის მეგობრობს, სანამ ეს მათთვის ხელსაყრელია.
- ყველა დროს თავისი სირთულეები და წარმატებები ახლავს, ის ზემოქმედებს და ცვლის ადამიანთა მენტალიტეტს.
- ცხოვრება გამოვლილ ხანდაზმულ ადამიანს ბევრ კითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა, მაგრამ, სამწუხაროდ, შვილიშვილების გარდა, მას აღარავინ არაფერს ეკითხება.
- ზოგიერთ რეალობას სიცოცხლის ბოლოს თუ უსწორებს თვალს ადამიანი.
- შეყვარებულები ქორწინებამდე ერთმანეთს ფართო თვალებით უცქერიან, ქორწილის შემდეგ კი ხშირად საამისოდ დრო აღარ რჩებათ.

- დაუკმაყოფილებლობის და მიუღწევლობის შეგრძნება ხშირ შემთხვევაში პროგრესისკენ უბიძგებს ადამიანებს.
- იმას, რასაც მამაკაცები ქალებს ხშირად ყურებზე კიდებენ, იმასვე ქალები შემდეგ მამაკაცებს რქებზე ჩამოაცვამენ ხოლმე.
- ნურავის ჰგონია, რომ ვარდებით მოფენილი გზით სამოთხეში ამოყოფს თავს, სამოთხეში მისასვლელი გზა ეკლიანია.
- როცა გიყვარს, თავისუფალი არ ხარ, ვინც გიყვარს იმაზე ხარ დამოკიდებული.
- უცხო ქალაქში ზოგჯერ ისეთი განწყობა გეუფლება, თითქოს ადრეც ყოფილხარ და გიცხოვრია. ადამიანების უმრავლესობისათვის ეს ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.
- ზოგჯერ ადამიანს ცხოვრებაში ყველაზე მეტად გული უშლის ხელს, მაგრამ ვერანაირად ვერ ახერხებს, რომ უგულო გახდეს.
- ქალი უსაზღვროდ ბედნიერია მაშინ, როცა ის საყვარელ ადამიანს უყვარს.
- ადამიანმა საკუთარი ბედნიერებისათვის ზოგჯერ თავადვე უნდა გამოიგონოს და შეთხზას პატარ-პატარა ზღაპრები და თავგადასავლები.
- არსებობს გენეტიკური მეხსიერება იმის შესახებ, რომ არც ერთი რევოლუცია რაიმე მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებით არ დასრულებულა. ნგრევა და სიკვდილი რევოლუციის მონაპოვარს აფერმკრთალებს.
- ტალანტი ისეთ ძალას, მომხიბვლელობას და შუქს აფრქვევს, შეუძლებელია, მისი ზეგავლენის სტიქიაში არ აღმოჩნდე.
- მშვენიერების ქმნა სამყაროსა და ღვთის მიმართულებით გატყორცნილი ნათელი სხივია.
- ადამიანმა უნდა შექმნას თავისი მრავალმნიშვნელოვანი და საინტერესო სამყარო და ფართოდ გაუხსნას სუყველას მასში შესასვლელი ჭიშკარი.
- დრომ კი არ უნდა შექმნას, პირიქით, დრო და დროება თავად უნდა შექმნა.

- იყო შემოქმედი და საერთოდ იყო ნიჭიერი ადამიანი – დიდი ტვირთია.
- წიგნთა წიგნი უძვირფასესი საუნჯეა, ის წარსულის, აწმყოს და მომავლის ძეგლი და სიბრძნის ოკეანეა.
- ადამიანებმა ადამიანური სახე რომ შეინარჩუნონ, სხვისი ტკივილი უნდა გაითავისონ.
- შეუძლებელია, გმირი წინაპრების შთამომავალნი ლაჩრები იყვნენ.
- ღვთაებრივი წიგნი ადამიანებისთვის შეიქმნა, სადაც უფალი ადამიანებს ადამიანის ენით ელაპარაკება.
- დრო ადამიანის მეხსიერებაში შლის საუკუნეების ჟამთ აღრიცხვას ისე, როგორც ადამიანს ცვლის ეპოქების წელთა სიუხვე, მაგრამ ადამიანებში ხსოვნა ურყევი რჩება.
- ადამიანი დროთა განმავლობაში იცვლება, გამოცდილებას იძენს, ინტელექტს სრულყოფს, მაგრამ ადამიანური ნატურა წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის.
- სახელმწიფოს განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში მოქმედებდეს ნიჭიერი და სწავლული ადამიანების გავლენისა და მხარდაჭერის ორგანიზებული სისტემა.
- სამოთხეში წმინდა ადამიანები ხვდებიან, რადგან თავად წმინდანებშია სამოთხე.
- ვინც ცხოვრებაში წიგნის გარეშე მოგზაურობს, ადამიანი ბუტაფორიაა.
- მთავრობის მოხელეების კარებები მძიმედ იღება, ზოგიერთი სანამ იქამდე მიაღწევს, ძალ-ღონე ელევა და კარების დაძვრაც აღარ შეუძლია.
- ახალ დროში ძველი ილუზიები იმსხვრევა, ახალი კი უბრალოდ ვერ ასწრებს ფორმირებას და კვლავ ახლით იცვლება.
- არარაობიდან არარაობა აღმოცენდება, დროთა განმავლობაში სარეველასავით გამრავლდებიან და ირგვლივ ყველაფერს არარაობად აქცევენ.
- ისტორიულ რარიტეტებს, ისევე, როგორც ადამიანებს, თავისი ბედი და უბედობა სდევთ.

- ძველი აღთქმის შემქმნელი ხალხის მთავარი ღირსება და მოწოდება ღვთის მსახურებაა.
- ზოგიერთი სრულფასოვნებასთან ყველაზე ახლოს მაშინ არის, როცა ავტობიოგრაფიას წერს.
- ადამიანის მოწოდება ის საქმიანობაა, რომელშიც ის გამოიჩენს შემოქმედებით და სულიერ სილამაზეს, იქნება წარმატებული და ღირსეულად შეფასებული საზოგადოების მიერ.
- როგორც წესი, ხალხს ცხოვრების დონის მინიმუმს ყოველთვის უწესებენ ისინი, ვინც ცხოვრების დონის მაქსიმუმით არიან უზრუნველყოფილნი.
- დროის ძლევა ურთულესი პროცესია, ამისათვის ადამიანს გააჩნია შინაგანი ღვთაებრივი ძალა, რადგან იგი მარადისობის ნაპერწკლის მატარებელია.
- ჯუჯების პოლიტიკას ჯუჯა მართავს, ის მხოლოდ ჯუჯების წარმოდგენაშია გიგანტი.
- კარგი ადგილიდან არავინ არასოდეს არ გარბის.
- ზოგჯერ როგორი ბრწყინვალე ტრაგედიაც არ უნდა დაიწეროს, მას კომედიას ამჯობინებენ, რადგან კომედიაზე უფრო მეტი ბილეთი იყიდება.
- ღმერთის არსებობის გამცნობიერებელი უფრო ბევრია, ვიდრე მისი ჭეშმარიტი მიმდევარი, რაც ცხოვრების ავკარგიანობაზე თვალნათლივ აისახება.
- შემოქმედი ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება თვითმყოფადობაა, – აზროვნების, მოქმედების, ცხოვრების წესის თუ გრძნობების გამოხატვის თავისებურება, რაც გამოარჩევს მის შემოქმედებას სხვა ავტორთა ნაწარმოებებისაგან.
- უვიცი ადამიანები ფუჭ საქმეს დიდ მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებენ, რომ მნიშვნელოვანი საქმე არ ესმით.
- ისტორიას ადამიანი ქმნის და მისი განუყოფელი ნაწილია, რომლის მეხსიერება საუკუნეებს მოიცავს. ისტორიული ცდომილება განსაზღვრავს ყველაფერს და მათ შორის ადამიანის სახესაც.
- განდიდების მანიით შეპყრობილნი საპნის ბუშტივით ფრიალებენ და სკდებიან ხოლმე.

- სულიერება ის უდიდესი საგანძურია, რომელიც ძალას მატებს და ახანგრძლივებს ერის არსებობას.
- ქალი გამოცანასავით უნდა იყოს, სადამ ვერ ამოხსნი მისადმი ინტერესი არ განელდება და ყოველთვის იარსებებს.
- ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლები ხალხის გულშია აღმართული.
- მოსაუბრის გულიდან გამოსული სიტყვები მსმენელის გულში აღწევს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანი დროს არ ემორჩილება, თავისი ქმნილებებით ის მას თავად იმორჩილებს.
- ნიჭიერებითა და ღირსებებით შემკული პიროვნება განსახიერებაა იმისა, თუ როგორი ზნეობრივი და ინტელექტუალური ერთიანობა არსებობს ნიჭითა და ღირსებით დაჯილდოებულ ადამიანში.
- სულიერების ტაძართან ადამიანები ყოველთვის ახლოს უნდა იმყოფებოდნენ, მის სიახლოვეს ხალხს ერთობისა და ღრმა სიყვარულის განცდა აკავშირებთ.
- შემოქმედი ადამიანი, როგორც თავის, ასევე სხვა ხალხებში პოულობს ისტორიულ და მონათესავე საერთო ნიშნებს, თავისი ქმნილებით სულიერად აკავშირებს მათ, რითიც ჭეშმარიტი დესპანის უკეთილშობილეს მისიას ასრულებს.
- ადამიანის უმრავლესობას უფრო უკეთესი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან და ეს მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.
- მონანიება უწყვეტი სულიერი პროცესია, რომელსაც თან ახლავს წარსული ცოდვების უარყოფა და მისწრაფება ახალი ნათელი მიზნებისკენ. როდესაც პასუხი ადეკვატურია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანს აქვს მონანიების უნარი და სწორი გზით მიდის.
- სიყვარულის სიძულვილით ჩასახლება ადამიანების გულებში არსებული ტაძრის მსხვრევას იწვევს, ზოგიერთი თავის ღირსებებს სათანადოდ ვერ წარმოაჩენს, ზოგი კი თავის ნაკლოვანებებს ისე ოსტატურად შენიღბული ნიღბავს, რომ სხვა ღირსებებზე მეტად ბრწყინავს.

- პესიმიზმი ფუფუნებაა, რისი უფლებაც ღარიბ ადამიანს არა აქვს.
- ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ხანდაზმულობაშიც არ დაკარგოს სისულელის კეთების სურვილი და შინაგანად ახალგაზრდად იგრძნოს თავი.
- სულიერი ოკუპაცია ადამიანს არარაობად აქცევს.
- ყველა ადამიანს თავისი აღმაფრენის დრო აქვს, მხოლოდ დროშია სხვაობა, ვის რამდენი ხანი ერგება ეს ნეტარება.
- პოლიტიკოსების მოლაპარაკებას არავითარი აზრი არა აქვს, თუ საზოგადოებრივი აქტივობის გზით მხარდაჭერას არ ჰპოვებს.
- როდესაც ერთი ქვეყნის ხალხი გულმხურვალედ იღებს და იწოვს სხვა ქვეყნის ნიჭიერ შემოქმედ ადამიანებს, ამათ ისინი თავიანთ კულტურას ამდიდრებენ და ეს მათ სიდიადეზე მეტყველებს.
- ხელოვნება დიდი სამყაროა და ადამიანი ამ სამყაროს დიდი შემოქმედია.
- ძნელია, შეეგუო საყვარელი ადამიანების არყოფნას. ისე გგონია, სადღაც არიან წასულები და მალე დაბრუნდებიან.
- საშინელებაა, როდესაც მიმდინარეობს მიზანმიმართული პროცესი ახალგაზრდების და, საერთოდ, ადამიანების გამოტვინებისა, ფიზიკურად ჯანსაღი არსების გახრწნისა და მისი მკვდარ სულად გადაქცევისა. ეს ცოცხალი სხეულისა და სულის პანაშვიდია, მისი უაზრო და ნაადრევი დასამარებაა.
- ძალაუფლება სატყუარა მინასავითაა, მასზე მოკალათება სანუკვარი ოცნების აღსრულებაა, დროულად მასთან განშორება არავის ეთმობა, მოგვიანებით მშვიდობიანი წასვლა კი ხშირად შეუძლებელი ხდება, რადგან როგორც კი მისგან ჩამოსკუპდები, შეიძლება იფეთქოს.
- ადამიანის სულიერი გარდაქმნის პროცესში მთავარია შემობრუნების მომენტი, როდესაც იცვლება ადამიანის არა მხოლოდ ცხოვრებისეული პოზიცია, არამედ ის, რომ იგი სრულ მეტამორფოზას განიცდის.
- ვინც სხვებს ატყუებს, თავი სხვებზე ჭკვიანი ჰგონია, სინამდვილეში კი იმას ვერ ხვდება, რომ სხვებს ვიგინდარად მიაჩნია.

- ქვეყანა ყალბი ისტორიითა და გმირებით ვერ გაძლიერდება.
- პირველყოფილმა ადამიანებმა არ იცოდნენ, თუ რა შესაძლებლობები ჰქონდათ და ცხოვრობდნენ მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დღეს კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრის – ცივილიზაციის ეპოქაშიც კი თითქმის ყველაფერი გადასულია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე: ჭამა და სექსი – ყველაზე მეტად ეს სფერო იკვეთება.
- ყველა ქმედებას თუ მოვლენას საპირისპირო ქმედება აქვს, ისევე, როგორც აზრსა და იდეას ისევ აზრი და იდეა უკუაგდებს.
- ადამიანმა დაფიქრებით ანუ გონებით უნდა წარმოთქვას სიტყვა, ნათქვამს უნდა გაუფრთხილდეს. სიტყვა გონების პირმშოა და მის რაობაზე მიუთითებს.
- სამშობლოს სიყვარული ადამიანის სულიერი და შინაგანი მდგომარეობის გამოხატულებაა, რომელიც ასევე პატივისცემით არის განმსჭვალული სხვა ქვეყნებისა და ხალხების ღირსებისადმი.
- უნიჭოები და კახპები, ლაჩრები და შურიანები დიდებას უთხრიან საფლავს.
- შემოქმედის უნიკალური ქმნილება თავისი ეპოქის ისტორიული ძეგლია.
- გენიოსი საკუთარი აღმოჩენებისა და ცივილიზაციის განვითარებისთვის იმ გზებს პოულობს, რომელსაც სხვები ვერ ამჩნევენ.
- ჭადრაკის დაფაზე მეფესთან ყველაზე ახლოს პაიკებია განლაგებული. ცხოვრებაშიც პაიკების გარემოცვა ზოგიერთს იმის ილუზიას უჩენს, რომ მეფე არის.
- თუ რამე ჭეშმარიტი იყო, იგი არ გაქრება და თუ რაიმე ანაბეჭდი დარჩა – განცდა ჭეშმარიტი ყოფილა.
- მართალია, მამაკაცები ზოგჯერ ცუდად ფიქრობენ ქალებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მთელი სიცოცხლე მათზე აგრძელებენ ფიქრს.
- ადამიანების კაცობრიობისადმი სიყვარულში ბავშვებს დიდი როლი მიუძღვით.

- სოკოებივით მომრავლებული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციები ცდილობენ, წარმმართველი როლი ითამაშონ პოლიტიკურ აზროვნებაში. ყველა ნეგატიური ტენდენციის სათავე დემოკრატიისა და კომპეტენტურობის არქონაში დევს, რწმენის შესუსტებასა და ურთიერთგაუტანლობაშია, რაც ადეკვატურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყანაზე და მიზეზი უპირველესად ისაა, რომ მას წინ არ დაუხვდა მტკიცე, პასუხისმგებლობით აღსავსე საზოგადოება.
- მხოლოდ მოაზროვნე და შორსმჭვრეტელ ადამიანს შესწევს უნარი აწმყოს ჰორიზონტის მიღმა ცქერისა.
- ლოცვის დროს მორწმუნე ადამიანი არა მხოლოდ შეერწყმის მის რაობას – სიწმინდეს, არამედ თვითონაც მისი განსახიერებაა იმ სამყაროში, რომელშიც ის იმ დროს იმყოფება.
- კაცობრიობამ დროულად უნდა გაითავისოს, თუ რას უქადის ესა თუ ის პოლიტიკოსი მომავალს, რა რეალობას ქმნიან ისინი. დიდი როლი აკისრია შემოქმედებით ინტელიგენციას, რადგან მარადიულობას სწორად შემოქმედნი ქმნიან და არა პოლიტიკოსები.
- ღვთის ქმნილება, მთელი ნივთიერი სამყარო ერთი ღვთიური კულტურაა, რომელიც ბუნების სახით გვეძლევა. ადამიანი თავად ღვთის ქმნილებაა, ღვთის მიერ ნაბოძი კულტურისაგან ქმნის და ავითარებს ახალ კულტურას.
- ცხოვრებაში რაიმეს რომ მიაღწიო, ყოველთვის მზად უნდა იყო სავალი გზის თავიდან დასაწყებად.
- ოპტიმისტს მაშინაც კი იმედი აქვს, როდესაც საამისო არანაირი შანსი არ გააჩნია.
- შემოქმედი ადამიანი შემოქმედებითი აზრის ტიტანია, რომელიც ნათელს ჰფენს ადამიანის სულს.
- როდესაც სარკეში იყურებით, ნუ ჩქარობთ, ყურადღებით შეათვალიერეთ საკუთარი თავი და რაღაცას აუცილებლად შეამჩნევთ.
- დიდად მნიშვნელოვანი საქმეების აღსრულება მაშინ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როცა იგი დროულად ხდება.

- მხოლოდ გრძნობა ეს ჯერ კიდევ არ არის მუსიკა, პოეზია, ფერწერა. გრძნობას იდეა და აზრი უნდა ბადებდეს.
- პოეზიისა და მუსიკის თანხვედრა ხელოვნების ზეიმია. ეს საგანძური ერთმანეთს უდიდეს ძალას მატებს, რომელთა შესაძლებლობანი ამოუწურავია.
- წიგნი, ხელოვნება და მეცნიერება გონებისა და სულის ტაძარია.
- ვნების, გრძნობების, იდეისა და წინააღმდეგობების გარეშე ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა.
- რაც სიტყვითა და მოქმედებით ვერ აიხსნება, ის მუსიკით გამოიხატება.
- ხელისუფალთა მოვალეობაა, დაიცვას და სრულქმნილი გახადოს საკუთარი მოქალაქეების ბედნიერება.
- ჭკვიანი ადამიანი ცხოვრებაში ჭკვიანს ეძებს, უჭკუო კი თავისნაირს.
- ზოგი გარდაცვლილი მრავალ ცოცხალს სჯობს, თავიანთი საქმიანობით განაგრძობენ ხანგრძლივ სიცოცხლეს.
- ოჯახი დედის გარეშე იგივეა, რაც ადამიანი გულის გარეშე.
- შემოქმედს ორი სიცოცხლე რომ ჰქონდეს, ისიც არ ეყოფა.
- მუსიკოსი ყველაზე ფარულ და უხილავ საიდუმლოებებს ჰანგებით გამოხატავს. მუსიკას სულის თრთოლვის, შეუცნობლის წარმოსახვის ისეთი ძალა გააჩნია, როგორც სხვა არაფერს.
- ჭეშმარიტი ქმნილება თავის ავტორთან ერთად არასოდეს კვდება.
- თვრამეტი წლისას ცხოვრება უსასრულო მომავლად წარმომედგინა, ორმოცდაათ წელს განვლილს კი მოკლე წარსულად მეჩვენება.
- სამყარო რომ შევინარჩუნოთ, ადამიანების ღირსების გაფრთხილება თითოეულის მოწოდებად უნდა იქცეს.
- შეიძლება არ იცოდე, როგორ გააკეთო, მაგრამ უნდა იცოდე, რა გააკეთო. უნდა იცოდე, რისკენ მიისწრაფვი და რა გსურს. უნდა ეძიო მანამდე, სანამ არ მიაგნებ.
- სისხლსავსე ცხოვრება საყვარელი საქმე და ერთგული ადამიანებია.

- ავტორს საკუთარი ნაწარმოების თავისებურად ესმის, შემსრულებელი კი ზოგჯერ თავისებურად წარმოაჩენს და ახალ სიცოცხლეს ჩაბერავს.
- ადამიანს დროთა განმავლობაში სიბრძნე ემატება, თუმცა შინაგანად მაინც არ იცვლება.
- შემოქმედის ცხოვრება დაუღლელი და მუდმივი ძიების მთელი ეპოქაა.
- ჭკვიან კაცს თავისი აზრი ისე შეუძლია მოახვიოს სხვას, რომ თავისი ეგონოს.
- პოლიტიკოსები ზოგჯერ ხიდების მშენებლობით იწყებენ და გამყოფი კედლების აღმართვით ამთავრებენ.
- სტერეოტიპული აზროვნება მეტნაკლებად ყველა დროს ახასიათებს. არც ახლანდელი დროა გამონაკლისი.
- მთავრობა იცვლება, მომხვეჭელები კი ისევ სოკოებივით მრავლდებიან.
- როცა ეროვნული ვალუტა და პოლიტიკა მუშაობს ვიღაცის ჭკუაზე და მის სასარგებლოთ, ეს ძალზე სახიფათოა ქვეყნისთვის.
- ქვეყნისა და ერის სიძლიერე მომავალი თაობის მახვილგონიერებაშია.
- ფული თვალუწვდენელი ოკეანეა, რომლის ტალღებში სიმართლე და სინდისი იძირება ხშირად. ფულზე ძვირი და ძვირფასი უამრავი რამ არის ქვეყნად, მაგრამ რაც ფულზე ძვირი და ძვირფასია, ღირს ძალზე დიდი ფული. მხოლოდ ბუნებრივ ნიჭს და უანგარო, გულწრფელ სიყვარულს ვერ იყიდი ფულით.
- ჭკვიანმა იცის, რომ რაღაც იცის, მაგრამ ისიც იცის, რომ ბევრი არაფერი იცის და ეჭვი ეპარება იმაში, რაც იცის. სულელმა იცის, რომ ყველაფერი იცის და ეჭვი არ ეპარება იმაში, რაც იცის. ჭკვიანი ხედავს სულელს და თავის გადასახედიდან აფასებს მას. სულელიც ხედავს ჭკვიანს და თავის გადასახედიდან აღიქვამს მას. ჭკვიანი მსჯელობს, სულელი კი ვარაუდობს. ჭკვიანი ხშირად იმედგაცრუებული უკმაყოფილოა ცხოვრებით და თავს ბედნიერად არ მიიჩნევს. სულელი კმაყოფილია ცხოვრებით და თავი ბედნიე-

რად მიაჩნია. ჩვენი ცხოვრება სავსეა ბედნიერი სულელებით და იმედგაცრუებული ჭკვიანებით.

- სკამი თუ ქვეყანა? – საკითხავი აი, ეს არის. პატარა ქვეყნის მცირერიცხოვანი ხალხისთვის ეს საკითხი ზოგჯერ ყოფნა-არყოფნის ტოლფასია. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების ფუფუნება არ გააჩნია.
- დღეს ყველას ისტორიაში სურს, ამოყოს თავი. ბევრს ავიწყდება, რომ სანამ ისტორიაში შეტოპავს, ჭუჭყიანი ფეხები გულდასმით გაიწმინდოს.
- ოდესღაც ჯიშიანი მამლები დღეს დადედლებულები ომახიანი ყივილის ნაცვლად გულის წამღებად კაკანებენ. ბედაური სადღაა, ჯაგლაგიც სანთლით საძებარი გახდა.
- ცხოვრებაში არტისტობის ნიჭი და იუმორის გრძნობა ზოგჯერ თავის გატანის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.
- ზოგიერთი მთელი სიცოცხლე ერთი და იმავე კარებზე აკაკუნებს, ეჯაჯგურება, შეღება სურს და არც კი იცის, იქ რა დახვდება.
- დღეს რატომღაც ყველას პოლიტოკოსობა და ქვეყნის თავკაცობა სურს. ზოგიერთი ვერ აცნობიერებს, რომ პოლიტიკას ორღობის ჭორაობასთან საერთო არაფერი აქვს. შეუძლებელია, ორკესტრს დირიჟორობდე და პარტიტურას ვერ კითხულობდე.
- ღირსებას ვერავინ მოგცემს და ვერც ვერავინ წაგართმევს. ყველა ხელისუფლება თავისი ხალხის წიაღიდან არის გამოსული და მათი ზნე-ჩვეულებების მატარებელია. კარგიც და ცუდიც ყველამ საკუთარ თავში უნდა ეძიოს. ზოგიერთები მთელი სიცოცხლე თავისუფლების მოლოდინში არიან, როცა მიაღწევენ, არ იციან, რა მოუხერხონ ნანატრ თავისუფლებას.
- რა მოხდება ხვალ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხდება დღეს. ხვალინდელი დღის ავკარგიანობა დღევანდელი დღის გონიერებაზეა დამოკიდებული.
- შემოქმედის სული ვიოლინოსავითაა, მასზეა დამოკიდებული, როგორ ხმაშეწყობილად ააჟღერებს მას.
- პოეზია ისეთი ფერწერა და მუსიკაა, რომელსაც წარმოსახვით ხედავ და გესმის.

- ვისაც მთელი მსოფლიო არ ყოფნის, ერთი საფლავი საკმარისი აღმოჩნდება მისთვის.
- ზოგჯერ არაორდინალურ ვითარებაში წინასწარ ძნელია, განჭვრიტო, რა მოგივა და რას იტყვი, მაგრამ სხარტი და ანალიტიკურად მოაზროვნე გონიერი ადამიანისათვის ეს დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.
- მოევლინე რა ქვეყანას, უკვე ბედნიერი ხარ.
- ყოველი დღე ისე უნდა იცხოვრო, როგორც დღე უკანასკნელი და დღე პირველი.
- კაცი მაშინ არის ძლიერი, როდესაც მის გვერდზე ერთგული და ჭკვიანი ქალია.

Guram Paatashvili

The World of Maestro's Ideas

Summary

The first and second parts of Guram Paatashvili's book "Pages of Life and Activity" have been published. The book depicts the life and activities of the well-known author, public figure, composer, scientist, publicist, laureate of international awards, academician Guram Paatashvili. The work contains a collection of his thoughts "The World of Maestro's Ideas". The book is intended for a wide circle of readers.

We offer a passage from the second part of this book.

რედაქტორები:	**რუსუდან მიქენაია**
	მარინე ჭყონია
დამკაბადონებელი	**ხათუთა ბადრიძე**
გარეკანის დიზაინერი	**ნინო ებრალიძე**

Editors:	**Rusudan Mikenaia**
	Marine Chkonia
Typesetter	**Khatuta Badridze**
Cover Designer	**Nino Ebralidze**

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: 995(32) 225 14 32
www.press.tsu.ge